


საგაფინანსო-საზოგადოებრივი უნიტე

# სამი საუნჯე




4

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი  
კვარტალური გამოცემა



# სამი საუნჯე


№4(10), 2013



თბილისი  
დეკემბერი, 2013

## სარედაქტო საბჭო


ბონდო არგელაძე, გიორგი გოგოლაშვილი, ანზორ თოთაძე,  
გვანცა კოპლატაძე (რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ლომოური,  
გრიგოლ რუხაძე (რედაქტორი), გრანი ქავთარია.



დაიბეჭდა საქველმოქმედო ორგანიზაცია  
„სინერგიას“ ფინანსური მსარღაჭერით.

გამომცემელი შპს „სამი საუნჯე“.

	სარჩევი	4
	საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი დარიბაშვილის წერილი .....	5
	საშობაო ეპისტოლე	
	სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II .....	17
	განათლება	
	ზურაბ ცუცქირიძე, საქართველოში დაგეგმილი სასკოლო რეფორმის საბედისწერო ორიენტაციები .....	35
	ქართლის ცხოვრება	
	უჩა ბლუაშვილი, სამასწლოუნი განსაცდელი .....	45
	თინა ჯულაშვილი, ჰელაში მინარეთის აღმართვის პოლიტიკური არსი .....	60
	მამუკა ცუხბიშვილი, აბასთუმანი — სამკურნალო ოაზისი .....	80
	გიორგი მაჭარაშვილი, მცხეთის ანტიოქიის დედათა მონასტერი .....	87
	ექლესია და ხელოვნება	
	რუსუდან ლობიშვილი, დიდი სჯულის კანონი თეატრალური სანახაობების შესახებ .....	99
	ანტიკურობა და თანამედროვეობა	
	გრანი ქავთარია, სტრაბონი და კოლხეთის ისტორიის ფრაგმენტები .....	120
	ისტორიული პიროვნებები	
	ზურაბ ცუცქირიძე, კაცობრიობის დიდი ექსპერიმენტატორი .....	126
	თეოლოგია. ფილოსოფია	
	გვანცა კოპლატაძე, შალვა ნუცუბიძე არეოპაგიტიკის აკტორის შესახებ .....	137
	გრიგოლ რუხაძე, ფილოსოფიის განსაზღვრუბანი წმიდა იოგანე დამასკელის მიხედვით .....	144
	თეონისები.	
	მარინა ბულეგაშვილი, საქართველოს სამდვდელოება რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში .....	174
	ჩვენი ჯგუფები .....	176
	PE3IOME (რუს. თარგ. თამარ ფანცულაიასი) .....	182
	SUMMARY (ინგ. თარგ. თეონა ჩადუნელისა) .....	182



## მაშულიველობა

2014 წლის 16 იანვარს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა სოფელ მაქართის IV კლასის მოსწავლეს, ბაზო წიკლაურს საჩუქრები, პერსონალური კომპიუტერი და ველოსიპედი, და წერილი გაუგზავნა:


„ბაზო ჩვენო პატარა ვაჟებაცო!

მთელმა საქართველომ გაიგო, რომ გუდამაქარში, მაქართის სკოლას ერთადერთი მოსწავლე ჭეაგჲ – ბაზო წიკლაური, საამაურ ბიჭი.

კარგი სწავლით, დიდი ნებისუფლით და, რაც მთავარია, შშობელი მიწისა და მთების სიუკარულით, შენი ერთგულებით უკვე ემსახურები სამშობლოს.

სწორედ შენ და შენი ოჯახი იცავთ ჩვენს ქვეყანას, თქვენნაირი ადამიანების მხრებზე იდგა და დღემდე მოვიდა საქართველო. მაღლობა თქვენ ამისათვის!

ბევრ სიხარულს და ნატერის ასრულებას, სამშობლოს აეგავებას და მლიერებას გისურვებ, ჩვენო სისახელო პატარა ვაჟებაცო, სამშობლოს ერთგულო მცენელო!"



სრულიად საქართველოს პატოლიკოს-პატრიარქის,  
უფლიდოსისა და უნეტარესის ილია II

## სამოგაო ვაისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, ღიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო საერო დასნო, — მკვიდრნო საქართველოისა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო ძვირფასო თანამემამულენო!

«ნუ გეშინიათ, აპა, მე გახარებთ დიდ სიხარულს, რომლითაც იხარებს მთელი ხალხი. რადგან დღეს, დავითის ქალაქში, დაიბადა თქვენი მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი» (ლუკ. 2,10-11).

2014-ელ ეუწყება ახლა მსოფლიოს ეს საოცარი ამბავი და ეფინება უფლის უსხეულო ძალთა საგალობელი: «დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა შშვიდობა, და კაცთა შორის სათნოება» (ლუკ. 2,14). ანგელოზთა დასი, მწყემსები, მოგვები და, მათთან ერთად, ჩვენც მაღლიერებითა და მოკრძალებით კვლავ წარმოვთქვამთ ღმერთთან შერიგების, შშვიდობისა და ბედნიერების მომტან ამ დიდებულ სიტყვებს.

რამდენი ხანი ელოდა ამ ზეიმს ადამის მოდგმა? რამდენი საუკუნე გაილია ამ უამშე ნატერით? რამდენი წმინდა და ღვთისათნო ადამიანი ლოცულობდა ამ დღისათვის?

ადამიდან მამამთავარ აბრაამამდე 20 თაობამ განვლო, აბრაამიდან დავითამდე — 14-მა, დავითიდან ბაბილონის ტყვეობამდეც — 14-მა, ბაბილონის ტყვეობიდან ვიდრე ქრისტემდე — კიდევ თოთხმეტმა, და მხოლოდ ამ დროის გასვლის შემდეგ, ცოდვით დაცემული ევას ნაცვლად, აღმობრწყინდა წმინდა ქალწული, ღვთისმმობელი მარიამი — სასძლო უფლისა.

ბედნიერია საქართველო, რომ ქრისტეშობის სიხარული პირველი საუკუნიდანვე ეუწყა მოციქულთაგან და ამ დროიდანვე გახდა

იგი დვთისმშობლის წილზედრი. ეს უდიდესი პასუხისმგებლობაცაა. ამიტომაც სწორი წარმოდგენა უნდა გვქონდეს იმ პროცესებზე, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში და, საერთოდ, მსოფლიოში მიმდინარეობს, რათა პასუხი გავცეთ მათ და შევინარჩუნოთ წინაპრების თვეგანწირვის ფასად დღემდე მოტანილი ჩვენი შეობა.

ყველა დროში ქრისტიანობას თავისი გამოწვევები ჰქონდა, მაგრამ თანამედროვე პოსტმოდერნისტული ეპოქა გამორჩეულია მეგა-გამოწვევებით. პოსტმოდერნიზმის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სინამდვილის ხედვა, რომელიც ამა თუ იმ რელიგიურ მიმდინარეობას ეყრდნობა, არასწორადა მიჩნეული, რადგან, მათი გაგებით, ცდება ყველა, ვინც აცხადებს, რომ ჟეშმარიტება იცის. თვით ათეისტებიც ცდებიან, რადგან ამტკიცებენ რაღაცას, მაგალითად, უღმერთოებას. მართალია მხოლოდ ის, ვინც არავის განსჯის.

ასეთი აზროვნებისათვის სწორი და არასწორი აღარ არსებობს; გვაქვს უბრალოდ სისტემა, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი ის კი არ არის, მართალია თუ არა ესა თუ ის პრინციპი, არამედ ის, თუ რამდენად მუშაობს და რამდენად სარგებლიანია იგი დღეს. ამ სისტემაში მიჩნეულია, რომ თვითონ ადამიანია ყველაფრის განმსაზღვრული და რაც მას მოესურება, ისაა კარგი. ამიტომაც პიროვნების გამოსწორება კი არ არის საჭირო, არამედ მისი აზროვნების შეცვლაა მისაღწევი. მაგალითად, თუ ვინმეს ჭუჭყიანი სამოსი აცვია და იგი ჩათვლის, რომ მისი ტანსაცმელი სუფთაა და ამას თვითონაც დაიჯერებს, ის მართალი იქნება. მნიშვნელობა არა აქვს, სხვაც ასე ფიქრობს თუ არა. თუ ვიღაც მიიჩნევს, რომ ნაძვი მარადყვითელი მცენარეა, სხვა კი ამბობს, რომ იგი იასამნისფერია, სწორი იქნება ორივე და მცდარია იმის მტკიცება, თითქოს, ნაძვი მხოლოდ მარადმწვანეა.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ დედამიწას, ზოგადად სამყაროს, აქვს კანონები და ეს არის რეალობა. თანამედროვე აზროვნება კი გვეუბნება, რომ საერთო მოცემულობა არ არსებობს და რომ ეს ჩვენი მოგონილია. ამდენად, შევიძლია, შენი სურვილისამებრ, ნებისმიერი მოვლენა აღიარო, ან არ აღიარო, მიიჩნიო არსებულად, ან არარსებულად.

ტაბუ უნდა აქსნას ყველაფერს! უნდა განვდევნოთ წარსულის ზნეობრივი შეზღუდვები, ყველაფერი კარგია, რაც მე მინდა და მსიამოვნებს! ოღონდ შეფასებებისას ერთი აუცილებელი წესი უნდა იქნეს დაცული, — სხვისი, განსაკუთრებით უმცირესობის, უფლე-

ბები არ უნდა დაირღვეს! ეს კანონია. შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ იყარება ზღვარი კარგსა და ცუდ საქციელს, სიმართლესა და სიცრუეს შორის. სიმართლე არის ის, რასაც მე მივიჩნევ სიმართლედ და მორჩა! შენ შენი სიმართლე გაქვს? დაიცავი შენი სიმართლე, მე ჩემსას დავიცავ. მე შენს უფლებებს არ შევლახავ, შენც ჩემი უფლებები არ შელახო. დაახლოებით ასეთია ის აზროვნება, რომელის დამკვიდრების მცდელობაც არის დღეს.

არჩევანის თავისუფლებას და პიროვნებაზე ძალადობრივი ქმედების მიუღებლობას ქრისტიანობაც ქადაგებს. არჩევანის თავისუფლება უფლისაგან ადამიანისათვის ბოძებული ერთ-ერთი უმთავრესი მადლია, მაგრამ ქრისტიანულ მოძღვრებასა და ფსევდო-ლიბერალების მიერ შემოთავაზებულ «თავისუფლებას» შორის ფუნდამენტური სხვაობაა. ფსევდო-ლიბერალური «არჩევანის თავისუფლება» ასარჩევ მოცემულობათა თანაბარ ღირებულებებს გულისხმობს და ყველაფერს თანაბრად კარგად მიიჩნევს.

ქრისტიანობა (ზოგადად, რელიგიური აზროვნება) კი გვხსწოლის, რა არის კარგი და რა — მიუღებელი, რა არის ცოდვა და რა — მადლი, მაგრამ არჩევის უფლებას პიროვნებას უტოვებს. ქრისტიანული პრინციპია: მე პატოს ვცემ შენი არჩევანის უფლებას, მაგრამ არა შენს ნებისმიერ არჩევანს; ყველაფერი ნებადართულია, მაგრამ ვერ ვერ როდია სარგო (I კორ. 10, 23). ისედაც ხომ ცხადია, არჩევანის თავისუფლება მაშინაა ღირებული, როდესაც მას ერთმანეთისაგან განსხვავებულ ფასეულობებს შორის აკეთებ, თორემ თუ ყველაფერი სულ ერთია, არჩევანსაც აზრი ეკარგება.

ყოველივეს თავი და თავი კი ის არის, რომ სეკულარულმა იდეოლოგიამ პიროვნება ღმერთისაგან დამოუკიდებელ არსებად წარმოაჩინა, კვარცხლბეკზე ცოდვით დამძიმებული ადამიანი დააყენა და ყველაფერი მის ინსტიტებს დაუქვემდებარა, რითაც მდაბალი ვნებითი მიდრეკილებების ლეგიტიმაცია მოინდომა, მორალური და სულიერი ორიენტირები დაუკარგა და ეს ინდივიდუალიზმის საბაბით გაამართლა. ესაა ყველა მიმართულებით გაშლილი ბრძოლა ტრადიციული შეხედულებების, აღზრდისა და ზნეობის წინააღმდეგ.

დიდად სამწუხაროა, რომ უმცირესობათა ჯგუფები, რომლებიც ქრისტიანობისთვის მკვეთრად უარყოფითი იდეებით გამოირჩევიან, პუმანიზმის აღიარებულ წარმომადგენლებად სახელდებიან. მათ აქვთ პრივილეგიები, რეკლამა, მათზე მუშაობს მასმედია, დაცულნი არიან სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ; მათი მიზნების

განხორციელებისათვის ხდება კანონმდებლობების შეცვლაც და სხვ.; ხოლო ვინც წინააღმდეგება ამ პროცესებს, განსაკუთრებით ეკლესია, დისკრეტიდირების ნიაღვარში ექცევა, საზოგადოებაში კი მთავარი დარტყმის ობიექტი ოჯახია.

ეს პროცესები მეტნაკლებად ჩვენს ქვეყანაშიც მიმდინარეობს და სწორედ ამიტომ ვამახვილებთ ამ თემებზე ყურადღებას. კრიზისის მთავარ გამოვლინებას სექსუალური უმცირესობების ურთიერთობების ქალისა და მამაკაცის ქორწინებასთან გათანაბრების და ერთსქესიანი წყვილებისათვის ბავშვის შეიღლად აყვანის უფლების მინიჭების საშიშროება წარმოადგენს. ასეთი კანონი ქორწინების მთელ აზრს აუკულმართებს და ბავშვსაც, ფაქტობრივად, ნივთად აქცევს, რომლის ფლობაც ყველას შეუძლია.

საქართველო თვითი განვითარებით, კულტურით ქრისტიანული ევროპის ნაწილია და ამიტომაც მისკენ ლტოლვა ჩვენს ხალხში ნამდვილად არის. მაგრამ, ამ და ზემოთ აღნიშნულ ფუნდამენტურ საკითხებთან მიმართებაში, ევროვაეროთიანებამ, ევროპარლამენტმა უნდა გაითვალისწინო ცალკეული ქვეყნების ტრადიცია და აზროვნების წესი და მისცენ მათ საშუალება თავისუფალი არჩევანისა, რათა ადგილობრივმა მოსახლეობამ გულწრფელად მოინდომოს თანამედროვე ევროპულ კულტურასთან დაკავშირება.

საქართველოს ეკლესია მიესალმება ევროკავშირის პოზიციას იმის შესახებ, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება არ წარმოადგენს ევროკავშირის სრულუფლებიან წევრად ჩვენი ქვეყნის გახდომის წინაპირობას, რაც ევროკავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, ბატონ ფილიპ დიმიტროვის 2013 წლის დეკემბრის თვის განცხადებაში დაფიქსირდა.

ზოგადად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი პიროვნებები დახმარებას და თანადგომას საჭიროებენ, რათა მათ დაძლიონ ცოდვითი მიღრეკილებები და სწორი ცხოვრების გზას დაუბრუნდნენ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მხარი დაფუჭიროთ მათი ცოდვის პირპაგანდას.

საერთოდ, ოჯახი არის ერის, სახელმწიფოს, საზოგადოების მთავარი ქვეკუთხედი. იგი პატარა სახელმწიფოა, ქრისტიანული გაგებით კი — «მცირე ეკლესია». ქრისტიანობა ქორწინებას ერთ-ერთ საიდუმლოდ მიიჩნევს. ეს არის საიდუმლო არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ლეთიური სიყვარულისაც. ოჯახური ცხოვრება ქრისტიანული ღვაწლია, გზაა სულის ხსნისა, რადგან იგი გულისხმობს არა

მარტო ერთად ცხოვრებას, არამედ ერთმანეთისათვის ცხოვრებასაც. ბიბლია გვასწეულის, რომ ოჯახის უფალი არის დმერთი, რომელმაც ადამისა და ეკას სახით მოული კაცობრიობა შექმნა; ამდენად, ყველა ადამიანის მამა, ამ სიტყვის ყველაზე სრული და აბსოლუტური მნიშვნელობით, არის თვით შემოქმედი. ჰეშმარიტი ქრისტიანული ოჯახისთვის მარტო სიყვარული და ერთმანეთისაკენ სწრაფვა არ არის საკმარისი. ოჯახი მოწოდებულია იქცეს «მცირე ეკლესიად», მარადიული სიყვარულის ცოცხალ ხატად, რომელშიც ღვთის მცნებებს იცავენ და თაობიდან თაობას გადასცემენ.

შეგახსენებთ მოსე წინასწარმეტყველის ყველაზე მთავარ მიმართვას ხალხისადმი: «ისმინე, ისრაელო! და ეცადე შეასრულო, რომ კარგად იყო და დიდად იმრავლო ქვეყანაში, ... ისმინე, ისრაელო, ერთია უფალი, უფალი, ჩვენი ღმერთი. გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი მთელი შენი გულით და სულით, მთელი შენი შეძლებით. გულში გქონდეს ეს სიტყვები, ... ჩააგონებდე შენს შვილებს და უთხოობდე სახლში ჯდომისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისას და ადგომისას. შეიძი ნიშნად ხელზე და ტვიფრად შუბლზე; წააწერ შენი სახლის წირთხლებს და კარებს» (II რჯ. 6, 3-9). ეს დარიგება ახალ აღთქმაშიც ყველაზე მთავარ მცნებად იქნა გაცხადებული იესო ქრისტეს მიერ, რომელმაც მას დაამატა: «გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თვისი» (მთ. 19, 19).

ოჯახში მეუღლები ერთმანეთს სიყვარულით უნდა ემსახურონ, თუმცა იერარქია ყოველთვის უნდა იყოს დაცული. ის, რომ მამაკაცი თვითი ოჯახისა, არ ნიშნავს მის ბატონობას, არამედ მის მსხვერპლშეწირულ მსახურებას, მის პასუხისმგებლობას წინაშე ცოლისა და შვილებისა. იგია მათი დამცველი, მომპოვებელი არსობის პურისა და, ამასთან, ღვთისმსახური თვისი სახლისა. მან უნდა გამოითხოვს უფლისაგან წყალობა, სიყვარული და მადლი ოჯახის წევრებისათვის.

ქალი პასუხისმგებელია ოჯახის მოვლა-პატრიონობაზე, მისი წევრებისათვის ზრუნვაზე, შვილების აღზრდაზე. იგი ღვთის მცნებების გათვალისწინებით უნდა დაემორჩილოს ქმარს, თუნდაც, რომ ერთი შეხედვით ამის განხორციელება შეუძლებელი იყოს, რადგან ამით აღასრულებს უფლის ნებას (თუმცა ეს არ ნიშნავს ცოდვასა და არასწორ ქმედებებში მორჩილებას).

ქრისტიანულ ოჯახში, რა თქმა უნდა, თავს იჩენს არაერთი განსაცდელი, რაც ურთიერთსიყვარულით უნდა დაიძლიოს, და სა-

დაც ეს ასე არ ხდება, იქ არც არის ნამდვილი ოჯახი. ქრისტიანული ოჯახი უფლის საგანეა, უფლის ბალია, რომელშიც ცოლსაც და ქმარსაც დაედგინათ მუშაკობა ღვთის სადიდებელად. როგორი ამაღლებულია ეს ყველაფერი, როგორი სათუთა და გასაფრთხილებელი! ჩვენი ახალგაზრდები კი, სამწევაროდ, მოუშადებელი ხვდებიან ამ უდიდეს საიდუმლოს.

თანამედროვე მსოფლიოში ოჯახურ ფასეულობებს ენაცვლება მხარეთა მერკანტილური ინტერესები, ე.წ. პარტნიორული ურთიერთობები, რომელსაც თან სდევს გარეშე თანაცხოვრების სხვადასხვა ფორმები. მეცნიერულ-ტექნიკურმა წინსვლამ კი ისეთი მძიმე ეთიკური საკითხები დააყენა დღის წესრიგში, როგორიც მანამდე არ სმენდა კაცობრიობას: ხელოვნური განაყოფიერება, სინჯარაში ჩასახული ბაჟშები, სუროგატი დედები, გენების შერწყმა, კლონირება და ა.შ.. «ჰუმანისტები» მხარს უჭირენ აბორტს, ევთანაზიასა და თვითმკვლელობას. ამასთან, მათთვის მეცნიერული პროგრესი აბსოლუტიზებულია და მიიჩნევენ, რომ რისი გაკეთებაც შესაძლებელია, უნდა გაკეთდეს. ეს ეთიკური სოფიზმია, რადგან ის, რაც ტექნოლოგიურად მიღწევადია, ყველაფერი როდია მორალური და სასარგებლო.

მიზანი ამართლებს საშუალებას, — ესეც მათი ცხოვრების წესია და ესეც სოფიზმია, რადგან არც ყველა მიზანია კარგი და არც ყველა საშუალებაა მისაღები, თუნდაც კარგი მიზნისათვის. მაგალითად, ფაშისტებს ებრაელების განადგურების სურვილი პქნდათ, მაგრამ განა ეს მიზანი შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს?! ანდა იმისთვის, რომ კაცობრიობის ჯანსაღი ნაწილი მეტად იყოს დაცული, ნუუ შეიძლება ვინმერ გაამართლოს შიდსით დაავადებულთათვის სიცოცხლის მოსწრაფება?

განა შეიძლება ბედნიერი იყოს ის ოჯახი, სადაც აბორტი კეთდება და პატარა უსუსური არსებების უღვთოდ დაჩქილი სხეულების აჩრდილები დადიან? და როგორი საშინელებაა იმის წარმოდგენაც კი, რომ ყოველ წელს, არაოფიციალური მონაცემებით, მიღიონამდე აბორტი კეთდება საქართველოში და ამის შემჩერებელი ჯერჯერობით არავინ არის. შეიძლება ოჯახი იყოს ბედნიერი, სადაც სურგატი დედის მიერ დაბადებული ბავშვი იზრდება? ეს პატარა ხომ თავიდანვე გაწირეს უსიყვარულობისათვის, მიუსაფრობისა და მარტობისათვის. იგი კეთილდღეობაშიც რომ გაიზარდოს, მუცლადყოფნის პერიოდის ამ სიმძიმეს ვერაფერი შეცვლის და ეს, აუცილე-

ბლად, იჩენს თავს ზრდასრულ ასაკში. პრობლემატურნი იქნებიან ის ბაჟშებიც, რომლებიც ხელოვნური განაყოფიერებით დაიბადნენ და მათი სიცოცხლე მრავალი ემბრიონის განადგურების შედეგად განვითარდა.

ის, რომ კაცთა მოღვას არ შეუქმნია ოკეანე, ხმელეთი, ციური სხეულები და ბალაზიც კი (აღარაფერს ვამბობთ ადამიაზე), ცხადზე ცხადია. აქამდე მხოლოდ ბიოლოგიურად საინტერესო ქიმიკატები (მაგ., ამინომჟავები) მიიღეს, შეაჯვარეს და შეაერთეს სიცოცხლის უკვე არსებული ფორმები და სხვა არაფერი. ხოლო, თუ ჩვენ არ მოგვიტანია სიცოცხლე ამ წუთისოფელში, რა უფლება გგაქვს გგაქვს მოვინდომოთ ბატონობა მასზე? რატომ ვისაკუთრებთ მას, რაც ჩვენი არ არის?

ფაქტია ისიც, რომ მიუხედავად მეცნიერულ-ტექნიკური დიდი წინსვლისა, არ შეგვიძლია თავი დაგაღწიოთ სიკვდილს. რატომ? ჩვენ ხომ ყოვლისშემძლენი ვართ? სინამდვილე კი სხვა არის. უფალი ეუბნება მოსეს: «მე ვკლავ და მე ვაცოცხლებ» (II რჯ. 32,39). იობის წიგნშიც იგივე აზრია: სიცოცხლე «უფალმა მომცა, უფალმა წაიღო»(იობ. 1,21). ამიტომ, არავითარი უფლება არა გვაქვს ხელვეოთ უფლის ეს წყალობა და ვინც ამას აკეთებს და არ შეინახებს, დაისჯება!

მიუხედავად უამრავი პრობლემისა, კარგი ოჯახი მაინც მრავალ არის საქართველოში, რაც ქვეყნის გადარჩენის გარანტიაა. მე მინდა დავლოცო ჩვენს საშობალოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ყველა ქართული ოჯახი, ასევე ვლოცავ ჩვენი ქვეყნის მკვიდრ სხვა ეროვნების წარმომადგენერლთა ოჯახებსაც და ყველას გისურვებთ ღვთისსათო გზით სვლას, უფლის შიშითა და სიყვარულით ცხოვრებას, რათა იხაროთ ორსავ სოფელსა შინა.

ამასთან, ვითვალისწინებთ რა იმ მართლმადიდებელი შშობლების დამსახურებას, რომელთაც ბოლო 20 წლის მანძილზე, ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობის მიუხედავ, ჩვენს სამწევოს ოთხი და მეტი შეიძლება, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ისინი და მათი შვილები განსაკუთრებულად შევავედროთ უფალს და პატრიარქის სიგელით დავაჯილდოვთ.

მრავალშვილიანობა უდიდესი სიკეთეა. რომელი წარმავალი სიძლიძრე შეეძრება დედმამიშვილების გვერდზე დგომასა და სიყვარულს, რაც ასე სჭირდება ადამიანს ჩვენს მეტად რთულ დროში. თვითონ შშობლებიც უდიდეს ენერგიას იღებენ მათგან, რადგან

თითოეული შვილი ცალკე აღებული საოცარი სამყაროა. მრავალშვილიანობა იმითაც არის ფრიად სასურველი, რომ ბავშვი პატარაობიდანვე სწავლობს ეგოიზმის დაძლევას, სხვაზე მზრუნველობას და შშობლებისგან მომდინარე სიყვარულის სხვისთვის განაწილებას.

ვისაც სამი და მეტი ბავშვი ჰყავს, კარგად იცის, ხშირად როგორ უჭირს პირველ შვილს ახლად დაბადებულ მეორე ჩვილთან შეგუება და სულ ეძებს დროს, რამეთი აქნოს მას; მესამე პატარის შემატებას პირველი უფრო ადვილად იტანს, მეორე კი უფრო მეტად განიცდის, მაგრამ ისე არა, როგორც პირველ შვილს უმძიმდა თავიდან, მეოთხე ბავშვის დაბადება უკვე აწონასწორებს ყველაფერს და ა.შ. ანუ შვილთა სიმრავლე მათი სწორად აღზრდის ერთ-ერთი გარანტიაა, რადგან ასეთ გარემოში «ძე»-ზე ორიენტირებული სულისკვეთება სიყვარულის გამრავლებითა და გაცემით იცვლება და თუ ამას სწორი აღზრდაც დაემატა, მივიღებთ იმ მდგომარეობას, რაზეც ბიბლია ბრძანებს: ქალი შვილთა სიმრავლით ცხონდება (I ჭიდ. 2,15). ამ საქმეში მთავარი როლი და პასუხისმგებლობა დედას ეკისრება. მიუხედავად იმისა, რომ გოგონები ხშირად ფსევდოკულტურითა და ცრუ თავისუფლებით არიან გატაცებული, როდესაც დედები ხდებიან, მათში სხვა გრძნობები იღვიძებს, სხვა აზროვნება უყალიბდებათ, რადგან სწორედ ისინი ხდებიან სიყვარულით მსახურების მთავარი მოქმედი და ეს იწვევს სწორედ შინაგან ფერიცვალებას.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მეუღლებმა, რომელთაც საკუთარი შვილი არ ჰყავთ, ეს ტრაგედიად არ უნდა მიიჩნიონ; მთავარია, მათი ერთად ცხოვრება სასურველის დამკვიდრებისთვის მომზადებად იქცეს. სასურველია ბავშვის აყვანაც. ეს დიდი მაღლია და ამ შემთხვევაში მათ ეკლესიაში საგანგებო ლოცვა ეკითხებათ.

\*\*\*

ამქვეყნიური ჩვენი ყოფა დროებითია და მსწრაფლწარმავალი. დრო კი, რომელშიც ვცხოვრობთ, წრიულია, განმეორებადი და, ამავე დროს, სწორხაზოვანი, — მიემართება დასაწყისიდან დასასრულისკვენ. ამასთან, სხვადასხვა ქმნილებისათვის ყოფის ხანგრძლივობა სხვადასხვანაირია: ზოგისათვის — რამდენიმე საათი, ზოგისთვის — რამდენიმე დღე, სხვისთვის — წლები, საუკუნეები ან საერთოდაც ათასწლეულები.

სამყარო და დრო ერთდროულად გაჩნდა. აი, როგორ მიმართავს

ნეტარი ავგუსტინე უფალს: «შენა ხარ დროის შემოქმედი; არ არსებობს დრო შენი თანამარადისი რომ იყოს, რადგან შენ წარუგალი ხარ, ხოლო დრო რომ წარუგალი იყოს, დროც აღარ იქნებოდა იგი.»

სამოთხეში ყოფნის პერიოდს მამები «წმინდა დროდ» მოიხსენებენ. იგი სხვა სახისა იყო და იქ არც ადამი, არც ევა არ ექვემდებარებოდნენ მის მდინარებას; ის დრო კი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ცოდვით დაცემის შემდეგ დადგა. პირველი ადამიანები, მოაკლდნენ რა «ცხოვრების ხის» ნაყოფს, ანუ უფალთან ურთიერთობის შესაძლებლობას, დაკინძლნენ; მათი აზროვნების წესიც შეიცვალა და მიწიერი ყოფით შემოიფარგლა, თუმცა ლტოლება სამოთხისა და ღვთისაკენ კვლავ დარჩათ. ამიტომაც ადამიანი გაორდა, გაორდა მისი ამქვეყნიური დროც: ლიტურგიული დროით იგი კვლავ უკავშირდება ღმერთს, ხოლო ყოფითი დრო მოიცავს ცხოვრების იმ ნაწილს, რაზეც ბიბლიაში წერია: «ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს» (ეკლ. 1,2).

დროის გაყოფა ყველაზე რეალური სახით მოხდა პირველი მსხვერპლშეწირვის შემდეგ, როდესაც კაენმა უფლის ძლვენი ამპარტავნების სულით გაიღო, ხოლო აბელმა — გულწრფელი, უშურველი სიყვარულით. კაენის შური შუღლში გადაიზარდა, აბელის მოკვლით კი მასში მიწიერი და ეგოისტური სული იმდენად გაძლიერდა, რომ ღვთის პირისაგან თავისი ნებით საბოლოოდ მიეფარა და აღარ უნდოდა უფალთან ურთიერთობა; ამით დასრულდა მისი ლიტურგიული დროც, რამაც მხოლოდ მიწიერი ყოფის სურვილი გაუღვივა და გამოიწვია სიკვდილის წინაშე ძრწოლა, ანუ შემოქმედთან შეხედრის შიში (ზოგადად ასეთივე დამოკიდებულება აქვთ იმ ადამიანებსაც, რომლებიც ღვთის საწინააღმდეგოდ ცხოვრობენ). აბელს კი, მართალია, ამქვეყნიური ყოფა წაერთვა, მაგრამ მისი ლიტურგიული დრო მომავალი მარადიული ნეტარი ცხოვრების საწყისად იქცა. დედამიწაზე კი მისი გზა სეითმა და მისმა მოდგმამ გააგრძელეს.

რას ნიშნავს ჩვენთვის, ქრისტიანებისათვის, ლიტურგიული დროით ცხოვრება? თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ კარგად დავუკვირდებით, წუთისოფელში აწმყო, ფაქტობრივად, არ არსებობს; ის, რასაც აწმყოს ვარქმევთ, იმწამსვე იქცევა წარსულად. ასე რომ, ჩვენ წარსულსა და მომავალს შორის ვიმყოფებით. მარადისობაში კი მუღმივი აწმყოა. იქ წარსული და მომავალი არ არსებობს. და თუ გესურს, სწორად ვიცხოვოთ, უნდა ვიცხოვოთ ისე, რომ ჩვენს წარმავალ დროში მარადიულობა შემოვიყვანოთ და დრო მოძრავ

მარადისობად გაქციოთ (წმ. იოანე დამასკელი).

ეს საიდუმლო ეკლესიაში აღესრულება. ამიტომაც კარგავს აქ დრო თავის ძირითად ფიზიკურ თვისებებს, შეუქცევადობას და სწორხაზონობას, რაც საეკლესიო დღესასწაულთა განმეორადობით, წრიული მდინარებითა და მათი განმაახლებელი მოქმედებითა განპირობებული.

ჩვენ აქ მუდმივად ვხდებით თანამონაწილე სამყაროს შექმნისა, მამამთავართა და წინასწარმეტყველთა ეპოქისა, მაცხოვრისა და მისი მოწაფების და წმინდანების ცხოვრებისა, საერთოდ, ადამიანისა და სამყაროს ხსნის შესახებ საღმრთო განგებულების ისტორიისა.

ყოველ დღეს თავისი დატვირთვა აქვს: კვირა საღვთისმსახურო ციკლის ცენტრს, ქრისტეს აღდგომას წარმოადგენს. ორშაბათი, ზოგადად, ანგელოზთა დღეა, სამშაბათი — წმ. იოანე ნათლისმცემლისა, ოთხშაბათი — ჯვრის, ხუთშაბათი — წმ. ნიკოლოზის, პარასკევი — ჯვარცმის, შაბათი კი — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და წმ. მოციქულების. წლის ციკლის ფორმირებაც, პირველ რიგში, აღდგომას უკავშირდება და მას პასექის დღესასწაული განაპირობებს. ამასთან, არის უძრავი და მოძრავი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულები, რომლებიც უფლის, ღვთისმშობლის, ზეციურ ძალა, მოციქულთა და წმინდანების სახელებს უკავშირდება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, გარდა ეკლესიური ცხოვრებისა, ლიტურგიული დროით ცხოვრება ნიშნავს ყოველდღიური ყოფის ისე წარმართვას, რომ ადამიანის გული და გონება ღმერთან მუდმივ კავშირში იყოს. ეს კი გულისხმობს გაცნობიერებას იმისა, რომ თუ არა უფლის შეწევნა, ჩვენ ვერ შევძლებდით ვერც სუნთქვას, ვერც სიარულს, ვერც აზროვნებასა და რაიმე საქმის გაკეთებას და ვერც გარშემომყოფთა და, საერთოდ, სამყაროს აღქმას: ვერ მოვიძოვებდით საკვებს, ჩასაცმელს, საცხოვრისს, ვერ შევქმნიდით კულტურას, ვერც მეცნიერულ აღმოჩენებს გაუკეთებდით... ანუ უნდა დავინახოთ, რომ ყოველივე უფლის ნებით მოგვეცა, რათა გარემო უკეთესი გავხადოთ, ღვთის მაღლიერნი და მისი თანაშემქმედნი გავხდეთ და არა მოწინააღმდეგენი, თუმცა არჩევანი ჩვენი გასაკეთებელია.

თუ, მაგალითად, შენ პედაგოგი ხარ და მოსწავლებს ზრდი იმ სულისკეთებით, რომ იყვნენ სამშობლოს ერთგული შეილები, უყვარდეთ ღმერთი და ერთმანეთი, საერთოდ, მოყვასი, ასწავლი შურის დაძლევას, წყენის დავიწყებას და ადვილად შერიგებას, განსაცდელში

მყოფთა დახმარებას, უფროსების პატივისცემას, ბუნების, შრომის, წიგნების კითხვის, ღრმა აზროვნების სიყვარულს და შენც თუ ასევე ცხოვრობ, მაშინ შენი ამქვეყნიური ყოფა მარადიულობით არის განმსჭვალული, რადგან უკოიზმისგან თავისუფალ ღვთისსათნო აზროვნებას ამკვიდრებ.

თუ შენ დამლაგებელი ხარ და ყოველდღე პატიოსნად და სიყვარულით აკეთებ შენს საქმეს, არ აგვიანებ სამსახურში, ქმარები მოყვასს, ჰმადლობ ღმერთს არსობის პურისთვის, არ ივიწყებ სულიერ ცხოვრებას და უფლის მცნებებს, შინ და გარეთ კეთილი დამოკიდებულების დამკვიდრებას უწყობ ხელს, შენ ლიტურგიული ღროით ცხოვრობ.

თუ დიასახლისი ხარ და შვილებზე ზრუნვას გირჩევნია, სამსახური გქონდეს მხოლოდ იმიტომ, რომ უკეთესად გაერთო, თუ შენ არაფერს ერიდები, რათა კომფორტული ცხოვრება მოიწყო და არ გადარდებს ამისთვის სხვისი მსხვერპლად გაწირვა, თუ შენ აბორტით ან სხვა თანამედროვე საშუალებებით ახდენ ოჯახის დაგუმარებას, ეგოისტურად ზრდი ბავშვებს, არ ასწავლი მათ მოწყალების გაცემას და გაჭირვებულთა თანადგომას, არ ასწავლი მეგობრობას, სიმართლის სიყვარულს, ერთგულებას, — კაენის სულს ვერ მოიცილებ და მისი ხევდრის თანაზიარი გახდები.

«ურთიერთარს სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი», ბრძანებს მოციქული (გალ.6,2). ფიზიკურ და მატერიალურ დახმარებასთან ერთად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ლოცვით შეწევნას და ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს.

მინდა შეგახსენოთ ანტონი სუროველის მიერ მოხმობილი ერთი ამბავი: «იყო ახალგაზრდა მოძღვარი, რომელსაც სხვისი ცოდვების დანახვის უნარი მიეცა და როცა ერთხელ მასთან მეტად მძიმე ცოდვებით სავსე ადამიანი მივიდა აღსარებისათვის, არ მიიღო. თუმცა მაღლე სინდისმა შეაწუხა და ამის შესახებ გამოცდილ ბერს უამბო. მან უსაყველურა: როგორ გააბრუნე? ის ხომ სინანულით მოვიდა და შენ იყავი მისი ბოლო იმედი?

ახალგაზრდა მოძღვარი ისე შეწუხდა, ღმერთს სთხოვდა, ნათელ ხილვის უნარი აღარ ჰქონოდა. გულწრფელი სინანულისათვის უფალმა მას თანალმობის მაღლი მიანიჭა. და აი, ერთხელაც, როცა მას მეტად მძიმე ხასიათის სახლის მეპატრონესთან მოუწია დამის გათვა, აღარ დაბრკოლდა მისი ცოდვების გამო, არამედ ერთ კუთხეში გულმხურვალედ დაიწყო ლოცვა მეპატრონესათვის და,

ამასთანავე, მისი ცოდვების ჩამოთვლა.

მასპინძელი სასულიერო პირის ლოცვით დაინტერესდა და ჩუ-  
მად დაუგდო ყური. იგი გაოგნებული ისმენდა, როგორ ვეღდრებოდა  
ღმერთს ახალგაზრდა მოძღვარი მისი ცოდვების შენდობისათვის  
და ამან იმდენად შეძრა, რომ იმ დღიდან სრულიად სხვა ცხოვრება  
დაიწყო. ასეთი მაგალითები მის ცხოვრებაში მრავლად იყო. როცა  
ეკითხებოდნენ, როგორ ახერხებდა ადამიანების მოქცევას, მოძღ-  
ვარი პასუხობდა: «როდესაც ჩემთან მოდის ცოდვით დამძიმებული  
პიროვნება, რომელიც ვერ ხედავს თავის დანაშაულს და სინანული  
არა აქვს, ვცდილობ სულიერად მის შინაგან სამყაროს ჩავწედე და  
იმ აზრით, რომ ჩვენ ვართ ხორცი ხორცავანი და სისხლი სისხლ-  
თავანი ერთმანეთისა, ვიწყებ სინანულით ლოცვა-ვეღდრებას მისი და  
ჩემი, ანუ ჩვენი ცოდვებისათვის და ეს ადამიანიც, ღვთის მადლით,  
თანდათან იწყებს შემობრუნებას».

ღმერთმა ჩვენც მოგვცეს ძალა ამგვარი წესით ცხოვრებისა.

მე იმედი მაქვს, რომ, მიუხედავად ჩვენს წინაშე არსებული მრა-  
ვალი დიდი პრობლემისა, საქართველო გაუძლებს დროის გამოცდას  
და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით ღვთის მადიდებელი  
სული მუდამ იზიმებს ჩვენს ქვეყანაში.


ქრისტეს ეკლესიის სამწესო: დღეს «მოიწია დროის სისრულე,  
მოავლინა ღმერთმა თავისი ძე, ... რათა ჩვენც მიგვეღო ძეობა». ასე  
რომ, მონანი კი აღარა ხართ, არამედ ძენი, ხოლო თუ ძენი ხართ,  
მემკვიდრეცა ხართ ღვთისა მიერ (გალ. 4, 4-7).

მაშ, გიხაროდეთ, ჩემო საყვარელო სულიერო შვილები: ქა-  
რთველებო, აფხაზებო, ოსებო, ბერძნებო, რუსებო, იეზიდინო,  
უდინნო, სომქნნო, აზერბაიჯანელნო,... ყოველნო შვილნო საქართ-  
ველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიისა; გიხაროდეთ, ყოველ-  
ნო ღვთისმოყვარენო: «დღეს, დავითის ქალაქში, დაიბადა თქვენი  
მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი» (ლუკ. 2,11).

ერთგულების ნიშნად ანთებული სანთლებით შეხვდით მას და  
იმედითა და სიყვარულით მიეგებეთ!

მარადის თქვენთვის მლოცველი ილია II,  
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ქრისტეშობა, 2014 წ.



ჟურნალ „სამი საუნჯის“ რედაქტორს,  
ბატონ გრიგოლ რუხაძეს.

აგერ უკვე ორი ათეული წელია ჩვენს განათლების სისტემას  
საგანმანათლებლო საქმეში გათვითცნობიერებული ხელმძღვანე-  
ლი არ ღირსებია (საგანმანათლებლო საქმის მცოდნეზე ლაპარაკი  
ზედმეტია!). ამიტომაც არის, რომ იმდენი და ისეთი რამები ხდება  
განათლებაში, რაც საღ აზრს სრულიად მოკლებულია. ყოფილმა  
ხელისუფლებამ პედაგოგიური აზროვნების ეროვნული ცენტრი —  
იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვ-  
ლევითი ინსტიტუტი ფაქტობრივად გააუქმა, რადგან ოკეანის გაღ-  
მიდან გამოგზავნილ მითითება-რეკომენდაციებზე დამოკიდებულ  
მთავრობას აღარაფერში სჭირდებოდა იგი. განათლების მინისტრის  
პოსტზე, შემთხვევით, წესიერი პროფესიონალი მუშაკი რომ მოხვე-  
ლილიყო, ისიც კი დაუშვებდა მძიმე შეცდომებს, იმიტომ, რომ რჩე-  
ვას ვეღარავის ჰკითხავდა, რადგან ქართულ პედაგოგიკაში ჰკუის  
საკითხავ ხალხს განათლების სამინისტროს კარები ყრუდ ჩაურაზ-  
ეს. განათლების მინისტრის პოსტზე წლების განმავლობაში ისეთი  
ხალხი „მოღვაწეობდა“ (სანტექნიკოსები და ციხის ზედამხედველე-  
ბი, პოლიციელები და ეკონომისტები), რომლებსაც პროფესიონალი  
მეცნიერი-პედაგოგების რჩევა „არაფერში სჭირდებოდათ“.

როგორც იქნა ხელისუფლება შეიცვალა. ვიფიქრეთ, გვეშველე-  
ბა და აწი მანც დაუბრუნდება განათლება ბუნებრივ კალაპოტს-  
თქო, მაგრამ...

ამას წინათ „მაქსტროს“ სატელევიზიო არხზე ორ ცნობილ ტელე-  
წამყვანს, რომლებიც იმითი არიან ცნობილნი, რომ წინადაღების  
დამთავრებას არ აცლიან მოწვეულ რესპონდენტებს, სტუმრად ჰყავ-  
დათ განათლების სამინისტროს მაღალჩინოსანი. ამ მაღალჩინოსანმა  
სამომავლო ამოცანებზე რომ ილაპარაკა, არც წინამორბედთა გაკრი-

ტიკება დავიწყებია და სინანულით აღნიშნა: ხუთი წლის ბავშვი ცოდნ არ არის, რომ სკოლაში გატარებთ და გასწავლითო. ამის გაგონებაზე იმის იმედიც დაგკარგე, რომ ამ ახალ ხელისუფლებას მაინც შევასმენთ რაიმეს. როგორც ჩანს, ესენიც დაარიგა ვიღაცამ, არავის არაფერი პკითხოთ, რადგან თქვენ ხართ ყოვლისმკოდნებიო. არადა იმ მაღალჩინოსანს, სხვისთვის კი არა, მისი ერთი მოადგილისთვის (რომელიც, აღბათ, შემთხვევით მოხვდა იმ პოსტზე!) რომ ეკითხა რჩევები, ვიღრე ტელევიზით საჯაროდ გამოვიდოდა, იგი უსათუოდ ეტყოდა (იცის და იმიტომ!), ცოდნ სკოლაში შევვანილი ხუთი წლის ბავშვი კი არ არის, არამედ ცოდნა ის საზოგადოება, სადაც სწავლის დაწყების ასაკს ვიღაცა თავისი გუნდება-განწყობილების მიხედვით აღვენსო. ის მოადგილე შესაბამისი მეცნიერული ცოდნის მფლობელია და უსათუოდ ასე ეტყოდა!

ახლა, ბატონო გრიგოლ, გადავწყვიტე, მინისტრებისთვის ღია და დახურული წერილების წერას, როგორც სრულიად უსარგებლო საქმიანობას, შევეშვა და საჯაროდ გამოვიტან ჩვენი განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობის ერთგვარი ანალიზი. ღმრთის შეწევნით, ამ ანალიზმა თუ ვინმე სერიოზული დიალოგისათვის განაწყო, ხომ კარგი, თუ არა და მე მეტი ლონე არ მაქვს. ახლა თქვენი ნებაა, საჭიროდ მიიჩნევთ თუ არა ამ ჩემი ნააზრევის გამოქვეყნებას.

### პატივისცემით ზურაბ ცუცქირიძე.

## საქართველოში დაგეგმილი სასკოლო რეფორმის საბაზისურო მოინიტორინგი

### 1. აღზრდის უარყოფა

აბ ბოლო ოთხი ათეული წლის განმავლობაში სასკოლო განათლების სისტემაში დიდი ზარ-ზეიმით შვიდჯერ დაიწყო რეფორმა და ექვსჯერ უშედეგოდ დამთავრდა. გამონაკლისი ამ ბოლოს განხორციელებული რეფორმა, რომელსაც თვალსაჩინოდ მძიმე შედეგები მოჰყვა: საფუძვლიანად დაინგრა საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემები.

რა იყო იმ უშედეგობის, ან ამ სამწუხარო შედეგის მიზეზი? ამ

კითხვაზე მარტივადაც შეიძლება პასუხის გაცემა და რთულადაც. მე მარტივ პასუხს გირჩევ.

წინანდელი რეფორმების წარუმატებლობის მიზეზი ის იყო, რომ მეცნიერ-პედაგოგთა ნოვატორული, რეფორმატორული იდეების განხორციელებას, თუმცა ყველა მიზანშეწონილად მიიჩნევდა, მაგრამ მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის მკაცრი ჩარჩოების შეცვლა არავის შეეძლო. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, განათლების მესვეურთა რეფორმატორული იდეები და ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის კონსერვატიზმი ერთმანეთს ვერ უთავსდებოდა. სამწუხაროა, რომ მაშინდელი ჩვენი ქვეყნის სათავეში რეფორმატორები არ იყვნენ.

ამ ბოლოდროინდელი რეფორმის სამწუხარო შედეგის მიზეზი ის არის, რომ სხვათაგან თავსმოხვეული გარდაქმნის მოწადინე იყო ქვეყნის ხელისუფლებაც და განათლების დარგის მესვეურებიც. იმის მიუხედავად, რომ რეფორმის მიმართულება და რეალიზაციის მეთოდები ყოველგვარ საღ აზრს იყო მოკლებული, რასაც სისტემატურად აღნიშნავდნენ ცნობილი სპეციალისტები, მათი აზრი ფურად არავინ იღო. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ვიღაცას ძალიან სურდა საქართველოს განათლების სისტემა მისი დაბნელების სისტემად გადაქცეულიყო. უნდა ითქვას, რომ ეს ამოცანა, დიდწილად, უკვე მიღწეულია.

ამჯერად იმის ახსნას არ შევუდგებით, ვინ და რატომ მოგვახვია თავს ეს დამანგრეველი რეფორმა, თუმცა ეს ძნელი არ არის. აქ შევეცდები, გავარკვიო რეფორმის ის მცდარი ორიენტირები, რამაც დაგეგმილი შედეგები გამოიღო.

ამჟამინდელი რეფორმის ერთ-ერთი უპირველესი შეცდომა, თუ შეგნებულად ჩადენილი დანაშაულია ის, რომ სკოლას წაართვეს აღზრდელობითი ფუნქცია. ყველა სარეფორმო დოკუმენტიდან გაქრა ტერმინი „აღზრდა“ და იგი „განვითარებამ“ ჩაანაცვლა. ჩვენი „ჭკუის კოლოფი“ რეფორმატორები ხალხს აბიაბრუებდნენ: ჩვენ დასავლეთის მოდელებს ვნერგავთ და იქ აღზრდის ნაცვლად განვითარებაზეა მიმართული პედაგოგთა ძალისხმევაო.

არა მგონია, ეს სისულელე დასავლელ ექსპერტებს ერჩიათ ამათვის. უფრო იმაზე მაქვს ეჭვი, რომ ნაცები, თავიანთი ჭკუით, ყველაფერს ებრძოდნენ, რასაც კომუნისტური წარმომავლობისად მიიჩნევდნენ. აგერ, ჩვენს თვალწინ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიდებული შენობის შპილზე, ორი თვის წვალების შემ-

დეგ ჩამოხსნეს ხუთქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც, რა თქმა უნდა, კომუნისტურ (ან რუსულ!) სიმბოლიკად ჩათვალეს. ის კი არ ვახსენებიათ, რომ მათი დედობილის, აშშ-ს დროშა სწორედ ხუთქიმიანი ვარსკვლავებით არის გაძეგილი. ასევე კომუნისტების მოგონილად ჩათვალეს აღზრდის სისტემაც და გააქრეს კიდეც თვალსაწიერიდან.

აღზრდა ათადან-ბაბადან იყო სკოლის უმთავრესი ფუნქცია. სკოლას, ტრადიციულად, სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება ერქვა. სწავლების აღმზრდელობითი შინაარსის მნიშვნელობაზე მსჯელობრივ პედაგოგიკის კორიფეები უხსოვარი დროიდან დღემდე. ა, ბატონო, რას ამბობს გენიალური ქართველი პოეტი და დიდაქტიკოსი დავით გურამიშვილი:

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო,  
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“.

პირველ ყოვლისა, აღზრდაში ვლინდება სკოლის სოციალური ფუნქცია. აღზრდის გარეშე ადამიანის ნაშიერი ადამიანად, ანუ სოციალურ არსებად ვერ იქცევა: ეს არ იციან ამ „გაღმა“ განათლებულმა გვამებმა? თუ იციან და შეგნებულად უშლიან ხელს ჩვენი მომავალი თაობის გაადამიანებას!?

აღზრდა მიზანმიმართული პროცესი რომ არის, ეს იცის ყველა ბრიყვმაც კი. სახელმწიფოა თუ კერძო პირი, თავისი აღსაზრდელების მიმართ გარკეული მოთხოვნები აქვთ, ანუ სულ ერთი როდია, ვინ იქნება ჩვენი შთამომავალი. ეს სულაც არ არის მის ინდივიდუალობაზე ძალადობა. პირიქით, ადამიანის სოციალური არსი იმაში ვლინდება, რომ მას გარკეული სოციალური მოვალეობები აკისრია და პიროვნებაც იმდენად არის, რამდენადაც თავის ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებს.

ნებისმიერ დროში, ნებისმიერი სკოლისა და, საერთოდ, აღზრდის უპირველესი ამოცანა იყო მიკუთვნებულობის შეგნების ჩამოყალიბება მოზარდში. ადამიანი აუცილებლად ვინმეს ან რაიმეს მიაკუთვნებს თავს, სხვაგვარად წარმოუდგენელია. ბავშვი ჯერ დედას, ან იმას, ვინც ზრდის, მიეკუთვნება, შემდეგ მამას, ბებია-ბაბუას, და-ძმებს, ოჯახს, უბანს, ქალაქს, კუთხეს, ერს, სახელმწიფოს, მიკუთვნებულობის უძალლესი ფორმა კაცობრიობისთვის თავის მიკუთვნებაა. ადამიანი არა მხოლოდ მიაკუთვნებს თავს ვინმეს ან რაიმეს, არამედ მიიკუთვნებს კიდეც მათ. ჯერ არავის სმენია, ვინმეს პირდაპირ კაცობრიობისთვის მიეკუთვნებინოს თავი. ამგვარი მიკუთვნებულობის იერარქიულ კიბეზე აღმასვლა არის პიროვნების

ქმნადობის პროცესი, რაც აღზრდის გზით ხორციელდება მხოლოდ.

ერთი ჩინოვნიკი ამბობდა, მე შეიღებს იმას კი არ ვასწავლი, რომ სამშობლოს უნდა შეეწიროს, მთავარია, თავისუფალ ადამიანად გაიზარდოს და თვითონ გადაწყვიტოს, ვის და რას შეეწირება. აი, ასეთები ფიქრობენ, რომ, თითქოს, აღზრდის მიზანმიმართული სისტემა საჭირო არ არის. თავისუფლად რომ გაიზარდოს, თავისუფლება მიეცი და უნდა თავის იდეალად აქცევს ბრეივის, რომელმაც ნორეგიაში ოთხმოცი უდანაშაულო თანამემამულე ამოხოცა ერთ დღეს და უნდა კორჩაკს, რომელმაც სხვათა შვილებს შეწირა თავი. როგორი ლოგიკაა? ნუთუ მართლა ასე ფიქრობენ ან ის ჩინოვნიკი, ან მისნაირები? არა! ზნეობრივ-პატრიოტული აღზრდის წინააღმდეგაა მათი ქმედება მიმართული, რადგან ზნეობა და სამშობლოს სიყვარული მათ წარსულში ჩარჩენად მიაჩნიათ.

ნორმალურ ადამიანებს იმის ახსნა არ სჭირდებათ, რატომ არის სამშობლოს სიყვარული და ერთგულება ადამიანის უმთავრესი ადამიანური თვისება. იმ ჩინოვნიკისნაირებს შევახსენებ, რომ სამშობლო მხოლოდ ცხოველებს არ აქვთ.

აღზრდა მარტო პატრიოტული შეგნების ჩამოყალიბებას კი არ გულისხმობს, იგი აგრეთვე მოიცავს გონებრივი, ფიზიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდის სფეროებს. ამ თვისებების გარეშე ადამიანი სრულყოფილი სოციალური არსება ვერ იქნება, მით უმეტეს ახლა, როდესაც პიროვნების ყოველმხრივი განვითარება საზოგადოებრივი ყოფის ობიექტური მოთხოვნაა.

აღზრდის უარმყოფელებმა, ალბათ, ვერ გაიგეს, რას ნიშნავს გონებრივი განვითარება და იგი ცოდნის ათვისებასთან გააიგივეს. არა-და, ეს ორი სხვადასხვა მოვლენაა: ცოდნის ათვისებაში მეხსიერებაა წამყვანი, გონებრივ განვითარებაში კი ინტელექტუალური უნარების აქტუალიზაცია იგულისხმება. მართალია, ორივე ეს ამოცანა სწავლების პროცესში უნდა განხორციელდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გონებრივი განვითარება აღზრდის ამოცანა არ არის.

ფიზიკური აღზრდის უგულებელყოფას რაღა მიზეზი აქვს? ჩემი აზრით, ამის მიზეზი ის არის, რომ განათლების მესვეურებმა ფიზიკურ აღზრდაში მხოლოდ სპორტი მოიაზრეს და იგი მუსკულატურის განვითარებად წარმოიდგინეს. ამიტომაც იყო, რომ ტერმინი „ფიზკულტურა“ სპორტით ჩაანაცვლეს.

ფიზიკური აღზრდა დამოუკიდებელი სოციალური ცხოვრებისთვის ადამიანის შზაობის ერთ-ერთი აუცილებელი თვისების ჩამოყა-

ლიბებას ისახავს მიზნად. როგორია ეს „აუცილებელი“ ფიზიკური თვისება? ეს არის ადამიანის ფიზიკური განვითარება იმ კონდიციაში, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის. ამავე დროს, ფიზიკურ აღზრდას მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების ფუნქციაც აკისრია.

სწავლების პროცესში, ძირითადად, გონიერივი აქტივობა ვლინდება და ფიზიკური ორგანოების ერთი ნაწილი სრულ უმოქმედობაშია. ფიზიკური აღზრდის პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს მოზარდის ყველა ფიზიკური ორგანოს მოქმედებასა და ჰარმონიულ განვითარებას საერთო ფიზიკური აქტივობის პროცესში.

ზნეობრივი აღზრდის უგულებელყოფა ნაციონალების იდეოლოგიური პოლიტიკის პირდაპირი შედეგი იყო. მათი ლიბერტანიალური პოლიტიკა ზნეობრიობის არც ერთ ელემენტს არ გულისხმობს. ერთსესიანთა, ანუ პედარასტების ქრისტიანება რომ ნორმალურ მოვლენად მიაჩინათ, რომელ ზნეობაზე შეიძლება ლაპარაკი. ყოველ შემთხვევაში, ტრადიციულ ზნეობასა თუ საკაცობრიო ღირებულებებთან ლიბერტანიანელობას კავშირი არ აქვს. მომავალში თუ მათი იდეოლოგიის შესაბამისი ზნეობრივი კოდექსი ჩამოყალიბდა, შეიძლება აღზრდის სისტემაც ჩამოაყალიბონ, მაგრამ ეს საეჭვოა, რადგან ისინი „პიროვნების სრული თავისუფლების“ მომხრენი არიან, რაც პრინციპულად გამორიცხავს რაიმე იდეოლოგიის არსებობას.

სინამდვილეში, ზნეობრივი აღზრდა სოციალური მოვლენაა, რომელიც ადამიანის ნაშეირის გადაამიანების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. სიკეთე და ბოროტება, ზნეობრიობის მთავარი საგანი, ცხადია, ობიექტურად არსებობს, მაგრამ იგი სოციალურ შინაარსს სუბიექტის მიერ მხოლოდ მისი გაცნობიერების პროცესში იძენს. მისი გაცნობიერების ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ კულტურისა და ცივილიზაციის რომელ საფეხურზეა ადამიანი. მაგალითად, ველურის შეგნებით სიკეთეა, როდესაც მეზობელი ტომის ბელადს ცოლს წართმევს, ხოლო ბოროტება ის არის, თუ მეზობელი ტომის ბელადი მის ცოლს მოიტაცებს.

ეს შეგნება ცივილიზაციის პროცესში დაძლია ადამიანმა და ჩამოყალიბდა ზნეობრიობის საკაცობრიო ღირებულებები, რომელმაც მკაცრი იდეოლოგიური სენტრულის სახე მიიღო: ზნეობა არის სიკეთის ქმნა, დამკვიდრება და დაცვა. აი, ეს ზნეობრივი სენტრული წარუვალ მოვალეობას აკისრებს ადამიანს და მისი ღალატი ადამიანურობის ღალატია.

აი, რას მოასწავებს აღზრდის სისტემაზე უარის თქმა.

რაც შეეხება ქსოვეტიკურ აღზრდას, იგი იმიტომ იყო მიუღებელი განათლების ნაცი მესვეურებისთვის, რომ მათ განზრახული პქონდათ ჩვენი საზოგადოების მენტალიტეტის შეცვლა. ესთეტიკური აღზრდა კი შშვენიერების აღმზის ისტორიულ გამოცდილებას ეფუძნება და წარსულის მემკვიდრეობასთან ორგანულად არის დაკავშირებული.

ესთეტიკურ კულტურას პედაგოგიკა განიხილავს, როგორც რთულ კომპლექსურ ცნებას. მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტია ესთეტიკური გრძნობა, განსაკუთრებული ემოციური მიმართება ხელოვნებაში, ბუნებაში, შრომაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ადამიანთა ქცევაში გამოვლენილი შშვენიერებისადმი.

მეორე, ერთობ მნიშვნელოვანი ელემენტია ცოდნა, რის საფუძველზეც ყალიბდება ესთეტიკური წარმოდგენები, ცნებები, შეხედულებანი, გემოვნება, რაც პიროვნების ესთეტიკურ კულტურას შეადგინს.

ამ ათიოდე წლის წინ სკოლამ საერთოდ თქვა უარი აღზრდის აუცილებელ ელემენტზე — შრომითი აღზრდაზე, რომელიც, რატომღაც, კომუნისტური აღზრდის აუცილებელ ატრიბუტად მიაჩნდათ და თოხისა და ბარის, ჩაქუჩისა და ქლიბის გამოყენების დაუფლება ეგონათ. ფიქრობდნენ, შრომის ეს იარაღები ნეტავი ვის რაღაში სჭირდებაო. მათ ვერ წარმოდგინათ, რომ ადამიანის ყოველი მოქმედება, რომელიც შედეგზე მიმართული, შრომაა. ამიტომ, შრომითი აღზრდის ამოცანა ის კი არ არის, რომელიმე პროფესიას დააუფლოს აღსაზრდელი, არამედ ის, რომ მას გამოუმუშაოს უნარი და დამოკიდებულება საერთოდ შრომისადმი.

შრომითი აღზრდა, ისევე როგორც აღზრდის სხვა მიმართულებები, გარკვეული ეტაპის გავლას მოითხოვს და რომელიმე მათგანის უგულებელყოფა არაეფექტურის, ხშირად, უშედეგოს ხდის მას. ამიტომ, შრომითი აღზრდა ზუსტად განსაზღვრულ პედაგოგიურისიქოლოგიურ პრინციპებს უნდა დაეფუძნოს.

ბუნებრივია, აღზრდის ცალკეული მხარეების (შემადგენელი ნაწილების) შესახებ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ეს უკვე პედაგოგიკის მეცნიერების ამოცანაა და მასზე საუბარს არ გავარძელებთ. დასკვნისათვის კი ვიტევი, რომ ადამიანი, როგორც სოციალური ფენომენი, მთლიანად აღზრდის შედეგია.

## 2. უარი თეორიულ დასაბუთებას

ნებისმიერი საქმის კეთებას თავისი წესები აქვს და მათი ცოდნის გარეშე ვერანაირ საქმეს თავს ვერ მოაბამ. აბა, წარმოიდგინეთ, გლეხმა არ იცოდეს, როდის რის ალოობაა, მოსავალს ვერ მოიწევს! ვინც არ იცის, იმათვის განვმარტავ: ალოობა ამა თუ იმ საქმიანობის მიზანშეწონილი და ხელსაყრელი პერიოდია. მაგალითად, ხენის ალოობა ქართლ-კახეთში მარტ-აპრილშია, ჯავახეთის ზეგანზე უფრო გვიან არის და ა. შ. ვინმებ რომ თქვას (ქართლელმა ან კახელმა!), მარტ-აპრილში საგზური შევიძინე ევროპაში სამოგზაუროდ და წელს ჩემს ხოდაბუნებს მაისის ბოლოს დავხნავო, ის რომ მოსავალს აიღებს, მეტი არ აიღოს ჩვენმა მტერმა.

სკოლა ცოცხალი, განვითარებადი ორგანიზმია და, რა თქმაუნდა, იქ მიმდინარე პროცესები გარკვეული კანონზომიერებით არის განპირობებული. იქაც არის ზუსტად განსაზღვრული ალოობა, რასაც ფსიქოლოგიაში სეზიტიური პერიოდები ეწოდება. ამ პერიოდების უგულებელყოფა მხოლოდ უცოდინარ კაცებს, ან უსაზღვროდ თავხედებს თუ შეუძლიათ. არადა, საამისო მაგალითები, სამწუხაროდ, თავზე საყრელად გგაქს. მე ერთ ტიპობრივ მაგალითს დავასახელებ.

თორმეტწლიანმა სასკოლო განათლების შემოღებამ უკმაყოფილება გამოიწვია მთელ საზოგადოებაში. ეს სრულიად გასაები და ბუნებრივია: ჯერ ერთი იმიტომ, რომ არავის უცდია თორმეტწლიანი სკოლის აუცილებლობის დასაბუთება და მისი ახსნა საზოგადოებისთვის (არც ჰქონდათ საამისო საბუთი) მეორეც, როგორც კი მეთორმეტე კლასმა ფუნქციონირება დაიწყო, ყველამ დაინახა — პედაგოგებმაც და მშობლებმაც, რომ მეთორმეტე კლასს არანაირი ფუნქცია არ ჰქონდა. მაგრამ ახლა სხვა რამეზე ვიტყვი.

საზოგადოება თავის უკმაყოფილებას აშკარად და ხმამაღლა გამოხატავდა. პრესაში ამ თემაზე განსაკუთრებით მწვავედ გამოდიოდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი პედაგოგი, პროფესორი ლევან ჩიქვანაია. ბატონი ლევანი ინსტიტუტის დირექტორობამდე თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი იყო. მისი დირექტორობისას ამ სკოლაში სწავლიდა საქართველოს მომავალი პრეზიდენტი და მას არაერთგზის საჯაროდ უთქვაშს: ჩემი სკოლის ლეგენდარული დირექტორი ლევან

ჩიქვანაია იყო. მე მგონია, სწორედ ლეგენდალური დირექტორის მწვავე პათოსი მისწვდა (თუ მაიწვდინეს) პეზიდენტის ქურს. პო, და ერთ-ერთი პიარაქციის დროს, პირველი ექსპერიმენტული სკოლის კოლექტივთან შეხვედრაზე, ხალხის ჭირ-ვარამის „გამზიარებელმა“ პრეზიდენტმა განაცხადა: მე გაგებით ვეკიდები ხალხის უკმაყოფილებას თორმეტწლიან სკოლასთან დაკავშირებით. მართლაც, არ არის კარგი, როდესაც 18-19 წლის ახალგაზრდა სკოლის მერხთან ზის, მაგრამ ამის გამოსწორება მარტივად შეიძლება: ექვსი წლის ნაცვლად სასკოლო სწავლება ხუთი წლის ასაკში დავიწყოთო.

პრეზიდენტს მის მშობლიურ სკოლაში ვიზიტისას თან ახლდა განათლების მაშინდელი მინისტრი დიმიტრი შაჟკინი, რომელიც მანამდე ციხეების უფროსად მუშაობდა და პედაგოგიკასა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის პრობლემებში ისე ერკვეოდა, როგორც ბებიაჩემი ჩინური გრამატიკის კანონებში. ამიტომ ციხეების ყოფილ უფროსს ბევრი არ უფიქრია, იმ დღესვე გასცა განკარგულება — აწი სკოლაში ხუთი წლის ბავშვები მივიღოთო. აი, ეს ბავშვები იყვნენ, ასე რომ შეიცოდა ახალი ხელისუფლების განათლების მაღალჩინოსანმა ზემოთ ნახსენებ სატელევიზიო გადაცემაში.

ნუთუ ვინმეს ჰერნია, რომ ასე მარტივად დგინდება სწავლების დაწყების ასაკი? დიდი ხანია დადგენილია, რომ სწავლება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც ბავშვს ჩამოუყალიბდება სწავლისათვის შზაობა. სწავლისათვის შზაობა რამდენიმე ფსიქოფიზიკური ნიშნით ხასიათდება, რომლის არსებობა-არარსებობა პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევით დგინდება. დღესდღეობით დადგენილია, რომ სწავლის დაწყების ასაკი ჩვენს რეგიონში ექვსი წლია. ეს დადგინდა გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს. რასაც წინ უძლოდა სამწლიანი ექსპერიმენტული გამოკვლევები მთელი რესუბლიკის მასშტაბით. ამათ კი ერთ წუთში გადაწყვიტეს პრობლემა: ერთი წლით ადრე მივიღოთ ბავშვები სკოლაში და ერთი წლით ადრე დაამთავრებენ. ა, ბატონო, ურყევი ლოგიკა!

მეცნიერებასთან დღესაც რომ მწყრალად არ იყვნენ, განათლების დღევანდელ მაღალჩინოსანს სინანული და შეცოდება კი არ უნდა გამოეხატა ხუთი წლის მოსწავლეების მიმართ, თანამდებობის დაკავებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა გაეუქმებინა განათლების „ნაცი“ მინისტრის ვოლუნტარისტული გადაწყვეტილება. ეს არ ქნა იმიტომ, რომ არაპროფესიონალიზმის გამო ვერ ხელავს იმ საფრთხეს, რაც გარდაუვლად არის მოსალოდნელი. დღეს ეს საფრთხე არ

ჩანს, რადგან სასკოლო სწავლების პირველ წლებში მოსწავლემ წარმატებას შეიძლება მხოლოდ მეხსიერების ხარჯზე მიაღწოს. აი, მერე, V-VI კლასებში, როდესაც სასწავლო ამოცანების გადაწყვეტა აბსტრაქტული აზოვნების გარეშე ვერ მოხერხდება, დავინახავთ ბავშვის კონიტური განვითარება როგორ არ შეესაბამება მის წინაშე მდგომ აკადემიურ და სოციალურ ამოცანებს. აი, მაშინ კი უსაგნო სინაწყლი ვეღარავის უშველის.

განათლების ბევრი კარდინალური საკითხი გადაწყვიტეს იმ ხელის-უფლების მაღალჩინოსნებმა საკუთარი „საღი აზრისა“ და უცხოელთა „მეგობრული რჩევების“ საფუძველზე. ყველას აქ ვერც ჩამოვთვლი და ვერც განვიხილავ. მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევჩერდები.

ყოფილი ხელისუფლება კორუფციასთან ბრძოლას საკუთარი ღირსების საქმედ მიიჩნევდა. როგორ „ებრძოდნენ“ ისინი კორუფციას, დღეს ყველამ იცის, მაგრამ ამგვარი შინაარსის პიარაქციებს კი წარმატებით დგამდნენ. განათლების სისტემაში კორუფცია, ძირითადად, საკადრო პოლიტიკაში ვლინდებოდა და ნაცების ხელისუფლებამ სწორედ აქ „დაარტყა“ კორუფციონერებს: სკოლის ღირექტორების არჩევა ლოტოტრონის საშუალებით განახორციელეს. ამასთან, სკოლის ღირექტორი შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი პროფესიის ადამიანი, მუშაობის სტაჟისა და პრაქტიკული გამოცდილების მიუხედავად.

ცივილიზებული კაცობრიობის განათლების მართვისა და ორგანიზაციის თეორია დიდი ხანია მართვის საფუძვლად არის მიჩნეული. საინტერესოა, რომელ თეორიაში ამოიკითხეს ამ ჩვენმა ნაცმა განმანათლებლებმა, რომ ოღონდ ღირექტორი პროტექციით არ დაინიშნოს და სკოლაში თუდნაც ქვა ქვაზე არ დარჩენილაო. სკოლის ორგანიზაციასა და მართვას აქვს როგორც საყოველთაოდ მიღებული პრინციპები და კანონზომიერებანი, ისე ამა თუ იმ კონკრეტული რეგიონისათვის დამახასიათებელი მოთხოვნები, რაც არსებულ გამოცდილებას, ტრადიციებს, ეთნოფიქტიკასა და ურბანულ თავისებურებებს უკავშირდება. როდესაც ლოტოტრონით სკოლის ღირექტორების შერჩევის პრაქტიკა დანერგეს, არავის აუხსნია არც პედაგოგებისთვის და არც ფართო საზოგადოებისთვის, რა თეორიულ საფუძვლებს ეყრდნობოდა ეს სიახლე, რა პოზიტიური შედეგები იყო მოსალოდნელი. ვერც აუხსნიდნენ, რადგან ამგვარი კონცეფცია ბუნებაში არ არსებოდა. რითაც დამთავრდა ეს წამოწყება, ყველამ დაინახა.

იგივე ითქმის სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის შემოღებაზეც. მართვის ნებისმიერ ელემენტალურ სახელმძღვანელოში კიდევ უფრო ელემენტალურ საკითხად ითვლება ის, რომ ნებისმიერი თანამდებობის პირს ზუსტად უნდა განესაზღვროს ფუნქცია. უამისოდ სრულიად შეუძლებელია საკადრო კონტინუენტის ორგანიზაცია და მართვა. მანდატურის ინსტიტუტის (და კონკრეტული მანდატურის) ფუნქცია კი ხელისუფლებამ უზოგადესი სენტენციით განსაზღვრა: სკოლაში უწესრიგობაა და მანდატურებმა წესრიგი უნდა დაამყარონ. „წესრიგის დამყარება“ სკოლაში ყველას მოვალეობაა, დამლაგებლიდან დირექტორამდე, მაგრამ ამ საერთო წესრიგში ყველას თავისი სეგმენტი აქვს გამოყოფილი. სისუფთავე წესრიგის ერთ-ერთი ელემენტია, რომლის მოწერისიგება დამლაგებელს ევალება, გაკვეთილი, აგრეთვე, სასკოლო წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის ორგანიზება პედაგოგის მოვალეობაა და ა. შ. მანდატურს წესრიგის რომელი მხარის უზრუნველყოფა ევალება? ამაზე პასუხი არ ჰქონდათ იმათაც კი, ვინც ეს ინსტიტუტი შემოიღო. დახურული(!) დისკუსია მხოლოდ იმაზე გამართეს, რა რქმეოდა სკოლაში შემოღებული ახალი ინსტიტუტის წარმომადგენლებს და ერთი ნიჭიერი სკოლის ღირექტორის წინადაღებით „მანდატური“ შეარჩიეს.

მართვის თეორიაში აქსიომად არის მიჩნეული ის, რომ საკადრო სისტემაში ერთი რგოლიც კი თუ არის ისეთი, რომლის ფუნქცია განსაზღვრული არ არის, მაშინ გამორიცხულია რაიმე ადეკვატური გადაწყვეტილების მიღება მთელი სისტემის (დაწესებულების, ჯგუფის, გუნდის და ა. შ.) მიმართ. ამ მხრივ ვერავითარი ვოლუნტალისტური პრინციპულობა პოზიტიურ შედეგს ვერ მოგვიტანს.

მეცნიერების უგულებელყოფისა და „საღი აზრის“ იმედად ყოფნის სრული უნაყოფობის თვალსაჩინო მაგალითია განათლების კონცეფციის შექმნის ამასწინანდელი მცდელობა საქართველოში.

კონცეფციის გარეშე განათლების სისტემის განვითარებისთვის გარჯა, ოკეანეში კომპასის გარეშე გემის მართვას ემსგავსება. ჩვენ განათლების კონცეფცია არ გვაქვს, ანუ არ ვიცით საით მივდივართ და ვის ვზრდით. ცხადია, კონცეფციის შექმნის გადაწყვეტილება, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ მიიღო, დროული და მისასალმებელი იყო. ჩვენთვის გაუგებარი გახლდათ ის, თუ ვის დაავალეს განათლების კონცეფციის შექმნა. ოფიციოზმა დიდი ზარ-ზეიმით გამოაცხადა, განათლების კონცეფციის მუშაობა გია დვალსა და მის მცირერიცულგან ჯგუფს (სამ-ოთხ კაცს, თუ არ ვცდები) დაევალაო.

გია დვალის შესახებ გაგონილი გვქონდა, რომ ის არის უაღრესად ნიჭიერი და წარმატებული ფიზიკოსი, რომელიც წარმატებით მოღვაწეობს უცხოეთის ცნობილ სამეცნიერო ცენტრებში, რაშიც, ცხადია, ეჭვი არ შეგვიტანია; დანარჩენებზე, პირადად მე, არაფერი მსმენია. იმის თაობაზე კი, რომ გია დვალისა და კომპანიას განათლების თეორიასა და წარაქტიკაში რაიმე წვლილი ჰქონდეთ შეტანილი, არავინ არაფერი იცის. ნუთუ ჩვენი ხელისუფლების ჩინოსნებს მიაჩნიათ, რომ პროფესიონალური კვალიფიკაცია და კომპეტენცია ქიმერაა? ნუთუ ვინმეს ჰქონია, რომ ნიჭიერ და წარმატებულ ფიზიკოსა თუ ქიმიკოსს სპეციალური ცოდნა-განათლების გარეშე ხელეწიფება ასევე წარმატებით ჩამოაყალიბოს შეხედულებათა სისტემა სოფლის მეურნეობისა თუ სპორტის განვითარების შესახებ?

განათლების კონცეფცია ერთობლივად უნდა შეიმუშაონ პედაგოგებმა, ფიზიოლოგებმა, სოციოლოგებმა, იურისტებმა და ეკონომისტებმა, რადგან მის შინაარსს, ორგანიზაციასა და რეალიზაციის მეთოდიკას სწორედ მეცნიერებათა ეს დარგები განსაზღვრავენ.

ღმერთმა დამიფაროს, გია დვალისა და მისი მეგობრების პროფესიონალიზმის შეფასების სურვილისაგან, მაგრამ მათ მიერ ჩამოყალიბებული „განათლების კონცეფციის“ პროექტი(?)! რომ სრული აბსურდი იყო, ამას კი ვიტყვი. იმასაც დავამატებ, რომ გონიერმა კაცმა ის საქმე უნდა აკეთოს, რისი ცოდნა-გამოცდილებაც აქვს და არ უნდა ეცადოს მეცნიერება „მე ასე მგონია“-თი ჩანაცვლოს.

ასევე, მეცნიერული მიდგომების სრული იგნორირების პირობებში განხორციელდა ჩვენში ისეთი რადიკალური გარდაქმნები, როგორიც არის სკოლების ოპტიმიზაცია, ეროვნული გამოცდები, მასწავლებელთათვის კატეგორიების მინიჭება და ა. შ.

მასწავლებელთათვის კატეგორიების მინიჭებაზე ერთი წუთით შევაჩინებ თქვენს ყურადღებას. ერთი შეხედვით, ეს არის სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების აქტი: ვინც მეტი იცის და მეტს და უკეთ მუშაობს, შესაბამის სტატუსსაც იმსახურებს! ეს, ცხადია, ასეა, მაგრამ სკოლის ეფექტუანი სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია ერთიანი პედაგოგიური მოთხოვნის განხორციელება. როგორ განხორციელდება ერთიანი პედაგოგიური მოთხოვნა იქ, სადაც ერთ საქმეს ემსახურებიან უმაღლესი, პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის მასწავლებლები? მით უმეტეს, ჩვენში! რომელი შშობელი მოინდომებს, რომ მის შვილს მესამე კატეგორიის მასწავლებელი ასწავლიდეს? ჩვენთან

არც ის არის გამორიცხული, რომ მესამე კატეგორიის მასწავლებელი ბევრად უკეთესი იყოს უმაღლესი კატეგორიის მქონეზე. ამას თუ ანგარიშს არ გაუწევ, წარმატებაზე არც უნდა იოცნებო. მეცნიერული თეორიები ვინმეს თავშესაქცევად როდია შექმნილი.

ამას წინათ, განათლების სისტემის ერთი მაღალჩინოსანი ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის საკითხს შეეხო. აშკარად ეტყობოდა, რომ „პროფორიენტაციისთვის“ ახლახან მოეკრა ყური და, ამიტომაც, თავს წება მისცა, ამ რთულ სოციალურ-პედაგოგიურ პრობლემაზე პრიმიტიული მსჯელობა დაეწყო. მას რომ სცოდნოდა, პროფორიენტაციის პრობლემებზე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მთელი ინსტიტუტები მუშაობენ, შექმნილია დიდი რაოდენობის ფუნდამენტური და საინსტრუქციო-მეთოდიკური ლიტერატურა, მათ შორის ჩვენშიც, მაშინ სხვაგარ დამოკიდებულებას გამოავლენდა. ახლა კი, სავარაუდოდ, ჩვენი განათლების მესვეურები კიდევ ერთ არაადეკვატურ გადაწყვეტილებას მიიღებენ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის თაობაზე.

ერთი სიტყვით, ყოფილი ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული განათლების რეფორმის საბედისაწერო კურსი, სამწუხაროდ, ინერციითა თუ შეგნებულად დღესაც გრძელდება. კურსის შეცვლა აუცილებელია! საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს ეს!

### 3. მოვალეობები უფლებების გარეშე და პირიქით...

ნაცების ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები დემაგოგიის დიდოსტატები იყვნენ (არიან დღესაც!): სიტყვით, თავისუფალი პიროვნების აღზრდას უჭერდენ მხარს, საქმით, დაშინებულ და გადედლებულ საზოგადოებას ქმნიდნენ. სკოლაში დამყარებული ნაცური წესრიგი ადამიანური ღირსების ამოძირების იყო მიმართული.

ითქვა და კვლავ ვიმეორებ: მანდატურის ინსტიტუტის შემოღება სკოლებში, ერთი შეხედვით, ობიექტური ფაქტორებით იყო განპირობებული, მაგრამ იმ შინაარსით, უფლებებითა და ორგანიზაციული ფორმით, როგორითაც ის დამკვიდრეს, წესრიგის დაცვას კი არა, წესრიგის საფუძვლების მოშლას ისახავდა მიზნად.

სკოლაში წესრიგის საფუძველი არის მასწავლებელთა და მასწავლება ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენა, რომელიც შეიძლება იყოს ავტორიტარული ან ავტორიტეტული. ავტორიტარული

წესრიგი იძულებაზეა დამყარებული, ავტორიტეტული კი თანამშრომლობაზე, რომელიც თავისი ბუნებით ლიბერალურ-დემოკრატიულია. რა თქმა უნდა, ავტორიტეტულ ურთიერთდამოკიდებულებას ვამჯობინებთ, მაგრამ ახლა ამაზე არ არის ლაპარაკი. ახლა იმაზე ვამახვილებ თქვენს ყურადღებას, თუ რა გავლენა მოახდინა მანდატურის ინსტიტუტის ფუნქციონირებამ მოსწავლეთა და მასწავლებელთა ურთიერთდამოკიდებულებაზე.

საზოგადოება დადგებითად შეხვდა მანდატურის ინსტიტუტის შემოღებას სკოლებში, რადგან მისი უპირობო მოთხოვნა იყო უსაფრთხო სკოლის უზრუნველყოფა. მანდატურს უნდა აღეკვეთა შავი სამყაროს შეუზღუდავი გავლენა სკოლაზე, რაც საშუალებას მისცემდა პედაგოგიურ კოლექტივს, განეხორციელებინა თავისი ბუნებრივი მოვალეობები. მოხდა კი, პირიქით! მანდატურის ეშინოდათ არა წესრიგის დამრღვევა და სოციალური განწყობების მქონე მოზარდებს, არამედ მასწავლებლებს, სკოლის დირექტორს და, საერთოდ, სკოლაში დასაქმებულ მთელ მოზრდილ პერსონალს.

შემინებული პედაგოგი გამოდგება აღმზრდელად და მასწავლებლად? რა უნდა ესწავლებინა შემინებულ მასწავლებელს, რომელიც სულ იმას ფიქრობდა, კლასიდან ხმა არ გავიდეს და მანდატურმა კარები არ შემოაღოს და არ მკითხოს, რა ხმაურიაო აქ. არადა, ხშირად კითხულობდნენ ამას!

ხმაურს გაკვეთილზე ორი მიზეზი აქვს: მაღალი შემეცნებითი აქტივობა და ზღვარგადასული უწესრიგობა. პირველი სასურველია, მეორე — არა! მაგრამ რა საქმე აქვს, ან ერთთან, ან მეორესთან „უსაფრთხოების“ სამსახურს?

გაკვეთილზე შესვლის უფლება, მასწავლებელთან წინასწარ შეთანხმების გარეშე, არავის აქვს, თვით სკოლის დირექტორსაც კი. ასე იყო ჩვენთან და ასეა, მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიაში და ჩვენი ყოფილი და ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენელთვის სანიმუშო ევროპის სხვა სახელმწიფოებში. მასწავლებლობა ყველაზე დიდი თანამდებობაა ამ შზის ქვეშო, იან ამოს კომენსკი ბრძანებდა. მაგრამ ჩვენში, ამ „დიდი თანამდებობის“ პატრონს შაშკინის მანდატურის დანახვაზე შიშით ენა ებმებოდა.

შემინებულ პედაგოგს აღარც ავტორიტეტი აქვს და აღარც პატივისცემა. ბუნებრივია, იგი ვეღარც ავტორიტარულ მართვას განახორციელებს და ვეღარც მოსწავლეებთან თანამშრომლობას შეძლებს. ასეთ ვითარებაში გზა ეკეტება წესრიგს და გზა ეხსნება

უწესრიგობას.

აი, განათლების რეფორმის ერთ-ერთი საბედისწერო შედეგი, რაც უფლება-მოვალეობათა ობიექტური მთლიანობის უგულებელყოფამ გამოიწვია.

ძეგლი რეჟიმის დროს, რომელიც დღეს საყოველთაოდ დაგმობილი და უარყოფილია, იმდროინდელი განათლების სისტემის ერთერთ ნაკლად გადაჭარებული ქაღალდომანია და ბიუროკრატიული პრაქტიციზმი მიგვაჩნდა. ის, რაც ამ ავადსახსნებელი რეფორმის შედეგად მივიღეთ, ბევრჯერ აჭარბებს იმ ქაღალდომანიასა და ბიუროკრატიულ მოთხოვნებს, რაც ასე დასაგმობად მიგვაჩნდა ამ სამი ათეული წლის წინ.

როგორც ჩანს, ყოფილ ე. წ. განათლების რეფორმატორებს სურდათ ფორმალურ-ბიუროკრატიული „სიახლეების“ მასობრივად დანერგვით შეექმნათ წარმატებული რეფორმის შთაბეჭდილება (როგორც ცნობილია, ქაღალდი ყველაფერს იტანს და არც სირცევილით გაწითლების უნარი აქვს, თუმცა ამ უნარს დღეს ბევრი ჩვენი თანამემამულეც მოკლებულია!).

უმაღლეს სასწავლებლებში გაუქმეს, სამაგიეროდ სკოლებში დაარსეს კათედრები, აირჩიეს (თუ დანიშნეს!) კათედრის გამგები, სასკოლო-აკადემიური აქტივობების რაციონალური აღრიცხვისა და მონიტორინგის მიზნით შემოიღეს ე. წ. პორტფოლიო, რომლის წარმოებას გვარიანი საგანგებო პროფესიული კვალიფიკაცია სჭირდება. მარტო შეფასების ნიშნების დაჯამების ახალი ტექნოლოგია რად ღირს! ამ და უამრავი სხვა „საქაღალდე ღონისძიებების“ შესრულებაზე მასწავლებელს იმაზე მეტი დრო ეხარჯება, ვიდრე იგი გაკვეთილის მომზადებისთვის ხარჯავს. ამგვარი, ფაქტობრივად უსარგებლო მოვალეობების შეუსრულებლობას უსათუოდ მოჰყვება მკაცრი სანქციები აღმინისტრაციის მხრიდან.

ერთხანს ნაცებმა წამოაყენეს დემაგოგიური ლოზუნგი — „საქმელაპარაკის ნაცვლად!“ განათლების სისტემაში კი რეფორმად დამკვიდრა პრინციპი — „საქმის ამსახველი ინფორმაცია საქმეზე წინ!“ რაც მოგვიტანა საქმის ფორმალურ (თანაც არა საჭირო) მხარეზე ძალისხმევის კონცენტრაციამ, ყველა ხდავს.

დღეს საზოგადოების ცნობიერებაში ამკვიდრებენ მოსაზრებას „მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების“ შესახებ, რასაც სხვაგვარად „შედეგზე ორიენტირებული სწავლების“ ფორმითაც გამოხატავენ. განათლების რეფორმატორების აზრით, სწავლების

პროცესის ეს „ახალი ორიენტაციები“ ახალი პედაგოგიური კონცეფციის რეალიზაციის არსებითი ნიშანია. კი, ბატონო, მაგრამ რა სიახლეა აქ? რეფორმამდელი სწავლება მოსწავლეზე კი არა, მათ შობლებზე ან ნათესავებზე იყო ორიენტირებული? იქნებ სწავლების სუბიექტი საერთოდ არ არსებობდა და სწავლება რაღაც აბსტრაქტულ სუბსტანციაზე იყო მიმართული? ან სწავლება შედეგზე კი არ იყო ორიენტირებული, არამედ მიზეზზე? აბსურდია ამგვარი მსჯელობა, ხომ? აბა, რისთვის დასჭირდათ ასეთი უაზრო(!) განსაზღვრებების შემოტანა პედაგოგიურ ცნობიერებაში? — იმად, რომ გაეკეთებინათ, მათი აზრით, ერთობ პუმანური და ობიექტური დასკვნა — „სწავლების პროცესის მთავარი ფიგურა ბავშვია“. ტრადიციულად მიჩნეული იყო, რომ სწავლების პროცესის მთავარი ფიგურა მასწავლებელია.

ჩვენი უურნალის მკითხველთან ბოდიშს ვიხდი, მას იმის ახსნა არ სჭირდება, რაც ახლა უნდა განვმარტო, მაგრამ საქმემ ასე მოიტანა.

სწავლების პროცესი აუცილებლად გულისხმობს ორ ელემენტს — მასწავლებელსა და მოსწავლეს. ერთ-ერთი მათგანის გარეშე სწავლება წარმოუდგენელია, ისევე როგორც მედლის არსებობა, ავერსის ან რევერსის გარეშე. ასე, რომ ორივე ელემენტი მთავარია, მაგრამ თუ მაინც დამაინც რომელიმე მთავარ ფიგურად უნდა მივიჩნიოთ, მაშინ მთავარი მაინც მასწავლებელია, რადგან იგია პროცესის ორგანიზატორი და წარმმართველი. სხვა საქმეა, თუ ვიტყვით, ვინ დგას პროცესის ცენტრში, ანუ ვისწევა ორიენტირებული სწავლებაო. რა თქმა უნდა, პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მასზეა მიმართული სწავლება. ეს არასოდეს ყოფილა სადაც.

მასწავლებელს, როგორც სასწავლო პროცესის წარმმართველ, მაორგანიზებელსა და მარეგულირებელ ფიგურას უმნიშვნელოვანესი მოვალეობები აკისრია. ის არის პასუხისმგებელი სწავლების ორგანიზაციასა და შინაარსზე, სწავლებისა და ცოდნის შეფასების რაციონალური მეთოდიკების შერჩევასა და გამოყენებაზე, დისკიპლინაზე, მოსწავლეებსა და მათ შობლებთან ურთიერთობების ხარისხზე, აღსაზრდელებთან ინდივიდუალური მიღვომების განხორციელების ეფექტიანობაზე, საკუთარ კვალიფიკაციასა და თვითგანვითარებაზე და ა. შ. ამასთან, მას შეზღუდული აქვს ის უფლებები, რაც ამ მოვალეობების შესრულებას უნდა უზრუნველყოფდეს. კერძოდ, რახან „რეფორმისტულმა იდეოლოგიამ“ მოსწავლე მიიჩნია სასწავლო პროცესის მთავარ ფიგურად, ამის შესაბამისად

აღიარა მისი უფლებრივი უპირატესობა. მაგალითად, მოსწავლეებს შეუძლიათ საჯაროდ გამოხატონ თავიანთი უკმაყოფილება ამა თუ იმ მასწავლებლის პედაგოგიური საქმიანობის თაობაზე, მოითხოვონ მისი შეცვლა და გათავისუფლებაც კი, მაშინ, როდესაც მასწავლებელს ეკრძალება საჯაროდ იმსჯელოს მოსწავლის აკადემიური წარუმატებლობისა თუ უდისციპლინობის შესახებ. აქედან გამომდინარე, მას არ შეუძლია გამოიყენოს ტრადიციულად აპრობირებული და მეცნიერულ პედაგოგიკაში აღიარებული მოსწავლეებზე ზემოქმედების ისეთი მეთოდები, როგორიც არის კოლექტური ზეგავლენის მეთოდი, პარალელური ხაზების სისტემა) და მოსწავლეთა მიერ სოციალური გამოცდილების ათვისების ის ფორმები, რაც კოლექტივში პიროვნების მაღალ სოციალურ აქტივობას უკავშირდება.

სამწუხაროდ, ჩვენმა განათლების „რეფორმატორებმა“ თითქმის დაამკვიდრეს ის აზრი, რომ ყოველგვარი სასჯელი, ბავშვის (მოსწავლის!) მიმართ გამოყენებული, ძალადობად ითვლება, ძალადობა კი დასჯადი ქმედებაა. ამრიგად, მასწავლებელს ჩამოერთვა მოსწავლის დასჯის უფლება, რამაც ბევრი მისი მოვალეობა შესაბამისი უფლებრივი უზრუნველყოფის გარეშე დატოვა.

აღზრდა არ განხორციელდება ან არასრულყოფილად განხორციელდება წახალისებისა და დასჯის მეთოდების გამოყენების გარეშე, დასჯა კი უსათუოდ გულისხმობს რაიმე სახის იძულებას (რა თქმა უნდა, ფიზიკურ დასჯაზე ფიქრიც არ შეიძლება!). როგორც ცნობილია, წახალისება არის სტიმული, რომელიც ხელს უწყობს სოციალურად ღირებული მოქმედებისთვის სუბიექტის აღძვრას, სასჯელი კი შემაკავებელი ფუნქციის მატარებელია და აიძულებს სუბიექტს, თავი შეიკავოს სოციალურად მიუღებელი ქცევის განხორციელებისაგან. ეს კი ხელს უწყობს დადებითი ქცევების განმტკიცებას.

იძულებაზე თუ საერთოდ ავიღებთ ხელს, მაშინ როგორ ჩავუნერგავთ მოზარდს (ბავშვს) თვითიძულების უნარს და ამ უნარის ამოქმედების გარეშე ნებისყოფის განვითარება თუ მოხერხდება? ამაზე პასუხი „რეფორმატორებს“ არ აქვთ, ან თუ აქვთ, მათი პასუხი არამენიერული, დილექტანტურია.

ეს პედაგოგიკისა და პედაგოგიური ფიქოლოგიის პრობლემაა და იგი კარგა ხანია გადაწყვეტილია იმათვის, ვისაც მიაჩნია, დღეს ნებისმიერ პროფესიულ საქმიანობას მეცნიერული საფუძლები აქვს. მაგრამ ახლა საკითხავია, ჩვენს განათლების სისტე-


მაში, მისი წარმატებისა თუ წარუმატებლობის მთავარი ფაქტორის — მასწავლებლის უფლება-მოგალეობათა თანაბარზომიერების — პრობლემა ვისი გადასაწყვეტია?

დღეს ჩვენს საზოგადოებაში, „ამ მზის ქვეშ ყველაზე დიდი თანამდებობის“ მქონე, მასწავლებელი ყველაზე უუფლებო, ღირსებააყრილი ადამიანია. მის უფლებებს არ იცავს არც კანონი, არც სახელმწიფო და არც რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია (პედაგოგთა პროფესიონალი, ფაქტობრივად, არც არსებობს!). მასწავლებლის სამსახურიდან გათავისუფლება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა ნაციონალების დროს და იგი არც ახლაა დიდად ძნელი. მაგალითად, 2011 წელს თბილისის ერთ-ერთ სკოლაში ოცამდე მასწავლებელი ერთდროულად გაათავისუფლა დირექტორმა (რა თქმა უნდა, ნაციონალთა კადრმა!) ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. არა! თუმცა მან ერთ-ერთ გათავისუფლებულს ასე აუხსნა ეს „საკადრო ღონისძიება“: ვაკანსიები მჭირდება და იმიტომ გათავისუფლებთო. მას უკან დღემდე ჩივიან უკანონდ თუ „კანონიერად“ გათავისუფლებული პედაგოგები.

სხვათა შორის, ერთი თავისთავად კურიოზული, მაგრამ გაგანია რეფორმის ქვეყნისათვის ერთობ დამახასიათებელი შემთხვევაც მოხდა იმ სკოლაში. ერთ-ერთ გათავისუფლებულს წინა დღით დირექტორმა ბრძანებით მადლობა გამოუცხადა სანიმუშო მუშაობისთვის. ერთ დღეში „რამ შეუცვალა გუნება“ სკოლის დირექტორს, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს.

ასე იცის იმ მდგომარეობამ, როდესაც „რეფორმა“ ერთს მოვალეობებს აკისრებს, მეორეს — უფლებებს ჩუქნის.

საქართველოში საგანმანათლებლო რეფორმის საბედისწერო ორიენტაციებსა და მის საბედისწერო შედეგებზე ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ მკითხველის დროს დავზოგავ. ამასთან, უმაღლესი სკოლის რეფორმაზე არაფერი მითქვამს, ან რა უნდა მეთქვა, როცა აშკარად ჩანს, როგორ დაამსგავსეს ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი გასულ საუკუნეში აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთათვის არსებულ სასწავლებლებს — ფეზეობებს (საფაბრიკო-საქარხნო სკოლებს), თუმცა მაშინდელ ფეზეობში ერთ კონკრეტულ პროფესიას მაინც ასწავლიდნენ.



## უჩა გლუაშვილი

### სამასშლოვანი განსაცდელი

მე-15 საუკუნეში საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის მოშლა სამხრეთ-დასავლეთით ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერებას და აღმოსავლეთით სეფიანთა ირანის სახელმწიფოს წარმოქმნას დაემთხვა. 1453 წელს ოსმალებმა კონსტანტინეპოლი აიღეს, რამაც საქართველოს ქრისტიანული ზურგი მოურღვია. ჩვენი ქვეყანა მარტოდმარტო აღმოჩნდა უშუალოდ გამეზობლებული მაკმალიანური სახელმწიფოების გარემოცვაში. 1461 წელს თურქებმა ტრაპიზონის საკეისროც დაიპყრეს და იქ საფაშო დაარსეს. დაუძლურებულმა საქართველომ ზედიზედ დაკარგა გარშემო ქვეყნები: სომხეთი, შირვანი, ლაზეთი. მე-16 საუკუნის დასაწყისში ოსმალები დაღესტანში შეიჭრნენ და საქართველოს ჩრდილოეთიდანაც მოუჭრეს გზა.

ჩვენი ქვეყნის გარშემო მტრული გარემოცვის რკალი შეიკრა.

თურქეთის სულ უფრო მზარდი აგრესით შეშფოთებული დასავლეთ ევროპის მესვეურები ოსმალთა წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრობის მოწყობისთვის მზადებას შეუდგნენ. ინიციატივა რომის პაპს ეკუთვნოდა. 1459 წელს პაპის ელჩი საქართველოსაც ეწვია ქართულ სამეფო-სამთავროთა კოალიციურ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღების საკითხის გასარკვევად. ქართველი მეფე-მთავრები კი, არა თუ მზად იყვნენ ამ საქმეში მონაწილეობის მისაღებად, არამედ ინიციატორადაც გამოდიოდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა სამცხე-საათაბაგოს მთავარი უვარევეარე ჯაფელი. იმავე 1459 წელს ის ბურგუნდიის მთავარს სწერდა: „ვერაგი თურქები ჩვენი საზღვრის სიახლოეს გამოჩნდნენ თუ არა, მაშინვე შევურიგდი ყველა ჩემ მეზობელ ქრისტიან მთავარს და გადავწყვიტე მთელი ჩემი ძალა და შეძლება ოსმალების წინააღმდეგ მივმართო. კავშირი შევკარით

მე, გიორგი მეფემ (ქართლის მეფე), ბაგრატ მეფემ (იმერეთის მეფე), დავით ტრაპიზონის იმპერიატორმა, სამეგრელოს მთავარმა, აფხაზეთის მთავარმა, მცირე სომხეთის ბატონმა და სხვებმა<sup>1</sup>. ყვარლებარე პირობას დებდა, რომ სამცხე-საათაბაგო ოსმალთა წინააღმდეგ 20 ათას მეომარს გამოიყვანდა, სრულიად საქართველოდან კი 120 ათასი მეომრის გამოყვანა იყო ნავარაუდევი. ყვარლებარე არწმუნებდა ბურგუნდის მთავარს, რომ „თუ ოსმალებს ორ ჯარს შუა მოვიქცევთ, ერთი ზაფხულის განმავლობაში დავიპყრობთ ანატოლიას და ყველა ქვეყანას, რომელიც ოსმალოს ამ მხარეს უჭირავს“. ამასთან, სამცხის ათაბაგი გამოცდილი პოლიტიკოსის თვალით ჭვრეტ-და იმ საშიშროებასაც, რაც ქრისტიანული სამყაროს იმჟამინდელ უმოქმედობას შეიძლებოდა მოჰყოლოდა: „უწყოდეთ კარგად, - წერდა ის ბურგუნდის მთავარს, — რომ თუ ახლა ჩვენთან ერთად არაფერს იმოქმედებთ, მერე გულითაც რომ მოინდომოთ, ვერაფერს გააწყობთ, რადგან ურჯულო ოსმალეთი ყოველდღე ძლიერდება და შემდეგ ჩვენ ვეღარ შევძლებთ ასეთ შეერთებას, როგორც დღეს“.<sup>1</sup>

ოსმალთა წინააღმდეგ ლაშქრობაში 30 ათასი მეომრის გამოყვანას კისრულობდა ტრაპეზუნდის მეფე დავითი, კილიკიის სომხეთის მეფე კი 20 ათასი მეომრის მოშველების პირობას დებდა. ქართველების ოჩევით ლუდოვიკო ბოლონიელი დაუკავშირდა აყვინლუს თურქმან მბრძანებელს უზუნ-პასანსაც, რომელსაც შეურიგებელი მტრობა ჰქონდა ოსმალებთან და რომელმაც მთელი თავისი ძალით გამოსვლა აღუთქვა დასავლეთს.

ამრიგად, აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ოსმალთა წინააღმდეგ სერიოზული ძალა იყრიდა თავს. ახლა თავისი სიტყვა დასავლეთს უნდა ეთქვა.

დასავლეთი კი რეალურ საქმეზე გადასვლას აყოვნებდა. 1460 წლის იანვარში მანუშაში გამართულ კონგრესზე პაპმა პიუს მეორემ ევროპის ხელისუფალთაგან მხოლოდ დაპირებები მიიღო. იმავე წლის დეკემბერში საქართველოდან ევროპაში გამგზავრებული ელჩობა, რომლის შემადგენლობაში ქართლის სამეფოს და სამცხე-საათაბაგოს ელჩების გარდა ტრაპეზუნდის, კილიკიის სომხეთისა და აყ-ყოინლუს თეთრბატკნიან თურქმანთა ელჩებიც იყვნენ, რომის პაპს ეახლნენ. პაპმა მათ დასავლეთის სახელმწიფო მესვეურთა მერყეობის შესახებ ამცნო და საფრანგეთსა და ბურგუნდიაში გამგზავრება ურჩია. საქართველოსა და მისი მოკავშირეების ელჩებმა

<sup>1</sup> შოთა ლომსაძე, შესხები და მესხეთი, თბ., 2000. გვ. 15-16.

ლუდოვიკო ბოლონიელის მეთაურობით ახლა გეზი პარიზისკენ აიღეს, მაგრამ საკუთარ პრობლემებში გახლართული შარლ VII ამ-ჯერადაც ზოგადი დაპირებებით შემოიფარგლა.

1471 წელს საქართველოს სამეფო კარმა კიდევ ერთხელ სცადა დასავლეთთან დაკავშირება, მაგრამ ქართველი ელჩების ვიზიტებს ვენეციასა და ორშემი არც ამჯერად მოჰყოლია რეალური შედეგი.

თურქეთი კი სულ უფრო ძლიერდებოდა. მისი საზღვრები მე-16 საუკენეში ტრაპიზონიდან ადრიატიკის ზღვასა და მდინარე დონის შესართავიდან და ყირიმიდან ხმელთაშუა ზღვამდე გადაიჭიმა. თურქები მთლიანად აკონტროლებდნენ შავი ზღვის აუზსაც.

1549 წელს სოფელ სოხნისტასთან თურქებმა ქართველთა ლაშქარი დაამარცხეს და მესხეთის ციხეები დაიკავეს. მესხეთი მათ ოთხ სანჯაყად დაყვეს და საბეგლარბეგო შექმნეს. 1555 წელს ამასის ზავით თურქეთმა და ირანმა საქართველო შუაზე გაიყვეს. აღმოსავლეთი ირანს ერგო, დასავლეთი — თურქეთს. სამცხე-საათაბაგოც მათ შორის გაიყო.

ამასის ზავით უკმაყოფილო თურქეთმა, შაპ-თამაზის გარდაცვალების შემდეგ, 1578 წელს ირანის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები განაახლა. ჩილდირის ველზე თურქებმა ირანის ჯარი დაამარცხეს. სამცხის ათაბაგის — ყვარლებარეს ძმა, მანუჩარ ჯაფელი ომის შედეგს ელოდა. ირანელთა მარცხის შემდეგ ის ფაშას ეახლა და ქართული პოლიტიკური სტრუქტურის, სარწმუნების ხელშეუხებლობისა და თურქეთის მიერ სამთავროსან ადრე მიტაცებული სამხრეთ პროვინციების დაბრუნების სანაცვლოდ მოხარეობა შესთავაზა. თურქებმა უარი თქვეს სამთავროს მთლიანობის აღდგენაზე და მესარკეობის დაწესებაზე. მანუჩარს მათ თურქული წესის მიხედვით (მხარის სანჯაყებად დაყოფით) მესხეთის მმართველობა შესთავაზეს. ეს ქართული ტრადიციული სოციალ-პოლიტიკური წყობის გაუქმებას ნიშნავდა. სამაგიეროდ, ამ ეტაპზე თურქები სარწმუნოებას არ შეხებიან. მანუჩარს მათ ხახულის სანჯაყი მისცეს სამმართველოდ და ახალციხისკენ დაიძრნენ. ყვარლებარე იძულებული გახდა ოსმალებს დამორჩილებოდა.

1579 წელს ყვარლებარე და მანუჩარი სულთან მურად მესამეს ეახლნენ. სულთანმა მათ გამაპმადიანება მოსთხოვა. ყვარლებარემ კატეგორიული უარი განაცხადა, მანუჩარი კი დათანხმდა. ამიტომ ყვარლებარეს თურქებმა გამგებლობაში მხოლოდ ერთი სანჯაყი დაუტოვეს, მანუჩარს კი მთელი დანარჩენი სამცხე გადასცეს, მა-

გრამ არა როგორც ქართველ მთავარს, არამედ როგორც სულთნის მოხელეს — ბეგლარბეგს. კვარყვარე 1581 წელს გარდაიცვალა და მანუჩარი, რომელიც ამიერიდან მუსტაფა-ფაშად იწოდებოდა, მთელი სამცხის ერთმართველი გახდა. ამის შემდეგ იგი, ძალაუნებურად, ოსმალეთთან ერთად ქართლის წინააღმდეგ ბრძოლების მონაწილეც ხდებოდა.

1582 წელს ქართლში შემოჭრილი ოსმალთა 20 ათასიანი ლაშქარი სიმონ მეფემ სასტიკად დაამარცხა. ოსმალებმა მარცხი მანუჩარს გადააბრალეს, არცთუ უსაფუძვლოდ ეჭვი სიმონ მეფესთან მის ფარულ კავშირზე მიიტანეს და მანუჩარის მუხანათურად მოკვლა განიზრახეს. სათათბიროდ მიწვეულ უიარაღო მანუჩარს ერთერთმა თურქმა სარდალმა ხმლით მოკვლა დაუკირა. მანუჩარმა იმარჯვა, მტერს ხმალი ხელიდან გამოსტაცა და ერთი დარტყმით შუაზე გააპო. ამის შემდეგ მან თავის მცველებამდე ხმლით გაიკაფა გზა და სამშეიდობოს გააღწია. მანუჩარმა მაჰმადიანობა უარყო და მთელ სამცხეში თურქთა წინააღმდეგ აჯანყება წამოიწყო. შემდგომ წლებში სამცხის მმართველისა და ქართლის მეფის ერთობლივმა ბრძოლამ დიდი ზიანი მიაყენა თურქებს.

მაგრამ ძალები მეტისმეტად უთანასწორო იყო. 1587 წელს თურქებმა ახალციხე კვლავ დაიპყრეს და იქ ბეგლარბეგობა აღადგინეს. 1590 წლის ზავით ირანმა მესხეთი საბოლოოდ სცნო თურქეთის გავლენის სფეროდ.

სამცხის მესვეურები ცდილობდნენ გამოეყენებინათ ირანსა და თურქეთს შორის არსებული დაპირისპირება და მათ შორის ლავირების გზით ვასალობის პირობით მანც აღედგინათ მთავრის ხელისუფლება. ამ ბრძოლას 1607 წლიდან სათავეში ედგა მანუჩარ მეორის ქვრივი ელენე დედოფალი (სიმონ პირველის ასული). 1607 წელს ირანელთა ჯარის დახმარებით ელენემ ახალციხე გაათავისუფლა და შაპისგან თავისი შვილის — 16 წლის მანუჩარის ვასალობის პირობით მთავრად ცნობას მიაღწია, მაგრამ მომდევნო წელს თურქებმა კვლავ დაიპყრეს ახალციხე და მანუჩარი იძულებული გახდა ახლა თურქეთს მიმხრობოდა. 1625 წელს მან ირანელთა წინააღმდეგ მარაბდის ოშში მიიღო მონაწილეობა და თავიც გამოიჩინა. თურქეთის სულთანმა მანუჩარს ეს დაუფასა და იმავე წელს სტამბოლში ჩასულს ქრისტიანობის შენარჩუნებით სამცხის მთავრობა უბოძა. ოსმალეთიდან დაბრუნებული მანუჩარ III საკუთარმა ბიძამ, ბექამ ისტუმრა და მოწამლა. ბექა სტამბოლში ჩავიდა, მაჰმადი-

ანობა მიიღო და თავი ახალციხის გამგებლად გამოაცხადა. 1628 წელს სულთანმა ახალციხის (ჩილდირის) საფაშოს გამგებლად მაჰმადის რჯულზე გადასვლის შემდეგ საფარ-ფაშად წოდებული ბექა დაამტკიცა. ახალციხის საფაშოში 13 სანჯაყი გაერთიანდა: ოლთისი, ხერთვისი, არტანუჯი, დიდი არტაანი, ჭაჭარაქი, ფოცხოვი, მაჭახელა, აჭარა, ფანაკი (ბანა), ფერთერექი, ლივანა, ნისფილივანა და შავშეთი. სამცხე-საათაბაგოს დანარჩენი პროვინციები — ისპირი, თორთუმი, პატარა არტაანი, ნამერვანი — ოსმალებმა სხვა ვილააიეთებში გაერთიანეს. თურქებმა თავიანთი საერთო წესიდან ერთადერთი გამონაკლისი დაუშვეს და სამცხის ათაბაგებს ფაშობა მემკვიდრეობით უბოძეს, რაც უთუოდ ქართველთა მედგარი წინააღმდეგობის შედეგი იყო. საფაშოს ზოგ კუთხეში მცირე ცვლილებებით შენარჩუნდა ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობაც.

ამრიგად, საქართველოს დიდი ხნით ჩამოშორდა მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილი — სამცხე-საათაბაგო. „საქართველოს მოწყდა და მისი ეროვნული კულტურის შემოქმედებაში აღარ მონაწილეობდა ქვეყანა, რომელიც საქართველოს ტერიტორიის ერთ მესამედს შეაღენდა. გადაგვარების გზას დააღგა ფეოდალური საქართველოს ყველაზე უფრო დაწინაურებული და კულტურული შემოქმედების უნარით დაჯილდოებული ნაწილი, — საშობლო ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებისა, ბექა ობიზარისა და შოთა რუსთაველისა“, — წერდა დიდი ქართველი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი.

თურქებმა 1595 წელს ადგილობრივი მოსახლეობა აღწერეს და „გურჯისტანის ვილააიეთის დიდი დავთარი“ შეადგინეს. დავთრის მიხედვით სამცხე-საათაბაგოში 1160 სოფელია აღწერილი, 364 სოფელი გაუკაცრიელებულია. დავთარი უტყუარად მოწმობს იმასაც, რომ იმ დროისთვის მხარის მოსახლეობის 95 პროცენტზე მეტს ქართველები (მესხები) შეაღენდნენ.

ოსმალები ცეცხლითა და მახვილით შეუდგნენ ქართველთა გამაჰმადიანებას. პირველ ყოვლისა მათ იერიში თავად-აზნაურობაზე მიიტანეს. დიდებულებზე ზეწოლის მექანიზმი ასეთი იყო: ის, ვინც მიწას ფლობდა, აუცილებლად სამხედრო ვალდებული უნდა ყოფილიყო, სამხედრო ვალდებული კი — აუცილებლად მაჰმადიანი. ამ გზით ინტენსიურად მაჰმადიანდებოდა არა მხოლოდ სამცხის ფეოდალთა კლასი, არამედ საქართველოს სხვა მხარეებიდან აქ

მამულების შესაძენად გადასული თავად-აზნაურობაც. ამის მიუხედავად გამაპმადიანებული ქართველი დიდებულების ოჯახები კიდევ დიდხანს ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას. იმავე საფარ-ფაშას ოჯახი, ოჯახის უფროსის მიერ ისლამის მიღების შემდეგაც ქრისტიანულ რჯულზე რჩებოდა და კარის მოძღვარიც ჰყავდა. მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში ქართველობა ნელ-ნელა თმობდა პოზიციებს. საუკუნის ბოლოსთვის დიდგვაროვანთა ფენის გამაპმადიანების პროცესი, ძირითადად, უკვე დასრულებული იყო. გლეხობაში კი ეს პროცესი თითქმის საუკუნის დაგვიანებით წარიმართა.

მე-18 საუკუნის ბოლოსთვის თურქთა ბატონობის ქვეშ მოხვედრილი ქართული მოსახლეობა, ძირითადად, უკვე გამაპმადიანდა. თუმცა, ამ დროისთვის ისლამი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მხოლოდ სოციალური იმუნიტეტის გარანტი იყო. გამაპმადიანებულთა უმრავლესობა ფარულად ქრისტეს რჯულს იცავდა. ქართველები კვლავაც ძველი ტრადიციით პატრონობდნენ ქრისტიანულ ტრადიციებს, იწერდნენ ჯვარს და ჩუმად ნათლავდნენ შვილებს.

ალექსანდრე ფრონელს, რომელიც 1890 წლიდან მომრიგებელ შუამავლად მუშაობდა სამცხეში, ჩაწერილი აქვს ზეპირი ისტორიები, რომლებიც ფარულ ქრისტიანთა მძიმე ყოფაზე მოგვითხრობენ. ერთ-ერთი მათგანია დიაკვან ანდრია ჯვარიძის ნაამბობი: „მამაჩემი ალექსი და ბიძაჩემი პავლე დასვინათებულან (მაპმადიანობის მიღებისთვის აუცილებელი წინადაცვეთის რიტუალი — უ. ბ.) თათრების მოსაჩენებლად. ეს ასე მოხდა: მძებმა ვიღრე შეძლეს, იხადეს თათრის ხარაჯა — 35 ყურუში. როცა გაუჭირდათ, ერთი წლის გადასახადი სოფლის მღვდელმა, პავლე ზედგენიძემ მისცა. მეორე წელს ახალციხელი კათოლიკე მოძღვარი დაეხმარათ. მესამე წელს მძებმა საკირეში დაიწყეს მუშაობა — 28 ვერსხე ეზიდებოდნენ კირს. ორივეს ტყავი გადასძვრა ზურგზე და ერთი წლის ხარაჯა ძლივს იშოვეს. მეოთხე წელი კიდევ უფრო მძიმე გამოდგა და ორივემ ერთი კაცის გადასახადი ძლივს შეაგროვა. დიდი ყოვმანისა და ურთიერთთავაზის შემდეგ ერთ-ერთი ძმა მივიდა ყადისთან და დასვინათდა. ერთი წელი კიდევ იარა მეორე ძმამ ხილულ ქრისტიანად. მეორე წელს მასაც ძმის ბედი ეწია. ალექსის მურადა დაარქვეს, პავლეს — ბადალა“.<sup>2</sup>

სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის გამაპმადიანების პროცესზე

<sup>2</sup> მარინა ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, თბ., 2005. გვ. 21.

წარმოდგენას გვიქმნის 1771 წელს ერეკლე მეფის მიერ რუსეთის იმპერიატორისადმი მიწერილი წერილიც. რუსეთის მფარველობაში შესვლის სანაცვლოდ ერეკლე ეკატერინე მეორეს თურქეთისან სამცხე-საათაბაგოს გამოხსნას სთხოვს და ამ თხოვნას შემდეგნაირად ასაბუთებს: „ქვეყანა ახალციხისა ... საქართველოს შინა არს და ქართული ენა აქვს და მრავალი ქრისტიანენი არიან მათში და სწვანიც ახალნი გარდაქცეულნი არიან მაპმადიანობაზე“.<sup>3</sup>

ქრისტიანობასთან ერთად თურქებმა გადამწყვეტი იერიში ქართულ ენაზეც მიიტანეს. პანისლამისტური იდეების მომხრენი მსოფლიო ენებს ორ ჯგუფად — მორწმუნეთა და ურწმუნოთა ენებად ჰყოფდნენ. და, რახან ქართული ქრისტიანულ ენათა ჯგუფში შედიოდა, მაპმადიანისთვის ამ ენაზე ალაპისა და ყურანის ხსენებაც კი მკრეხელობად ითვლებოდა. ტაო-კლარჯეთში მოგზაურობისას გერმანელ მეცნიერს, კარლ კოხს ერთი ვიზმე ბეგი შესჩიოდა: „პაპაჩემი ქრისტიანი იყო და ქრისტიანად გარდაიცვალა. მამაჩემი და მე მაპმადის ნათელით გავნათლდით, ოღონდ ენა ჩვენი წინაპრებისა შემოგვრჩა. მართალია, ცოდვა და დანაშაულია გიაურის ენაზე ლაპარაკი, მაგრამ ეს ენა თვით ღმერთის მიერ გვაქვს ბოძებული და ჩვენ რა ვქნათ“.<sup>4</sup>

ასეთი ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური წნევის შედეგად ისტორიული მესხეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ისლამის რჯულზე მოექცა. მხოლოდ მისი უწნიშვნელო ნაწილი გადაურჩა გამაპმადიანებას. ვალეს, უდეს, არალის, ივლიტას მოსახლეობამ კათოლიკობის მიღებით შეძლო ისლამის თავიდან აცილება. ანდრიაწმინდის, მუსხის, ხიზაბავრას, ხაროს, ტოლოშის, გოგაშენის, აფნიას, კოთელიას, პტენას, ჩუჩჩხას მოსახლეობამ კი დიდი გაჭირვებით მოახერხა მართლმადიდებლობის შენარჩუნება. ქართველი კათოლიკენი, რომელნიც სომხური ტიპიკონით მსახურობდნენ, სომხებად იწოდებოდნენ; ლათინური ტიპიკონის მქონენი ფრანგებად მოიხსენიებოდნენ (სამცხე-ჯავახეთში უდელ, არლელ, ივლიტელ თუ ვალელ კათოლიკებს ადგილობრივი მოსახლეობა დღესაც „ფრანგებს“ უწოდებს); მაპმადიანი ქართველები კი თავიანთ თავს „თათრებად“ მოიხსენიებოდნენ და სხვისგანაც ასე იწოდებოდნენ. თვითიდენტიფიკაციას ისინი რელიგიური ნიშნის მიხედვით თურქებთან ახდენდნენ, მაგრამ მათგან განსხვავებით, მესხეთის მიწა-წყალზე საკუთარი ის-

<sup>3</sup> ვაჟა ლორთქიფანიძე, სამცხე-ჯავახთა მე-19-20 საუკუნეებში. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბ., 1994. გვ. 40.

<sup>4</sup> უჩა ბლუაშილი, მესხეთის სახელოგანი შვილები, თბ., 2008. გვ. 18.

ტორიული უფლებების ხაზგასასმელად და ამ მიწაზე მოსული სხვა მაპმადიანი ტომებისგან გასამიჯნად თავს „იერლის“ ან „ბინალის“ ანუ „ადგილობრივს“ უწოდებდნენ. ქართველებად მხოლოდ მართლ-მადიდებელი ქართველები ითვლებოდნენ.

1828 წელს კავკასიის მთავარმართებელმა გენერალმა პავლე პასკევიჩმა ჯერ ყარსი, შემდეგ ახალქალაქი და ახალციხეც აიღო. გააფთრებული ბრძოლების დროს ქალაქი მთლიანად გადაიწვა. პასკევიჩმა თავის იმპერატორს „მთელს წინა აზიაში ცხობილი ქალაქის“, ახალციხის აღება ახარა. იმპერატორმა პასკევიჩს ფელდ-მარშლის წოდება უბოძა და ბრილიანტებით შემკული ანდრია პირველწოდებულის ორდენი გადასცა.

ახალციხის აღების შემდეგ საფაშოს სხვა ქალაქები რუსულ ჯარს უბრძოლველად ნებდებოდნენ. ახალციხის საფაშო არსებობა შეწყვიტა.

თუმცა, 1929 წლის ადრიანოპოლის ზავით რუსეთმა ახალციხის საფაშოს ნაწილი - 24 სანჯაფიდან მხოლოდ 10 მიიღო. ზავის პირობები არ შეესაბამებოდა არც რუსეთის არმიის მიერ ფრონტზე მიღწეულ შედეგებს და არც ისტორიულ სამართლიანობას. ხელშეკრულების მე-13 პუნქტით განისაზღვრა მაპმადიანი მოსახლეობის თურქეთის კონტროლქვეშ დარჩენილ მიწებზე გადასახლების ვადაც — 18 თვე. პასკევიჩმა არზრუმიდან აყრილი 35 ათასამდე სომეხი, რომელთაც ამ ომში რუსეთის მხარე ეჭირათ, სამცხე-ჯავახეთში ჩამოასახლა. ამან რადიკალურად შეცვალა დემოგრაფიული სურათი ამ მხარეში.

რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი მაპმადიანი ქართველები თავიანთ თავში ჩაიკეტნენ და ქრისტიან ქართველებს ყოველნაირად ერიდებოდნენ. მესეს მაპმადიანთა ეს გაუცხოება იმდენად თვალში საცემი იყო, რომ მას უცხო თვალიც კი ამჩნევდა. რუსი მოხელე ლეონიდ ზაგურსკი, რომელმაც 1872 წელს მოიარა ჯავახეთი, წერდა: „მათ არ უყვართ კითხვები თავიანთი წარმომავლობის შესახებ. განსაკუთრებით მინიშნება იმაზე, რომ მათი წინაპრები ოდესიდაც მართლმადიდებლები იყვნენ. ასეთ მინიშნებებს რომ თავი აარიდონ, ისინი ხშირად, და ამაში მე თვითონ დავრწმუნდი, იმიზეზებენ ქართული ენის არცოდნას“.<sup>5</sup>

თუმცა სიკვდილის წინ, როგორც დიუბუა დე მონპერე აღნიშნავს, ბევრი მათგანი ტოვებდა ანდერძს, რომ მამა-ჰაპათა გვერდით

<sup>5</sup> ლეონიდ ზაგურსკი, „მოგზაურობა ახალქალაქის მაზრაში“, ტფ., 1873, გვ. 46.

მართლმადიდებლური წესით დაემარხათ.<sup>6</sup>

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისგან განსხვავებით აჭარის ქართველობამ შეძლო მშობლიური ენის შენარჩუნება. ზემოთ დასახლებულ მიზეზებთან ერთად ამის მიზეზი ისიც უნდა იყოს, რომ ახალციხე საფაშოს ცენტრს წარმოადგენდა. აქ იყო განლაგებული თურქეული ადმინისტრაცია, ჯარის დიდი ნაწილი. ამის გამო იდეოლოგიური ზეწოლის სიმბიმის ცენტრი სწორედ ახალციხეზე და მის გარშემო მყოფ რაიონებზე მოღიოდა.

თურქთა კლანჭებიდან სამცხე-ჯავახეთის გამოხსნის შემდეგ დღის წესრიგში სხვა ქართული ტერიტორიების გათავისუფლების საკითხი დადგა. 1875 წელს ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ აჭარაც აჯანყდა. ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, სხვა ქართველი მოღვაწეები იმედის თვალით შეკვერებდნენ აჭარელ მუსლიმთა შემართებას და იმედოვნებდნენ, რომ რუსეთ-თურქეთის ახალ დაპირისპირებას სამუსლიმანო საქართველოს გათავისუფლება მოჰყვებოდა.

1877 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ახალი ომი. თავდაპირველი წარუმატებლობის შემდეგ, 15 ოქტომბერს, რუსეთის რეგულარული ჯარის პოლკებმა და ქართველმა მოხალისეებმა აღაჯის ზეგანზე გამართულ გენერალურ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხეს თურქები. მოწინააღმდეგებმ მოკლულთა სახით 13 ათასი კაცი, მათ შორის 7 ფაშა და 250 ოფიცერი დაკარგა. ტყვედ ჩავარდა 7 ათასი თურქი. ოსმალთა ჯარებმა კიდევ უფრო დიდი მარცხი განიცადეს ბალკანეთის ფრონტზე. 1878 წლის 20 იანვარს რუსეთის ჯარებმა ადრიანოპოლი დაიკავეს და გეზი სტამბოლისკენ აიღეს. ოსმალეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა.<sup>7</sup>

რუსეთის ჯარების სტამბოლში შესვლას ხელს აღარაფერი უშლიდა. ამით შეშფოთებულმა ინგლისმა და საფრანგეთმა რუსეთს დაუყოვნებლივ შეჩერება მოსთხოვეს.<sup>8</sup> 1878 წლის 3 მარტს პატარა სოფელ სან-სტეფანოში გაფორმდა საზაო ხელსეკრულება რუსეთსა და თურქეთს შორის. ხელშეკრულების ძალით ოსმალეთის უღლისგან თავისუფლდებოდნენ ბულგარეთი, ჩერნოგორია, რუმი-

<sup>6</sup> მარინა ბერიძე, პირდაპირი რეპორტაჟი წარსულიდან, გვ. 23.

<sup>7</sup> საქართველოს ისტორია, მე-19-20 სს, ტ. მე-4, გვ. 78.

<sup>8</sup> კარგი იქნებოდა, რომელიმე ჩვენს ისტორიოსს ფაქტების ფოლმერივი შესწავლის საფუძვლზე ისტორიულ კონტექსტში გაენალიზებინა, მანც რა იყო მიზეზი იმ შეშფოთებისა, რომლის გამოც ინგლისმა და საფრანგეთმა რუსეთი აიუღეს ქრისტიანული სამყაროს ათასწლოვნი დედაქალაქის, კონსტანტინეპოლის თურქი დამპყრობლებისაგან გამოხსნაზე ხელი აეღო (რედ.).


ნეთი. რუსეთს უნდა გადასცემოდა ბესარაბია, წინა საუკუნეებში თურქების მიერ მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიები.

13 ივლისს, ბერლინის კონგრესზე, სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება რამდენადმე შეიცვალა: რუსეთის მფლობელობაში გადმოდიოდა და საქართველოს ადმინისტრაციული ნაწილი ხდებოდა შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-ალტაანი, ოლთისი და აჭარა. ომის დროს აჭარა რუსულ ჯარს არ დაუკავებია, მაგრამ ოსმალეთის ჯარებმა ის ბერლინის ტრაქტატის ძალით დატოვეს. 1878 წლის 25 აგვისტოს რუსული არმიის პოლკები ბათუმში შევიდნენ.

ცხადია, თურქთა ბატონობისგან ამ ტერიტორიების გათავისუფლებისას რუსეთს საკუთარი მიზნებიც ამოძრავებდა, ოფიციალურად ეს ტერიტორიები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. მაგრამ, ობიექტურად, ამ ფაქტს ქართველი ხალხისთვისაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: საქართველოს ადმინისტრაციულად უერთდებოდა მისი განუყოფელი ნაწილი, ქართული კულტურის აკვანი — მესხეთი.

როგორ შეფასებას აძლევდა ილია ჭავჭავაძე რუსეთის როლს ძირძევლი ქართული მიწების დაბრუნების საქმეში? ილია და თერგდალეულები, მართალია, ცარიზმის ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ იბრძოდნენ, მაგრამ დადებითად აფასებდნენ რუსეთთან საქართველოს შეერთების ზოგიერთ ასპექტს და მიესალმებოდნენ იმ ფაქტს, რომ რუსეთის მეშვეობით საქართველომ თავი დააღწია მუსლიმურ გარემოცვას, მოიპოვა მშვიდობა და დაიბრუნა თურქთა-გან მიტაცებული ქართული ტერიტორიების ნაწილი.

ჩვენს თაობას მართებს სწორედ ასე, ილიასებურად, დიალექტიკურად მიუდგეს ამ საკითხს და დაინახოს მისი როგორც ნეგატიური, ისე პაზიტიური მხარეები. ისტორიული სინამდვილის დამახინჯება იქნება რუსეთის დამსახურების გაზვადება, მისი მხოლოდ პოზიტიურ ჭრილში წარმოდგენა, მაგრამ არანაკლები შეცდომაა ყურადღების გამახვილება ცარიზმის მხოლოდ ანტიქართულ პოლიტიკაზე. უმაღურება, სხვათა დამსახურების გაბიაბრუება ღირსებას არ მატებს არც პიროვნებას და, მით უმეტეს, არც ერს.



## თინა იველაშვილი

### ფელაში მინარეთის აღმართვის აოლიტიკური არსი

ამ ბოლო პერიოდში (განსაკუთრებით 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ) რატომდაც მეტისმეტად გააქტიურდა საქართველოში ე.წ. „რელიგიურ უმცირესობათა“ უფლებების შეზღუდვისა თუ დარღვევების შესახებ აუთოტაში და იგი ჩვენს ქვეყანაში არსებული უამრავი არასამთავროებო ორგანიზაციის წარმომადგენელთა თუ „უცხოელ „მრჩეველთა“ გამოსვლებში ლამის პოლიტიკურ რანგში განიხილება. საქართველოს სხვა რეგიონებზე რომ არაფერი ვთქვათ, აღნიშნული პრობლემის საილუსტრაციოდ აღიგენის რაიონის სოფელ ჭელაში მომხდარი ფაქტიც ნათლად მეტყველებს.

ამ სოფელში ორმოციოდე ქართული ოჯახი ცხოვრობს. აქედან 24 მაჟმადიანია (1983 წელს ხულოს რაიონიდან გადმოსული ეკო-მიგრანტი), 14 კი — მართლმადიდებელი ქრისტიანი. გარკვეულმა პიროვნებებმა რამდენიმე თვის წინ ყოველგვარი ნებართვის გარეშე, რაღაც მაქინაციებით, თურქეთიდან შემოიტანეს 24 მეტრი სიმაღლის რკინის კონსტრუქციის მინარეთი და „მეჩეთის“ გვერდით სასწრაფოდ აღმართეს. გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, მცირე ხანში მისი დემონტაჟი განხორციელდა, რამაც მუსლიმი მოსახლეობის ერთ ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვია. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროტესტანტთა შორის მხოლოდ სოფელ ჭელის მუსლიმი მოსახლეობა არ იყო ჩართული. საინტერესოა, ამ პროტესტანტთა უკან რა ძალები დგას და ვისგან იმართებიან ისინი? — ერთი რამ ცხადია: ამ ძალების კვალი უცხოეთისექნ მიდის.

მინარეთის დემონტაჟთან დაკავშირებით უარყოფითი პოზიცია დაიკავა არაერთმა ქ. წ. არასამთავრობო ორგანიზაციამ (საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, ეთნოსთა შორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მედიის განვითარების ფონდი, მრავალეროვანი საქართველო, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი და ა. შ.). და აღმფოთებულებმა განაცხადეს: „სოფელ ჭელაში მომხდარი ინციდენტი რელიგიური უმცირესობებისადმი მთავრობის დისკრიმინაციული პოლიტიკის უკიდურესად შემაშფოთებელ სიმბომად გვევლინებათ.“ აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციები, არსებული ვითარების რეალურად შეფასების ნაცვლად, ამ სოფელში მუსლიმებს თვლიან რელიგიურ უმცირესობად და მათი სარწმუნოებრივი უფლებების დაცვაზე ამახვილებენ ყურადღებას. რეალურად კი იქ რელიგიურ უმცირესობას უკვე ქრისტიანი მართლმადიდებლები წარმოადგენენ, მაგრამ ამაზე ხმას არ იღებენ. მათ მინარეთის უკანონოდ შემოტანაზე (ოფიციალურად შემოიტანეს როგორც წყალსადენი მილი) და მის აღმართვის თვალები დახუჭეს (არაფერი დაუნახავთ). მაგრამ როცა დადგა მისი განბაჟების მართლზომიერების საკითხი და ამ რეინის კონსტრუქციის დემონტაჟი მოახდინეს ექსპერტიზაზე წასაღებად, სასწრაფოდ გააქტიურდნენ. აშკარაა, რომ ისინი გარედან, მათი უცხოელი დამფინანსებლების დირექტივებით მოქმედებენ. ამას გვაფიქრებინებს ევროპის უმაღლესი კომისარიატისა და სხვა უცხოური მთელი რიგი ორგანიზაციების განცხადებები.

მინარეთის დემონტაჟთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დააფიქსირა რესპუბლიკურმა პარტიამაც. მისი განცხადებით: „საქართველოს რესპუბლიკური პარტია თავს ვალდებულად მიიჩნევს გამოეხმაუროს იმ მოვლენებს, რომლებიც განვითარდა აღიგენის რაიონის სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟის შემდეგ.“

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მინარეთის მიშენება მეჩეთზე მართლაც კანონდარღვევით და თვითნებურად მოხდა, რაზეც სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელი იყო რეაგირება. მაგრამ როცა საქმე ეხება რელიგიას, სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს საკითხის დელიკატურობა და ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ არ დაუშვას რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება. რელიგიური ტოლერანტობა უფრო მნიშვნელოვანია და უფრო

დიდი საზოგადოებრივი სიკეთეა, ვიდრე, რომელიც გნებავთ უკანონო შექნებლობის დაუფლებლივ დემონტაჟი. ამიტომ მსგავს შემთხვევაში სახელმწიფო ისეთი გადაწყვეტილების მიღებას უნდა ცდილობდეს, რომ არც მორწმუნეთა რელიგიური გრძნობები იყოს შეურაცხვოფილი და კანონის მოთხოვნაც აღსრულდეს.

სიტუაცია კვლავ გამწვავდა მას შემდეგ, როდესაც შესაბამისა სახელმწიფო სტრუქტურებმა ჩაატარეს სათანადო პროცედურები და გადაწყვდა მინარეთის სოფელში დაბრუნება; კერძოდ, ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა ახალციხეში მოქალაქეთა ერთი ჯგუფის პროტესტი. აქციის მონაწილეებმა გადაკეტეს გზა და აცხადებდნენ, რომ არ დაუშვებდნენ მინარეთის დაბრუნებას.

ასეთი ტიპის საპროტესტო აქცია, რომლის მიზანიც პირდაპირ გაცხადებულია, როგორც კანონდარღვევა, ანუ სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ხელის შეშლა, თავისთავად მიუღებელია და იმავდროულად არის ელემენტარულად სამარცხვინო ჩვენს ქვეყანაში, სადაც ყოველთვის საფუძვლიანად ამაყობდნენ რელიგიური ტოლერანტობის საუკუნოვანი ტრადიციით. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, რომ აქციაში მონაწილეობდა ახალციხის საკრებულოს თავჯდომარე (ეს საპროტესტო აქცია არა სამარცხვინო, არამედ საამაყოა სწორედაც რელიგიური ტოლერანტობის საუკუნოვანი ტრადიციებიდან გამომდინარე, რადგან ქუჩაში გამოსული მართლმადიდებლები თავიანთი რელიგი-



ქრისტიანი მოსახლეობის სამართლიანი პროტესტი მინარეთის მეორედ აღმართვის დროს.

ური გრძნობების შეურაცხყოფასა და სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან იგნორირებას სამართლიანად აპროტესტებდნენ — თ. ი.)

არანაკლებ საგანგაშოდ მიგვაჩნია მაღალი იერარქიის სასულიერო პირთა პოლიტიკური ხასიათის განცხადებები; კერძოდ, განცხადებები იმის თაობაზე, რომ ისინი იძლევიან გარანტიას და მინარეთი არ აღიმართება და ა. შ. საქართველოში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და ურთიერთობები სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის რეგულირდება საკონსტიტუციო შეთანხმებითა და არსებული კანონმდებლობით. როგორც სახელმწიფოს არ აქვს უფლება ჩაერიოს ეკლესიის შიდა ცხოვრებაში, ისე ეკლესიას არ აქვს უფლება იტვირთოს სახელმწიფო ფუნქციები. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უდიდესი აგტორიტეტითა და ნდობით სარგებლობს ქართულ საზოგადოებაში, მაგრამ კონკრეტული მშენებლობის მიზანშეწონილობას მხოლოდ სახელმწიფო კანონმდებლობა განსაზღვრავს.

საქართველოს რესპუბლიკური პარტია აცნობიერებს, რომ წარმოადგენს მმართველი კოალიციის წევრს და პოლიტიკურ პარტიონებთან ერთად იზიარებს იმ პასუხისმგებლობას, რაც ეკისრება ქვეყნის ხელისუფლებას. ხელისუფლებისაგან კი საზოგადოება მოელის კონკრეტულ ქმედებებს და არა მხოლოდ შეფასებებს. აქედან გამომდინარე, სახელისუფლო სტრუქტურებმა აუცილებლად უნდა აღასრულონ კანონის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებები მინარეთის დაბრუნების თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკური პარტია მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ყოველთვის უძრავრესი რეაგირება უნდა მოახდინოს რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების ყოველგვარ მცდელობაზე, ვისგანაც უნდა მოდიოდეს ეს, რადგან რელიგიური შემწყნარებლობა, რელიგიურ უმცირესობათა უფლებები, ზოგადად მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების პატივისცემა არის ის ღირებულება, რომელიც არა მხოლოდ ჩვენი ეროვნული ტრადიციაა, არამედ წარმოადგენს თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ ფუნდამენტალურ პრინციპს.“

მინარეთის დემონტაჟზე „მოტირალი“ არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შევახსენებთ:

1) სოფელ ჭელაში ე. წ. მეჩეთი, რომელზედაც მინარეთი მიაშენეს, ოფიციალურად რეგისტრირებულია არა როგორც საკულტო



ჩოგოძის კერძო სახლი, ე. წ. მეჩეთი სოფელ ჭელაში.

სალოცავი, არამედ როგორც ვინმე ჩოგოძის საკუთრებაში მყოფი კერძო სახლი. ყოველივე ამის შესახებ მოსახლეობა გულლიად საუბრობს. ჭელაში მცხოვრები მუსლიმანი არჩილ მგელაძის გადმოცემით: „ეს მინარეთი ვერ იქნებოდა კანონიერი, რადგან მეჩეთიც უკანონოა. არ არსებობს კანონი, რომელიც მეჩეთის აშენების ნებართვას იძლევა. ამიტომ ამ ერთი მინარეთის მოხსნა კი არ არის პრობლემა, არამედ ის, რომ მეჩეთის ოფიციალური დარეგისტრირების უფლება არ გვეძლევა. ამას მოვითხოვთ უკვე რამდენი წელია, თუმცა ამაოდ... ამიტომ ასეთი გამოსავალი მოიძებნა. ჭელის ერთ-ერთმა მკვიდრმა მუსლიმანებს გვაჩუქა მიწა და ამავე პირის, ჩოგაძის სახელზე მივიღეთ საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა, რომელიც სინამდვილეში მეჩეთია... ადგილობრივ ქრისტიან და მუსლიმ ქართველებს შორის დაპირისპირება არასოდეს არ ყოფილა. მათ ჩვენი ესმით, ჩვენ მათი“.

ამ წლის ოქტომბრის გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“ დაიბეჭდა საკმაოდ საინტერესო წერილი, სადაც პროფ. ტარიელ ფუტ-კარაძესთან ერთად, თურქეთში მცხოვრები მუსლიმი ქართველები, ფერზი ჩელები და ერდოღან შენოლი სოფელ ჭელაში მომხდარ ფაქტს საკმაოდ ობიექტურ შეფასებას აძლევენ. ფერზი ჩელების განცხადებით: „ორი წლის წინ აქ მუსლიმანი ქართველების სახელით ჩამოვიდა რამდენიმე ქართველი და აქაურებს დახმარება მოგვთხოვეს მეჩეთის აშენებისა და ყურანის სწავლების ორგანიზებაში... საუბარი იყო ქობულეთში მეჩეთის მშენებლობაზე... არ

მომეწონა ეს მოთხოვნა. თუ საჭიროა საქართველოში მეჩეთის აგება, ეს საქართველოს ფულით უნდა გაკეთდეს; ...რამდენადაც ვიცი, აღიგენის მინარეთის ფული ფოცხოვის მოლებმა შეაგროვეს... თურქეთშიც კი ვერავინ გააკეთებს მეჩეთსა თუ მინარეთს, მთავრობის ოფიციალური წებართვა თუ არ გაიცა, თანაც ამ პროცედურას დიდი დრო უნდა... რატომ შენდება ახლა აჭარაში, ზოგადად საქართველოში, მაინც მართვის მეჩეთები? რატომ არ ცდილობენ ქართველი მუსლიმები, რომ მეჩეთი თუ მინარეთი ააშენონ ქართული არქიტექტურით? აქ არის ძალლის თავი დამარხული... საქართველომ თავს არ უნდა მოიხვიოს არც თურქეთის გავლენა და არც ისლამის თურქული თუ ირანული ვარიანტი. რამდენი ქართველიც საქართველოშია, ამდენივე ვართ თურქეთში მუსლიმანი ქართველები... რამდენიმე აჭარელი ეკომიგრანტის პრობლემა იოლი მოსაგვარებელია, მთავარი საფირებელი ამ 4 000 000 ეთნიკური ქართველის გადარჩენა. ჩვენ სრული ასიმილაცია გვემუქრება... ჩვენ, მუსლიმანი ქართველები არ უნდა დაგვკარგოს საქართველომ... აღიგენის მსგავსი პროვოკაციები ჩვენ გვაშორებს თქვენთან; აღიგენის მუსლიმები ვერ ხვდებიან, რომ მათი აგრესიული ქცევით ჩვენდამი ნდობაც დაეკარგებათ ქრისტიან ქართველებს, ეს კი ჩვენს ერთიანობას შეუშლის ხელს... რამდენადაც ვიცი, ქართველ ხოჯებს ხელფას აზრბაიჯანის მუსლიმანური ცენტრი უხდის; წიგნებს, სამოსა და სხვა მატერიალური ფასეულობებისათვის ფულს მუსლიმან ქართველებს თურქეთის სასულიერო ცენტრები აძლევენ; ჯამე, მედრესე და მინარეთიც არაქართული ფულით შენდება (რა თქმა უნდა, ამ ქვეყნების ხელისუფალთა ფარული მხარდაჭერით — თ. ი.). ასეთ პირობებში ისლამის მიმდევრები ქართულ სახელმწიფოს მოქმედებიან?“ მისი აზრით, „აზერბაიჯანის, თურქეთისა თუ არაბეთის საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებზე ორიენტირებული ვერ იქნებიან. თურქეთში განათლების სისტემა ემსახურება თურქი ერის ჩამოყალიბებას.“

ერდოღან შენოლი დაწმუნებულია, რომ „სახელმწიფოს ნებართვის გარეშე მინარეთის აღმართვა და მისი დემონტაჟის შესახებ ხმაურის ატეხვაც პროვოკაციაა“. მას საქართველოს ხელისუფლებასთან გარკვეული კითხვებიც გააჩნია: „უნდა ვკითხოთ საქართველოს ხელისუფლებას, მუსლიმანების სახელით მოლაპარაკე ქართველები უცხოეთიდან რატომ იღებენ დიდ დაფინანსებას? საინტერესოა ისიც, რომ საქართველოში ყურადღებას არ აქცევენ

საქართველოს გარედან დაფინანსებული სექტების ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას. აზერბაიჯანმა „მწვანე არ აუნთ“ ზოგიერთ მუსლიმანურ სექტას, საქართველოში კი თავისუფლად არიან და უნივერსიტეტებიც კი გახსნეს. გარდა ამისა, საქართველოში ძალიან ბევრი თურქული სკოლაა, თურქეთში კი ქართული დღემდე არ ისწავლება, ქართულ სკოლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... თურქეთში, კერძოდ, ფოსოვში შეგროვებული ფულით ნაყიდი მინარეთი წყლის მილის სახელით როგორ გავიდა ქართულ საბაჟოზე? როგორ აღიმართა ადიგენში? სად იყო ამ დროს ხელისუფლება?“

ქართველი ხალხის ისლამიზაციით თურქეთის არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ უმაღლესი სასულიერო პირებიც რომ არიან დაინტერესებულები, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მინარეთი მათი დაფინანსებითა და ინიციატივით იქნა შემოტანილი. არტაანის მუფტის გალიფ აქანის განცხადებით: „40 სასულიერო პირთან ერთად გასული წლის დეკემბერში ახალციხეში ექსკურსიაზე იმყოფებოდა. მათ შეამჩნიეს, რომ მუსლიმი ქართველებით დასახლებულ სოფელ ჭელას მეჩეთს მინარეთი არ ჰქონდა... ახალციხეში 9 მუსლიმანური სოფელია. ამ სოფელებიდან მინარეთი მარტო სოფელ ჭელას მეჩეთს არ ჰქონდა. ეს საკითხი ჩვენ მოვაგვარეთ“, პატივცემულ მუფტის უნდა შევახსენოთ, რომ მუსლიმანი ქართველიბით დასახლებული 9 სოფელი არა ახალციხის, არამედ ადიგენის რაიონშია და მინარეთი მხოლოდ ერთ სოფელშია.

2) არსებული მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ კერძო პირმა, ვინმე ჩოგაძემ შეისყიდა მიწის ნაკვეთი, ააგო ორსართულიანი სახლი ბელეტაზე და რამდენიმე წლის წინ გაღმოსახლებულ ეკომიგრანტებს დაუთმო თუ მიაქირავა სალოცავად. სოფელში მაცხოვრებელ ქრისტიან ქართველებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ საკუთარი სალოცავი არ ჰქონდათ, პროტესტი არ გამოიუთქვამთ ამ ფაქტზე. მეჩეთში მღლოცველი მუსლიმები, როგორ ფიქრობთ, მათ რელიგიურ გრძნობებს არ აღიზიანებდა? მაგრამ ითმენდნენ, რაღაც როგორც მუსლიმთა ინტერესების დამცველნი ბრძანებენ: „რელიგიური ტოლერანტობა უფრო მნიშვნელოვანია და უფრო დიდი საზოგადოებრივი სიკეთეა“, მაგრამ მოთმინებასაცა და ტოლერანტობასაც აქვს საზღვარი.

3) არამკითხე დამცველები როცა აცხადებენ, რომ „სიტუაცია პლავ გამწვავდა მას შემდეგ, როდესაც შესაბამისა სახელმწიფო სტრუქტურებმა ჩატარებულ კი არ აცდაწყდა“

მინარეთის სოფელში დაბრუნება. კერძოდ ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა ახალციხეში მოქალაქეთა ერთი ჯგუფის პროტესტი. აქციის მონაწილეებმა გადაკეტეს გზა და აცხადებდნენ, რომ არ დაუშევებენ მინარეთის დაბრუნებას”, იქნებ ოფიციალურად აეხსნათ მოსახლეობისთვის, რომელმა „შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა“ რის საფუძველზე მიიღო თურქეთიდან უკანონოდ წყლის მიღლის სახელით შემოტანილი მინარეთის სოფელში დაბრუნების თაობაზე ამგვარი გადაწყვეტილება და მოსახლეობაც გაეციო მოკიდებოდა ამ ფაქტს. როდესაც მოსახლეობა ქუჩაში იყო გამოსული, მათ რატომ არ შეხვდა ამგვარი გადაწყვეტილების მიმღები „სახელმწიფო სტრუქტურის“ თუნდაც ერთი წარმომადგენელი და ხალხს არ გააცნო რეალური ვითარება?

4) „რელიგიური ტოლერანტობის საუკუნოვანი ტრადიციებით“ ამუნათებენ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას, მაგრამ მათი „სახელმწიფო სტრუქტურების“ მიერ მიღებული გადაწყვეტილება სრულიადაც არ არის ტოლერანტული. პირიქით, ამგვარი გადაწყვეტილებით მკვიდრი მართლმადიდებელი და არა მხოლოდ მართლმადიდებელი, არამედ აქ მაცხოვრებელი ყველა ქრისტიანის რელიგიური გრძნობების იგნორირებას ახდენენ. ამას ვერ გრძნობენ თუ თვალს შეგნებულად ხუჭავენ?

5) სამართლიან აქციაში სასულიერო პირების მონაწილეობა და მათ მიერ გაკეთებული არა პოლიტიკური, არამედ სინამდვილეში აპოლიტიკური განცხადება, რომ „ისინი იძლევიან გარანტიას და მინარეთი არ აღიმართება“, საგანგაშო სულაც არ არის. საგანგაშო მათი ორაზროვანი განცხადებაა, რომლის მიხედვითაც მინარეთი „უკვე არსებული სხვა უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილია“. იქნებ იქვე მიეცათ განმარტება, თუ რას გულისხმობენ „უკვე არსებულ სხვა უძრავ ნივთში“: ვიღაც ჩოგაძის კერძო სახლს თუ წყლის მიღლის სახით შემოტანილ რკინის ასაწყობი კონსტრუქციის საკულტო სალოცავის ნაწილს; ეს თუ ასეა, შევახსენებთ, რომ ისლამურ სამდარიში, კანონის დაცვით, მინარეთი არა კერძო სახლთან, არამედ მხოლოდ ოფიციალურ საკულტო სალოცავთან აღიმართება და ისიც არა ყველა სალოცავთან.

6) მინარეთის აღდგენასთან დაკავშირებით საპატრიარქო მართლმადიდებელი მრევლის სამართლიან პროტესტს დაეთანხმა. ამავე დროს გაითვალისწინა მუსლიმი მოსახლეობის განწყობაც და საქართველოში მოქმედ მუსლიმთა სამმართველოსთან ერთობლივ

განცხადებაზე შეჯვრდა. ამ შეთანხმების მიხედვით, მინარეთი დასწყობდა ნეიტრალურ ტერიტორიაზე სახელმწიფო დაცვით, იქმდე, ვიდრე კანონით არ იქნებოდა განსაზღვრული რელიგიური ნაგებობების მიზანშეწონილობისა და მშენებლობის ნებართვის საკითხი.

ეს ინცინდეტი არა საქართველოში ნაწილიმარზე სოკონებივით მომრავლებული სხვადასხვა რელიგიური უმცირებობისადმი, არამედ ტრადიციული ქართული მართლმადიდებლობისადმი „მთავრობის დისკრიმინაციული პოლიტიკის უკადურესად შემაშფოთებელ სიმტკომებად გვევლინება“. თურქეთში კონსტიტუციით აკრძალულია სხვა რელიგიის პროპაგანდა და შესაბამისად მათი სალოცავების აგება. საქართველოში კი რა ხდება?

თურქეთის არა მარტო სასულიერო, არამედ ოფიციალური ხელისუფლებაც ყოველ ღონის ხმარობს ჩვენს ქვეყანაში პანისლამიზმის გასაძლიერებლად. საქართველოს მნიშვნელოვან და სასიცოცხლო ობიექტებს თურქი ე.წ. ბიზნესმენები განაგებენ, ყიდულობენ უძრავ ქონებას, მიწებს, ტყეებს და ა. შ. ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსთა თუ საჯარო მოხელეთა ფარული თუ აშკარა მხარდაჭერით, თურქეთის საერო და სასულიერო მაღალჩინოსნების მხრიდან ქართველი მუსლიმების გადაბირების მიზნით მიმდინარეობს გაძლიერებული პროპაგანდა. ამ საქმისათვის საკმაოდ სოლიდურ თანხებსაც ხარჯავენ. ყოველივე ეს, არც მეტი, არც ნაკლები, ისლამისტთა მხრიდან აშკარა და ღია პროზელიტიზმია. ამ საკითხების ირგვლივ არასამთავრო ორგანიზაციების უმრავლესობას პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში მათი დიდი უმრავლესობა ქვეყნის გარეთ არსებული უცხო ძალების მიერ ქართული მართლმადიდებლობის (შესაბამისად ქართული ეროვნული მენტალიტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების) წინააღმდეგ ბრძოლისათვის არის შექმნილი და მსუედ დაფინანსებული.

7) რაც შეეხება რელიგიურ შემწყნარებლობას, ის მხოლოდ წმინდა რელიგიური არ არის. იგი ამავე ღროვს სახელმწიფოს ერთერთი ფუნდამენტური საყრდენია. რელიგიური შემწყნარებლობა ორმხრივი უნდა იყოს, თუ გვინდა, რომ მან დადებითი შედეგი მოგვცეს. სოფელ ჭელაში მომზდარ შემთხვევასთან დაკავშირებით, ზემოთ ნახსენები ორგანიზაციები და პარტიები მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანებისგან მოითხოვენ შემწყნარებლობას სხვა რელიგიური მრწამსის მიმართ, მაგრამ არაფერს ამბობენ, რომ სხვა რელიგიური მრწამსის მქონეც ასეთივე შემწყნარებელი უნდა იყოს

იქ მაცხოვრებელი ქრისტიანების მიმართ და თავისი რელიგიური რიტუალებით არ უნდა აღიზიანებდეს მათ რელიგიურ გრძნობებს.

8) ამ ჩატარა, რაღაც 40 კომლიან სოფელში ოფიციალურად, სახლის გვერდით 24 მეტრი სიმაღლის მინარეთის აღმართვა, ხმის გამაძლიერებელი დინამიკებით, ვეჭვობთ, მხოლოდ სოფელში მცხოვრები მუსლიმებისთვის იყო გათვლილი. მას სხვა, უფრო შორსგამიზული, დატვირთვა გააჩნია. ამას გვათვიქრებინებს, მინარეთის კანონიერ დემონტაჟთან დაკავშირებით, ნაციონალების „ლოცვა-კურთხევით“ საქართველოში „მოღვაწე“ ლიბანელი ბიზნესმენის ფადი ასლის მუქარის ტონით გაკეთებული განცხადება: „ჩემს ძვირფას ქართველებს შევახსენებ, რომ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების უმრავლესობა ისლამური ქვეყნებიდანაა. ეს ქრონიკული ისლამოფობია უკუპროდექტიულია. ქვეყანას ეს გაცილებით ძვირი დაუჯდება, ვიდრე ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაა“.

იგი შეგნებულად თვალს ხუჭავს იმ ფაქტზე, რომ საქართველოში ასეულობით (ვაეროს ოფიციალური მონაცემებით — 240) მუსლიმანური სალოცავი მოქმედებს, თბილისში მართლმადიდებლური ეკლესიის გვერდით მდგარ მეჩეთში ყოველგვარი ხელის შეშლის გარეშე მუსლიმანები წყნარად და შშვილად ატარებენ თავიანთ რელიგიურ რიტუალებს. მაგრამ იმის გამო, რომ სოფელ ჭელაში უკანონოდ აღმართული მინარეთის კანონიერი დემონტაჟი განხორციელდა, აღშოთებული ლიბანელი ინვესტორი ქართველებს ქრონიკულ ისლამოფობებს უწოდებს. მისი ამგვარი ქმედება, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირი და უხეში ჩარევაა ჩვენი ქვეყნის შიდა რელიგიურ თუ პოლიტიკურ საქმეებში. ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ და არასამთავრობო ორგანიზაციამ უნდა იცოდეს, რომ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, გარკვეულ სიტუაციებში, ნამდვილად აქვს უფლება და ვალდებულიცაა იტვირთოს სახელმწიფო ფუნქციები; ვიდაც ფადი ასლის კი, ნამდვილად არ აქვს უფლება მუქარითა და თითის ქნევით ჩვენი ქვეყნის რელიგიურ თუ პოლიტიკურ საქმეებში ჩარევისა.

9) ხალხში ვრცელდება ინფორმაცია, რომ თითქოს ეს ყველაფერი ნაციონალებმა დაგეგმეს და განახორციელეს. დავუშვათ ეს მართლაც ასეა, მაგრამ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ როგორ, რა საბუთით მოხდა ამ მინარეთის საბაჟოზე გადმოტანა, მაშინ როდესაც საქართველოში მეჩეთებისა და, მით უმეტეს, მინარეთების აშენების შესახებ კანონი არ არსებობს. სად იყო ამ დროს სახელმწიფო უშიშროება და სახელმწიფო უშიშ-

როების დეპარტამენტი თავისი პირწავარდნილი ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი ხედვის მქონე (ამჟამად უკვე ყოფილი) მდივნით? გარდა ამისა, მინარეთი თვენახევრის წინ იქნა აღმართული და იგი უშიშროების თუ კონტრდაზვერვის თანამშრომლებმა, ნემსი ხომ არ იყო, რომ ვერ შეამზნიეს, თუ შეგნებულად თვალი დახუჭებს? ამ საკითხთან დაკავშირებით საგანგაშოა სახელმწიფო უშიშროების საბჭოს და მისადმი დაქვემდებარებული სტრუქტურების დუმილი. შეიძლება ითქვას, ეს სახელმწიფო ღალატის ტოლფასია და ამაზე უნდა დავარის ხორ ზარები.

10) ამ და სხვა მომხდარი ფაქტებიდან გამომდინარე, დღის წერიგში უნდა დადგეს „რელიგიურ უმცირესობათა შესახებ“ ცოტა ხნის წინ მიღებული კანონის გადახედვისა და მასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების საკითხი, რადგან ასეთ მტკიცნეულ საკითხზე დადგენილებისა თუ კანონის მიღებისას, პირველ ყოვლისა, ხალხის ნება უნდა იყოს გათვალისწინებული.

11) საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქვეყნის ერთიანობას განაპირობებს ძლიერი ეკონომიკური ბაზა და სახელმწიფოებრივი ხელვის ეროვნული იდეოლოგია. ეს ორი საყრდენი თუ მოიკოჭლებს, მაშინ ასპარეზზე გამოდის მრავალსაუკუნოვანი (ქართულ სინამდვილეში ეროვნულობასთან გაიგივებული) სარწმუნოება. დღეს საქართველოში არც ძლიერი ეკონომიკური ბაზა და არც სახელმწიფოებრივი ხელვის ეროვნული იდეოლოგია არსებობს, ორივე შეგნებულად ჩაჩენეს და დასამარეს; დარჩა მხოლოდ ეროვნული სარწმუნოება, რომელიც ასეთ მძიმე სიტუაციაში ვალდებულია თავის თავზე აიღოს ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებისა და გადარჩენის მისია (რაც არაერთხელ მომხდარა წარსულში).

12) ყველა ევროპელ მრჩეველს, ადგილობრივ სამთავრობო პარტიასა თუ არასამთავრობო ორგანიზაციას შევახსენებთ, რომ თუ მართლმადიდებლებს არ აქვთ უფლება სათანადო ნებართვის გარეშე ეკლესიის აგების ან რესტავრაციის ჩატარებისა, მუსლიმებს რატომ უნდა ჰქონდეთ მეჩეთის ან მინარეთის აგების უფლება? გარდა ამისა, როდესაც ფერის მთაზე სააკაშვილის ხელისუფლებამ მშენებლობის ნებართვის არქონის გამო მშენებარე სამონასტრო კომპლექსი ტრაქტორებით გადათხარა და დაანგრია, მაშინ სად იყვნენ ეს არასამთავრობო ორგანიზაციები თუ პოლიტიკური პარტიები, რატომ არ ამოიღეს ხმა?

13) მინარეთის აღდგენის მომხდარებს შევახსენებთ, რომ ასეთი რამ

ქვეყნის ხელისუფლებისა და სახელმწიფო სტრუქტურების გევრდის აგლით არც ერთ ეგრობულ სახელმწიფოში არ ხდება. გერმანიაში ორ მილიონზე მეტი მუსლიმანი გერმანიის მოქალაქეა, ასევე ინგლისში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში, აბა სკადონ და ისე მოიქცნენ, როგორც ჩვენთან იქცევიან, — რა რეაგირება იქნება შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან, თურნდაც ძალის გამოყენების თვალსაზრისით.

საქართველოში მუსლიმ სუნიტთა ჯერჯერობით სუსტი თემი არსებობს. ღლებისთვის თურქეთის სპეცსამსახურები მისი გაძლიერებისთვის დაუფარავად ყოველ ღონეს ხმარობენ. იქნებ ამასთან დაკავშირებით ხდება დროდადრო საქართველოში ე.წ. თურქი მესხების დაბრუნების საკითხის გააქტიურება, რომელთა უდიდესი ნაწილი დაუინებით მხოლოდ და მხოლოდ თურქეთის მოსაზღვრე სამცხე-ჯავახეთში ჩასახლებას მოითხოვს. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათ ზურგს უკან უცხო ქვეყნის სპეცსამსახური დგას, რომლის მიზანიც საქართველოში პანისლამიზმის გაძლიერებაა.

გარდა ამისა, მეტად დამაფიქრებელია თურქეთის გარკვეული წრეების განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოში „ისტორიის მანძილზე პირველად შეიქმნა ისეთი რეალობა, როდესაც შესაძლებელი გახდა საქართველოს პარლამენტში მუსლიმი პარლამენტარების მოხვედრა და ქვეყნის სათავეში მუსლიმი ხელისუფლების მოსვლა“. ეს როგორ განაცხადი არ გახლავთ. მას გარკვეული რეალური საფუძველი აქვს. თურქეთს თავისი ფუნდამენტური ინტერესები ყოველთვის პქნდა და დღესაც აქვს საქართველოს მიმართ და მის განხორციელებას ძირითადად ეკონომიკური საშუალებებით აპირებს. ამის შესახებ დაუფარავად განაცხადა დღევანდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა დავიდ ლოლუმ.

14) იქნებ როგორმე აგვისხნათ, რატომ ხდება, რომ ისეთ ქვეყანაში, რომელსაც რამდენიმე ათასწლოვანი განუმეორებელი კულტურა და ტრადიციები გააჩნია, ამ ბოლო დროს ქართული ტელევიზიის ყველა არხზე 24 საათის განმავლობაში მხოლოდ თურქული ფილმების სერიალების ჩვენება მიმდინარეობს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ თურქეთის სახელმწიფო იდეალების, თურქული ტრადიციებისა და ცხოვრების წესების გაძლიერებულ პროპაგანდას წარმოადგენს? ამ ფონზე საქართველოს არც ადრინდელ და არც ამჟამინდელ ხელისუფლებას არ გააჩნია ამგვარი საფრთხისაგან საკუთარი ქვეყნის დაცვის სურვილი; პირიქით, ისინი როგორც წარსულში, ისე დღესაც ხელს უწყობენ თურქულ დემოკრატიულ ექსპანსიას.

15) ძალიან საეჭვოდ გამოიყურება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიერ ათასობით თურქისთვის უცბად და გულუხვად საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება. აღარაფერს ვამბობთ სხვა ქალაქებსა თუ დასახლებულ პუნქტებზე, მხოლოდ ბათუმში დღეისათვის უკვე ათეული ათასობით საქართველოს მოქალაქეობა მიღებული თურქი ცხოვრობს, რომლებსაც მყარად დამკვიდრებისთვის თურქეთის ხელისუფლება მატერიალურად უხვად ეხმარება. ეჭვს გარეშე შეიძლება ითქვას, როდესაც საქართველოში თურქი მოსახლეობის რაოდენობა კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს, მათი მხრიდან არც აგრესია იქნება გამორიცხული.

16) პარლამენტარი სერგო რატიანი მ. სააკაშვილის ამ ნაბიჯს დიდ მიღწევად თვლის და პრესის ფურცლებიდან ხალხს მოძღვრას: „მნიშვნელოვანია, როდესაც საქართველოს მოქალაქეობის ქონის სურვილი უწნდებათ იმ ადამიანებს, ვისთვისაც საქართველო წინაპრების სამშობლოა, რომლებსაც აქვთ საქართველოს მიმართ გარკვეული კულტურული იდენტურობა. ამასთან, აქვთ საქართველოში საქმიანი ურთიერთობები. სამწუხაროა, რომ დღეს გვიწევს ახსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ პირების დამოკიდებულებას ქართული სახელმწიფოს მიმართ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს ხალხი თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს ჩვენი კულტურისა და ენის პოპულარიზაციის, კულტურათაშორისი ურთიერთგაგებისა და დიალოგის კიდევ უფრო განვითარების საქმეში“.

ბ-6 ს. რატიანს შევახსენებთ, რომ „იმ ადამიანების“ წინაპრების სამშობლო თურქეთის მიერ მიტაცებული ის ქართული მიწაა, სადაც დღემდე ცხოვრობენ, სადაც მათ ქართულ, მართლაც შშობლიურ ენაზე არა თუ სახელმწიფო, არამედ კერძო დაფინანსებითაც კი ერთი კერძო დაწყებითი ოთხკლასიანი სკოლაც არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, რომელი ჩვენი ენის პოპულარიზაციაზეა ლაპარაკი? მათ გარკვეული კულტურული იდენტურობა და საქმიანი ურთიერთობა არა აქ, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იქ, ძირძევლ ქართულ მიწაზე, მართლაც თავიანთ მამა-პაპურ საცხოვრისზე, უნდა გამოვლინონ და გამოხატონ. მხოლოდ ამგვარი ქმედებით შეიძლება კულტურული თუ სხვა სახის ორმხრივი თანამშრომლობა.

რაც შეეხება „საქმიან ურთიერთობას“, ეს ურთიერთობა თურქეთის ინტერესებიდან გამომდინარე მხოლოდ ცალმხრივია და, ზოგიერთი ჩვენი არაეროვნული ვაიბიზნესმენის ხელშეწყობით, მხოლოდ

და მხოლოდ საქართველოში თურქეთის ეკონომიკური და რელიგიური ექსპანსიის გაძლიერებას ემსახურება.

ყოველივე ამასთან აშკარად შეინიშნება ენობრივი ექსპანსიაც. ამის დასტურია დღეისათვის არა მარტო დედაქალაქის ქუჩებში, არა ამედ რეგიონებშიც, განსაკუთრებით კი ცენტრალურ მაგისტრალურ სატრანსპორტო გზების გაყოლებით, მეტისმეტად თვალში საცემი მხოლოდ და მხოლოდ თურქულენოვანი რეკლამები და წარწერები. ასეთ ვითარებას მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში, თვით თურქეთშიც კი, რომელსაც კეთილისმყოფელად აცხადებს ჩვენი ხელისუფლება, ვერ ნახავთ.

მინარეთის დასაწყიობების შემდეგ სიტუაცია განეიტრალდა და მოსახლეობაც დამშვიდდა. დღევანდელი ხელისუფლების მესვეურთ, კონკრეტულად, თავისი ნებით წასული, უკვე ყოფილი პრემიერ-მინისტრი, იმის ნაცვლად, რომ სოფელ ჭელაში მინარეთის შემოტანისა და აღდგენის, თუ ბათუმში მეჩეთის მშენებლობის კანონიერების დადგენის მიზნით კომპეტენტური კომისია შეექმნა, ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილისა და ქართული ეკლესიის ხელმძღვანელობის გვერდის ავლით ოქტომბერში მუსლიმ სასულიერო პირებს შეხვდა და ეს მტკიცნეული საკითხი ერთპიროვნულად მათ სასარგებლოდ გადაწყვეტა.

აღნიშნული შეხვედრის შედეგმაც არ დააყოვნა. მიმდინარე წლის 27 ნოემბერს გვიან დამით, ასეულობით პოლიციელის გა-




პოლიციის კორდონი ჩოგოძის სახლის წინ  
ხელახლა აღმართულ მინარეთთან.

ძლიერებული ესკორტისა და ზოგიერთი ვაიპარლამენტარის თანხლებით მინარეთის რკინის კონსტრუქცია კვლავ სოფელ ჭელაში დააბრუნეს და უკანონო, ე.წ. მეჩეთის, ოფიციალურად კი, ვიღაც ჩოგაძის კერძო სახლის, გვერდით ზარ-ზეიმით აღმართეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღილობრივი მოსახლეობის სამართლიანი პროცესტი კი, დარჩა „ხმად მღადადებელისა უდაბნოსა შინა“.

რაც შეეხება ე.წ. დემოკრატიულ ევროპას, იქ სალოცავი მეჩეთის შენებლობას, მით უმეტეს, მინარეთის მიშენების უფლებას ყველანაირად ზღუდვენ, რადგან მინარეთი უკვე პოლიტიკური დატვირთვის მატარებელი გახდა და მიანიშნებს მუსლიმური სარწმუნოების დომინანტობაზე (ამის ნათელი დასტურია, ამ ბოლო წლებში თურქეთში ყველა მეჩეთთან მინარეთის აუცილებლად მიშენების ფაქტი).

ამრიგად, ეროვნული თვითშეფადობის წაშლის მიზნით, წარსულშიცა და დღესაც, გლობალისტთა მესვეურები ცდილობენ, საქართველოში ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას დაუპირისპირონ არა მხოლოდ მათი ფინანსური დახმარებით მომრავლებული რელიგიური სექტები, არამედ ისეთი ფუნდამენტური სარწმუნოება, როგორიცაა ისლამი. მაგრამ მათ „ავიწყდებათ“ ერთი რამ, კერძოდ: დღეს მუსლიმანური ქვეყნები აღარ არიან გასული საუკუნის 60-იანი წლების თვითშეგნების მატარებელი. დღეისთვის ისინი ყველა საშუალებით (მათ შორის რელიგიის გამოყენებითაც) არა გლობალიზაციის, არამედ თავიანთი ეროვნული სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობისა და გაფართოება-განმტკიცებისთვის იბრძვიან. აქედან გამომდინარე, თურქეთის მთავრობის ხელშეწყობით ფარულად შემოტანილი და „მსოფლიო დონის“ ქართველ გლობალისტთა ჩუმი „ლოცვა-კურთხევით“ ერთ დამეში დამონტაჟებული მინარეთი — ეს არის არა მარტო საქართველოში თურქული ისლამიზაციის გავრცელება-განმტკიცების, არამედ ჩვენი ქვეყნის დეზინტეგრაციის მცდელობაც.



## მამუკა ცუხიშვილი

### აბასთუმანი – სამკურნალო ოაზისი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ისტორიული ოძრების, იგივე ოცნების, თანამედროვე აბასთუმნის წარსულისა და დღევანდელობის შესწავლა.

„ქართლის ამბავის“ აღწერისას ლეონტი მროველი ბრძანებს: „ხოლო შვილთა შორის მცხეთოსისათა გამოჩნდეს სამნი გმირი სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა უფლოს, და შემდგომსა ოძრებოს, და მესამესა ჯავახოს. განუყო მათ ქუეყანა და ნათესავი მათი ყოველი. ოძრებოს მისცა ტასისეგარითგან ვიღრე ზღუამდე სპერისა, ქუეყანა კლდოვან. ამან ოძრებოს აღაშენა ორნი ციხე ქალაქი: ოძრებე და თუხარისი.“<sup>1</sup> ეს ის ოძრებოსა, რომლის მამა იყო „მცხეთოს, უგმირე მმათა მისთა“ და რომელიც დაემკვიდრა „საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისა.“

როდესაც ძლევამოსილმა ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო მრავალი ქვეყანა, მოაღა „ქუეყანასა ქართლისასა და პოვნა ციხე-ქალაქი ესე ძლიერნი შუა-ქართლ: წუნდა, ხერთუსი მტკურისა, ოძრებე მოკიდებული კლდესა ღადოსსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვან ჭოროხი...“<sup>2</sup> არსებობს გადმოცემა: როცა მაკედონელი ოძრებეს სტუმრობდა, მხედართმთავარიცა და ჯარისკაცებიც ადგილობრივი მინერალური წყლებით მკურნალობდნენ, რომლებმაც შემდგომ სახელი განუთქვა ოძრებეს, ანუ იგივე აბასთუმანს.

იბერიის პირველმა მეფემ ფარნავაზმა (ძვ.წ. IV-III სს.) მოიპოვა სრული უფლება დამსახურებულად „ებატონა ყოველსა იბერიასა ზედა“, რომელიც „უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა ზედა თვისთაგან“

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, დეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, თბ., 1955, გვ. 9. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ფაუხიშვილის მიერ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 17.

და „განამრავლნა ყოველი მტედარნი ქართლოსიანნი“, რის შემდეგაც „განაწესნა ერისთავი რეანი და სპასპეტი:“ ამ რეათაგან ერთ-ერთი გაგზავნა „ოძრებეს ერისთავად, და მისცა ტასისკარითგან, ვიდრე არისიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა:“<sup>3</sup> ტასისკარი, ანუ თანამედროვე ტაშისკარი მდებარეობს ხაშურის რაიონში, ქვიშხეთის თემში, ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ხოლო არისიანის ქედი, იგივე არსიანი მდინარეების — ჭოროხისა და მტკურის წყალგამყოფია.

ოძრებეს ერისთავი გამორჩეული და აღიარებული მმართველი იყო იბერიის მეფის კარზე და მის სახელს ქართველი მემატიანენი მრავალგზის ახსენებენ. ასევე დოკუმენტურად საბუთდება, რომ ოძრებეში ნამდვილად იყო მეფეთმეფე თამარის რეზიდენცია, ციხე და ხიდი, რაც ასევე მის უაღრესად დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

დროთა სიავემ და გარეკანულმა დაძაბულმა ვითარებამ ისტორიული ოცნებე, ანუ ოძრებე დროებით მოსწყვიტა დედასამშობლოს და თურქეთის ხელში აღმოჩნდა, რამაც უაღრესად უარყოფითი და ტრაგიკული მოვლენები გამოიწვია. აბასთუმანის, ისე როგორც მთელი სამცხე-ჯავახეთის პრობლემა ვინ იცის როდის მოგვარდებოდა, რომ არა აღრიანობოლის (თანამედროვე ქალაქი ედერნე მდებარეობს თურქეთის ჩრდილო-დასავლეთში) ცნობილი ზავი, რომელიც გაფორმდა 1829 წლის 2(15) სექტემბერს. მისი ძალით, თურქეთი აღიარებდა საქართველოს რუსეთის ხელში გადასვლას. ამ პერიოდიდან ოძრებე აღარ იხსენიება წყაროებში და მას ჩანაცვლა აბასთუმანი. აკად. ვახტანგ ბერიძის აზრით, „სახელი აბასთუმანი ოძრებე XIX საუკუნეში მიიღო მეზობლად მდებარე სოფლისგან; თვით ოძრებე დაცარიელებული იყო, მისი სახელი ახალმა ხელისუფლებამ, აღბათ, რიგიანად არ იცოდა და გამოიყენეს უახლოესი „ცოცხალი“ სოფლის სახელი.“<sup>4</sup>

ვახუშტის „ქართლის ცხოვრებაში“ პირველად შემოაქვს ცნობები ოძრებეს სამკურნალო ცხელი წყლების შესახებ, რომლებმაც შემდეგ აბასთუმანს სახელი გაუთქვეს.

რაც შეეხება აბასთუმანის წარსულის დიდებულ ნაშთებს, გარდა თამარის ხიდისა და თამარის ციხისა, ციხის გალავანშივე დგას უგუმბათო ეკლესია, „რომელსაც მიუხედავად საფუძვლიანი გადაკეთებისა შერჩენია: დიდი მოჩუქურთმებული ჯვარი და ჩუქურთ-

<sup>3</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>4</sup> ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1970, გვ. 87.

მიანი არშიებით შემკული სარკმელები დასავლეთის ფასაზე. ეს ჩუქურთმები შესაძლოა XIV საუკუნისაც იყოს. ხოლო შეა აბას-თუმანში დგას ახალი ეკლესია „ახალ ზარზმად“ წოდებული, აგებული რუსეთის ტახტის მემკვიდრის გიორგის სურვილით. ამ ეკლესიაში საინტერესოა კედლის მხატვრობა, რომელიც შესრულებულია ცნობილი რუსი მხატვრის მ. ნესტეროვის მიერ 1899-1904 წლებში.<sup>5</sup>

ქვეყანაში არსებული საყოველთაო განუკითხაობის პირობებში, 1919 წლის იანვარში, თურქი ასკერების ბანდებმა ბარბაროსულად დააყაჩაღეს აბასთუმანი და მისი მოსახლეობა. პირველი რესპუბლიკის მთავრობის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში ვკითხულობთ: „ცულით დაჩეხეს ტაძრების კარები, ოჯახებში ჩახოცეს უამრავი ადამიანი, გაიტანეს 5 ფუთამდე ვერცხლის განძეულობა, ასევე 500 000 მანეთის ძვირფასეულობა. მოახორეს ყველაფერი, გაიტაცეს ყველა სამეურნეო იარაღი, სურსათ-სანოვაგე, ლოგინი, ტანსაცმელი.“<sup>6</sup>

აბასთუმანში, მოვათანებით აგებულ შენობებთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „შენობათა მესამე ჯგუფს მიეკუთვნება XIX-XX საუკუნეებში აგებული თვალსაჩინო არქიტექტურული ნაგებობები: „არაზინდო“, „აღობილი“, „ცისარტყელა“, „ვარძია“, „ზეკარი“, რუსეთის პრინცის, — გიორგის საზაფხულო (ამჟამად დედათა მონასტერი) და საზამთრო (ახლანდელი სანატორიუმი „მესხეთი“) სასახლეები, ფოსტის შენობა, პრინცის ექიმის სახლი“ და სხვ.<sup>7</sup>

აბასთუმანში აღმოჩენილი ჯვრის კვარცხლბეკის ფრაგმენტები გვამცნობს ქართველთა ერისთავის მამფალ არშუშა პატრიკიოსის შესახებ. მისი ასომთავრული წარწერის შესახებ მოკლე, მაგრამ მეტად საინტერესო ვარაუდი გამოთქვა თ. ბარნაველმა: „პალეოგრაფიული ხასიათით აბასთუმნის წარწერაის შესრულება შეიძლება ვივარაუდოთ VI-VII საუკუნებს შორის, ე.ი. იუსტინიანე I დროს.“<sup>8</sup>

არშუშა რომ ნამდვილად იყო ქართლის ერისმთვარი 687-700 წლებში, ეს უდავოა, ამ ცნობას აღასტურებს აბასთუმნის ეკლესიის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერაც. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერთა შორის დავა დღემდე გრძელდება, ფაქტი ფაქტად რჩება: აბას-

<sup>5</sup> იქვე, გვ. 84.

<sup>6</sup> სეა, ფ. 1448. ანაზ. 1.

<sup>7</sup> საქართველოს ისტორიისა და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის წელიწერული, 6. თათარაშვილი, არქიტექტურული ძეგლის სტატუსი, თბ. 2002-2003, №6-7, გვ. 36.

<sup>8</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, თ. ბარნაველი, აბასთუმნის ერთი წარწერის შესახებ, თბ. 1969, №5, გვ. 142.

თუმანში (ოძრგეში) ჯერ კიდევ V-VII საუკუნეებში მდგარა ქრისტიანული ტაძარი.

### აბასთუმნის სამკურნალო მინერალური წყლები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვახუშტი გვაწვდის ცნობებს ოძრგეს ცხელი წყლების შესახებ. აბასთუმანში „გველების წყარო“ იყო ერთადერთი ადგილი, საღაც მოწყობილი ყოფილა აუზები მსურველთათვის. შესაბამისად, ახალციხეში დამკვიდრებულმა რუსეთის სამხედრო ყაზარმის აღმინისტრაციამ ითავა აბასთუმნის სამკურნალო წყლების მოვლა-პატრონობა და მისი თვისებების მეცნიერული შესწავლა.

რუსი მკვლევარი პ. კოვალენსკი წერს: „1830 წლიდან რუსეთის სამხედრო ექიმები და ქიმიკოსები თანდათან ეცნობოდნენ აბასთუმნის ჰავას და წყლებს. 1832 წელს პირველი ცდა ჩაატარა ქიმიის მაგისტრმა გომბლატმა და მისით კმაყოფილი დარჩა, ხოლო 1838 წელს მინერალოგიის სპეციალისტმა ვილემშიმა ჩაატარა წყლების პირველი სრული ანალიზი და სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო აბასთუმნის წყლების ათვისების ისტორია.“<sup>9</sup>

1832 წელს აბასთუმანში სხვადასხვა დროით გაიგზავნა სამხედრო გარნიზონის ჯარისკაცები, რომელთაც ქქონდათ ქრონიკული, მწვავე და მძიმე დაავადებები. როგორც შემდგომმა გამოკვლევებმა ცხადყო, მათხე დადებითად იმოქმედა მინერალურმა ცხელმა წყლებმა და უმრავლესობა გამოჯანმრთელდა. ახალციხის სამხედრო გარნიზონთან არსებული ლაზარეთის ექიმებმა (ე. გოლმბლატის თაოსნობით) სთხოვეს ხელმძღვანელობას, წერილით მიემართათ კავკასიის მთავარმმართებლის, ბარონ გრიგორ როზენისათვის, რათა აბასთუმნის სამკურნალო წყლების ტერიტორია სამეთვალეყორეოდ გადასცემოდა ახლაციხის ლაზარეთს. წერილმა მართლაც მიაღწია როზენამდე და შესაბამისი დასტურიც გაიცა, მაგრამ, გარკვეული ხელშემშლელი გარემოებების გამო, 1843 წლამდე აღნიშნული საკითხი აღვილიდან არ დაძრულა.

ნელნელა და ეტაპობრივად შენდებოდა აბასთუმნის ცხელი წყლების ირგვლივ სააბაზანე შენობები, სახლები და ვითარდებოდა ინფრასტრუქტურა.

1853 წლის ყირიმის ომის დროს, რომელიც გარკვეული დროის

<sup>9</sup> П. Коваленский, Абастуман. Москва, 1881, გვ. 21.

განმავლობაში ახალციხესთან (კავკასიის ფრონტი) მიმდინარეობდა და რომელსაც ხელმძღვანელობდა თავადი იგანე ანდრონიკაშვილი. ქართველთა 5 000 მეომრისგან შემდგარმა ლაშქარმა დაამარცხა ალი-ფაშას 20 000 ჯარისკაცი, რის შემდეგაც აბასთუმნის გავლით (და გზადაგზა შეკრებილი) 10 000 მეომრით მდინარე ჩოლოქთან გაანადგურა სელიმ-ფაშას 30 000 ჯარისკაცისაგან შემდგარი არმა. საბრძოლო მოქმედებები აბასთუმანშიც მიმდინარეობდა, რასაც მოჰყვა ჯერ კიდევ მოუმაგრებელი აბასთუმნის განადგურება. „მე ვნახე პატარა აბასთუმანი ბარბაროსულად აკლებული, უკარებოდ, უფანჯროდ, უვანებოდ, წლობით შექმნილი აბასთუმანი გაპარტახებული, ყოველივე სიცოცხლემოკლებული“, — წერდა სამხედრო ექიმი ი. პრისელკოვი.<sup>10</sup>

აბასთუმნის გამოცოცხლება 1865 წლიდან დაიწყო. 1869 წელს აბასთუმანმა თავი დააღწია სამხედრო მმართველობას და გადავიდა სამოქალაქო სექტორის ხელში. ამ საქმის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი იყო სამხედრო ექიმი ა. რემერტი. ეს ის რემერტია, რომელის თაოსნობით 1873 წელს თბილისში გაიხსნა სამშობიარო სახლი. როდესაც ბორჯომის ხეობა მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვს გადაეცა, მისი გადაწყვეტილებით ბორჯომის განვითარება სწორედ ა. რემერტს დაევალა. რომელმაც თავდაუზოგავი და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მის აყვავებაში.

რემერტი აბასთუმანშივე მასაინძლობდა რუსეთის საიმპერატორო კარის მაღალი რანგის მოხელეებს და თავად მეფეს, მის მეუღლესა და შვილებს. შემდეგ, თავად იმპერატორის განკარგულებით გადაყვანილ იქნა რუსეთში და დაინიშნა მთავარ სამხედრო ექიმად. მაგრამ სიცოცხლის ბოლო წლებში დიდი სურვილი აიხდინა და აბასთუმანში დაბრუნდა, სადაც გარდაიცვალა 1902 წელს. თანახმად ანდერძისა, ქართველ-კათოლიკეთა სასაფლაოზე დაკრძალეს.

რემერტის შემდეგ აბასთუმნის აღორძინებას სათავეში ჩაუდგა ექიმი ი. გოპაძე, რომელმაც მეორე სიცოცხლე შთაბერა რემერტის დაწყებულ საშვილიშვილო საქმეს. „ლმერთს მაღლობა უნდა შევწიროთ, რომ უუფროსო პირობებში უფროსობას სწევს ექ. გოპაძე. მას უყვარს აბასთუმანი. ის იქ არ არის დაბადებული, მაგრამ იქ გაიზარდა, მან მთელი თავისი ახალგაზრდობის წლები მიუძღვნა საყვარელ საქმეს და აბასთუმანს. ეს არის კურორტი უპოლიციო, უმთავრობო, მუნიციპალიტეტის გარეშე, წესრიგიანი და საუცხოოთ

<sup>10</sup> კავკასიის არქეოლოგიური აქტები, 1866, ტ. 1.

მოწყობილი. ყველაფერი ეს გოპაძის დამსხაურებაა.“<sup>11</sup>

### აბასთუმნის მაკურნებელი ჰავა

აბასთუმანი არის საშუალო მთის კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტი. მდებარეობს ზღვის დონიდან 1260-1340 მ. სიმაღლეზე. ჰავა — სუბტროპიკული მშრალი, ზამთარი — ზომიერად თბილი, თოვლიანი, იანვრის თვის საშუალო ტემპერატურა უდრის +7°C.

1920-იანი წლებიდან თანდათან გამოიკვეთა აბასთუმნის ეტაპიბრივი განვითარების გენერალური გეგმა, რომელმაც ასახვა პპოვა მომდევნო ათწლეულებში. აბასთუმანი რომ იმთავითვე უმნიშვნელოვანესი სამკურნალო ოაზისი იყო, ეს ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ მაღალტექნოლოგიური კვლევები აუცილებელი პირობა იყო იმისათვის, რომ დადგენილიყო მისი კლიმატის, მთის, წყლებისა და ჰავის დადებითი თვისებები, რაც საკმაოდ შრომატევადსა და საპასუხისმგებლო საქმეს წარმოადგენდა.

„აბასთუმანში როდესაც შედიხარ, წამსვე იგრძნობ ჰაერის სისუფთავეს, შზის სხივების სიძლიერეს და დაზიანებული ფილტვები იწყებენ თავისუფლად სუნთქვას და რამდენიმე დღეში ადამიანის ორგანიზმი ტყობილობს რაღაც განახლებას და ადამიანს სიხალისის ლტოლვილობა ემატება. თუ ადამიანს ფილტვები დაუზიანდა, ბრონქები წაუხდა, ჩონჩხები გაუფექდა, უბედური სენი — ჰელენი ეწვია, მისი მესაიდუმლე, მისი ექიმი აბასთუმნის ბუნებაა. აბასთუმანი ჰავის სიზომიერით, შზის, წყლების, ბუნების შემოქმედებით თვით ბუნების საავადმყოფოა. ბუნების სანატორიაა და მისი ნოენიერი წამლებით შეზავებული, იგი საუკეთესო ექიმია ყველა ავადმყოფობის.“<sup>12</sup>

აბასთუმანი თანდათან იზიდავდა ქართველ, საბჭოთა და უცხოელ მეცნიერებსა თუ რიგით ადამიანებს, რომლებიც შემდეგ მოხიბლული და აღფრთოვანებული რჩებოდნენ მისი უნიკალურობისა და გამორჩეულობის გამო. „ფტიზიატრიის განხრით კურორტ აბასთუმნის პრიორიტეტს, უპირველეს ყოვლისა, იძლევა მისი ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობა. ამ ზონაში დაფიქსირებულია მზის ნათების მკვეთრად გაზრდილი ხანგრძლივობა, მთის გამოხატული,

<sup>11</sup> П. Коваленский, Абастуман. Москва, 1881, გვ. 35.

<sup>12</sup> ა. სალუქაშვილი, აბასთუმანი, ტფ., 1921, გვ. 55.

შშრალი, უქარო და გამჭვირვალე სტერილური ატმოსფეროს არსებობა. ხოლო რაც შეეხება წიწვოგანი ტყის მასივებს და თერმულ წყლებს, ისინი ეფექტურს ხდიან თვით მკურნალობის პროცესს. ბუნებრივი ელექტროობა, იონიზაცია — ეს ის პარამეტრია, რომელიც კლიმატის სხვა ელემენტებთან კომპლექსში კეთილმყოფელად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებზე.<sup>13</sup>

ცნობილია, რომ, საქართველოში ტუბერკულოზის პირველი კვალი VI-VII საუკუნეების ნამარხებშია აღმოჩენილი. თავად სხეულება ტუბერკულოზი პირველად ნასხენებია XI საუკუნის მოღვაწის ქანანელის ნაშრომში „უსწორო კარაბადინი“ (XIII ს.), რომელიც შემდეგ მეორდება ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოში“ და ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი-კარაბადინში“ (XV ს.). ძირითადი ტერმინებია — „სილის“ და „ფილტუს სიყლულე“, ხოლო „ჭლექი“ შედარებით მოგვიანო პერიოდის ტერმინია.

საუკუნეების მანძილზე ეს დაავადება უპოვართა სხეულებად მიიჩნეოდა. მისი წარმოშობა და გავრცელება ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონიმიკურ განვითარებაზე, კვების რაციონზე, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სრულყოფაზე, მაგრამ დღეს იგი უკვე შეძლებულთა და სოციალურად უზრუნველყოფილთა დაავადებადაც იქცა.

აბასთუმნის ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს ტუბერკულოზის განვითარების შეფერხებას და ძალიან ბევრ შემთხვევაში მის სრულ ელიმინაციის (ორგანიზმიდან განდევნას) და ავადმყოფის აბსოლუტურ გამოჯანმრთელებას. თუმცა არსებობენ ადამიანები, რომელებსაც კურორტებზე მკურნალობა უმნიშვნელოდ მიაჩნიათ. მაგალითად მოგვყავს ამონარიდი ბ-ნ არჩილ სალაყაას (ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ინტერვიუდან: „კურორტულმა მკურნალობამ მნიშვნელობა მას შემდეგ დაკარგა, რაც გაჩნდა ტუბერკულოზის სამკურნალო წამლები. კურორტებს ამჟამად მხოლოდ ზოგადგამაჯანსაღებელი მნიშვნელობა ენიჭება.“

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 10-იან წლებში კოვალევსკი თვლიდა, რომ „აბასთუმნი ყველა კურორტთან კონკურენციის გარ-

<sup>13</sup> საქართველოს მეტყველის ინსტიტუტის შრომები, ტ. XXXIX, ვ. ბერიშვილი, აბასთუმნის საკურორტო ზონის ტყეებში პაერის ოზნიირებისა და იონთა წარმოქმნის პირობების შესწავლა, თბ., 2003, გვ. 88.

ეშე სდგას და ყველა კურორტმა მას ადგილი უნდა დაუთმოს.<sup>14</sup> ჩვენს სინამდვილეში კი სულ სხვა რამ მოხდა. დამოუკიდებლობის 23-წლიანი ისტორიის მანძილზე განადგურდა და მიწასთან გასწორდა აბასთუმნი ყველა თვალსაზრისით (და არა მარტო აბასთუმნი).

„საბჭოთა პერიოდი უდიდეს კვალს ამჩნევს აბასთუმნის. შენდება ახალი სამედიცინო და საკურორტო შენობები, ობსერვატორია, საბაგირო, კინოთეატრი, ბიბლიოთეკა, სკოლა, ბაგა-ბაღი....მაგრამ, ამჟამად აღარ არსებობს მეფისწულ გიორგის დალუპვის ადგილას აღმართული სამლოცველო, პრინცესა ქენიას სასახლე... XIX საუკუნეში აშენებული აგარაკების თუ საცხოვრებელი სახლების, აგრეთვე სხვადასხვა ფუნქციის შენობების დიდი ნაწილი.“<sup>15</sup>

მნელი მისახველი არ უნდა იყოს, რა და ვინ არის ამ ყველაფრის მიზეზი. ცხადია, ქართველი ხალხი და მის მიერ არჩეული მთავრობები, რომელთაც ეროვნული ფასეულობები არად უღირთ. „დღეს მიჩუმებულ-მიწყნარებულია აბასთუმნი, ოდესიაც ხალხმრავალი, ლალი, მხიარული...და ასე ნელნელა ვეგუებით დღევანდელ რეჟიმს აბასთუმნელები. თუ კურორტი უზარმაზარ სანაცვე ორმოლ იქცა, დიდი არაფერი! თუ მოსახლეობსიათვის აღარ არსებობს ლეთით ბოძებული სამკურნალო მინერალური ცხელი წყალი, დიდი ამბავი! თუ ნელნელა იცლება მოსახლეობისაგან, დიდი ამბავი!.. იტირე, იკრიახე, თავში ქვა ირტყი. ამაო ყველაფერი. ალბათ სამუდამოდ ჩაესვენა აბასთუმნის მზე.“<sup>16</sup>

### აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია

აბასთუმნის სახელი და დიდება ზენიტში აღიყვანა იმ უმნიშვნელოვანებამ მოვლენამ რასაც ერქვა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორის დაარსება. მის დაარსებაში დიდი წვლილი შეიტანა აბასთუმნში სამკურნალოდ მყოფმა გიორგი ალექსანდრეს ძე რომანოვმა (რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე III-ის ვაჟი, 06.05.1871. — 09.08.1899. გარდაიცვალა ტრაგიკულად, კლდეს შეჯახა ველოსიპედით), რომელიც, როგორც ფილტვებით დაავადებული, მკურნალობდა აბასთუმნში და გატაცებული ყოფილა ასტრონომით.

<sup>14</sup> კოგალევსკი, დას. ნაშრომი, გვ. 31.

<sup>15</sup> 6. თათარშვილი, დას. წერილი.

<sup>16</sup> გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, ზ. ლობეგანიძე, კურორტი აბასთუმნი-დიდი დარღი და დიდი ტკიფილი, № 21, თბ., 2011. 03. 02

რუსეთში ოჯახის სანახავად ჩასული გიორგი შეხვდა თავის მეგობარს, პროფესორ ს. გლაზენაპს და დათანხმა აბასთუმაში სტუმრობაზე, რასაც მოჰყვა გლაზენაპის ოთხწლიანი დაკვირვებები და სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც იმ ეტაპზე დასრულდა მაღალ მთაზე პატარა კოშკურის აგებით, სადაც დამონტაჟდა პროფესორ გლაზენაპის მიერ ჩამოტანილი ტელესკოპი. გლაზენაპმა აბასთუმნის ობსერვატორიაში დაკვირვებები 1892 წლიდან დაიწყო და 1897 წელს დაასრულა. ჩატარებულმა დაკვირვებებმა ცხადყო ის ფაქტი, რომ აბასთუმანში საუკეთესო ბუნებრივი პირობები იყო ასტრონომული კვლევებისათვის.

გიორგი რომანოვის ტრაგიკულმა გარდაცვალებამ ხელი შეუშალა ობსერვატორიის საფუძვლიან განვითარებას, მაგრამ საძირკველი ნამდვილად ჩაეყარა, რასაც ისევ რუსეთის სამეცნიერო წრეებიდან მოჰყვა შემდგომი ნაბიჯები.

XX ს-ის 20-იან წლებში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე დაისვა საკითხი ასტროფიზიკური ობსერვატორიის დაფუძნების შესახებ. შეიქმნა საეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა (რუსეთისა და მიმდებარე ქვეყნების, შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკების) ისეთი ადგილები, ბუნებრივი და კლიმატური პირობები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ასეთი სამეცნიერო ობიექტის განთავსება.

ასტრონომიული კვლევები მოითხოვდა ზუსტ დაკვირვებებს, ტელესკოპები და სხვა აუცილებელი სამეცნიერო აღჭურვილობა კი საკმაოდ ძვირადღირებული იყო. ამიტომ, მასზე დახარჯული სახსრები გამართლებულად რომ ჩათვლილიყო, დიდი ობსერვატორიისთვის საუკეთესო ასტრონომიული კლიმატის მქონე ადგილი შეირჩა, რაც ნიშნავს – პაერის მაღალ გამჭვირვალობას, სუფთა და მდგრად ატმოსფეროსა და უღრუბლო ამინდების დიდ რაოდენობას, რადგან ციურ სხეულებზე ოპტიკური ხელსაწყოებით დაკვირვებები მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი.

აბასთუმნის კლიმატმა რუსეთის გარეთაც გაითქვა სახელი. XIX საუკუნის გამოჩენილი ამერიკელი ასტრონომი შერბურნ ბერნჰემი 1893 წელს წერდა: „აბასთუმნის მდებარეობა უაღრესად ხელსაყრელია ასტრონომიული სამუშაოებისათვის. თუ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, არც ერთ ობსერვატორიას ევროპაში არ აქვს ასეთი ხელსაყრელი განლაგება და მნელია დაგასახელოთ ადგილი, გარდა პამილტონის ობსერვატორიისა, სადაც ატმოსფერული პირობები

ასევე ხელსაყრელია.“<sup>17</sup>

ამ მოსაზრებას მომდევნო წლებში დაეთანხმა ედუინ პაუელ ჰაბლი<sup>18</sup>, რომელიც მუშაობდა ჯერ იერქისის, შემდეგ კი მაუნტვილ-სონის ობსერვატორიებში. ამ მეცნიერის პატივსაცემად არსებობს „პაბლის კანონი“, რომლის თანახმად სხვადადასხვა გალაქტიკის სიჩქარე დედამიწის მიმართ პროპორციულია მანძილსა და დროში.

1932 წელს აბასთუმანში სსრკ-ში პირველი სამთო ობსერვატორია დაარსდა. თავდაპირველად ობსერვატორია განთავსდა გიორგისულ კოშქში, სადაც დამონტაჟდა 33 სმ-იანი „გლაზენაპის ტელესკოპი“, ხოლო 1934 წელს სსრ კავშირის ცკ-ის 10 მარტის დადგენილებით აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას გადაეცა „კარლ ცაისის“ (გერმანია) წარმოების 40 სმ-იანი ოპტიკური რეფრაქტორი. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ რუს ასტრონომს და ლენინგრადის ასტრონომიული ინსტიტუტის დამარსებელს, აკადემიკოს ბორის ნუმეროვს, რომლის ასპირანტიც იყო მსოფლიოში გამოჩენილი ასტრონომი ევგენი ხარაძე, რომელიც საქართველოს სსრ ცკ-ის დადგენილების თანახმად იმავე წელს დაინიშნა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორად და 1936 წლის 28 აპრილს ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

„1932 წლის 8 თებერვალს საქართველოს მთავრობამ, ე.ხარაძის მოხსენების საფუძველზე, მიიღო დადგენილება აბასთუმანში ასტროფიზიკური ობსერვატორიის ორგანიზაციის თაობაზე. ჯერ კიდევ არარსებული ობსერვატორიის დირექტორად დაინიშნა ასტრონომიით გატაცებული ოცდახუთი წლის ევგენი ხარაძე. ასე წარმოიშვა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ობსერვატორიის მშენებლობას ენობილის მთაზე, ზღვის დონიდან 1700 მეტრის სიმაღლეზე.“<sup>19</sup>

1937 წელს პირველად მთელს მსოფლიოში დამუშავდა გალაქტიკაში ვარსკვლავთსივრცული სიმკრივეების გამოთვლის ეფექტური მეთოდი, რომელიც ცნობილია როგორც ვაშაკიძე (1909-1956 წწ.)-ოორუტის მეთოდი, რომლითაც ასტრონომიაში შეისწავლება გალაქტიკის ვარსკვლავთა სივრცული განაწილება.

მეორე მსოფლიო ომის პირველივე წელს აბასთუმნის ობსერვა-

<sup>17</sup> ასტრონომიის ცნობარი, აშშ, იერქის, 1934.

<sup>18</sup> ამერიკელი ასტრონომი, ვაშინგტონის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი.

<sup>19</sup> გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, ლ. მგალობლიშვილი, სამი პრეზიდენტი, თბ. 2007. 18. 12.

ტორიამ შეიფარა ყირიმის (სიმეიზის) ობსერვატორიიდან ევაკუირებულ მეცნიერ-ასტრონომთა მცირე ჯგუფი აკადემიკოს გ. შაინის ხელმძღვანელობით. მათ ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი მეცნიერული მუშაობის გაგრძელებისათვის. „აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია ამუშავებდა ასტროფიზიკის, ვარსკვლავთა ასტრონომიის, მზის ფიზიკისა და თეორიული ასტრონომიის პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია კოსმოსის ათვისებასთან. ახალი მეთოდების გამოყენებით წარმოებდა მთვარის ზედაპირის ფიზიკური თვისებების და გალაქტიკაში სინათლის შთანთქმის საკითხების შესწავლა.“<sup>20</sup>

1954 წლის 30 ივნისს აბასთუმნის ობსერვატორიის თანამშრომლების მიერ შესრულდა მზის გვირგვინის გამოსახულების რადიომეტრული განსაზღვრა. 1957 წელს დედამიწის ირგვლივ გაშვებულ ხელოვნურ თანამგზავრზე, პირველად საბჭოთა კავშირში (და მთელს კონტინენტზე) დანერგეს ასტროფიზიკურ დაკვირვებათა ახალი მეთოდები, მათ შორის ფოტოლექტრული მეთოდი. 1958 წელს მექანიკური ტელესკოპით პირველად საბჭოთა კავშირში განხორციელდა მკრთალი არასტაციონარული ვარსკვლავების დაკვირვება და გამოკვლევა და სხვ.

აბასთუმნის ობსერვატორიაში უამრავი მსოფლიო დონის აღმოჩენაა გაკეთებული: აღმოჩენილია 2 კომეტა, რამდენიმე მცირე პლანეტა, 6 ახალი, ერთი განმეორებადი ახალი და 8 ზეახალი ვარსკვლავი, 17 პლანეტური ნისლეული, 3 ვარსკვლავთგროვა, მრავალი ემისიური ვარსკვლავი (მათ შორის 2 ვოლფ-რაიეს ტიპის ვარსკვლავი) და სხვ.

2003 წლის მონაცემებით ობსერვატორიაში მუშავდებოდა „გალაქტიკის აგებულებისა და ევოლუციის შესწავლა ფოტომეტრიის, კოლორიმეტრიისა და სპექტროსკოპიის მეთოდებით, ასტრონომიული და ცვალებადი ვარსკვლავების კვლევა ელექტროფოტომეტრული, სპექტროსკოპული და პოლარიმეტრული მეთოდებით.“ ასევე მიმდინარეობდა „მზის გარე ატმოსფეროს ფიზიკური თვისებების შესწავლა. მთვარისა და პლანეტების ფიზიკური თვისებების შესწავლა ელექტროფოტომეტრული და ელექტროპოლარიმეტრული მეთოდებით. გამოკვლევები კლასიკურ ასტრონომიაში, პლანეტურ კოსმოგონიაში და გარეგალაქტიკურ ასტრონომიაში.“<sup>21</sup>

<sup>20</sup> ქურ. საქართველოს კომუნისტი, №2, თბ., 1958.

<sup>21</sup> აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, თბ., 2003, გვ. 41.

PrimerInfo.Ge-სთან (2013 წლის 7 ივნისი) საუბრისას ილიას უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ გაგნიძე აღმტოთებას ვერ მალავს: „ცნობილია, რომ ილიას უნივერსიტეტთან შეერთების შემდეგ, რომელსაც პირადად მე გიგიას უნივერსიტეტს ვუწოდებ, ობსერვატორიას ჩამოართვეს არა მარტო შენობა, არამედ კვლევითი და ინსტიტუციონალური ფუნქციები და, ფაქტობრივად, გაუქმეს. მეტსაც გეტვით, ობსერვატორიასთან მდებარე კოტეჯებში ცხოვრობდნენ და იქვე მუშაობდნენ ევგენი ხარაძის მოწაფეები და მოწაფეების მოწაფეები. მას შემდეგ, რაც ობსერვატორიას დაეპატრონენ, თევზაძემ და რატიანმა ეს ხალხი კოტეჯებიდან გამოყარეს და თავიანთი ახლობლები შეასახლეს. ყველა დოკუმენტზე, რომელიც იმ პერიოდში შეიქმნა, ამ ორი ადამიანის ხელმოწერა ფიგურირებს. როცა ამ და სხვა საქმეების გამოძიება მოხდება, გიგი თევზაძის გარდა აუცილებლად უნდა დადგეს მისი კანცლერისა და ამჟამად პარლამენტარი სერგო რატიანის პასუხისმგებლობის საკითხიც. მინდა მივმართო საქართველოს პარლამენტს და მის თავმჯდომარეს რატიანისთვის იმუნიტეტის მოხსნის მოთხოვნით, რომ თევზაძესთან ერთად პასუხი აგოს ყველა დანაშაულზე.“

„ასტრონომია პრესტიული მეცნიერებაა. ტყუილად როდი მიაჩნია იუნესკოს, რომ თანამედროვე განვითარებულ, დემოკრატიულ სახელმწიფოთა აუცილებელ ატრიბუტს შეადგენს ადამიანთა მოღვაწეობის სამი სფერო: ფილოსოფია, სპორტი და ასტრონომია. სწორედ ამიტომაა, რომ ტერიტორიითა და მოსახლეობის რაოდენობით, ასე თუ ისე, საქართველოსთან შესადარ ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ბელგია, პოლანდია, დანია, შვედეთი და სხვა, განსაკუთრებულად მაღალ დონეზეა განვითარებული ასტრონომიული მეცნიერება. პოდა, თუკი ჩრდილოეთ ევროპის ამ უმეტესად ღრუბლიან და ნესტიან (რაც მეტად არახელსაყრელია ასტრონომიული დაკვირვებების საწარმოებლად) ქვეყნებში ასეთი მდგომარეობაა, რატომ არ უნდა ვითარდებოდეს მაღალ დონეზე ასტრონომიული მეცნიერება დიდი მომავლის მქონე ჩვენს მზიან საქართველოში.“<sup>22</sup> — ამას ნატრობს 90 წელს მიტანებული მეცნიერი, პროფესორი, ასტროფიზიკოსი ვიქტორ ჯაფრაშვილი, რომელიც 59 წლის განმავლობაში მუშაობდა აბასთუმნის ობსერვატორიაში და თითქმის 20 წელი იყო აკადემიკოს ე. ხარაძის მოაღვილე.

<sup>22</sup> გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 21. 12. 2008.

## დღეგანდელი აბასთუმანი

ჩვენ მოკლედ მიმოვინილეთ აბასთუმნის ისტორია, სამკურნალო ცხელი მინერალური წყლების, ჰავისა და ობსერვატორის წარსული და ბედ-ილბალი. წაკითხულს და მოსმენილს თვალით ნანახი ვამჯობინეთ და ვეწვიეთ ჩემთვის და მრავალთათვის საყვარელ და ძვირფას აბასთუმანს, ისტორიულ ოძრებეს, იგივე ოცხეს.

2013 წლის 19-20 დეკემბერს ჩემი მეგობრის გიორგი გორელიშვილის სტუმართმოყვარე ოჯახმა მიმასპინძლა დაბა აბასთუმანში, რომელიც სამწუხაროდ ერთ პატარა, მივიწყებულ სოფელს უფრო ჰგავს, ვიდრე ადრინდელი შარავანდედით მოსილ კურორტ (დაბა) აბასთუმანს.

პირველი შეხვედრა გვქონდა აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო სააავდმყოფოს (ე.წ. „ზეკარის“) ცნობილ ექიმთან, ქალბატონ ნანა ხევსურიანთან, რომელსაც მხოლოდ ერთი კითხვით მივმართეთ: „თქვენი გამოცდილებიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე, აბასთუმნის ჰავა ნამდვილად მაკურნებლად მოქმედებს ტუბერკულოზითა და ფილტვის სხვა დაავადებებით დაავადებულთა სიცოცხლისუნარიანობასა და გამოჯანმრთელებაზე?“ რაზედაც ქალბატონმა ნანამ გვიპასუხა: „აბასთუმნის ჰავა ნამდვილად მაკურნებელი ეფექტებითა და თვისებებით გამოიჩინევა და ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალოდ ქიმიოთერაპიასთან (დადგენილი მედიკამენტორერაპიასთან) ერთად უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათ გამოჯანმრთელებასა და სიცოცხლისუნარიანობის გაზრდაში. ცხადია, თუკი პაციენტები ზედმიწევნით ზუსტად ასრულებენ იმ მითითებებსა და რეკომენდაციებს, რასაც მათ ექიმი-ფთიზიატრები აძლევენ.“

ქალბატონმა ნანამ ასევე გვითხრა, რომ „ეს საავადმყოფო (ანუ შენობა) საკმაოდ მოძველებულია, მისი მოვლა-პატრონობა ვერ ხერხდება და ამის გამო, ჯერ კიდევ 2008 წელს შედგა გეგმა, რომლის მიხედვითაც კურცხანას (მდებარეობს აბასთუმნის შესასვლელთან-მ.ც.) ტურიტორიაზე უნდა აშენებულიყო ამავე ტიპის 100 საწოლიანი კლინიკა, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა ყველა სათანადო სამედიცინო ტექნიკით.“

თუმცა ეს იდეა და გეგმა დღემდე არ განხორციელებულა. აბასთუმნელები კი სხვა ინფორმაციას ფლობენ. კერძო, „ზემდგომებს“ და „გავლენიან“ ჩინოსნებს თუ ბიზნესმენებს თვალი აქვთ დადგ-



სწორობის და მკურნალი, ქ-ნი ნანა ხევსურიანი.

მული საუკუნოვან შენობაზე და ეს გეგმაც ამ იდეის ნაწილია, ანუ უნდათ რომ „ზეკარის“ შენობა გასხვისდეს პირადი დანიშნულებისათვის, რაც სიმართლესთან ძალიან ახლოსაა.

„ზეკარის“ ტუბსაავადმყოფოს გარდა აბასთუმანში (როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ) იყო ტუბსაწინააღმდეგო ცენტრები „ალბილი“, „ვარძია“<sup>23</sup>, „არაზინდო“, „ოცხე“, „მესხეთი“, „ცისარტყელა“, რომელთაგან დღეს აღარცერთი არ ფუნქციონირებს, რომლებიც გასხვისებული, დანგრეული და აუთვისებელია. არა და ამ ცენტრებში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ჩამოსული ათასობით ადამიანი მკურნალობდა და შედეგიც განსაცვიფრებელი იყო.


ამ ყველა უარყოფით მოვლენას თან ახლავს „ზეკარის“ ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფოს პაციენტთა შხრიდან მკურნალობისადმი დაუდევრობა, რაც „მტრის“ წისქვილზე ასხამს წყალს და საქართ-

<sup>23</sup> თავის დროს, ამ სანატორიუმში იწვა სწორო ლადო ასათანი, რომლის „თეთრი პალატა“ ნაცმომრაობის უზღის შემოჭრამდე, ასე თუ ისე, მაინც დაცული იყო. ახლა კი, გასხვისებული „ვარძია“ ისეა მიგდებული, რომ ნაოულ წარმოდგენას გვიქმნის შენობის ახლანდელი მფლობელის დამოკიდებულებაზე საქართველოს სახელობისა და, საერთოდ, ქართული კულტურის მიმართ. თუ სამართალი მართლა აღდგება, „ვარძია“ ახლანდელმა მეპატრონებმ უნდა გაითვალისწინოს, რომ ეროვნულ ფასეულობათა შეურაცხოფისა და გაჩანაგებისთვის პასუხი ფერებას მოეთხოვება (რედ.).

ველოს ხელისუფლებასა და წამყვან სამედიცინო დაწესებულებას (ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი) აძლევს ხელს, რათა საერთოდაც გაუქმდეს აბასთუმნის ტუბერკულოზის სამკურნალო ერთადერთი საავადმყოფო და მას მხოლოდ სანატორიუმის (სტაციონარული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, სადაც ავადმყოფთა გაჯანსაღებისათვის იყენებენ ჰიგიენურ რეჟიმს, ფიზიოთერაპიას, მზისა და ჰაერის აბაზანებს, მინერალურ წყლებს, სამკურნალო ფიზკულტურას, დიეტას და სხვ.) სტატუსი მიენიჭოს.

ზოგადად, აბასთუმნის ტუბდსაწინააღმდეგო საავადმყოფოს მომავალი სასწორზე დგას, მისი ბედ-იღბალი არავის ადარდებს და არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში „ზეკარში“ ის მოხდეს, რაც აბასთუმნის სხვა ტუბცენტრებს დაემართათ, რაც უდავოდ დიდი შეცდომა და დანაკლისი იქნება მთელი საქართველოსთვის.

გარკვეული საკითხების დასაზუსტებლად მივმართეთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საიდანაც მივიღეთ შემდეგი პასუხი: „სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოში 2012 წლის განმავლობაში რეგისტრირებულია ტუბერკულოზის 4975 შემთხვევა, აქედან ფილტ-



საავადმყოფო «ზეკარი». აბასთუმნის შემორჩენილი ერთადერთი სამკურნალო დაწესებულება.

ვის ტუბერკულოზის – 3907. ფილტვის ტუბერკულოზის რეგისტრი-რებული შემთხვევებიდან 2280 პაციენტს აღენიშნებოდა ბაქტერიაგა-მოყოფა (მგბ+). „აბასთუმნის ტუბდსაწინააღმდეგო საავადმყოფოს“ პირობებში შესაძლებელია ფილტვის ტუბერკულოზის სენიტიური და რეზისტენტური ფორმებით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორიულ რეჟიმში.“

ერთმა ცნობილმა ექიმმა, რომელმაც გვთხოვა, არ გვეთქვა მისი გვარ-სახელი, გაგვიშხილა, რომ „აბასთუმნის ჰავა არა მარტო კურნავს ტუბერკულოზს, ცხადია ქიმიოთერაპიასთან ერთად, არამედ ხელს უწყობს განკურნების შემდგომი პროცესების მართვასა და მიკრობაქტერიისაღმი მგრძნობელობის გაზრდას, რაც უაღრესად დადებითად მოქმედებს პაციენტთა სიცოცხლისუნარი-ანობის ამაღლებაზე. ყოველივე ამის საფუძველი აბასთუმნის ფიჭვია. ფიჭვის პრეპარატებს ფართოდ იყენებენ მედიცინაში. ფიჭვის წიწვებს ხმარობენ როგორც ამოსახელებელ საშუალებას, იყენებენ ვიტამინურ ნედლეულად, ინფექციური დაავადების და ჭრილობების მკურნალობისათვის, წიწვების ექსტრაქტს უნიშნავენ გამამაგრებელ აბაზანებისთვის. ფიჭვის ეთერზეთი გამოიყენება რეგმატული ტკივილებისას შესაზღად და სასუნთქი გზების დაზიანების დროს ჩასასუნთქად, სკიპიდარს იყენებენ რევმატიზმების დროს და აგრეთვე ანტიპარაზიტულ საშუალებად. ჯანდაცვის სამინისტროს, ქართველ ფოთიზატრებს და დარგის სპეციალისტებს აბასთუმანი კარგა ხანია აღარ ადარდებთ და ცდილობენ საერთო-დაც უარი თქვან იქ პაციენტთა გაწერაზე, არადა, მთელი მსოფლიოს მედიკოსების ყურადღება მიმართულია ბალნეო და კლიმატო-თერაპიული კურორტებისკენ, რაც უმნიშვნელოვანესია ამა თუ იმ სახელმწიფოს მომავლისათვის.“

ასეთ კურორტებს მიეკუთვნება გერმანიაში, ბადენ-ბადენის ისტორიული კურორტი, უნგრეთის კურორტები (მათ შორის ჰევიზის ტბა), ინგლისში ბათის ბალნეოლოგიური კურორტი, აღმოსავლეთ შევიცარიაში კურორტი დავოსი (აბასთუმნის მსგავსი ფაქტორებით), იგივე პიატიგორსკის ბალნეოლოგიური ინსტიტუტი და კავკასიის მინერალური წყლები....ყველგან პატრონობენ ბუნების უმდიდრეს და მომაჯადოებელ საგანმურს საქართველოს გარდა.

ხანგრძლივი შეხვედრა გვქონდა ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მთავარ მეცნიერ-თანამშრომელთან (გვარ-სახელს არ ვამხელთ მისივე თხოვნით), რომელიც უკვე 40

**წლია აქ მოღვაწეობს.**

აბასთუმნის ობსერვატორიას საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ არანაირი დახმარება არ მიუღია, მათ შორის ყველაზე მცირეც კი. არ მიუღია ახალი და მსოფლიოში დანერგილი ოპტიკური ხელ-საწყობი და მასალები. ტექნიკური პროგრესი ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სამეცნიერო ობიექტისგან შორს დგას. ამის მიუხედავად, ობსერვატორიაში წუთით არ შეწყვეტილა სიცოცხლე, არ ჩამქრალა სინათლე და დღემდე ელიან მღვმარეობის გაუმჯობესებას.

როგორც ითქვა, საქართველოს წინა მთავრობის გადაწყვეტილებით, ობსერვატორია ილიას უნივერსიტეტს გადაეცა, რაც იმთავითვე უდიდესი შეცდომა იყო. ახლა კი ვრცელდება ინფორმაცია, რომ ახ-ალციხის სასწავლო უნივერსიტეტის ხელში უნდა გადავიდეს, რასაც ეწინააღმდეგებიან მეცნიერები, ვინაიდან ამ სასწავლებელს არ გააჩნია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, არ აქვს სათანადო ბაზა, არც კათედრა, არც ფინანსური სახსრები (ეს არც „ილიაუნი“ იყო), არ არის მზაობა და არც ნება იმისა, რომ ობსერვატორიამ დაიბრუნოს დაკარგული ფუნქციები და ავტორიტეტი.

სამაგისტროდ, ე.წ. „ილიაუნი“ ძალას და ენერგიას არ იშურებს, რათა ობსერვატორიას ტერიტორიაზე განთავსებული სასტუმრო დაანგრიოს და იქიდან გაიტანოს ყველაფერი, დაწყებული ავეჯიდან და დამთავრებული ნათურის ჩათვლით, რასაც მიაღწია კიდეც. ჯერ კიდევ ევგენი ხარაძის სიცოცხლეში ობსერვატორიაში ფეხი მოიკიდეს სხვა მიმართულების ფიზიოსებმა (გეოფიზიკა, თეორიული ფიზიკა), რომლებმაც გარკვეული უარყოფითი გავლენა იქონიეს ობსერვატორიას შემდგომ განვითარებაზე, რაც დღემდე გრძელდება და რაც ჩრდილში აყენებს დარგის წამყვანი სპეციალისტების სამეცნიერო კვლევას; არადა, ობსერვატორიაში წამყვან ძალას უნდა წარმოადგენდეს ასტრონომები, იგივე ასტროფიზიკოსები, რომელთაც აქვთ გამოცდილება და პრაქტიკული ცოდნა.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიას ტერიტორიაზე მდებარე სასტუმრო ამ დროისთვის ცარიელია. სასტუმროში მხოლოდ საკონფერენციო დარბაზი ფუნქციონირებს, თუმცა აქ შეხვედრების ჩატარების მსურველებმა დამის გასათვიდა და სასადილო ადგილი სხვაგან უნდა მოძებნონ. სასტუმროს ყოფილი ადმინისტრატორი აცხადებს, რომ ავეჯი, რომელიც შენობაში იყო განთავსებული, ილიას უნივერსიტეტს ეკუთვნოდა და მისი განკარგვის სრული უფლება ჰქონდა. თამაზ ბარბლიშვილის განმარტებით,

სასტუმრო მას შემდეგ დაიცალა, რაც გაირკვა, რომ ილიას უნივერსიტეტს სასტუმროს მართვის უფლება ჩამოერთვა. აღნიშნული სასტუმრო აბასთუმნში 2009 წლიდან ფუნქციონირებს. ეკონომიკის სამინისტროს 2013 წლის გადაწყვეტილებით, საგანმანათლებლო ორგანიზაციას ბიზნესის წარმოება ეკრძალება, რის გამოც სასტუმრო ილიას უნივერსიტეტს ადარ ექვემდებარება. მისი დახურვის შემდეგ მომსახურე პერსონალი სამსახურის გარეშე დარჩა. ობსერვატორიას თანამშრომლები აცხადებენ, რომ თანამდებობებზე დარჩენილებმა ანაზღაურება შეუმცირდათ. გარდა ამისა, მეცნიერთანამშრომლები მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების მდგომარეობაზეც საუბრობენ. სადაც ევგენი ხარაძისა და მისი მოადგილის კაბინეტები იყო განთავსებული, ავარიულია. დღითიდელე ზიანდება ტელესკოპები და შენობები, აცხადებს აბასთუმნის ობსერვატორიას თანამშრომელი ელდარ გოდერიძე.<sup>24</sup>

ეს მასალა ზუსტად ასახავს ობსერვატორიას დღევანდელ ვითარებას, რაც უდავოდ სამწუხარო და საგანგაშოა. ჩვენს მასპინძელ მეცნიერს შეკითხვით მივმართეთ: „ახალგაზრდები თუ მოდიან ან თუ ინტერესდებიან ასტრონომით“, რაზეც გვიპასუხა: „არა, რადგან ილიას უნივერსიტეტში ამ მიმართულებით არავინ მუშაობს და შესაბამისად არ არსებობს საამისო მზაობა, რაც ნელ-ნელა გვაშორებს ამ უნიკალურ დარგს და 10 წელიწადში პულტის მმართველი სპეციალისტიც კი აღარ გვეყოლება.“ თავად მეცნიერის „ქართუს“ ფინანსური მხარდაჭერით არაერთხელ იმყოფებოდა სამეცნიერო მივლინებაში და დღეს იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს მთავრობა, ახალი პრემიერი ირაკლი ლარიბაშვილი და სამოქალაქო სექტორში გადასული ბატონი ბიძინა ივანიშვილი უსათუოდ დაინტერესდებიან ობსერვატორიას ბედითა და მომავლით.

აბასთუმნის ასტროფიზიკის ობსერვატორია თანდათან ინგრევა, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც სიცოცხლის და თავგანწირვის ფასად იცავდნენ და დღემდე იცავენ 80 წლის ისტორიის მქონე მსოფლიო მნიშვნელობის უდიდეს სამეცნიერო ცენტრს, სადაც სახელოვან მეცნიერთა მოღვაწეობის კვალი დღემდე არ წაშლილა და იქნებ კიდეც გამართლდეს ჩვენი მასპინძლის იმედები ობსერვატორიას დაფინანსების და კვლავ სსიპ დარეგისტრირების შესახებ.

რაც შეეხება ზოგადად დაბა აბასთუმნანს.

დაბა აბასთუმნის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის

<sup>24</sup> რადიო თვალისუფლება, რეიონალური მაცნე, 2013 წლის 30 თებერვალი.

თანაშემწის, ქალბატონ ელენე ბალახაშვილის ინფორმაციით, „2004 წლის 1 იანვრის მონაცემებით დაბა აბასთუმანში ცხოვრობდა (მკვიდრი, ადგილობრივი, მუდმივი მაცხოვნებელი) 2153 სული / 735 ოჯახი, ხოლო დღევანდელი მონაცემებით ცხოვრობს 1200 სული / 495 ოჯახი.“

გარდაცვალების ხშირი ფაქტები განაპირობებს მოსახლეობის საგრძნობ კლებას, რაც ერთ-ერთი მიზეზია დაბის, როგორც ადმინისტრაციული ცენტრის, ფუნქციების ნაწილობრივი მოშლისა და დაკარგვისა. დანგრეულია საუკუნოვანი სახლები, მოშლილია ინფრასტრუქტურა, წყალსაკანალიზაციო გაფვანილობები, დაბინდურებულია მდინარე ოცხე, ასევე დანგრეულია ულამაზესი სამკურნალო დაწესებულებები, დაიხურა სამშობიარო სახლი, სამკურნალო წყლების აბაზანები და მთავარი ოწერვუალი. ნელ-ნელა იჩენება უნიკალური ჯიშის ფიჭვი, რომელიც აბასთუმნის ჰავას განაპირობებს და რომელიც დაბის სავიზიტო ბარათია.

მაცხოვრებელთა თითქმის უმრავლესობა დაუსაქმებელია. დაბას არ აქვს ამბულატორია. ასევე, აღსაღენია უფლისწულ გიორგის ზამთრის რეზიდენცია, სადაც ამჟამად განთავსებულია წმიდა პანტელეიმონ მეტრიალის სახელობის დედათა მონასტერი (წინამდღვარი მონაზონი ბარბარე გრიგალაშვილი), რომლის დიდი ნაწილი 2008 წლის 12 მარტს დაიწვა.

აღარ არსებობს უფლისწულ გიორგის ტრაგიკული გარდაცვალების ადგილზე აღმართული მონუმენტი, სადაც წლების განმავლობაში პარაკლისს იხდიდნენ სასულიერო პირები (დღეს იქ მხოლოდ მომცრო ზომის ჯვარი დგას).

აბასთუმნელები ელიან უკეთეს მომავალს, მაგრამ ამ ლოდინში ნელ-ნელა გარბის წლები, ახალგაზრობისაგან დაცლილია დაბა, ხოლო ვინც ჯერ კიდევ იქ ცხოვრობს, ყველა წარსულს მისტირის, ყველა ლამაზსა და განახლებულ აბასთუმანშე ოცნებობს.


ამ წერილის მიზანი მხოლოდ ერთია — მკითხველსა და ფართო საზოგადოებას შეახსენოს აბასთუმნის ისტორია, მისი წარსული და დღევანდელობა, ასევე ხელისუფლებამდე მივიტანოთ ის პრობლემები, რომელთა დაუყოვნებლივ გადაჭრა აუცილებლობიდან გამოდინარებს, რათა აღდგეს და განახლდეს დაბა, რათა ბოლომდე არ განადგურდეს ობსერვატორია, ტუბსაწინააღმდეგო საავაღმყოფო და არ დაიცალოს აბასთუმანი მოსახლეობისაგან.

ჩვენ ხელთა გვაქვს მნიშვნელოვანი დოკუმენტი, კოალიცია

„ქართული ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის განცხადება: „ტყეული იჭრება და თუ დოროზე არ მივიღებთ გადამჭრელ ზომებს, აბასთუმანი და ობსერვატორია აღარ იარსებებს. მე გპირდებით, რომ ჩვენ განსაკუთრებულად ვიზუალური აბასთუმანზე, ასევე ბორჯომზე და ყველა სხვა კუთხზე ხვენს სიმღიდეებს. ჩვენ ყველგან აღვადგენთ სამართლიოანობას და ეს ჩვენი მთავარი დანაპირებია. ნაბიჯ-ნაბიჯ ყველა სატკივარს მიეხედავთ“ (internet.ge, 5.09.2012).

დაბოლოს, გვწამს და მედს გამოვთქვამთ, რომ ნელ-ნელა დაიწყება აღმშენებლობა აბასთუმანში, ისე როგორც მთელს საქართველოში და ჩვენი ამ ნაშრომით მოკრძალებულ წვლილს შევიტანთ მისი მომავლის გადარჩენისა და აყვავების საქმეში.

საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და პარლამენტი, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროები, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სტრუქტურები, მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, არასამთავრობო ორგანიზაციები და საქართველოს საპატრიარქო დაუყოვნებლივ უნდა დაინტერესდნენ იმ უმძიმესი ვითარებითა და მდგომარეობით, რაც დაბა აბასთუმანში სუფეს. ყველაზე თპტიმალური გამოსავალი არის აღგილზე, მოსახლეობასთან შეხვედრებით, სამეცნიერო და სამკურნალო დაწესებულებათა თანამშრომლების მონაწილეობით, დეტალურად შესწავლილ იქნეს დასახელებული პრობლემები და ერთობლივი ძალისხმევით ვისნათ დაბა აბასთუმანი, რათა არასოდეს ჩაესვენოს მზე სამკურნალო, სამეცნიერო და ისტორიული ოაზისისა, რომელმაც დაამტკიცა, რომ ხელეწიფება იმ მძვინვარე სხეულებაზე გამარჯვება, რომელსაც პიპოკრატემ „ჭლექი“ უწოდა.



## გიორგი მაჩარაშვილი

### ეცხოთის ანთიოქიის დედათა მონასტერი

როგორც ქართლის ცხოვრება მოგვითხრობს, IV-V საუკუნეებში ქართლიდან სპარსელების განდევნის შემდეგ ღმრთისადმი მადლიერების ნიშნად „არჩილ მეფემან აღაშენა ეკლესია სტეფანწმიდისა მცხეთას, კართა ზედა არაგვისთა, სადა იყვნეს კოშნი მტკიცენი საბრძოლონი, რომელი მასვე აღეშენენ“. არჩილ მეფე იყო ქართლის გამქრისტიანებელი წმიდა მეფე მირიანისა და დედოფალი ნანას შვილთაშვილი, პირველი ქართველი მოწამე მეფის, მირდატ IV-ის შვილი და წმიდა ვახტანგ გორგასლის წინაპარი. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „ესე არჩილ იყო ფრიად მორწმუნე და მმატებელ ეკლესიათა.“

ჯუანშერი „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ წერს: არჩილ მეფემ „განცხადა მტერობა სპარსთა, გამოაჩინნა ჯუარი და მოკაზმა ეკლესიანი, მოსრნა და განასხნა ყოველი ცეცხლისმსახური საზღვართაგან ქართლისათა; მოირთო ძალი საბერძნეთით და წარძლუანებითა ჯუარისათა იწყო ბრძოლად სპარსთა.“ სპარსთა ერისთავი ვერ შეეგუა ქართველთა გაძლიერებას და „შეჰკრიბა სპარანისა და მოვაკანისა და ადარბადაგანისა და მომართა არჩილს.“ არჩილ მეფე „სასოებითა და მინდობითა ღმრთისათა“ მდინარე ბერძუჯთან მიეგება მტერს, „ძალითა პატიოსნისა ჯუარისათა მოსრნა და ტყუე-ყვნა, შევიდა რანს, მოტყუენა და მოვიდა შინა გამარჯვებული.“ გამარჯვებულმა მეფემ მაცნეები დაგზავნა მთელს ქართლში და „რქეუა ყოველთა: „არა ძალითა ჩუენითა, არცა სიმხნითა, არცა სიბრძნითა, არცა სიმრავლითა სპათათა ვსძლეთ მტერთა, არამედ ჯუარითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, ძისა ღმრთისათა, რომელმან მოგუცა წინამძღვრად და საჭურველად ჯუარი მისი პატიოსანი. აწ ყოველთა ქართველთა აღიდეთ სამება ერთარსება,

### ეცხოთის ანთიოქიის დედათა მონასტერი

ღმერთი დაუსაბამო, დამბადებელი ყოვლისა. შეწირეთ მადლობა და მტკიცემცა არიან გულნი თქუენნი სარწმუნოებასა ზედა სამებისა წმიდისასა.“ და ყოველთა ქართულთა შეწირეს მადლობა ღმრთისა მიმართ და განაახლნეს ეკლესიანი.

არჩილ მეფემ წმიდა სტეფან პირველმოწამის სახელობის ტაძარი ქართველთა ნათლობის ადგილას, მტკერისა და არაგვის შესართავთან, მცხეთის აღმოსავლეთის კართან ააშენა. ტაძარი მდებარეობს ჯვრის მონასტერსა და სვეტიცხოვლის ეკლესიას შორის. ტაძარს აღმოსავლეთიდან გაღმოჰყურებს ჯვრის მონასტერი, ხოლო დასავლეთის მხარეს ესაზღვრება სვეტიცხოველი; სამივე ეკლესია ერთმანეთის მიმართ სწორ ხაზზე განლაგებული.

წმიდა სტეფან პირველმოწამის სახელობის ტაძარი სხვაგვარად ანტიოქიის ტაძრად მოიხსენიება.

საქართველოს პატრიარქის, წმიდა კირიონის (საძაგლიშვილი) წერილის — „მცხეთის საპატრიარქო ტაძრის სვეტიცხოვლის ეკვდერების“ — მიხედვით: „თავიდან, როცა საქართველოს ეკლესია, ანტიოქიის საყდარს ემორჩილებოდა, „ანტიოქია“ საპატრიარქოს მეტოქი იყო და აქ ცხოვრობდა ანტიოქიის პატრიარქის ნაცვალი, ხოლო საქართველოს ეკლესიის აკტოეფალის მოპოვების მერე — სამრევლო ეკლესიად გადაქცეულა. კათოლიკოსი ერთ თავის სიგელში წერს, რომ ეკლესიის უკან, მდინარე არაგვთან „ერთი ჩარდახი ჩაუდგამს“.

ანტიოქიის ტაძრის ზღურბლში ინახებოდა ქვიშაქვის დიდი ფილა IV-V საუკუნეების ბერძნული წარწერით: „მე ვარ ანი და ჰო. გააკეთა აქილევსმა ხუროთა (უფროსი) რომ არის. ავრელიოს აქოლიოსი. მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი. მოსახენებლად არსპაკორესი.“ ეს ფილა ამჟამად დაცულია მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმში. მცხეთაში, სამთავროს სამაროვნებში, ნაპოვნია ხუროთმოძღვარ ავრელიოს აქოლიოსის და მისი მეუღლის საფლავები წარწერებით.

გაღმოცემის თანახმად, VI საუკუნეში ასურეთიდან ჩამოსულ წმიდა მამებს ევლავიოს კათოლიკოსი სწორედ აქ შეებებია. გარკვეული ხნით ასურელი მამები ანტიოქიაში დამკვიდრებულან.

VIII საუკუნეში საქართველოში მურვან-ყრუს გამანადგურებელი ლაშქრობების დროს ანტიოქიის ტაძარი მტრებმა გადაწვეს.

XV-XVIII საუკუნეებში ეკლესია საფუძვლიანად შეუკეთებიათ.

XIX საუკუნის დასაწყისში ანტიოქიის ტაძარი მოქმედი ყო-

ფილა. გერმანელი მოგზაური მორიც ვაგნერი ცნობებში „საქართველოს შესახებ“ წერს: „მთის წვერზე, საიდანაც კაცს თვალწინეშლება საუცხოო სანახაობა, მტკვრისა და არაგვის ნაპირებზე დგას ნახევრად დანგრეული ძველი ეკლესია, რომელშიც ამ საუკუნის დასაწყისში ღვთისმსახურებას მისდევდნენ. მისი სახელია სტეფანწმიდა. სტევენმა ის 1804 წელს ნახა და თავის დღიურში აღწერა. მის შუაგულში, ბერძნული წესის საწინააღმდეგოდ, თავის-და გასაოცრად, აღმოაჩინა დიდი საკურთხეველი, რომლის ნიშაშიც წმიდა იოანე ეხატა ბერძნული წარწერით: „ჰო თეოლოგოს.“ სხვა წარწერები სტევენმა, ამ ერთადერთმა მოგზაურმა, რომელმაც ეს ძველი ეკლესია მოინახულა, ვერ იაოვნა.“

XX საუკუნის პირველ ნახევარში, ზემო ავჭალის პიდროელე-ქტროსადგურის (ზაჰესის) მშენებლობისას არაგვის ხელოვნურად დაგუბების შედეგად, არაგვის პირას შემაღლებულ კლდეზე მდგომ ანტიოქიის ეკლესიას სამი მხრიდან მდინარე შემოერტყა. მოგვიანებით მდინარე არაგვს კალაპოტი შეუცვალეს, რამაც ანტიოქიის მიმდებარე ტერიტორიის დაჭაობება გამოიწვია.

XX საუკუნის 60-იან წლებში ტაძრის ტერიტორია ერთ-ერთ ოჯახს ჰქონია შემოქრთებული; ოჯახს ამ ტერიტორიაზე ჰქონია საცხოვრებელი სახლი, ხოლო ტაძარსა და მის შემოგარენს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულებისთვის იყენებდა. გადმოცემით ცნობილია, რომ ერთ საღამოს ამ ოჯახში მოსული სტუმარი უკან გაბრუნებისას წყალში ჩავარდნილა და დამხრივალა. ამ ფაქტის შემდეგ ოჯახს თავისივე ნებით დაუტოვებია ანტიოქიის ეკლესიის ტერიტორია.

XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს „გაერთიანებული საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტის ვლადიმერ პატეიშვილის, მისი თანამშრომლების ალექსანდრე ალავიძის, ელგუჯა სილაგაძის და სხვათა საქველმოქმედო ღვაწლით, ტაძრის ირგვლივ გაკეთდა ხელოვნური მიწაყრილი, შემოიზღუდა ეზო, აიგო საცხოვრებელი სახლი, მოიხატა ტაძრის ინტერიერი. ტაძრის აღდგენა-განახლებაში მონაწილეობას იღებდნენ მცხეთის სასულიერო გიმნაზიის მოძღვარი არქიმანდრიტი ილია (ნასიძე), გიმნაზიის დირექტორი ნათია ჩარგაზია (შემდგომში მონაზონი სალომე), არქიტექტორი ნიკოლოზ ზაზუნიშვილი, ხატმწერი ირაკლი ცინცაძე და მრავალი სხვა. ელადიმერ პატეიშვილის ოჯახი და ბატონი ელგუჯა სილაგაძე აღდგენითი სამუშაოების დასრულების შემდეგაც არ აკლებდნენ



ზედი აღმოსავლეთიდან. უკანა მხარეს ჩანს სვეტიცხოველი.



ზედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.



მცხეთის ჯვრის მონასტერი. ხედი ანტიოქიის მონასტრის ეზოდან.



ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.

2002 წლის 10 აპრილიდან უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ტაძართან ამოქმედდა წმიდა სტეფანე პირველმოწამის სახელობის დედათა მონასტერი იღუმენია ქეთევანის (კოპალიანი) წინამდღოლობით, ხოლო ახლადნაკურთხი მონაზონი ბარბარე (კაპანაძე) დადგინდა კეთილმოწესედ (უპირატეს მონაზვნად). განახლებული ანტიოქიის ტაძარში პირველი წირვა ჩაატარა სამთავროს დედათა მონასტრის მოძღვარმა იღუმენმა (ამჟამად არქიმანიდრიტი) ლაზარე გაგნიძემ. ანტიოქიის მონასტერი ჩამოყალიბების პირველ წლებში სამთავროს დედათა მონასტრის დაქვემდებარებაში იყო და მის მეტოქად ითვლებოდა. 2009 წლის 1 ნოემბერს, სამების საკათედრო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ანტიოქიის დედათა მონასტრის უპირატესი მონაზონი ბარბარე (კაპანაძე) წინამდღვრად აკურთხა და ოქროს ჯვრით დააჯილდოვა, ხოლო 2010 წლის 12 დეკემბერს იღუმენიას ხარისხში აიყვანა.

დედათა მონასტრის კრებული თავდაპირველად შედგებოდა ოთხი წევრისაგან, ამჟამად მონასტერში ორი მონაზონი — დედა ბარბარე და დედა ირინე (ლაგვილავა) და ოთხი მორჩილი ცხოვრობს: ვვგენია ჭელიძე, გვანცა გახარია, ნინო ჯიქია და მარიამ გირგვლიანი, ხოლო ღმრთისმსახურებას აღასრულებს დეკანოზი სერაფიმე დანელია. დედა მარიამი (ზალდასტანიშვილი) ამ ცოტა ხნის წინ გარდა-იცვალა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ დედათა მონასტრისთვის შეწირული თანხით, მონასტრის დედების ინიციატივით, ხატმწერ დავით ხიდაშელის მიერ, ანტიოქიის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატის მიხედვით, შეიქმნა მცხეთის ანტიოქიის ღმრთისმშობლის ხატი.

ანტიოქიის ტაძარი სხვადასხვა დროის ნაგებობისაგან შედგება. ძეველი სამნავიანი ბაზილიკიდან დარჩენილია ჩრდილოეთის ნავი, რომელიც გადაკეთებულია დარბაზულ ეკლესიად. მასზე მიშენებული კარიბჭე და ზედ თავდაცვის კოშკი XVI-XVIII საუკუნეებისაა. ეკლესიის სამი კედელი და კარიბჭე ნაგებია ქვიშაქვის კარგად გათლილი კვადრებით, ხოლო სამხრეთის გვიანდელი კედელი და თავდაცვის კოშკი — ნატეხი ქვით, რიყის ქვითა და აგურით.


ეკლესია დარბაზულია ( $7,9 \text{ m} \times 4 \text{ m}$ ). ტაძარს აქვს ერთი შესასვ-

ლელი დასავლეთის მხრიდან. აღმოსავლეთის ნახევარწრიულ აფსიდში გაჭრილია სარკმელი, რომლის გვერდითაც, ორივე მხარეს პატარა ნიშებია. აფსიდის მხრის ძირში სამხრეთით და სარკმლის წირთხლში ჩრდილოეთით ჩასმულია ორნამენტულიანი ფრაგმენტები, რომლებიც გვიანდელია. ტაძარი გადაზურულია ცალფერდა სახურავით. დასავლეთით მიშენებული კარიბჭე (5,2 მ × 4,67 მ) ორსართულიანია ორმაგი თაღით, რომელიც შუაში ჯვაროვანი გეგმის ბოქს ეყრდნობა. დასავლეთის სარკმელი ამოქოლილია. კარიბჭეს მეორე სართულისგან (თავდაცვითი კოშკისგან) მხოლოდ სათოფურებიანი კედელია შემორჩენილი.

ანტიოქიის დედათა მონასტერს აქვს საკუთარი მცირე მეურნეობა, ჰყავთ ძროხა, შინაური ფრინველი, ფუტკრის რამდენიმე ოჯახი. მონასტერში კეთდება თექა, აქვთ პატარა სახელოსნო, სადაც ძველი ქართული ტრადიციით ქარგავენ ოქრომყედით, ნატურალური თაფლის ცვილისაგან შზადდება ულამაზესი სანთლები და კელაპტრები.

მიუხედავად იმისა, რომ ანტიოქიის დედათა მონასტერი ქალაქში დგას, გალავნის შიგნით 21-ე საუკუნის აჩქარებული რიტმი საერთოდ არ იგრძნობა. არა მხოლოდ უძველეს ტაძარში, არამედ ფაქტიზად მოვლილსა და ყვავილნარებით დამშვენებულ ეზოშიც საოცარი სიშვიდე სუფეს, რომელიც გაგრძნობინებთ, რომ მონასტრის მკვიდრი ამა სოფლის ამაო ხმაურისაგან მართლაც განრიდებული ლოცულობენ და შრომობენ. ამქვეყნიურ სიხარულს ისინი სტუმრის მიღებისას გამოხატავენ, ხოლო თუ ეს სტუმარი თვით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ბრძანდება, ამ სიხარულს საზღვარი არ აქვს, თუმცა არანაკლებ გახარებულნი არიან მაშინაც, როცა მცხეთიდან მიმავალი პატრიარქის გასაცილებლად მონასტრის ჭიშკართან გამოსულებს, მისი უწმიდესობა მისთვის ჩვეული თბილი დიმილით ჯვარს გადასახავს.

წმიდა სტეფანე პირველმოწამის სახელობის ანტიოქიის მონასტერში აღვლენილი ლოცვებით ღმერთმა დაიფაროს და გაამთლიანოს საქართველო, ამინ.



## რუსულან ლოცვილი

### თეატრის როლი საზოგადოებაში

#### და მისი ეპლესიური გეფასება

##### წერილი II

### დიდი სჯულის კანონი თეატრალური სანახაობების შესახებ

ქრისტიანული საეკლესიო კანონმდებლობა სათავეს იღებს სამი ძირითადი წყაროდან: პირველი და უმთავრესი წერილობითი წყაროა წმიდა წერილი. წმიდა წერილი ეწიდება იმ წიგნებს, რომელიც დაწერილია სული წმიდით განბრძნობილ კაცთა – წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მიერ. ამ წმინდა წიგნების კრებულს ეწოდება ბიბლია, რომელიც შედგება ძველი და ახალი აღთქმისაგან. ძველი აღთქმა დაწერილია წინასწარმეტყველთა მიერ, ახალი აღთქმა კი – მოციქულთა მიერ.

მეორე წყარო საეკლესიო სამართლისა არის საღმრთო გარდამოცემა – დაუწერელი კანონები, რომლებიც გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ეს კანონები დამკვიდრებული იყო იმ უძველეს ქრისტიანულ ეკლესიებში, რომლებიც მოციქულთა სამოღვაწეო ასპარეზს წარმოადგენდნენ. ასეთ ეკლესიებში გადმოცემების საფუძველზე შემუშავებული საეკლესიო ნორმები თანდათანობით გავრცელდა ქრისტიანული სამყაროს სხვადასხვა კუთხეში და ზოგმა მათგანმა ასახვა პოვა წერილობით საკანონმდებლო წიგნებში. ასეთი საკანონმდებლო ტრადიციის შესახებ ბასილი დიდი წერს: „გუაქუს მოცემული ჩვენდა უწერელი ჩუეულება, რომელი ძალითა სწორ არის სჯულისა მისთვის, რამეთუ წმიდათა კაცთა მიერ მოცემული არიან ჩუენდა ეგევითარისა მის ჩუეულებისა წესი“.<sup>1</sup> „უწერელ ჩუეულებაში“, ანუ „სჯულში“

<sup>1</sup> დიდი სჯულის კანონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ჰელიოძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გამ. „მეცნიერება“, თბ., 1975, გვ. 408.

იგილისხმება ჩვეულება, ტრადიცია.

მესამე და ძირითადი წყარო მართლმადიდებელი ეკლესიის კანონმდებლობისა არის საეკლესიო კრებათა (მსოფლიო და ადგილობრივი) კანონმდებლობა და ეკლესიის წმინდა მამათა ეპისტოლარული კანონიკური კანონმდებლობა.

საეკლესიო სამართლის ერთ-ერთი ძეგლია „დიდი სჯულის კანონი“, რომელიც შედგენილობით იგივეა, რაც ფოტი პატრიარქის „ხომოკანონი“, რომელმაც კანონიკური სამართლის ისტორიაში უდიდესი როლი შეასრულა. ამ კრებულის VI ს-დან XI ს-მდე შევსება-შესწორების გზით მივიღეთ მართლმადიდებელი ეკლესიის ძირითადი სახელმძღვანელო კოდექსი. ეს ძეგლი ქართულად თარგმნა არსებ იყალთოელმა XI ს.-ის დასასრულს და ეწოდა „დიდი სჯულის კანონი“. იგი ემყარება ოთხ ძირითად წყაროს: 1. მოციქულთა კანონებს, 2. მსოფლიო საეკლესიო კრებებს, 3. ადგილობრივ კრებათა (შერჩეული 10 კრების) კანონებს, 4. ეკლესიის წმინდა მამათა ეპისტოლარულ კანონებს.

„დიდი სჯულის კანონში“ სხვა საკითხებთან ერთად მოცემულია მითითებები და კანონები თეატრალური წარმოდგენებისა და სხვადსხვა სანახაობის შესახებ. რამდენიმე საეკლესიო კრება ეხმიანება ამ საკითხს. ქვემოთ მოვიყვანთ თითოეულ ამ კანონს თავისი განმარტებით, რომლებსაც გვაძლევს ეპისკოპოსი ნიკოდიმ მილაში. თავის მხრივ იგი „ეყრდნობა მის წინამორბედ ბიზანტიულ კანონისტთა – არისტინეს, ზონარას და ბალსამონის შრომებს, აგრეთვე რუსი მეცნიერის, ეპისკოპოს იოანეს (სოკოლოვი) ნაშრომს. კანონის განმარტებისას ეპ. ნიკოდიმი, ჩვეულებრივ, იძლევა ისტორიულ ცნობებს იმ მდგომარეობის ასახვით, რამაც ამ კონკრეტული კანონის მიღება გამოიწვია. კანონის ზუსტი აზრი ვლინდება კანონისტის მიერ მისი შედარების შემდეგ სხვა კანონთან, ანალოგიურთან ან შინაარსობრივად მახლობელთან, ან კიდევ, იმავე საკითხს მიძღვნილ სხვა კანონთან, მაგრამ რომელიც განსამარტებელი კანონისგან განსხვავებულ ხორმას შეიცავს“.<sup>2</sup>

წმინდა მე-6 მსოფლიო კრების (ტრულის, გუმბადის) 24-ე კანონი ამ საკითხის შესახებ ამბობს: „არა უხმს სამდღელოსა მწყობრსა თანა აღრაცხილსა ვისმე ანუ მონაზონსა მისლვა იპოდრომად ანუ ხუმრობითთა სახიობათა ზილვა. არამედ უკეთუ ვინმე მოყვასი

<sup>2</sup> მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპ. ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით, ტ. I, თბ., 2007, გვ. 12.

მიიწოდოს ქორწილად, რაჟამს სალალობონი იგი საზიობანი საცოტურად შემოვიდობდენ, აღდგეს და მეყსულად განეშოროს მიერ, რამეთუ ესრეთ ბრძანებს მოძღვრება მამათა ჩვენთა, ხოლო უკეთუ ვინმე ამას ზედა სცენებოდეს, ანუ დასცხრენ, ანუ განიკურეთე“.<sup>3</sup>

ამ კანონს ეპისკოპოსი ნიკოდიმ მილაში ასე განმარტავს: „მღვდელიცა და მონაზონიც, თუკი ცხენების დოდხე დადის, თეატრალურ სანახაობებს ესწრება, ან ქორწილში რჩება, როცა იქ თამაშები იწყება – განიკვეთოს. სასჯელის მიხედვით კარგად ჩანს, თუ რამდენად შეუფერებლად თვლილენ ამ კრების მამები სამღვდელმსახურო წოდებისა და მონაზონის აღთქმებისათვის იმ მხიარულ სანახაობებს, რომლებზეც კანონშია საუბარი. ყველა ამ გასართობს ადგილი პქონდა ტრულის კრების სხდომების პერიოდში. ისინი დასაბამს იღებდნენ რომის სახელმწიფოს წარმართულობის დროიდან. რამდენადც ცხენებით სრბოლა არადამიანური იყო და მაყურებელში მხეცურ და სისხლისმღვრელ ინსტიქტებს აღაგზნებდა, იმდენადვე – სხვადასხვა თამაშობებიც, რომელთა თანხლებითაც ეს ასპარეზი მიმდინარეობდა. მაყურებელთა მშერას კიდევ ისეთი სანახაობები იპყრობდნენ, რომლებიც – ბალსამონის სიტყვებით – იწვევდნენ მხოლოდ სულიერ შფოთსა და ზიზღს უცერემონია გამონათქვამებით, რაც თან სდევდა ამ თამაშებს. თეატრალური წარმოდგენები ამაში არაფრით ჩამორჩებოდნენ ცხენების დოდეს. ტრაგედიებში, რომელთაც თეატრებში აჩვენებდნენ, კვიპრიანე შენიშნავს, რომ სხვა არაფერი ხდებოდა, თუ არა განმეორება მკვლელობის და სიძვის ძველი მაგალითებისა, რათა დროთა განმავლობაში დავიწყებას არ მისცემოდა ძველი ბოროტება. ყველა დამსწრეს აშკარად მოეხსენებოდა, რომ, რაც ოდესდაც სასირცხვილო იყო, ის შეიძლებოდა კვლავ განმეორებულიყო. ამდენად, ცდილობდნენ, რომ სიბილწე წლების მანძლზე არ დავიწყებოდათ, დანაშაული დროთა განმავლობაში არ შეწყვეტილიყო, სასირცხვილო საქმეები მოვიწყებას არ მისცემოდა. რაც შეეხება თამაშებს, რასაც თეატრებში მასხარები აჩვენებდნენ და რაზეც საუბარია ამ კრების 51-ე კანონში, იმაზე მეტი უღიმღამო წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია, როგორც ამას აგვიწერენ მამები და ეკლესიის განმანათლებლები. ყველა ამ სანახაობის ამოცანას წარმოადგენდა, რომ მაყურებლისთვის წარმოედგინა, რაც კი რამ უზნეო იყო, რასაც შეეძლო გამოეწვია მიღრეკილება სიბილწისაკენ, რათა ამ გზით ახალგაზრდობა ყველაზე დახვეწილი გარეუნილებით ტკბობისათვის მიეჩიათ.

<sup>3</sup> დიდი სჯულის კანონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კეკლიძის სახელობის ხელნაწერია ინსტიტუტი, გამ. „მეცნიერება“, თბ. 1975, გვ. 258.

მსგავსი თამაშები და თეატრები ეკლესიას, ცხადია, საბოლოოდ უნდა აეკრძალა და არა მხოლოდ სასულიერო პირთათვის, არამედ მართლ-მორწმუნე ერისთვისაც; და მართლაც ჯერ კიდევ IV ს.-ის I ნახ.-ში ჩვენ უკვე გვაქვს ლაოდიკიის კრების კანონი (54) სასულიერო პირთათვის თეატრალურ სანახაობებზე დაწრების ამკრძალავი, ხოლო IV ს.-ის ბოლოდან გვაქვს კანონი, რომელიც სასულიერო პირთა შეილებს უკრძალავს საერო სანახაობებზე დაწრებას. ამასთან იქვე შეინიშნება: „რამეთუ თეატრებში მხოლოდ მკრეხელობას აქვს ადგილი“. იმავე სულისკვეთებით არის გამოცემული ბერძნულ — რომაული სამოქალაქო კანონმდებლობის დადგენილება, სადაც მითითებულია მღვდელმსახურთათვის თამაშებზე დაწრების შეუსაბამობა და მის საფუძველზე ეს მათ მკაცრად ეკრძალებათ.

იცოდნენ რა, თუ რას წარმოადგენდა იმ დროს დოლი საჯარო თამაშებთან ერთად და ასევე თეატრალური წარმოდგენები, ტრულის კრებამ მიიღო და დაამტკიცა ამის შესახებ უკვე არსებული განწესება და გამოსცა წინამდებარე კანონი, რომლითაც განკვეთას უქვემდებარებს ყველა სამღვდელო პირს, ვინც გაბედავს და დაარღვევს ზემოხსენებულ დადგენილებას.

კანონის მეორე ნაწილში მეორდება და მტკაცდება ლაოდიკიის კრების 54-ე კანონის განწესება, თანაც მღვდელმსახურთა და ეკლესიის მსახურთათვის დაწესებულია განკვეთა, თუ ისინი ქორწილში მიწვეულნი იქ მას შემდეგაც დარჩებიან, როცა უკვე მაშინდელი ქორწილების თანმხლები გასართობი სანახაობანი დაიწყება. მონაზვნების შესახებ კანონი არაფერს ამბობს, რადგან როგორც ბალ-სამონი განმარტავს, ტრულის კრების მამები თვლიდნენ, რომ ეს თავისთავად ცხადი იყო აშკარა შეუსაბამობის გამო“.<sup>4</sup>

ამავე კრების 51-ე კანონი ამბობს: „ყოვლითურთ განიპყრის უფროსად წმიდა და მსოფლიო კრება სახიობად და მშეულაობითად (მოკიცხარობითად) ხუმრობად სახელდებულთა მათ და სახილველთა მათთა, ამათ თანა ხილვასაცა ნაღირობათასა და როკვასა მგოსანთასა. ხოლო უკუეთუ ვინმე აწინდელი ესე კანონი შეურაცხოს და განყრილთა და უვარქმნილთა ამათგანსა რასმე თავი თვისი შეაყოს, უკუეთუ მოყუასი იყოს, განიკვეთოს, ხოლო უკუეთუ ერისკაცი — უზიარებელ იქმნას“.<sup>5</sup>

<sup>4</sup> მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპ. ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით, ტ. I, თბ., 2007, გვ. 471.

<sup>5</sup> დიდი სჯულის კანონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კეჭლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გამ. „მეცნიერება“, თბ., 1975, გვ. 391.

„ეს წმინდა მსოფლიო კრება სრულიად კრძალავს სამასხარაო სანახაობებსა და გასართობებს, აგრეთვე მხეცურ სანახაობებსა და როკვასა და ადგენს, რომ ვინც ამ კანონს შეურაცხელოფს და რომელიმე ამ აკრძალულ გასართობს მიეცემა: მღვდელმსახური დასიდან განიკვეთება, ერისკაცი კი უზიარებლობით დაისჯება. ამ კრების 24-ე კანონით აკრძალულია მღვდელმსახურთათვის თეატრებში სიარული და თეატრალურ წარმოდგენებზე დაწრება. წინამდებარე კანონით კი ყველა ქრისტიანს ეკრძალება კომიკური და საცირკო წარმოდგენების ხილვა. ამ კანონის წინაშე შეცოდებისათვის მღვდელმსახურს განკვეთა ემუქრება, ერისკაცე — ეკლესიის ერთობიდან განყენება. ზონარა, ამ კანონის განმარტებაში, მიუთითებს ამაღლებულ ქრისტიანულ მორალზე, რომელიც ამით შეიგინება: სახარებისეული ცხოვრების სიმკაცრე მოითხოვს, რომ მართლმორწმუნენი ცხოვრობდნენ არა აღვირახსინილად და უგულისყუროდ, არამედ როგორც წმინდანებს შეეფერებათ და ამიტომ ეს კანონი კრძალავს ყველაფერ იმას, რასაც გაფანტულობა შემოაქვს სულში, აუდლურებს და აშფოთებს მის განწყობას, აღძრავს უგუნურ სიცილსა და ხარხარს, რომელთა გამოწვევა შეუძლიათ ტაკიმასხარულ სანახაობებს. „მხეცური სახილველები“ იმაში მღვომარეობდა, რომ დიდ ქალაქებში განზრაა ზრდიდნენ სხვადასხვა მხეცებს — ლომებსა და დათვებს, განსაზღვრულ ზროს კი ისინი გამოცყავდათ რომელიმე მოედანზე ხარების, ზოგჯერ კი ადამიანების — ტყვეებისა და მსჯავრდებულების — წინააღმდეგაც საბრძოლველად, რაც მაყურებლისათვის გასართობს წარმოადგენდა. ამგვარ სანახაობებს კანონი კრძალავს, რადგან ამხელს მაყურებელთა სისასტიკეს, რომელებიც მოყვასთა უბედურებით ტკბებიან. კანონი კრძალავს „სახილველებზე როკვას“, სცენაზე როკვას, რადგან ეს უწესობაა და განსაკუთრებით თუ ქალები მონაწილეობენ, რამეთუ ამით მაყურებელში ვნება და ჟინი აღიძვრება“.<sup>6</sup>

წმ. VI მსოფლიო კრებაზე მიღებულია აგრეთვე კანონი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეხვდეს აღამიანი აღდგომის დღესასწაულს და როგორ გაატაროს მთელი ბრწყინვალე შვიდეული. კანონი 66-ე: „წმიდით დღითგან აღვებისა და აღდგომისა ქრისტეს ღმრთისა ჩვენისათ ვიდრე ახალ კვირიაკემდე ყოველსავე მას შვიდეულსა წმიდათა შინა ეკლესიათა უხმს მოცალებით ყოფა მორწმუნეთა ფსალმუნითა და გალობითა და ქებითა სულიერითა მხიარულქმნილთა ქრისტეს მიერ და მედლესასწაულეთა და რათა საღმრთოთა 6 მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპ. ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით, ტ. I, თბ., 2007, გვ. 498.

წერილთა კითხვასა შექცეულ იყვნენ და უხრწელთა საიდუმლოთა ზიარებით იშუებდნენ, რათა ესრეთ ქრისტეს თანა აღდგომილ და მის თანა დადებით ამაღლებულ ვიყვნეთ. ხოლო ნუმცა აღესრულების ამათ დღეთა შინა ნუცა თეატრი იპოდრომისა, ნუცა სხვა რამე საეროთა სახილველთა და განსაცხომელთაგანი<sup>7</sup>.

ამ კანონს მხედველობაში აქვს ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც ეკლესიაში უფლის აღდგომის დღესასწაულს აქვს და მასთან დაკავშირებული მოგონებების ამაღლებულ განწყობას. ეკლესიაში ითვლებოდა, რომ ბრწყინვალე შეიდეულის ყოველი დღე ისეთივე მნიშვნელობისა იყო, როგორიც აღდგომის დღე. ამჯერადაც ასე ხდება მართლმადიდებლურ ეკლესიაში. აღდგომის დღესასწაული არის დღესასწაული ჩვენი სულიერი აღორძინებისა, ამიტომაც სულიერად უნდა ვიდღესასწაულოთ, კერძოდ, მართლმორწმუნები ყოველდღე, მთელი ბრწყინვალე შეიდეულის განმავლობაში უნდა მიღიოდნენ ტაძრებში და მონაწილეობას იღებდნენ საკლესიო ღმრთისმსახურებაში და ამით მჭიდროდ ერთიანდებოდნენ ქრისტესთან. რადგანაც ვერავითარმა მიწიერმა სანახაობებმა და გასართობებმა ვერ უნდა შეუშალონ ხელი ქრისტიანთა სულიერ დღესასწაულს, ამიტომაც კრძალავს კანონი ყოველგვარ საჯარო გართობასა და სახალხო სანახაობას“.<sup>8</sup>

გარდა მსოფლიო კრებისა, საჯარო სანახაობებსა და თეატრალურ წარმოდგენებს ეხმაურება ასევე რამდენიმე აღგილობრივი კრება, კერძოდ, კართაგენის წმ. ადგილობრივი კრების 61-ე კანონი, სადაც მითითებულია: „ამისთვისცა სათანადო არს ვედრება, რათა სახილველი სათეატროთა სახიობათანი კვირიაკესა შინა და სხვათა ბრწყინვალეთა დღეთა საქრისტიანოსა სარწმუნოებისათა არა სრულ იქმნებოდინ უფროსდა, რამეთუ რვათა დღეთა წმიდისა აღვესებისათა ცხენთა სარბიელისა მიმართ უფროს, ვიდრელა ეკლესიისა, შემოკრებიან ერნი, ამისთვის უღირს მათ ქონება განჩინებულთა სხუათა დღეთა, რათა არა იძულებოდინ ვითონიმე ქრისტიანეთაგანი მისვლად სახილველთა მათ მიმართ“.<sup>9</sup>

ამ კანონის მიღება განაპირობა იმ ვითარებამ, რაზეც საუბარი

<sup>7</sup> დიდი სჯულის კანონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კეკლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გამ. „მეცნიერება“, თბ., 1975, გვ. 395.

<sup>8</sup> მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპ. ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით, ტ. I, თბ., 2007, გვ. 516.

<sup>9</sup> დიდი სჯულის კანონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კეკლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გამ. „მეცნიერება“, თბ., 1975, გვ. 318.

იყო ტრულის კრების 66-ე კანონის განმარტებაში.

ლაოდიგიის ადგილობრივი კრების 54-ე კანონში წერია: „ვითარებედ არა უხმს მღდელთა ანუ მოყვასთა ვიეთმე სახიობათა ქორწილთა შინა ანუ სერობათა, არამედ პირველ შემოსვლისა სახიობათასა აღდგომა და განშორება მიერ“.<sup>10</sup>

ეპისკოპოსი ნიკოდიმი განმარტავს: „მხედველობაში იღებენ რა ქორწინების სიტმინდეს, ეს კანონები (53-ე – 54-ე) მოითხოვენ, რომ ქრისტიანული ქორწინებები ტარდებოდეს კდემითა და მოკრძალებით, ამოტომ უკრძალავენ როგორც სასულიერო პირებს, ისე ერისკაცებსაც ისეთ ქორწილებში მონაწილეობის მიღებას, სადაც ისეთი რამ ხდება, რაც, ჩვეულებრივ, მხოლოდ წარმართებს ახასიათებთ“.<sup>11</sup>

კართაგენის ადგილობრივი კრების მე-15 კანონი განსაზღვრავს არა მხოლოდ სასულიერო პირთა, არამედ მათი შვილების ქცევასაც: „თითოეულისათვის დასთა მსახურად ეკლესიისა განჩინებულთა და ვითარმედ, უკეთუ ვინმე განსაკითხავსა საქმესა შთავარდეს და იჯმნას საკლესიოსა სამსჯავროსაგან, უხმს ეგევითარსა მას ზღვეულყოფა თვისისა პატივისაგან და ვითარმედ შვილნი მღდელთანი სოფლიოთა სახილველთა მიმართ ნუ მივლენ“.<sup>12</sup>

„ეს კანონი უკრძალავს სასულიერო პირთა შვილებს ისეთ სანახაობებზე დასწრებას, სადაც მკრეხელობას აქვს ადგილი, რადგან სამღვდელოებამ, პავლე მოციქულის სიტყვებით, თავიანთი შვილები უნდა აღზარდონ მორჩილებასა და ღვთის მოშიშებაში. როგორც იგი მოციქულ ტიტეს შეახსენებს, მღვდელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელსაც „შვილნიმცა უსხენ მორწმუნები ნუმცა შესმენილ არიან ბილწებისათვის გინა ურჩებისა“ (ტიტ. I; 6 შედრ. I ტიმ. 3;4), ხოლო ვინც თეატრებსა და სხვა მსგავს ადგილებში დადის, იოლად შეიძლება მრუშობისკენ ლტოლვაში იქნეს დადანაშაულებული და მის შესახებ უკვე არ შეიძლება თქმა, რომ ქრისტიანული თავმდაბლობით გამოირჩევა. თუკი კანონი ყველა ერთგულ მორწმუნებს ურჩევს, არ გამოჩნდნენ ისეთ ადგილებში, სადაც ღვთის გმობას აქვს ადგილი (ტრულ. 51-ე), მაშინ მით უფრო არ უნდა მიეცეთ ამის ნება ისეთი პირების შვილებს, რომელთა მთავალეობაც ღვთის

<sup>10</sup> იქვე, გვ. 258.

<sup>11</sup> მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპ. ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით, ტ. I, თბ., 2007, გვ. 99-100.

<sup>12</sup> დიდი სჯულის კანონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კეკლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გამ. „მეცნიერება“, თბ., 1975, გვ. 296.

პატივისცემისა და ქრისტიანული თავმდაბლობის ქადაგებაა“.<sup>13</sup>

კართაგენის ადგილობრივ კრებაზე მიღეს კანონი ასევე თეატ-რალურ სანახაობებში მონაწილე პირთა შესახებაც. 45-ე კანონში წერია: „ვინაცა მგოსანთა და მახიობელთა და სხვათა ეგვითარისა სახისა მქონებელთა პირთა, ანუ ვითარცა განდგომილთა, შეინანონ და მოიქცენ მადლისა მიერ დმრთისა, ანუ ნუ უვარ-ჰყოფდენ დაგებასა“.<sup>14</sup>

ნიკოდიმ მილაშის განმარტებით „მსახიობები და ტაკიმასხარები ამ კანონში გათანაბრებულნი არიან ქრისტეს სარწმუნოებიდან განდგომილებთან. რა თქმა უნდა, აქ ის მსახიობები და კომიკოსები იგულისხმება, რომლებიც კანონში აღწერილ ქმედებებს წარმოაჩენენ სხვადასხვა სცენაზე და რომელთა შესახებაც საუბარია ტრულის კრების 24-ე და 51-ე კანონების განმარტებებში. ყველა ამ ცოდვილთა მიმართ კანონი განაწესებს, რომ თუკი ისინი შეინანებენ საკუთარ ცოდვებს და ღმერთისკენ მიიქცევიან, ანუ დაითმენენ მათთვის განსაზღვრულ სინაწელის ვადას (იხ. I მს. კრ. მე-11 კან.), მაშინ მათ არ უნდა აეკრძალოთ საღმრთო მადლი და ეკლესიასთან შემორიგება“.<sup>15</sup>

კართაგენის ადგილობრივი კრების 63-ე კანონში არაქრისტიან მსახიობებზეა საუბარი: „მერმეცა უკუკე ვედრება სახმარ არს ამისთვის, რათა უკუკეთუ ვინმე, რომელთაცა მახიობელთა დასისაგანმან ქრისტეანე-ჟოფა ინებოს და იქმნეს და პირველთა მათ ბიწაგან განთავისუფლდეს, არღარავისგან ებრძანებოდეს გინა ეძულებოდის ეგვითარსა მას კუალად მათვე პირველთა ჩუეულებათა ხელ-ჟოფა“.<sup>16</sup>

ქრისტიან მსახიობებთან დაკავშირებით ჩვენ ვნახეთ ამ კრების 45-ე დადგენილება, რომელიც განაწესებს მათ ეკლესიასთან შერიგებას და მათთვის წმ. ზიარების მიღების ნებართვას, თუ ისინი შეინანებენ და სამსახურს მიატოვებენ. წინამდებარე კანონში კი საუბარია იმ მსახიობების შესახებ, რომლებიც ქრისტიანები არ ყოფილან, მაგრამ გამოხატეს ნათლისღების სურვილი. მსახიობების სამსახური გარკვეულწილად მუდმივი იყო და ვინც ერთხელ მათ რიგებში ჩაეწერებოდა, თავაურილებლად ბოლომდე უნდა ემსახურა, რადგან მაშინდელი სამოქალაქო კანონმდებლობით, ვინც თავის

<sup>13</sup> მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპ. ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით, ტ. I, თბ., 2007, გვ. 140 – 143.

<sup>14</sup> დიდი სჯულის კანონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კეკლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გმ. „მეცნიერება“, თბ., 1975, გვ. 306.

<sup>15</sup> მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპ. ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით, ტ. I, თბ., 2007, გვ. 171 – 172.

<sup>16</sup> დიდი სჯულის კანონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კეკლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გმ. „მეცნიერება“, თბ., 1975, გვ. 319.

დორზე სამსახურში არ გამოცხადდებოდა, ისჯებოდა. კართაგენელი მამები ამ კანონით შეასენებენ თავიანთ დელეგატებს, იშუამდგომლონ იმპერატორების წინაშე ისეთი კანონის გამოსაცემად, რომელიც აკრძალავდა იმ პირების თეატრში მსახურების იძულებას, რომლებიც ქრისტიანობისკენ მოექცნენ, ნათლობა მიიღეს და სურთ წმინდად შეინარჩუნონ თავი მსგავსი უწმინდურებისაგან“.<sup>17</sup>

## დასკვნა

როგორც კვლევამ დაადასტურა, თეატრისა და ეკლესიის ურთიერთობა არაერთგვაროვანი იყო ისტორიის სხვადასხვა პერიოდში.

თეატრის არსებობა ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს. დიდი მოაზროვნები მეტად სასარგებლოდ მიიჩნევდნენ მას აღამაიანის ზნეობრივად აღზრდისათვის. შემდგომ, ქრისტიანობის საყოველთაოდ გავრცელების დროს, მხოლოდ თეატრები დარჩნენ წარმართობის მიმდევრები და იქ დემონური რიტუალები და ღრეულებები იმართებოდა. სწორედ ამიტომ განეწყო ეკლესია მის მიმართ მტრულად. განსაკუთრებით გაუარესდა ეკლესიისა და თეატრის ურთიერთობა ერეტიკული მოძრაობების დროს. ერთ-ერთი ერეტიკოსი არიობი თავისი სწავლების პროპაგანდისთვის თეატრს იყენებდა და ამის გამო თავად სიტყვა „თეატრიც“ კი ერესის სინონიმად იქნა მიჩნეული.

IV ს-ში იმდენად ძლიერი იყო ლტოლვა თეატრალური სანახაობების მიმართ, რომ ადამიანები ცხოვრობდნენ არა რეალური, არამედ ხელოვნური, წარმოსახვითი, თეატრალურ კულისებში მიმდინარე ცხოვრებით. ეს ვევლათერი ისეთივე საარსებო მოთხოვნილებად იქცა ხალხისთვის, როგორც პური. მოსახლეობა ორ რამეს ითხოვდა მხოლოდ და ქალაქის მოედნებზე ისმოდა შეძახილები: „პური და სანახაობა“ თეატრი, ანუ წარმოსახვითი სამყარო იქცა მოსახლეობის საარსებო მოთხოვნილებად და უფრო მეტიც, ჩაანაცვლა რეალური ცხოვრება თავისი სიმძიმითა და ფათერაკებით. ეს წარმოსახვითი ცხოვრება იყო იმავე ცხოვრების ხორცშესხმა, რომელსაც ეწეოდა ერი სინამდვილეში, მაგრამ მისი ხორცშესხმა ხდებოდა ისეთი გაძლიერებული ფორმებით, რომლებიც მოქმედებდნენ გრძნობებზე და აღძრავდნენ ვნებებს და რადგან რეალური ცხოვრება სავსე იყო ველანაირი სისამაგლით, მაშინ რაღა უნდა ვთქვათ თეატრალურ ცხოვრებაზე, რო-

<sup>17</sup> მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპ. ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით, ტ. I, თბ., 2007, გვ. 192.

მელიც გათვლილი იყო ჩამქრალი ვწებების გასაღვივებლად. გასაკვრია არა ის ფაქტი, რომ სასულიერო პირები ძალა-ლონებს არ იმურუბდნენ ამ უხაშსობის, ადამიანთა გამიწიერების წინააღმდეგ საბრძოლველად. იმ დროის ერთ-ერთი კველაზე მკაცრი მამზილებელი თეატრალური წარმოდგენების მიმართ ლტოლვისა წმინდა იოანე ოქროპირი იყო.

გასართობი სანახაობების დიდი მოთხოვნილება იყო ანტიოქიაში. სანახაობები სხვადასხვა სახისა იყო. ძველი ტრაგედიები და კლასიკური კომედიები აღარ იღებებოდა, მათ ნაცვლად იმართებოდა პანტომიური წარმოდგენები, რომლებიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. სპექტაკლებში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა ქორწინების გარეშე ინტიმური სცენების არსებობა. სიმღერები, რომლებიც სპექტაკლების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, გაუღენთილი იყო მითიური გმირებისა და ღმერთების ამურულ გატაცებებზე პირდაპირი მინიშნებებით. ასეთ წარმოდგენებში ქალის როლის შემსრუბლებლები იცვამდნენ ზედმეტად თავისუფლად, გამომწვევად, იღებავდნენ სახეებს და უტიფარ პარიკებს ატარებდნენ, ხოლო მამაკაცებისთვის სამარცხვინო სინამდვილეს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ისინი ასრულებდნენ ქალის როლს. არსებობდა ასევე მსუბუქი გასართობი სანახაობები, რომელშიც მასხარები, უონგლიორები, კლოუნები სხვადასხვა სახის უხამსი მაიმუნობით ცდილობდნენ ხალხის დაჩლუნებულ გრძნობადობაზე გავლენის მოხდენას და ველურ ვწებებს აღძრავდნენ. გარდა ამისა, იყო ასევე სასტიკი წარმოდგენები, მაგალითად ველური ცხოველებისა და გლადიატორების ბრძოლა. ამის გამო იბრძოდა ასე მკაცრად მათ წინააღმდეგ იოანე ოქროპირი.

იმდენად მნიშვნელოვანი იყო ეს პრობლემა, რომ მე-6 მსოფლიო საეკლესიო და ასევე რამდენიმე აღვილობრივ კრებაზე სპეციალური კანონებიც კი მიიღეს მის წინააღმდეგ; მაგრამ, როგორც აღვინშენთ, ეს განპირობებული იყო იმდროინდელი თეატრალური თუ სხვა სანახაობების შინაარსითა და ხასიათით. ესა თუ ის კანონი იმის გამო კრძალავდა სანახაობებზე დასწრებას, რომ მათში ზნებრიობის ნიშანწყალიც არ იყო, პირიქით, უმაღლეს რანგში იყო აყვანილი უზნეობა და გარყვნილება. იმართებოდა წარმართებისთვის დამახასიათებელი წარმოდგენები. ხშირ შემთხვევაში ამ წარმოდგენებს მიზანმიმართულად ამთხვევდნენ კვირა დღეს, ან საეკლესიო დღესასწაულებს; უფრო მეტიც, ბრწყინვალე შვიდეულს, ანუ ქრისტიანთათვის სადღესასწაულო დღეებს. ამით ცდილობდნენ საზოგადოე-

ბის ინტერესის გადატანას უზნეო გასართობებზე, რათა მათი გონება და გული უფლისა და ეკლესისებან მოწყვეტათ. ასეთ ვითარებაში ადამიანის მსოფლმხედველობა და ზნეობა ჩლუნგდებოდა. ამგვარი საზოგადოებისთვის კი უზნეობა უკვე ნორმად ითვლებოდა. ეკლესიას წმინდა მამები სწორები იმიტომ იღებდნენ მკაცრ კანონებს თეატრალური სანახაობების წინააღმდეგ, რომ არ დაეშვათ კაცობრიობის ზნეობრივი გახრწნა და მისთვის სულიშვილის მადლის მოკლება.

მაგრამ დრო შეიცვალა, თაობები აღინიშნენ ქრისტიანულ წიაღში, ქრისტიანული მსოფლმხედველობით. შეიცვალა თეატრალური წარმოდგენებიც. ისინი აღარ იყო ისეთი სასტიკი და უხამსი.

შეუკუნებში რუსეთში იმდენად პოპულარული იყო თეატრი, რომ დარბაზები ხალხს ვეღარ იტევდა. განსაკუთრებით პოპულარული იყო საეკლესიო დადგმები.

რაც შეეხება საქართველოს, აქ თეატრი მე-19 ს-დან შემოვიდა და მის აღორძინებას ხელი შეუწყო წმ. ილია მართალმა. მისი თაოსნობით დაარსდა დრამატული საზოგადოება, რომელსაც ევალებოდა ქართული თეატრის საქმიანობის წარმართვა. მკაცრად აკონტროლებდა იგი სცენაზე წარმოდგენილ ველა სპექტაკლს და კრიტიკას არ ერიდებოდა. ამოწმებდა როგორც ნაწარმოების ლიტერატურულ მხარეს, ასევე მსახიობთა ქცევასა და საუბრის მანერას.

დღეს ხშირად ისმის სხვადასხვა აზრი თეატრთან მიმართებაში. ზოგნი რადიკალურად უარყოფენ თეატრს და თვლიან, რომ მისი არსებობა დაუშვებელია და ველას, ვინც წარმოდგენებს ესწრება, ანდა თავად მოღვაწეობს ამ სფეროში, უნდა აეკრძალოთ საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობა. ამის საპასუხოდ ჩერნი ზემოთ მოყვანილი მსჯელობაც რომ არა, წმ. ილია მართლის ღვაწლიც საკმარისა, რომელიც მან ამ საქმისთის გასწია და ის შეფასება, რასაც ერის მამა გვაძლევს თეატრის შესახებ: „სცენა ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭევას, იგი ამ თავისი თვისებით კაცის გუნებაზედ უფრო მეღვრად მოქმედებს, ვიღრე სხვა რამე. ამ მხრით არის იგი სანატროელი, კაცის გრძნობისა და ჭევის გამაფაქიზებელი“.<sup>18</sup>

გარდა ამისა, თავად XX ს.-ის თეატრისა და კინოხელოვნების სფეროში მოღვაწენიც ერთხმად თანხმდებან იმ საკითხში, რომ „ჭეშმარიტი ხელოვნება ადამიანის სულიერ აღზრდასა და ჩამოფალიბებას უნდა ემსახურებოდეს“.<sup>19</sup> თეატრმაც, როგორც ხელოვნების უნდა ემსახურებოდეს.

<sup>18</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1997, გვ. 275.

<sup>19</sup> „მაღლის“ 1990 – 2010 წწ. ქრუბული, I, თბ., 2010, გვ. 77 – 78.

ბამ, ხელი უნდა შეუწეოს საზოგადოების ზნეობრივად ამაღლებას და სულიერად განწმენდას. გამოჩენილი მოღვაწენი, აგრეთვე, დაუშვებლად მიიჩნევენ სცენაზე ბილწისტყვაობას.

ამრიგად, კრიტიკის საგანია არა თეატრი, არამედ მისი ნაკლოვანება. „არ არსებობს სამყაროში ისეთი იარაღი, რომლის ღვთის სამსახურში გამოყენება არ შეიძლებოდეს“,<sup>20</sup> ამიტომაც აკრძალვის ნაცვლად საჭიროა მასზე კონტროლი დაწესდეს და თეატრმა ისეთი ღირებულებები შეიძინოს, რომ სულიერი სარგებელი მივიღოთ მისგან. სცენაზე წარმოდგენილი თითოეული სპექტაკლი უნდა იყოს ლიტერატურულად გამართული, ზნეობრივად ამაღლებული, ხოლო მსახიობების ლექსიკა დახვეწილი. თეატრის არსებობა საჭიროა საზოგადოებისთვის, რადგან „ჩვენ არ ვიცით სხვა მისებრ უებარი საშუალება, რომელიც ეგრე გამარჯვებულად, სასწრაფოდ და პირდაპირ მოქმედებს ადამიანის უკეთესთა გრძნობათა გამოფხილებასა და მოძრაობაზედ“ (წმ. ილია მართალი).<sup>21</sup>

### გამოყენებული ლიტერატურა

ახალი აღთქმა, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2003.

დიდი სჯულის კანონი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, პ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გამ. „მეცნიერება“, თბ., 1975.

ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1991.

ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ VI, თბ., 1997.

მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპ. ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით, ტ. I, თბ., 2007.

„მაღლის“ 1990 – 2010 წლების კრებული, I, თბ., 2010.

Газета «Православный Санкт-Петербург», №4, 2004.


«Журнал московской патриархии», №9, 2001.

Журнал «Наука и религия», №7, 2003.

Санкт-Петербургская православная духовная академия, архив журнала «Христианское чтение», № 1-2, 1896.

<sup>20</sup> «Журнал московской патриархии», №9, 2001, ст. 76.

<sup>21</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V თბ., 1991, გვ. 241 - 242.



გრანი ქავთარია

### სტრაბონი და კოლხეთის ისტორიის ფრაგმენტები

#### კოლხეთის გამგებელი მოაფერნე

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ გადმოცემულია ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე მცხოვრები განათლებული ადამიანისათვის ცნობილი (და უცნობი) სამყარო, რა თქმა უნდა, იმ დონით, რომელსაც იმდროინდელი მეცნიერება ფლობდა. თხზულებაში გამოკვეთილადაა ნაჩვენები ძვ.წ. VI-I საუკუნეების ბერძნული ისტორიულ-გეოგრაფიული აზროვნების განვითარების გზა. ეს იყო ცივილიზაციის არაბული გამონათების საუკუნეები, რომლის შედეგადაც ბერძნებმა კაცობრიობის გარიურავიდან დაგროვებული ცოდნა მეცნიერებად გარდაქმნეს და გარემომცველი სამყაროს საიდუმლოებათა სიღრმეში წვდომა ხელშესახები გახდეს. ადამიანები გათავისუფლდნენ მითოლოგიური წარმოდგენების გავლენისაგან და ოლიმპოს მრისხანე ღმერთები ლიტერატურისა და ხელოვნების სამსახურში ჩაყენეს. კეთილზმოვანმა მუხებმა შშვენიერების სიყვარულით აანთეს ელინური სულიერება. ხელოვნების დარგების ობიექტი ძირითადად ადამიანი გახდა მისი სულიერი და ფიზიკური სილამაზით გაფართოვდა ბერძენი მოაზროვნების თვალსაწიერი. გადალახეს უკიდეგანო ზღვები, ბურუსით მოცული გარემო და გაბედულად შეაბიჯეს სიბრძნის ოკეანეში. ფარდა ჩამოხსნეს მნემოსინეს ჯიატ სილამაზეს და წარსულის ფერფლად ქცევა ისტორიას არ დაანებეს.

დიდმა ბერძნულმა კოლონიზაციამ ერთ სივრცედ გააერთიანა ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროებზე მცხოვრები ადამიანები. გაიზარდა შორეული ქვეყნებისა და ხალხების ისტორითა და კულტურით დაინტერესება. განათლება გადაიქცა ღვთაებრივ წყალობად და თავისუფალი ადამიანის ამქვეყნიურ მოვალეობად (გა-

ნათლების უმთავრესი საზომი იყო პომეროსის პოემების ცოდნის დღი, „პომეროსმა აღტარდა ელადა“ — ასე აფასებდნენ ძველი ბერძნები გენიალური პოეტის როლს). ზღვაოსნებმა და მოახალშენებმა ხმელთაშუა და შავი ზღვები ელინური სამყაროს საზღვრებში მოაქციეს. ცოდნის შეძენის წყურვილით შეაღწიეს ეგვიპტე-ბაბილონის, ძველი ცივილიზაციის სხვა ქვეყნების ჩაკეტილ სივრცეებში და მათი რელიგიურ ისტორიული წარმოდგენები მეცნიერული კვლევის არალში ჩართეს. დედამიწის აღწერების მომდევნო საფეხურზე ჩამოყალიბდა გეოგრაფიული და ისტორიული მეცნიერებები. ჩაისახა მოსაზრებები სიცოცხლის წარმოშობისა და მისი წყაროების შესახებ.

ბუნების საიდუმლოებათა სიღრმეში წვდომაშ გაანათა ადამიანის გონება და საფუძვლად დაედო გიგანტურ ნახტომს, რომელიც ელინური სულიერი კულტურის კლასიკური სიმაღლის სახელითაა ცნობილი. აღნიშნულ ეპოქაში დაიბადა ბერძნული საოცრება. ქვეყნიერებას მოევლინენ ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედები, სწორუბოვარი გმირები და ტიტანები, ბრძენთა ბრძენები: სოკრატე, პლატონი, არისტოტელე; ყველა დროის უდიდესი ტრაგიკოსები: ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე; პოლიტიკური აზროვნების მწვერვალები: სოლონი და პერიკლე, გენიალური ალექსანდრე დიდი; საოცრების შექმნელი ფიდიასი და ორატორული ხელოვნების ქურუმი დემოსთენე, ისტორიის „მამა“ პეროდოტე და მისი მომდევნო თაობა (თუკიდიდე, ქსენოფონტი) და სხვა მრავალი. აღნიშნულმა ეპოქამ საუკუნეებს დაუტოვა ელინური ხუროთმოძღვრების გვირგვინი, ათენის აკროპოლისი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბერძენ შემოქმედთა ქმნილებების შხოლოდ ნაწილია მოღწეული.

ლიტერატურამ, ფილოსოფიამ, ისტორიამ, პოლიტიკურმა აზროვნებამ, ხელოვნებამ (ხუროთმოძღვრება, ქანდაკება) განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. თეატრალური წარმოდგენები განთლებული ელინის ყოველდღიური ცხოვრების თანამგზავრი გახდა. მკურნალობის საუკუნოვანი ტრადიციები ჰიპოკრატემ (მედიცინის მამამ) მეცნიერებად გარდაქმნა. კლასიკური ეპოქის ამაღლებული ქმნილებები, ნაშენები და ნაქანდაკები, დღესაც ადამიანური ფანტაზიის სრულყოფის მწვერვალზე დგანან (ჩვენს თემას ცოტათი წინ გავუსწრებ და ვიტყვი, ცოდნის ამ დიდი საგანძურის მემკვიდრე და გამგრძელებელი იყო სახელოვანი გეოგრაფიკორი სტრაბონი). ამ საოცრად მაღალი გემოვნებით აღბეჭდილმა ხელოვნებამ არ უნდა შეგვიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ელინების ცხოვრება მი-

წიერი საზრუნავისაგან თავისუფალი იყო და მათი ყოველდღიურობა ჰელიკონის ბაღებში დროსტარებით შემოიფარგლებოდა.

შრომამ, განსაკუთრებით გონებრივმა, ელადა ხმელთაშუა ზღვის ეკონომიკური ცხოვრების ცენტრად, ხოლო ქალაქი ათენი მსოფლიოს ულამაზეს ქალაქად აქცია. მოხდა თავისუფალ ადამიანთა უფლებრივი გათანაბრება. სოლონის რეფორმებმა საფუძველი ჩაუყარა მონათმფლობელური დემოკრატიის ძირითად პრინციპებს. კანონები იცავდნენ თავისუფალი ადამიანების ხელშეუხებლობას. ბერძენ-სპარსელთა ომებში გამარჯვებამ ათენს ელადის პოლიტიკური ცხოვრების ჰეგემონობა მოუტანა და, რაც მთავარია, ელინური სამყაროს კულტურისა და განათლების ცენტრად აქცია. ათენისაკენ ისწრაფოდნენ მოაზროვნე ადამიანები, რათა მოეპოვებინათ საერთო ელინური აღიარება. მოწესრიგდა კანონმდებლობა და პოლისის მართვა-გამგების სისტემა.

ბერძნებმა გამოიგონეს მმართველობის იდეალური ფორმა — დემოკრატია, თავისუფალ ადამიანთა უფლებრივი თანასწორობა (მონები საზოგადოების წევრებად არ განიხილებოდნენ). დემოკრატიული ათენის პოლიტიკური მოღვაწეები ამაყობდნენ იმით, რომ მათი კანონებით პიროვნებამ მოიპოვა თავისუფლება. მაგრამ ეს ეხებოდა მხოლოდ სრულუფლებიან მოქალაქეს (ათენის მოქალაქეობის მიღება ძალიან ძნელი იყო). უზარმაზარ სიბრძნეს დაუფლებული და საკაცობრიო იდეების კვლევაში ჩაფლული განათლებული ბერძნები მთელი სერიოზულობით ამტკიცებდნენ თავიანთ რჩეულობას (ანალოგიური გაზიადებული დამოკიდებულება ჩვეულებრივი მოვლენა იყო ძველი ამოსაულეთის თითქმის ყველა ხალხისათვის), ხოლო დედამიწის დანარჩენ მკვიდრებს, კულტურული დონის მიუხედავად, ბარბაროსებს უწოდებდნენ. პანელინური იდეები ბატონობდა ალექსანდრე დიდის იმპერიაში, თუმცა იგი არ ეთანხმებოდა ადამიანების რჩეულებად და ბარბაროსებად დაყოფას.

სამსაუკუნოვანი ელინიზმი ბერძნული გენიის მოკრძალებული გაგრძელება იყო, რომელმაც არსებობა რომაული მახვილის ქვეშ დაასრულა. აღნიშნულ საუკუნეებში მოხდა ელინების გიგანტური აღმასვლაც (კულტურული და პოლიტიკური ბატონობა მსოფლიოზე) და დაცემაც. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში ელინებმა გადალახეს პოლისური ჩაკეტილობის საზღვრები და მსოფლიოს მოქალაქეები (კოსმოპოლიტები) გახდნენ. ძველი აღმოსავლეთის კულტურული სამყარო მათ სულიერ კონტროლს დაექვემდებარა, რამაც ახალ სი-

მაღლეს ჩაუყარა საფუძველი. საუკუნეთა სიღრმეში დაგროვებული ცოდნის უკვდავყოფით ბერძნებმა დაიმქვიდრეს კაცობრიობის მასწავლებლების სახელი, დანერგეს ახალი სუნთქვა ცივილიზაციის ისტორიაში, ისინი იყვნენ ძველი მსოფლიოს მეცნიერული და მხატვრული აზროვნების კანონმდებლები, კულტურისა და განათლების მედროშენი, ოლიმპოდან ცეცხლის მომტაცებლები და ადამიანების გზის გამნათებლები (შეიძლება არ არის რეალობიდან შორს მტკიცება იმის შესახებ, რომ ქართული ისტყვა ბრძნი, ბერძნის შეკუმშული ფორმა იყოს). ეს დიდი ტრადიციები მექევიდრეობით გადადიოდა საუკუნიდან საუკუნეზე. სინათლე კაშკაშებდა წარსულის მოგონებებში.

დამოუკიდებლობას მოკლებული ელადა აგრძელებდა კულტურული მსოფლიოს სათავეში დგომას და ამ ფაქტს გამარჯვებული რომაელებიც აღიარებდნენ და ეამაყებოდათ, რომ მათი მოწაფეები იყვნენ. ათასწლეულთა მიჯნაზე ელინთა დიდების ციკლი დამთავრდა, ადრინდელი უნივერსალობა დაიკარგა და თანდათან ჩრდილისკენ გადაიხარა. ამის მიუხედავად, რომაელებისათვის საპერძეო კულტურისა და განათლების იდეალურ სკოლად და სიბრძნის კერად რჩებოდა. გაფერმკრთალებული ელვარება ძველი ინერციით ინარჩუნებდა სახელს და დიდებას, საოცრებათა ეპოქა ფრთხებს კეცავდა, ასპარეზს უთმობდა თავისი კულტურის ჩრდილში ამოზრდილ მგლის „ნაშერებს.“ ეთხოვებოდა ხსოვნაში გადასულ ამაღლებულ დღეებს. ელინური სიმაღლის ერთერთი უკანასკნელი წარმომადგენელი იყო რომაული პერიოდის დიდი ბერძნი, მცირე აზიელი სტრაბონი (ძვ.წ. 64/63 — ა.წ. 23/24), რომლის შემოქმედებაში გედის სიმღრის დარად, როგორც გამოსათხოვარი აკორდი, გაიელვა მრავლის მცოდნეობის ძველბერძნულმა აღმაფრენამ. ეს შესავალი იმის საილუსტრაციოდ დავურთეთ, რომ გვეჩვენებინა ის საფუძველი, რომლის მექევიდრეც იყო სტრაბონი, როგორც მეცნიერი და წინამორბედების დიდ საქმეთა გამგრძელებელი, სწავლული ისტორიკოსი და გეოგრაფიაში.

სტრაბონი დაიბადა მცირე აზიის ქალაქ ამასიაში. ამასია პონტოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. მისი ოჯახი წინაპრებულთა წრეს ეკუთვნოდა, წინაპრები ახლოს იდგნენ და დიდი გავლენით სარგებლობდნენ მითრიდატიდების კარზე. რაც შეეხება სტრაბონს, რომელსაც ცხოვრება რომაულ პერიოდში მოუწია, მან პოლიტიკური მოღვაწეობის ნაცვლად, მეცნიერული საქმიანობა აირჩია (თუ თანამედროვე ტერმინოლოგით ვიმსჯელებთ, მსოფლიო სახელიც მოიხვეჭა) და ამ გზით მარადისობაში დაუმკვიდრა ადგილი ძველ ბერძნულ

გეოგრაფიას. მისი დამსახურება ორი ათასი წლის წინათ მეხსიერებაში შერჩენილი გარდასულ დღეთა მოგონებების დაფიქსირება და ისიც, რომ უამრავ ადამიანთა ნაღვაწი დრო-უამის მტკერმა არ დაფარა.

სტრაბონი აღიზარდა „მითრიდატული ომების“ მონაწილეთა გარემოცვაში (იგი დაიბადა ამ დიდი ომის უკანასკნელ წელს). მისი თანამედროვენი იყვნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული გმირები და ანტიგმირები. ანტიკური სამყაროს ისტორიაში ცნობილია, რომ ერთ-ერთი ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომის (თუ ომების) გამჩაღებული იყო ელინისტური აღმოსავლეთის უკანასკნელი გმირი, პონტოს სახელოვანი მეფე მითრიდატე ევპატორი. სტრაბონის უახლოესი წინაპრები მითრიდატულ ომებში მონაწილეობდნენ. პონტო დაეცა. რომაული ბატონობა მითრიდატეს გარემოცვას მკაცრად გაუსწორდა. გადარჩენილებმა ადრინდელი პრივილეგიები დაკარგეს. სტრაბონის მშობლებსაც შეეხებოდა დამარცხების სუსხი, მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობის გარკვეული დონე მაინც შეუნარჩუნებიათ და შვილისთვის კარგი განათლება მიუციათ. სტრაბონს უსწავლია იმ დროისათვის ცნობილ საგანმანათლებლო ცენტრებში. შეძენილი ცოდნის სიღრმე შესანიშნავად ჩანს მეცნიერული ცოდნით დატვირთულ „გეოგრაფიაში“.

სტრაბონი იყო ისტორიკოსი და გეოგრაფოსი. ცნობილია მისი ისტორიული თხზულების სახელწოდება — „საისტორიო ჩანაწერები“. ვარაუდობენ, რომ ნაშრომი მოიცავდა პერიოდს კართაგენის დანგრევიდან, ძვ.წ. 146 წლიდან ძვ.წ. 27 წლამდე. ამ უზარმაზარი თხზულებიდან მოღწეულია მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო ფრაგმენტი. თუ გავითვალისწინებთ „გეოგრაფიის“ მოცულობას, რომელიც 17 წიგნისაგან შედგება, გასაგებია, რამდენად ვრცელი იქნებოდა „საისტორიო ჩანაწერები“, რომელიც 47 წიგნს მოიცავდა. სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ სტრაბონის „საისტორიო ჩანაწერები“ წარმოადგენდა პოლიბიოსის „მსოფლიო ისტორიის“ გაგრძელებას. მიჩნეულია, რომ ფრაგმენტების სიმცირის გამო (19 უმნიშვნელო ფრაგმენტი) თხზულების ღირსებაზე ან ნაკლზე რაიმე არსებითის თქმა შეუძლებელია.

სტრაბონის შემოქმედებიდან სრული სახით მოღწეულია „გეოგრაფია“, ძველი სამყაროს გეოგრაფიული ცოდნის ნამდვილი ენციკლოპედია, რომელმაც მის ავტორს „გეოგრაფიის მამის“ სახელი დაუმეტებიდრა. სტრაბონი მოგვითხრობს იმ დროისათვის ცნობილ ქვეყნებსა და ხალხებზე, გადმოგვცემს ბერძნული მეცნიერების მი-

ღწევებს გარემომცველი სამყაროს აგებულებასა და ბუნებაზე. „გეოგრაფიის“ ცენტრში დგას ელადა, ყველა დანარჩენი განხილულია მასთან მიმართებაში, ამის გამო, თხზულება განსაკუთრებით საყურადღებო ინფორმაციებს გვაწვდის ხმელთაშუა ზღვის აუზისა და მცირე აზის გეოგრაფიული რუკის შესახებ. სტრაბონი ერატოსთენებზე დაყრდნობით აღიარებდა დედამიწის სფეროსებრიობას. იმდროინდელი ცოდნის გათვალისწინებით, დაინტერესებული იყო ზღვებისა და ოკეანების მოქცევისა და მიქცევის თეორიით, ექსპობოდა ჰიპოთეზას ჰერკულესის სვეტების (გიბრალტარის) დასავლეთით უზარმაზარი მატერიკის არსებობის შესახებ, მსჯელობდა უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ქვეყნების ადგილმდებარეობასა და მოსახლეობაზე და სხვ. გეოგრაფიის წინაშე დასმული ამოცანა სტრაბონმა შესანიშნავად შეასრულა და საუკუნეებს შემოუნახა დედამიწის აღწერის პირველი სრულყოფილი დოკუმენტი (ანტიკური ეპოქიდან მსგავსი შინაარსის ნაშრომი ჩვენამდე მოღწეული არ არის). სტრაბონის „გეოგრაფია“, თანამდეროვე ტერმინოლოგიით თუ ვიმსჯელებთ, არის პასპორტი მთელი რიგი ქვეყნებისა და ხალხებისათვის.

„გეოგრაფია“ ყურადღებას იმსახურებს იმ კუთხითაც, რომ ავტორს მრავალ საკითხთან დაკავშირებით დაცული აქვს ადრინდელ სწავლულთა ნააზრევი. ნაშრომში ფართოდ ფიგურირებს გამოყენებული ლიტერატურა, კამათი იმ ავტორებთან, რომელთა ინფორმაციები საეჭვოდ მიაჩნდა. კამათი ზოგჯერ მკაცრი კრიტიკის სახით არის წარმართული. დასახელებული ლიტერატურიდან სტრაბონი ყველაზე სანდო და შეუძლია ავტორად თვლიდა ჰომეროსს. რაც შეეხება „ისტორიის მამას“ ჰეროდოტეს, ბევრ საკითხში არ ეთანხმებოდა და აკრიტიკებდა, თუმცა კრიტიკა ხშირად გადაჭარბებული იყო. „გეოგრაფიაში“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ეფორეს, ერატოსთენეს, არტემიდორეს, პოლიბიოსს, პოსიდონიოსს და სხვ. სტრაბონის ყურადღების ცენტრში ძირითადად ბერძენი ავტორები იღვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ რომის იმპერიის პერიოდის მწერალი იყო, რომაული ლიტერატურით ნაკლებად სარგებლობდა. მიზეზად დასახელებულია ლათინური ენის არასაკმარისი ცოდნა (ეს ნაკლი არ იყო შემთხვევითი და ბერძნულ მწერლობაში იშვიათობას არ წარმოადგენდა. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ „პარალელური ბიოგრაფიების“ ცნობილი ავტორი პლუტარქე, რომელიც გარკვევით წერდა, რომ ლათინურს სუსტად ფლობდა. ამ ფაქტს თავისი გამართლება ჰქონდა. განათლებული რომაულებისათვის სავალდებულო იყო

ბერძნულის ცოდნა. ბერძენი „ბარბაროსული“ ლათინურისადმი დიდ დაინტერესებას არ იჩინდნენ, რადგან დამპყრობლებთან ურთიერობას შშობლიური ენის მეშვეობითაც კარგად ახერხებდნენ). სტრაბონი თავის თანამდეროვე რომაულ მწერლებს საკმაოდ მოკრძალებულად ახსენებდა, გამონაკლისს წარმოადგენს იულიუს კეისარის „კომენტარები გალებთან მოსის შესახებ“. მეტ-ნაკლები სისრულით იყენებდა სხვა რომაულ ავტორებსაც. მეცნიერებაში მითითებულია, რომ სტრაბონს რომაულ სწავლულებზე არ ჰქონდა მაღალი წარმოლგენა (ალბათ, გენიალური კეისარი ამ შემთხვევაში გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს).

სტრაბონის „გეოგრაფიიდან“ ჩანს, რომ იგი საფუძვლიანად იცნობდა წინამორბედი ბერძენი გეოგრაფოსებისა და ისტორიკოსების ნაშრომებს (დასახელებული პედავს ავტორები, რომელთა თხზულებები მოღწეული არ არის და „გეოგრაფიის“ დამსახურებაა მათი ფრაგმენტების არსებობა). სტრაბონი, არსებული ლიტერატურის გარდა, დიდ როლს ანიჭებდა საკუთარი თვალით ნანახს. ამ მიზნით ბევრს მოგზაურობდა შორეულ ქვეყნებში. მითითებული აქვს, დედამიწის რომელ ნაწილში იმოგზაურა. ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია: აღმოსავლეთით სომხეთი, დასავლეთით სარდინია, ჩრდილოთით ევქსინის პონტო — სამხრეთით ეთიოპია. იგი სიამაყით აღნიშნავს, არცერთ გეოგრაფოსს იმდენი ქვეყანა არ აქვს მოვლილი, რამდენიც მას (გეოგრაფია, X1.V,11).

სტრაბონის თხრობა არ არის გადატვირთული. იგი გაურბის სახელწოდებების შშრალ გადმოცემას. გეოგრაფიულ აღწერებთან ერთად, საინტერესოდ გვიყვება უცნობი ქვეყნებისა და ქალაქების ლირსშესანიშნაობათა შესახებ. საინტერესოა იმის ხაზგასმა, რომ გეოგრაფიული აღწერების გვერდით სერიოზული ცნობებია დაცული ცალკეული ხალხების წარმომავლობაზე, რელიგიურ წარმოლგენებზე, სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და პოლიტიკურ წყობაზე. ამ ღირსებათა გამო „გეოგრაფია“ ძველი მსოფლიოს ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს.

სტრაბონის აზრით, გეოგრაფია, როგორც ყველა სხვა მეცნიერება, განეკუთვნება ფილოსოფიის სფეროს. იგი განმარტავს, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია გეოგრაფიას — ცნობებს, როგორც სახელმწიფო მოღვაწეებზე, ისე მეცნიერებაზე ციური მოვლენების, ხმელეთისა და ზღვის ცხოველების, მცენარეების და სხვათა შესახებ, „გეოგრაფიის სარგებლიანობა გულისხმობს, რომ გეოგრაფოსი, აგრეთვე, ფილოსოფოსიც უნდა იყოს, რომელმაც თავი მიუძღვნა

ცხოვრების ხელოვნების, ე.ი. ბედნიერების შესწავლას “გეოგრაფია, I, I, 1). „გეოგრაფიაში“ ხაზგასმულია წინამორბედ მეცნიერთა, როგორც ღირსებები, ისე ნაკლოვანი მხარეები. მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, გაკეთებული აქვს მკაცრი შენიშვნები. მაგალითად, იგი არ ეთანხმება კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობის დასამტკიცებელ საბუთად იმის მოტანას, რომ ორივე ხალხში სელის ქსოვილის წარმოება იყო გაგრცელებული (მხედველობაში ჰყავდა ჰეროდოტე, რომელიც დარწმუნებული იყო ეგვიპტელებისა და კოლხების საერთო წარმომავლობაში. იხ. ჰეროდოტე, II, 104-105).

სტრაბონისათვის დიდ ავტორიტეტს წარმოადგენდა პოლიბიოსი, მაგრამ ხშირად უნდობლობას უცხადებს მის ცნობებსაც (განსაკუთრებით რომისა და ესპანელი ტომების ურთიერთობათა შესახებ). სტრაბონმა გაასწორა ძველ ავტორებთან დაცული ანაქრონიზმი აღექსანდრე მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობის შესახებ და აღნიშნა, რომ ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. სტრაბონს განზრახული ჰქონდა მეცნიერებაში არსებული სადავო საკითხების დალაგება, მაგრამ ზოგჯერ თვითონაც ვერ აღწევდა თავს სერიოზულ გადახრებს. „გეოგრაფიაში“ დაცული ბევრი ინფორმაცია სხვა ავტორებთან არ გვხვდება. ამ კუთხით ნაშრომი უძვირფუასეს წყაროს წარმოადგენს ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დასაწყისში მცხოვრები ხალხების კულტურული დონისა და საერთაშორისო ურთიერთობების ამსახველი მასალების სიმრავლით.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ძველი საქართველოს, კოლხეთისა და იბერიის გეოგრაფიულ აღწერებში ჩართული წმინდა ისტორიული შინაარსის გადახვევები, რომელებიც სულ სხვა სურათს გვიხატავენ ჩვენი წარსულის შორეულსა და უცნობ ეპოქებზე. სტრაბონის თხზულებაში არის ადგილები, სადაც გეოგრაფია გვერდზეა გაწეული და წინა პლანზე გამოდის თხრობა სულ სხვა შინაარსის ამბებზე. ამგვარი მოსაზრების დამადასტურებლად უნდა მივიჩნიოთ ვრცელი მსჯელობა საკუთარი წინაპრების, მითოდა-ტიდების კარისკაცების საქმიანობაზე და მათ როლზე პონტოს ისტორიაში. ამ არაგეოგრაფიულმა ჩანართმა სტრაბონის წინაშე დასვა საკითხის გაგრძელების აუცილებლობა. მან თავისი ნათესავის, ევპატორის დიდმოხელე მოაფერნეს დამსახურების წარმოჩენის სურვილით, „გეოგრაფიაში“ ჩასვა არაგეოგრაფიული ეპიზოდი (რაც შეეხება კოლხეთის გეოგრაფიას, მისი სურათი ჩვეულებრივ სტილშია წარმოდგენილი), კოლხეთის ისტორიიდან. სტრაბონი, როგორც

აღწერილი მოვლენის თანამედროვე, გვაწვდის სანდო ცნობებს იმის შესახებ, რომ ჩვენი საშობლო ორი ათასი წლის წინათაც ძლიერ სახელმწიფოთა აგრესიის ობიექტს წარმოადგენდა.

სტრაბონი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი. მისი ცნობები საქართველოს შესახებ თარგმნილია ქართულად და გამოცემულია შესაბამისი კომენტარებით (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957). სტრაბონი ფართოდ ფიგურირებს ძველი კოლხეთისა და იბერიის მკვლევართა ნაშრომებში. სტატიის მიზანია „გეოგრაფიის მამის“ თხზულებაში დაცული ფრაგმენტის საფუძველზე ვაჩვენოთ მითოდატე ევპატორის სატრაპის, მოაფერნეს როლი და „გაელვება“ კოლხეთის ისტორიაში, როგორც „მეგობარი“ მრისხანე დამპყრობელის, გამგებლისა თუ „მეგისნაცვლისა“. „გეოგრაფიაში“ ვრცელი მსჯელობაა მოაფერნეს წარმომავლობასა და იმ სანათესავო ხაზზე, რომლიდანაც მომდინარეობდა თვით სტრაბონის გენეალოგიაც. შეიძლება გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ სასურველად მიგვაჩნია გადმოვცეთ ის პატივისცემა, რომელსაც დიდი გეოგრაფი თავისი ნათესავებისადმი იჩენდა და მათ მცირე დამსახურებასაც კი არ ტოვებდა უყურადღებოდ. მათ შორის იყო მოაფერნე, პონტოს პოლიტიკური ცხოვრების თვალსაჩინო ფიგურა.

სტრაბონი უფრო დიდ სიმპათიას დედის წინაპრებისადმი ავლენდა, ჩანს, მათ პონტოს წინაშე გაწეულ ღვაწლს დიდად აფასებდა და მათი შთამომავლობა ეამაყებოდა. ამ სახელოვან წინაპართა გენეალოგიის ფუძემდებლად დასახელებული ჰყავს თავისი პაპის პაპალორილაოსი, სამხედრო ხელოვნებაში განსწავლული პიროვნება, რომელსაც იგი ტაქტიკოსის კოგნომენით მოიხსენიებს. სტრაბონი წერს, დორილაოსი იყო პონტოს მეფის (იგულისხმება მითოდატე V ევერგეტი, 150-131 წწ.) უახლოესი კარისკაცი და მნიშვნელოვან დავალებათა შემსრულებელი. ხშირად იგზავნებოდა მეზობელ ქვეყნებში მოქირავნეთა შესაგროვებლად (გეოგრაფია, X.IV, 10). ერთ-ერთი მორიგი მივლინების დროს, როცა იგი კუნძულ კრეტაზე იძყოფებოდა, ატყდა ომი კნოსელებსა და გორტინელებს შორის. კნოსის ხელისუფლებამ სტუმრად მყოფ დორილაოსს, როგორც გამოცდილ სტრატეგოსს, სთხოვა, სათავეში ჩადგომოდა მათ ლაშქარს. დორილაოსმა თხოვნა დააკმაყოფილა. მისი სარდლობით კნოსელებმა გორტინელები დამარცხეს. მოპოვებული გამარჯვების სანაცვლოდ კნოსელებისაგან დიდი ჯილდო მიიღო. ამ დროს, დორილაოსმა

შეიტყო, რომ პონტოში ტრაგედია დატრიალდა. მეფე მითრიდატე ევერუგეტი შეთქმულებმა მოკლეს (შეთქმულების ზუსტი თარიღია ძვ.წ. 131 წელი), ხელისუფლება გადაეცა მის ქვრივსა და შვილებს. პონტოში მომხდარმა ამბავმა დორილაოსი იძულებული გახადა, უარი ეთქვა სამშობლოში დაბრუნებაზე. იგი საცხოვრებლად დარჩა კნოსში და დაოჯახდა. შეეძინა ორი ვაჟი — ლაგეტი და სტრატარხი (სტრაბონი წერს, ღრმად მოხუცებულ სტრატარხს მეც მოვესწარიო) და ერთი ქალი. დორილაოს ტაქტიკოსი გარდაიცვალა კრეტაზე. მისი ძის, ლაგეტის ასული იყო სტრაბონის დედის ძებია.

სტრაბონი აგრძელებს თხრობას. დორილაოს ტაქტიკოსის ძმა ფილეტერი ცხოვრობდა პონტოში. მას ჰყავდა ვაჟი, დორილაოსი. რომელიც იყო მითრიდატე ევპატორის თანატოლი. ისინი ბავშვობიდან ერთად იზრდებოდნენ და ახლო მეგობრებიც იყვნენ. მეფე დიდი სითბოთი ეპყრობოდა დორილაოსსა და მის ნათესავებს. მითრიდატემ შესთავაზა თავის მეგობარს, კნოსში მცხოვრები დორილაოს ტაქტიკოსის შთამომავლები მოეწვია პონტოში. დორილაოსის შვილებმა მეფის სურვილი დააკმაყოფილეს, სამშობლოში დაბრუნდნენ და ევპატორის სამსახურში ჩადგნენ. მეფის მეგობარი დორილაოსი იყო სანათესაოს მფარველი და გზის მაჩვენებელი. საგვარეულოს მეთაურს ევპატორის კარზე ეკავა მაღალი თანამდებობები, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო წურუმობა კომანაში. მაგრამ მიღწეული დიდების შენარჩუნება ბოლომდე ვერ შეძლო. რომთან ომის დროს, საკმაოდ ბუნდოვანი ბრალდებით, იგი ამზილეს რომაელთა მხარეზე გადასვლის მცდელობაში და დასაჯეს (გეოგრაფია, XII. III, 33).

სტრაბონის სიტყვებით, ვიღრე ბედი წყალობდა დორილაოსს, ბედნიერად ცხოვრობდნენ მისი ნათესავებიც, მაგრამ თავს დატეხილი უბედურების შემდეგ ისინი დიდ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ. რამდენად სამართლიანი იყო ევპატორის განაჩენი ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ დორილაოსის ნათესავებიც რისხვას ვერ აიცილებდნენ (თუმცა ევპატორის რისხვა მაღლ ჩამქრალა და შერისხული დორილაოსის ნათესავი დორილაოს ტაქტიკოსის შთამომავალი მოაფერნე, კოლხეთის გამგებლად გაუმწესებია).

სტრაბონი, მითრიდატეს მეგობარ დორილაოსს ქებით მოიხსენიებს, მაგრამ სხვა ავტორების ცნობებით, საკმაოდ მდარე სტრატეგოსი ყოფილა. პლუტარქე სულას ბიოგრაფიაში წერს, პირველი მითრიდატელი ომის დროს საბერძნეთში შეჭრილი არმია, რომელსაც არქელაოსი სარდლობდა, რომაელებმა უკიდურესად შეავიწროვეს. მი-

თრიდატემ მდგომარეობის გამოსასწორებლად ახალი არმია გაგზავნა (80 ათასი მეომარი) დორილაოსის სარდლობით. დორილაოსმა საოცრად წინდაუხედავად განალაგა ლაშქარი, ნაჩქარევად შეება რომის ლეგიონებს და დამარცხდა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, პლუტარქეს მოაქვს რომის არმიის მხედართმთავრის კორნელიუს სულას შეფასება, რომლის თანახმადაც, დორილაოსი სამხედრო ხელოვნებაში ჩაუხედავი იყო და გონიერებით არქელაოს ვერ შეედრებოდა. დორილაოსის 80 ათასიანი არმიის სწრაფ განადგურებას აღნიშნავს „მითრიდატელი ომების“ ავტორი აპიანეც (მითრ. 99). როგორც ჩანს, დორილაოსი მოხერხებული კარისკაცი იყო, მაგრამ სამხედრო ხელოვნებას სუსტად ფლობდა. ამ რეალობის შესახებ სტრაბონი დუმს, მაგრამ დაუფარავად მოგვითხრობენ პლუტარქე და აპიანე.

სტრაბონი დორილაოსის სიკვდილის მიზეზად რომაელების მხარეზე გადასვლის მცდელობას ასახელებს. არსებობს დორილაოსის დაღუპვის განსხვავებული ვერსია. ლუკულუსის ბიოგრაფიაში პლუტარქე გვაუწყებს, რომის არმიას ალფაში პქონდა მოქცეული ქალაქი ამისონი. ამ დროს მითრიდატე ქალაქ კაბერასთან იდგა. რომის მთავარსარდალმა ამისონის ალფის გაგრძელება მურენას დავალა, თვითონ კი მითრიდატეს წინააღმდეგ გაემართა. ბრძოლა რომაელთა გამარჯვებით დამთავრდა. დამარცხებულმა მითრიდატემ გადაწყვიტა სამხედრო ბანაკის დატოვება. ვიდრე ბანაკი აიშლებოდა, „მეფის კარისკაცებმა შშვიდად დაიწყეს ბანაკიდან პირადი ქონების გატანა, მაგრამ სხვებს ამის ნებას არ აძლევდნენ. ბანაკის გასასვლელთან ძალდატანებით მირეკილი მეომრები მეტისმეტად განრისხდნენ და წინამძღოლთა ქონების დატაცებასა და მათი პატრონების ხოცვას შეუდგნენ, სარდალი დორილავ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მოკლეს, რომ ტანთ ძოწის კაბა ემოსა“ (პლუტარქე, ლუკულუსი, 17).

პლუტარქეს თხრობას დამაჯერებლობა აკლია, შეუძლებელია, რომ ასეთ მარტივ სიტუაციაში დაღუპულიყო მრავალ ხიფათგამოვლილი და ინტრიგებში გამოწროთობილი დორილაოსი, თანაც არაფრისმთხმელი მიზეზის გამო. სტრაბონის ცნობის რეალობას ამყარებს ინფორმაცია იმის შესახებ, რაოდენ მკაცრი ანგარიშსწორება განიცადეს დორილაოსის მახლობელმა ადამიანებმა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სტრაბონის ცნობა ეჭვს არ იწვევს. მას არ აერეოდა თავის ნათესავებზე დატეხილი უბედურების გამომწვევი მიზეზი, რომლის სუსხი მთელ საგვარეულოს მისწვდა.

სტრაბონი შედეგებით აფასებდა მოვლენებს და დაუფარავად

აღიარებდა, რომ მის ნათესავთა ნაწილი რომაელების წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა, მაგრამ მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ჯილდოს იმედით მოწინააღმდეგის მხარეზე გადადიოდნენ. სტრაბონი მორიდების გარეშე აცხადებს, რომ მისმა პაპამ (მამის მხრიდან, სახელს არ ახსენებს) უღალატა მეფეს, მაგრამ სანაცვლოდ ვერაფერი მიიღო, რომის ახალმა მთავარსარდალმა მის მოქმედებას ნდობა არ გამოუცხადა და ხელცარიელი დარჩა.

სტრაბონის მონათხრობში ნათლად ჩანს მის წინაპართა თავგანწირული ბრძოლაც და დალატიც. „გეოგრაფიაში“ ხაზგასმულია, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი პონტოს სამეფოს, როგორც აღზევებაში, ისე დაცემაში. მითოდატული ომების მონაწილეები სტრაბონის თანამედროვენი იყვნენ (მას ურთიერთობა ჰქონდა, როგორც თანამემულე ბერძნებთან, ისე რომაელებთან). ამის გამო მთელი რიგი საკითხებისა შეეძლო დაეზუსტებინა ომის უშუალო მონაწილეებთან. მოესმინა განსხვავებული მოსაზრებები და რაც მთავარია, გაეთვალისწინებინა საოჯახო ტრადიციაში დაცული გადმოცემები.

პონტოს სამეფოს წინაშე თავისი საგვარეულოს დამსახურების სრულად წარმოჩენის განზრახვამ სტრაბონის უշრადღების არეალში მოაქცია კოლხეთი და შემოგვინახა ისეთი ფაქტები, რომელსაც სხვა ავტორები არ შეხებიან. იგი შესანიშნავად იცნობდა ელინურ სამყაროსთან გარკვეული კუთხით დაკავშირებული ქვეყნების როგორც ისტორიას, ისე მითოლოგიას. კოლხეთი და მითი არგონავტების ლაშქრობის შესახებ ბერძნული ლიტერატურისა და ხელოვნების პოპულარული თემა იყო. მითში ისტორიკოსები და მწერლები, მაღალმხატვრული ფერების სიუხვის მიუხედავად, ფანტასტიკური გარემოს დაძლევას არ ცდილობდნენ და კოლხეთი ლეგენდების საკუთრებად რჩებოდა. სტრაბონი სულ სხვა თვალით კითხულობდა მითსაც და ისტორიასაც, მის მიერ აღწერილი კოლხეთი არის რეალური, ისეთი, როგორიც იყო ძვ.წ. პირველ საუკუნეში.

სტრაბონი კოლხეთის შესახებ თხრობას მითით იწყებს, მაგრამ გამიჯნული აქვს რეალური ისტორიისაგან. იგი წერს, „რამდენად სახელგანთქმული იყო ეს ქვეყანა ძველად, გვიჩვენებენ მითები, რომლებიც მოვითხობენ, თუმცა ბუნდოვანი ფორმით, იასონის ლაშქრობაზე, რომელმაც მიაღწია მიდიამდე, და კიდევ უფრო ადრინდელ ფრიქსეს ლაშქრობაზე“. მითოდატე ევპატორის ეპოქამდე, მითების მოძღვნო მეფე-მემკვიდრეები ფლობდნენ ქვეყანას დაყოფილს „სკეპტუზებად“, მაგრამ მათი კეთილდღეობა იყო მცირე. როდესაც მი-

თრიდატე ევპატორის ხელისუფლება მნიშვნელოვნად გაძლიერდა, ქვეყანა დაექვემდებარა მის ბატონობას. მეფე მუდმივად გზაგნიდა ვინმეს „მეგობრებიდან“ „მოადგილის“ ან „გამგებლის“ ხარისხით. ამ მმართველთა რიცხვში იყო მოაფერნე — დედახემის ბიძა მამის მხრიდან (ეს არის კოლხეთთან მოაფერნეს დამაკავშირებელი ერთად-ერთი წერილობითი ცნობა — გ.ქ.) მეფე ამ ქვეყნიდან ყველაზე მეტად ღებულობდა დახმარებას თავისი ფლოტის აღსაჭურვად“ (გეოგრაფია, X,II,18). ამ ინფორმაციას სტრაბონი ამთავრებს კიდევ უფრო საინტერესო ცნობებით, „მითოდატეს ძლიერების დაცემის შემდეგ მთელი მისი სახელმწიფო დაშალა და დანაწილდა მრავალ მმართველთა შორის. ბოლოს კოლხეთს დაუფლუ პოლემონი, ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ მართავდა მისი მეუღლე პითოდორიდა, რომელიც იყო კოლხების და ქალაქების ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის მეფე“ (გეოგრაფია, X,I,11,18).

სტრაბონის ლაკონიური თხრობა კოლხეთის ისტორიის მრავალ საიდუმლოს ჰქენეს შექს. იგი გვაუწყებს, რომ მითოდატე ევპატორამდე კოლხეთი დაყოფილი იყო სეპტუზებად, მაგრამ დამოუკიდებელ ქვეყანას წარმოადგენდა. პონტოს შემადგენლობაში მოქცევის შემდეგ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოხდებოდა სკეპტუზებად დაყოფილი მცირე ერთეულების ძლიერ დამპყრობელზე დაქვემდებარება და გაერთიანება, ამაზე მეტყველებს დამაჯერებელი მტკიცება, ევპატორი კოლხეთის ბედს საკუთარი სურვილების შესაბამისად განაგებდაო.

კოლხეთისადმი პონტოს მეფის განსაკუთრებული ყურადღების მაუწყებელია „გეოგრაფიაში“ დაცული კიდევ ერთი ცნობა, რომელიც გვაუწყებს, მითოდატე კოლხეთისა და მისი მიმდებარე ქვეყნების მიუხედ მთებში აგებდა სიმაგრეებს, სადაც ინახავდა თავისი სიმდიდრის დიდ ნაწილს (XII,III,28). ეს მინიშნება მიგვაჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტორად, რომელიც ზრდიდა კოლხეთის როლს. კოლხეთი, როგორც პონტოსთან ახლოს მდებარე ქვეყანა, აღნიშნული ფუნქციითაც მეტ ყურადღებას და საიმედოდ დაცვას მოითხოვდა. ამ ინფორმაციის გათვალისწინებით, კოლხეთის „მეფისნაცვალს“ ორმაგი უფლებამოსილება ეკისრებოდა, იგი იყო დამორჩილებულ მხარეში საიმპერიო რეჟიმის განმახორციელებელი და, რაც მთავარია, სახელმწიფოს ძლიერების საყრდენის, სამეფო საგანმურის მცველი. ეს ორმაგი დატვირთვა აფართოებდა, როგორც კოლხეთის, ისე მისი გამგებლის მნიშვნელობას. ცხადია, ასეთ სა-

პასუხიმგებლო თანამდებობას შემთხვევითი და საეჭვო რეპუტაციის პირი ვერ დაიკავებდა. ამდენად კოლხეთის „მეფისნაცვლობის“ მაღალ იერარქიას, პონტოს მეფის ხაზინადრობაც უნდა დაემატოს. ამ საკითხებში სტრაბონი კარგად იყო გარკვეული, რადგან ურთიერთობა პქონდა პონტოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულ ადამიანებთან. ინფორმატორებად მრავლად ეყოლებოდნენ სისხლის წვიმებს გადარჩენილი ნათესავები, რომლებსაც კარგად ემახსოვრებოდათ მოაფერნე და მისი საქმიანობა.

პონტოსა და კოლხეთის ურთიერთობების გასარკვევად „გეოგრაფიაში“ გაერთიანებულია მწიგნობრული და მონათხოობი ნაკადი. სტრაბონისათვის კოლხეთი არ იყო „ტერა ინკოგინტა“, მაგრამ ბოლომდე მაინც არ ხსნის ფარდას და მოკლე ინფორმაციების მოწოდებით კმაყოფილდება.

კოლხეთში პონტოს გაბატონების თარიღი უცნობია. სტრაბონი ამ ფაქტით არ დაინტერესებულა. ძველი მსოფლიოს ისტორიიდან ცნობილია, რომ ძვ.წ. II საუკუნის მიწურულს რომის აზიურ პოლიტიკას წინ აღუდგა პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი. მხოლოდ მას ეყო გამბედაობა იარაღი აღემართა მსოფლიოზე ბატონობის პრეტეზით შეპყრობილ რომაელებზე. პონტო-რომის სამი ომი (პირველი 89-85, მეორე 83-81, მესამე 74-64) მითრიდატე ევპატორის დამარცხებით დამთავრდა. გამარჯვებულმა რომაელებმა პონტოსთან ერთად მისი მოკავშირეების ტერიტორიებიც დალაშქრეს. მითრიდატემ ბრძოლის ველი მიატოვა და თავს გაქცევით უშველა.

მცირე აზია რომაელების ხელში გადავიდა. მითრიდატიდების დინასტიამ არსებობა შეწყვიტა.

როდის უნდა დაპყრო მითრიდატეს კოლხეთი? ამ ფაქტს მიახლოებითაც კი, არცერთი წყარო არ მიუთითებს, რაც ვარაუდების გამოთქმის შესაძლებლობას ზრდის. სადაც არ არის, რომ ელინისტური ეპოქის უთვალსაჩინოები პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე მითრიდატე ევპატორი, რომთან ომს ნაჩეარევად არ დაიწყებდა. იგი არ დაუშვებდა ევქსინის პონტოს სანაპიროებზე დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების არსებობას. ცნობილია მხოლოდ ბოსფორის სამეფოს დაპყრობის წელი (ძვ.წ. 107 წელი). უნდა ვივარაუდოთ, რომ კოლხეთის დაპყრობაც მომდევნო ხანებში, მითრიდატული ომების დაწყებამდე მოხდებოდა, რადგან ნიჭიერი სტრატეგოსი ზურგში არ დატოვებდა გაურკვეველი პოლიტიკური ორიენტაციის მქონე კოლხების დამოუკიდებლად არსებობას. ამავე

დღოს, ფართო მასშტაბის საომარ სამშადის ზუსტად ესაჭიროებოდა ის ნედლეული, რომლის ჩამონათვალიც აღნუსხული აქვს სტრაბონს. იმდროინდელი საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით, კოლხეთის დაპყრობა პირველ მითრიდატულ ომამდე (ძვ.წ. 89-85) უნდა დაემთავრებინა. ომის დროს პონტოს მეფის უურადღება მხოლოდ დასავლეთზე იყო მიჯაჭვული და პარალელური სამხედრო ოპერაციები წარმოება შეუძლებელი იქნებოდა.

ძვ.წ. I საუკუნის დასაწყისში პონტოს მეფე იმდენად მყარად გრძნობდა თავს დაპყრობილ ქვეყანაში (კოლხეთში), რომ ნებისმიერ დროს შეეძლო მის გამგებლად სასურველი პიროვნება დაენიშნა (ეს ფაქტი დადასტურებულია სტრაბონთან და აპიანესთან).

კოლხეთის გამგებლობა თუ „მეფისნაცვლობა“ წარმოადგენდა მითრიდატეს ერთგულ „მეგობართა“ ჯილდოს დამსახურებისათვის. კოლხეთის გამგებლობა იმდენად საპატიოდ ითვლებოდა, რომ მასში სამეფო ოჯახის წევრებიც კი ერთვებოდნენ. „მითრიდატული ომების“ ავტორს აპიანეს დაცული აქვს მეტად საინტერესო ცნობა, რომლის თანახმადაც, პირველი ომის დამთავრების შემდეგ კორნელიუს სულამ აზია დატოვა და რომში დაბრუნდა. დამარცხებული ევპატორი კი ბრძოლებს აგრძელებდა კოლხეთსა და ბოსფორში. აპიანეს ინფორმაცია რეალური ფაქტის ამსახველია. ომში პონტოს დამარცხება დაპყრობილ ქვეყნებში იმედის სხივს აანთებდა და დაიწყებოდა განმათავისუფლებელი მოძრაობა. ვიდრე ომი მიმდინარეობდა, აჯანყებულები დაუბრკოლებლად იმოქმედებდნენ, რადგან დარდანის ზავამდე (ძვ.წ. 85 წლის შემოდგომა) პონტოს მეფე ვერ შეძლებდა განდგომილი ბოსფორელებისა და კოლხების წინააღმდეგ გალაშქრებას. დაიღო თუ არა ზავი, მითრიდატე შეუდგა იმპერიის ომადელ საზღვრებში აღდგენას. ამ ინფორმაციის აპიანეს გადმოცემით, კოლხებთან საქმე ბრძოლამდე არ მისულა და მოლაპარაკებით დამთავრებულა. კოლხებს აღუთქვამთ მორჩილება, თუ ევპატორი მეფედ თავის ძეს მითრიდატეს დაუნიშნავდა. ევპატორმა აჯანყებულთა თხოვნა დააკმაყოფილა და თავისი გაუი მეფედ დაამტკიცა. მაგრამ მითრიდატეს მეფობა კოლხეთში ხანმოკლე აღმოჩნდა. ევპატორმა ეჭვი შეიტანა შვილის კეთილსინდისიერებაში, მას აჯანყებულ კოლხებთან ფარული კავშირი დაბრალა, გაიწვია პონტოში, „დაადო ოქროს ბორკილები და მოკლე ხანში სიკვდილით დასაჯა“ (აპიანე, მითრიდატული ომები, 64). რა კავშირი არსებობდა კოლხებსა და მითრიდატე მცირეს შორის, აპიანე ამის თაობაზე არაფერს გვაუწყებს. არ არის გამორიცხული, რომ მამის რისხვა კოლხთა მეფეს უსაფუძ-

ელოდაც დატყდომოდა თავს, რადგან მსგავსი ქმედებანი მითრიდატე ევპატორისათვის უცხო არ იყო (ელინისტური ეპოქის სისხლიან ტირანთა შორის ევპატორი გამოირჩეოდა თავისი სისახტიკით. ანტიკური ავტორების მოწმობით, მისი ბრძანებით გამოესალმნენ წუთისოფელს დედა, მმა, დები, შვილები, ნათესავები, უახლოესი მეგობრები (მათ შორის იყო სტრაბონის ნათესავი დორილაოსი). ამდენად, კოლხეთის მეფედ ნაკურთხი შვილის სიკვდილით დასჯა ერთი მორიგი მრისხანების შედეგადაც შეიძლება ჩაითვალოს).

მითრიდატე ევპატორის დროებითი თავშესაფარი კოლხეთი გახდა. პომპეუსისაგან დევნილი აქ შეჩერდა და ზურგის დაცვა უერთგულეს ქვეშევრდომს ოლთაკეს, დანდარიების ბარბაროსული ტომის ბელადს (დანდარიები მეოტიდის ტბის სანაპიროზე ცხოვრობდნენ) დაავალა (პლუტარქე, ლუკულუსი, 16). ეს ის ოლთაკეა, რომელიც კოლხების მბრძანებლის რანგში, როგორც ტყვე აშშვენებდა პომპეუსის ტრიუმფს (აპიანე, მითრ. 117).<sup>1</sup>

სტრაბონი კოლხეთის გამგებელთა სიმრავლეს ადასტურებს, მაგრამ სახელით მხოლოდ მოაფერნეს მოიხსენიებს.

ჩვენი ვარაუდით, მითრიდატე მცირეს ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ უნდა გამხდარიყო კოლხეთის გამგებლობა ევპატორის რჩეულ „მეგობართა“ მიზანი. ერთგული კარისკაცების გამგებლებად დანიშვნაში კარგად ჩანს, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ევპატორი კოლხეთს, ეჭვის გამო საკუთარი შვილიც კი არ დაინდო. რაც შეეხება მოაფერნეს, მან ბოლომდე უერთგულა მითრიდატეს. მეფის ბედი გაიზიარაო, წერს სტრაბონი. ეს ხაზგასმა მეტყველებს იმაზე, რომ მოაფერნე დაიღუპა ბოსფორში. იქ, სადაც შვილის დალატით იმედგადაწურული ევპატორი წუთისოფელს საკუთარი ნებით გამოეთხოვა. მოაფერნეს მოღვაწეობიდან მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ იგი მითრიდატეს „მეგობარი“ იყო და ამის გამო გახდა დაპყრობილი ქვენის გამგებელი. რას აკეთებდა, ან როგორ მართავდა იგი კოლხეთს, სტრაბონი არაფერს გვაუწყებს. ფაქტია, მოაფერნე მითრიდატე ევპატორის პოლიტიკის შესაფერისი სიმკაცრით იხელმძღვანელებდა განდგომისაკენ მიღრეკილი კოლხების მიმართ.

გასათვალისწინებელია, კოლხეთი, როგორც ნაკლებ საიმედო ქვეყანა, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა. ამას უნდა დაემატოს რომაელთა გამარჯვებებით გამოწვეული შიში იმისა, რომ

<sup>1</sup> ოლთაკეს შესახებ ვრცლად იხ. გ. ქავთარია, ოლთაკე - კოლხეთის „მეფე“. გაზ. საქართველოს რეპუბლიკა, 20 მარტი, 2010 წ.

არ მომხდარიყო ახალი ფრონტის გახსნა. არ არის აგრეთვე გამორიცხული ისიც, რომ კოლხეთის სამხედრო პოტენციალი დასუსტებული იქნებოდა, რადგან რჩეული მეომრები გაწვეულნი იქნებოდნენ ევპატორის არმიაში. ადგილზე დარჩენილები სიმცირის გამო განმათავისუფლებელი ომის დაწყებას ვერ გაბედავდნენ (ისიც არ უნდა დავივიწყოთ, პონტოს არმიაში მყოფ კოლხებს მძევლების ფუნქციაც ექნებოდათ დაკისრებული). ეს ფაქტორი უნდა მივიჩნიოთ იმის მიზანად, რომ ლუკულუსისა და პომპეუსის წარმატებულ ლაშქრობათა დროს, კოლხები მშვიდად იყვნენ.

მთავარი მაინც იყო განსაკუთრებული ერთგულებით და სიმკაცრით გამორჩეული პირების გამწესება კოლხეთის გამგებლებად. ისინი, როგორც მეფის საიმედო სატრაპები ღირსეულად შეასრულებდნენ დაკისრებულ მოგალეობას და განდგომის მცდელობას ჩანასახშივე აღკვეთდნენ. მოაფერნე კოლხთა საკეთილდღეოდ არ იყო მოვლინებული, მას ევალებოდა ადგილობრივ მკვიდრებზე მონბის უღლის დამძიმება და ბორკილების მოჭერა (ამას ემატებოდა, აგრეთვე, უმთავრესი მოვალეობა — სამეფო ხაზინის დაცვა, რადგან მცირე აზიაში არსებულ განძთსაცავებზე რომაელებს ადგილად მიუწვდებოდათ ხელი და ლუკულუსის ლეგიონების მიერ დატაცებულიც იქნა). სტრაბონის ნათესავი მოაფერნე, მეფის იმდენად ერთგული იყო, რომ განძიც საიმედოდ დაიცვა და არც განადგურებული მითრიდატე მიატოვა და მასთან ერთად გააგრძელა ბოსფორისაკენ მიმავალი გზა. პონტოს დიდებისათვის მებრძოლი მოაფერნე ბოლომდე მეფის გვერდით იდგა.<sup>2</sup>

პანტიკაპეიონში დატრიალებული ტრაგედიის მხილველი, მამის მოღალატე ფარნაკეს ბრძანებით დაასრულებდა წუთისოფელს მას შემდეგ, რაც მისმა მიწიერმა მეუფემ, მითრიდატე ევპატორმა საკუთარ სიცოცხლეს განაჩენი გამოუტანა. კოლხეთის ყოფილ გამგებელს შეეძლო ნანგრევებიდან თავის დაღწევა და რომაელთა მხარეზე გადასვლა, მაგრამ სამშობლოს არ უღალატა და შერცხვენილ სიცოცხლეს სიკვდილი ამჯობინა.

ალბათ, ამ უღღრეკელობამ შთააგონა სტრაბონს, დავიწყებისთვის არ მიეცა მისი სახელი. კოლხეთის პოლიტიკური სტატუსი სტრაბონს მითრიდატიდების დინასტიის დაცემის შემდეგაც არ დაუტოვებდა უყუ-

<sup>2</sup> „მითრიდატეს გარს ეხვია მისებრ თავგანწირულ მეპრძოლ-მოღვაწეთა მთელი წევბა... პირველწევარობმა მოგვაწოდეს მითრიდატეს საქმის გამუქმ-მოღალატეთა სახელები, მაგრამ არ შემოვგინხეს ერთგულთა და თავდადებულთა სახელები“ (გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, 1962, გვ. 383).

რადღებოდ. ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშე კვლავ დგას არა გეოგრაფი, არამედ ისტორიკოსი. იგი წერს, გამარჯვებულმა რომელა კოლხეთი გა-დასცა პონტოს მეფე პოლემონსა და მის მემკვიდრეებს. მბრძანებელის შეცვლამ ვერ დაიცვა ჩვენი სამშობლო და მოკლე ხანში მტარვალთა ახალი აგრესის ობიექტი გახდა. სტრაბონი ეპილოგის სახით ურთავს მითრიდატე ევპატორის მოღალატე ძის, ბოსფორის მეფე ფარნაკესა და მითრიდატე პერგამოსელის ლაშქრობებს, რომლებმაც კოლხეთის ქალაქები ნახერვებად აქციეს.

მოაფერნე სტრაბონის ნათესავი რომ არ ყოფილიყო, იგი კოლხეთის ისტორიით არც დაინტერესდებოდა (დაკმაყოფილდებოდა მხოლოდ გეოგრაფიული აღწერით), როგორც არ დაინტერესებულა ამ ქვეყნის სხვა გამგებლების სახელებით. მოაფერნეს გმირული თავ-დადების ჩვენების სურვილმა დავიწყებას გამოსტაცა ჩვენი ისტორიის რამდენიმე ფრაგმენტი, რომელშიც კოლხეთი ძლიერი მეზობლის გვირგვინის მსახურად არის გამოყვანილი. ასეთი იყო ჩვენი ქვეყნის წარსული და საუბედუროდ ასეთია დღესაც.

### მინაწერი

მოაფერნესადმი სტრაბონის პატივისცემაშ შემოგვინახა კოლხეთის ისტორიის თითქოს უმნიშვნელო ფურცელი, მაგრამ მასში შესანიშნავად ჩანს ჩვენი მამულის მარადიული და განუკურნებელი სატკივარი. დიდმა გეოგრაფმა და ისტორიკოსმა, მსოფლიოს ოცი საუკუნის წინათ აუწყა, რომ კოლხეთის ბედს უცხო ტომელები განიკითხავდნენ და ჩვენი სამშობლო ძლიერ სახელმწიფოთა სათარეშო ასპარეზად იყო გადაქცეული (დღევანდელი საქართველო უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება? მაშინაც იქნებოდნენ სულმდაბალი ვერცხლის მოყვარულნი, რომლებიც საქვეყნო ინტერესების საზიანოდ, სიამოვნებით გადადიოდნენ მტრის ბანაკში და საყვლეფ ნორმას იათმაგებდნენ „პატრიოტი“ ნაციონალების მსგავსად). საუკუნეები გაფრინდნენ. მტრები მიდიოდნენ და მოღიოდნენ. მტრულადაც და მოკეთის ნიღბითაც. თუმცა ორივე შემთხვევაში, მტერი მტერია. მტერი კეთილი არ არსებობს (თუ არ გავითვალისწინებთ ბრიყვთა თვალის ასახვევად გამიზნულ თვალმაქცურ შემფოთებებს). მტრის გამოცნობას გონიერება და წარსულის ცოდნა სჭირდება. ისტორია ცხოვრების მასწავლებლად არასდროს გაგვიზდია, ვდგავართ და ვერ გაგვირკვევია, ვინ არის მტერი და ვინ მოყვარე. ქართველები „მძლეთა“ მძლავრობის მაყურებლები ვიყავით და ასეთებად ვრჩე-

ბით. ნაციონალებმა ახალი კუთხით ააგიზგიზეს მტერ-მოყვარეთა გარჩევის ხანძარი და ქართველებს არნახული განსაცდელი დაატეხეს თავს. ევროპეიზაცია-მოდერნიზაციის სიყალბით ერს შეუსაუკუნეების განუკითხაობა დაუკანონეს, ოღონდ არ მიუთითეს — რა ცოდვის გამო. ხმალამოწვდილი ბოროტება თრგუნავდა და თელავდა ათწლეულების ნაღვაწსა და ნაოფლარს.

„შედრეკილ-შეშინებულები“ „ნაზრახს“ სიცოცხლეს აფარებდნენ ეროვნული იდეებით დამძიმებულ „თავებს“ და გადამრჩენის მანტი-ით იმოსებოდნენ. „შედრეკილ-შეშინებულებში“ ნაგულისხმებ პერსონებს თითო არ გაუნძრევიათ ეროვნული და ადამიანური ვალის მოსახდელად. დუმდნენ, მაგრამ ავიწყდებოდათ, დუმილი თანხმობის ნიშანი რომ არის. ნუთუ არ გვეყოფა უმძიმესი გამოცდა, როცა ხელში ანთებული სანთლებით ქარ-ბორბალას ვებრძოდით. ვიგერიებდით ეშმაკის ნაშიერთა სიბილწეს და ავაზაკობას, წაქეზებულს „მძლეთა“ მძლავრობით. გათელილი სიწმინდეები შეელას ითხოვენ. შეელა სჭირდება ეროვნულ სულს.

მსოფლიოში დღემდე არსებულ რეჟიმებს, არცერთ ქვეყანაში ასაკი დანაშაულად არ გამოუცხადებიათ. ეს ზნეობრივი სიმახინჯე და ღმრთის გმობა მხოლოდ საქართველოში „გაულერეს“ სიბნელის მთესველმა, ევროპულ „განათლებას“ დაუფლებულმა „უსწავლელმა სწავლულებმა“. „სხვისი თავით მოარულნი“, ყიუინით იკლებდნენ ცას და მიწას, რომ მამულს ეღირსა არნახული ბედნიერება, ხელისუფლებაში მოვიდნენ „ვუნდერკინდები“ (ადამიანური მორალისა და ზნეობისაგან განძარცული ეს არსებები ბოლომდე ვუნდერკინდებად დარჩებიან). ყოველივე არსებული ხელის ერთი მოსმით გამოაცხადეს ზორმოჭმულად. ამ „მოდერნიზატორული“ ნაბიჯით ახალი საქართველოს „მშენებლებმა“ ასიამოვნეს „მძლე“ ჭკუის მასწავლებლებს, მაგრამ თავიანთი უჭკუობაც გაბედულად დაადასტურეს. ათი წელი გაგრძელდა ფსევდოპატრიოტიზმს შეფარებულ უზნეოთა ზემი).

სისხლის წვიმებისა და დაჩოქების დროს, დამპყრობელს ვინც სურდა, იმას მოსავდა დიდების მანტიით და გვინიშნავდა გამგებლად თუ მეფედ. სამი ათასი წელია წვალებით მივყვებით ისტორიის მკაცრ მდინარებას. სოლიდური ასაკის მიუხედავად, ხშირად გვიჭირდა გზის გაგნება, მაგრამ ისეთი უფსკრულის წინაშე, როგორშიც ბოლო ათი წლის განმავლობაში გვიპირებდნენ საბოლოოდ გადაჩეხას, ქართველები იშვიათად მდგარან. სტრატეგიული პარტნიორის ტალღის აზვირთებამ ჩვენი მიწა ყმადნაფიცობის ბორკილებში

ჩაჭედა და დღე დამეს გაუთანაბრა. ნაადრევად „დაბრძნებულმა შეჭაბუკებმა“ ოსმალობა-ყიზილბაშობასაც გაუსწრეს და მრავალ უბედურება გამოვლილ მამულს შავი ჭირის ეპიდემიად მოედვნენ. დათარეშობდა ნაციონალურ მოსახისამში გამოკვართული ბოროტება. წარსულში მტერი გვესხმოდა მტრის სახით და, როგორც შეგვეძლო, ვუმკლავდებოდით. „შავი ჭირი“ შემოიჭრა სიკეთის მთესველის ნიღბით და ომი გამოვგიცხადა.

იარაღად იყენებდა ჩევნსავე სისხლსა და ხორცს (ნასუფრალით გათავხედებულებს). „მესიის“ ოქროპირობამ საქართველო უკიდეგანო უდაბნოს შუაგულში მოაქცია და გარშემო ქვიშის გაუვალი კედელი შემოავლო. მხოლოდ მატლებსა და ქვემდვრომებს შესწევთ უნარი, გადალახონ ეს კედელი. ყველა შარახვეტია და უწიგნური თავს ჭკვიანად და განათლებულად ასაღებს და ჭკვიანს ჭკუას არიგებს. ამ ეროვნული უბედურებით, თანდაყოლილი ენერგია იწურება და კნინდება. ამავე დროს, მარად არჩევნების მომლოდინე „ბედნიერი ერის“ შვილებად ვრჩებით. წვრილფეხა „სიბრძნის“ მფრევეგელები მრისხანე სახეებით ემუქრებიან ღირსებაშელახულ და დამცირებულ ადამიანებს, რომელთა გამოფხიზლებასაც საშეელი არ ადგება. ამაყად დაბიჯებს მთავარი მტერი — ყველაფრისმცოდნების ამბიცია, უცხო ძალის მოშნიდველი და გზის მაჩვენებელი. უცხო ძალა (იგივე სტრატეგიული პარტნიორი) დახატულია მხსნელად და სიბრძნის გამნათებელ ვარსკვლავად.

დღევანდელი საქართველო ბევრით განსხვავდება სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დახატული კოლხეთის სტატუსისაგან? ნუთუ არ ეყოფა ჩევნს მიწას გადატანილი ძნელბედობის ნიაღვრები? სტრაბონს ზედმეტი არაფერი დაუწერია, რაც ხდებოდა სინამდვილეში, ის აღნუსხა. ანალოგიური რეალიები, ოღონდ გოდების ხმაზე, ხაზგასმულია ჩევნი ერის უპირველეს წიგნში, „ქართლის ცხოვრებაში“. მტერი რჩება მტრად, მაგრამ მტერზე უარესია შინაურთა მტრადქცევა (ვინც არიან, ყველას კარგად მოეხსენება). მათი „პატრიოტობით“, ჩევნს ბედს დღესაც „მძლენი“ წარმართავენ. რომელთაც ადამიანი (ქართველი) საერთოდ არ აინტერესებთ. მათ მიერ დანიშნული თანამედროვე მოაფერნეოლთაკები ისევე ერთგულად ასრულებენ „მძლეთა“ ნებას, როგორც მითრიდატე ევპატორის „მეგობარი“ გამგებლები. ერი მყარად ინარჩუნებს ყმაღნაფიცის სახეს, შემკულს ცრუმესის ენამზეობით.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცული ფრაგმენტი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გვაუწყებს იმ ტრაგიკულ ბედზე, რომელშიც

ჩევნი მამული იმყოფებოდა ორი ათას წელზე მეტი წნის წინათ. ვინც გვი ხედავს განსხვავებას დღევანდელსა და სტრაბონის დროინდელ საქართველოს შორის, მისთვის მამული ისეთია, როგორსაც გვიხატავენ ჩევნი „მტეჭაბუკები“ (სტრატეგიული პარტნიორების დასტურით. მითრიდატე ევპატორსაც კოლხეთი სტრატეგიული თვალსაზრისით აინტერესებდა). დამოუკიდებლობა და თავისუფლება ერთეულთა ნებივრი ცხოვრებისათვის არ არის მოგნილი. საქართველო ცრუპატრიოტიზმის ნისლშია გახვეული და აშ ნისლის გამთანტავი ნიავიც კი არ ქრის. „მესიები“ ხმის ჩახლეჩამდე რომ ქადაგებდნენ დამოუკიდებლობა-თავისუფლების აღთქმულ სივრცეში შეღწევას და ნანატრი დღეების დადგომას, სად გაფრინდნენ? გონიერთათვის თავიდანვე ნათელი იყო, რომ საკუთარი სიბარიტული ყოფით გალადებულნი, ქედმოდრეკილ ხალხსაც თავიანთი სიცრუის მხარდამჭერად გულისხმობდნენ. მშობლიურ მიწას მტრად მოკიდებულნი, სიცრუის ქარბუქით უხშობდნენ თვალ-ყურს მოხუცსა და ახალგაზრდას. უბედურება დაიწყო მაშინ, როცა ერმა ბრმად ირწმუნა ურწმუნოთა თავბრუდამხვევი სიტყვებით თამაში და ათი წელი ტანჯვა-წამებით ატარა ყმაღნაფიცობისა და უსამართლობის უღელი. თავისუფლება არის ის, რომელსაც მორიდებით ნატრობდა ილია ჭავჭავაძის ლეგენდარული პერსონაჟი ლელოთ ღუნია (ვინმე ამჩნევს განსხვავებას?). დასაბამიდან მოყოლებული, ქართველები ნატროით სულდგმულობდნენ და ეს სანუკარი მირავი დღესაც მიუწვდომელ ცისარტყელად ციმციმებს პორიზონტის დასასრულს.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, 1975.
2. თ. ეკუსჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ, 1957.
3. ს. ეკუსჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1949.
4. Страбон. География. М., 1964.
5. Апиан. Римские войны. Санкт-Петербург, 1994.
6. Плутарх. Сравнительные жизнеописания, т. II. М., 1963.
7. Хенниг Р. Неведомые земли. Т. I, М., 1961.
8. Томсон Дж. История древней географии. М., 1953.
9. Моммзен. История Рима. Т. V. М., 1949.
10. История греческой литературы. Т. III. М., 1960.
11. Блавадский В.Д. Природа и античное общество. М., 1976.

გენიოსადაც და გონებაშეზღუდულობაც აკადრეს.

სტალინზე უამრავი რამ წამიკითხავს, რაც დაწერილა მის სიცოცხლეშიც და მისი სიკვდილის შემდეგაც, წამიკითხავს მისი მოღვაწეობის უკიდურესად უარყოფითი შეფასებებიც და უსაზომო აპოლოგიაც. რომელი პოზიციაა ობიექტური და ჭეშმარიტი? ამაზე ცალსახა პასუხი არ მაქვს და არც შეიძლება მქონდეს. სტალინი, მართალია, ყველა ეპოქის უდიდესი პიროვნებაა, მაგრამ, პირველ ყოვლისა, იგი მის მიერვე შექმნილი ეპოქის დამახასიათებელი ნიშნების მატარებელი გახლდათ. ის ბობოქარი ეპოქა კი მხოლოდ შავთერი ფერებისაგან კი არ შედგებოდა, ერთობ მრავალფეროვანი და მრავალგანზომილებიანი იყო.

სტალინზე მიახლოებით მაინც ობიექტური შეხედულება რომ შეიქმნა, მის თანამედროვეთა შეხედულებებისა და ისტორიული დოკუმენტების შავი და თეთრი პოზიციების პრიზმაში უნდა დაინახო იგი. ამასთან, თავისუფალი უნდა იყო რაგინდარა კონიუნქტურის გავლენისაგან და მხოლოდ უტყუარი ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის საფუძველზე გააკეთო დასკვნები.

ჩემი ღრმა რწმენით, მხოლოდ უცოდინარ კაცებს ეადვილებათ დიდ ისტორიულ პიროვნებებზე შემფასებლური ლაპარაკი და მათთა საქმეთა განსჯა. ამის მიუხედავად ვძედავ და დიდ ისტორიულ პიროვნებაზე საკუთარ მოსაზრებას საჯაროდ გამოვთქვამ, მით უფრო, რომ ის დიადი კაცი ჩვენი თანამემამულეა... სტალინი კაცობრიობის ისტორიის განსაკუთრებული მოვლენაა. იგი განსაკუთრებულია პოლიტიკური აზროვნების სტილით, ორგანიზატორული უნარით, სახელმწიფოებრივი აზროვნების მასშტაბით, ფენომენალური მეხსიერებით, ადამიანებზე ზემოქმედების ნიჭით, ცხოვრების ორიგინალური წესით. ყველაზე უფრო გასაოცრად განსაკუთრებულია მისი ბედი: კაცობრიობის ისტორიაში, ალბათ, არავის რგებია წილად შთამომავლობისაგან ისეთი პოლარული დამოკიდებულებანი და შეფასებები, როგორც სტალინს. უკიდურესი ხოტბა და უკიდურესი ლანბლვა დღემდე მისი სახელის თანამგზავრია. იგი ღმერთადაც შერაცხეს და სატანაც უწოდეს, უდიდეს



## ზურაბ ცუცქირიძე

### კაცობრიობის დიდი ექსპრისენტატორი

უდიდეს ისტორიულ პიროვნებებზე წერა და ლაპარაკი სახითათო და სარისკო საქმეა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ისინი მსოფლიო ისტორიის ამბიონზე მიღიონებისა და მიღიარდების თვალწინ დგანან და მათ პიროვნებაში ხალხის სტერეოიპული წარმოღენებისაგან განსხვავებული შტრიხების დანახვა ერთობ საძნელოა. მეორეც, ბუმბერაზი ისტორიული პიროვნების ვეებერთელა ჩრდილი დამთრგუნველად მოქმედებს კალმოსანსა თუ ორატორზე და ამ ჩრდილიდან გამოსვლა ზოგიერთებს ხელეწიფებათ მხოლოდ.

ჩემი ღრმა რწმენით, მხოლოდ უცოდინარ კაცებს ეადვილებათ დიდ ისტორიულ პიროვნებებზე შემფასებლური ლაპარაკი და მათთა საქმეთა განსჯა.

ამის მიუხედავად ვძედავ და დიდ ისტორიულ პიროვნებაზე საკუთარ მოსაზრებას საჯაროდ გამოვთქვამ, მით უფრო, რომ ის დიადი კაცი ჩვენი თანამემამულეა...

სტალინი კაცობრიობის ისტორიის განსაკუთრებული მოვლენაა. იგი განსაკუთრებულია პოლიტიკური აზროვნების სტილით, ორგანიზატორული უნარით, სახელმწიფოებრივი აზროვნების მასშტაბით, ფენომენალური მეხსიერებით, ადამიანებზე ზემოქმედების ნიჭით, ცხოვრების ორიგინალური წესით. ყველაზე უფრო გასაოცრად განსაკუთრებულია მისი ბედი: კაცობრიობის ისტორიაში, ალბათ, არავის რგებია წილად შთამომავლობისაგან ისეთი პოლარული დამოკიდებულებანი და შეფასებები, როგორც სტალინს. უკიდურესი ხოტბა და უკიდურესი ლანბლვა დღემდე მისი სახელის თანამგზავრია. იგი ღმერთადაც შერაცხეს და სატანაც უწოდეს, უდიდეს

კერძოდ, ქართველ საზოგადოებაში ჯერ კიდევ მყარად არის გამჯდარი 50-იანი წლების შუახანებიდან საბჭოთა პროპაგანდის მიერ ჩანერგილი „სტალინის პიროვნების კულტის“ ხრუშჩოვისეული კონცეფცია, რომლის მიხედვით „დიდი ჰუმანისტისა და დემოკრატის“ ვ. ლენინის სიკვდილის შემდეგ ხელისუფლება ხელში

ჩაიგდო სტალინმა და უკონტროლო პირადი დიქტატურა დაამდეარა საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ტერიტორიაზე. რახან ეს ადგილად დაიჯერა ისტორიაში ნაკლებად გაცნობიერებულმა მასამ, მერე ადვილი იყო, ყველა უკუღმართობა, რაც ოქტომბრის რევოლუციის სიონისტურ-მასონური იდეების რეალიზაციას ახლდა თან, სტალინს დაბრალებოდა. არადა, ლენინის სიკვდილის დროს ი. სტალინს ყველაზე უმნიშვნელო თანამდებობა, ეროვნულ საქმეთა სახალხო კომისარის პოსტი ეკავა.

არც შემდგომში უცდია ხალხს ისტორიულ სინამდვილეში წვდომა და სტალინის შესახებ სიმართლის გაგება. ხალხს ის ურჩევნია, რომ მის მაგივრად სხვებმა იფიქრონ, ის „სხვები“ კი ხელისუფლებაში უნდა იყვნენ.

სინამდვილეში კი საქმე სრულიად სხვაგვარად იყო: სტალინი ოქტომბრის რევოლუციის იდეოლოგიის ერთგული კი არა, მისი თანამიმდევრული მოწინააღმდეგე იყო, რაც „ლენინური გვარდიის“ წინააღმდეგ პრინციპული და შეუპოვარი ბრძოლით დაამტკიცა.

ამ მცირე მოცულობის წერილში ისტორიული ფაქტების დეტალურ ანალიზს ვერ შევუდგები, ზოგადად, სქემატურად კი ასე შეიძლება დაგახასიათო ოქტომბრის რევოლუციის იდეოლოგია, მიზნები და ამოცანები: მესამე ინტერნაციონალის პროგრამაში, რომელიც ლენინის ხელმძღვანელობით დაიწერა, რევოლუციის მიზანი ასეა განსაზღვრული: „მსოფლიო საბჭოთა სოციალისტური რესაუბლივის შექმნა“. ამას წინ უსწრებდა კომუნისტების საყოველთაო ლენინური ლოზუნგი — „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ ამ ლოზუნგის ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული შინაარსი ვ. ლენინმა მოკლედ განმარტა: „პროლეტარიატს არ აქვს სამშობლო!“ აქედან გამომდინარე, სახელმწიფო მიჩნეულ იქნა გაბატონებული, ანუ მჩაგვრელი კლასის ინტერესების დაკმაყოფილების მექანიზმად, რასაც, ცხადია, კომუნისტები ებრძოდნენ.

ამ „უმნიშვნელო თანამდებობის“, მაგრამ გენიალური გონების მქონე კაცება ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი „მარქ-სიზმ-ლენინიზმი“ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიად აქცია რევოლუციის გველეშაპებთან — ტროცკისთან, ზინოვიევთან, კამენევთან, რიკოვთან, ბუხარინთან და მათსავით სიონისტ-მასონური ორდენის ოპრიჩნიკებთან დაუნდობელ ბრძოლაში. ამით მან ეროვნული კატასტროფისაგან იხსნა მთელი ხალხები და ეთნოსები, საბოლოო განადგურებისაგან გადაარჩინა მართლმადიდებლური ეკლესია.

ეს ბრძოლა მხოლოდ რუსეთის იმპერიის სივრცეში როდი მიმდინარეობდა. იგი ორი რადიკალურად განსხვავებული ძალის შერეინება იყო, რამაც ნახევარი საუკუნით შეაფერება ბოროტების აღზევება საკაცობრიო სიკეთეზე და რამაც განსაზღვრა სტალინური ეპოქის არსებითი ნიშნები.

თითქოს სტალინურ ეპოქაში ახდა შოთა რუსთაველის, ოდითგან სადაც დებულება — „შიში შეიქმს სიყვარულსა“.

სტალინი უყვარდათ! ყველას თუ არა, უდიდეს უმრავლესობას მაინც. სტალინის ეშინოდა ყველას! მაშ, როგორ უთავსდება ეს ორი ცნება — შიში და სიყვარული ერთმანეთს? ძალიან ადვილად: ადამიანებს ეშინიათ ძალისა, მაგრამ უყვართ ის ძალა, რომელიც ამკვიდრებს სიკეთეს; სძულო ის, რომელიც ბოროტებას ნერგავს. ამიტომ არის, რომ ღმერთის კიდეც გვეშინია და კიდეც გვიყვარს იგი.

სტალინის პიროვნების ერთმნიშვნელოვნად შეფასება შეუძლებელია. იგი სხვადასხვა რაკურსით, მაგრამ მთლიანობაში უნდა დაინახო — პოლიტიკოსი, სარდალი, ხელისუფალი, დიქტატორი, მეოჯახე, მამა, მეუღლე, ქართველი, კოსმოპოლიტი... ამ გზით თუ ჩაწვდები ამ ურთულესი პიროვნების ცხოვრების ლაბირინთებში.

„დიქტატორზე“ მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა, რაღაც იგი ღლეს მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში განიხილება, სტალინი კი, საჭიროების შემთხვევაში, უბადლო დიქტატორი იყო.

დიქტატორი პატივისცემას იმსახურებს თუ გაკიცხვას? ამ დილემის პასუხი დამოკიდებულია დროსა და ადგილზე, ქვეყნის განვითარების ტრადიციებსა და მენტალიტეტზე. იმ ვითარებაში, როდესაც სტალინის უხდებოდა მოღვაწეობა, მხოლოდ რკინის ხელს შეეძლო ქვეყნის გადარჩენა და აღმშენებლობა. მასხენდება დიდი რუსი მოაზროვნის, ბესარიონ ბელინსკის მიერ 1841 წელს ნათქვამი სიტყვები: რუსეთს დემოკრატია კი არა, გონივრული მმართველობა უნდა, რაღაც დემოკრატიის პირობებში რუსი კაცი, ფრანგივით, პარლამენტში კი არ წავა ხმის მისაცემად, არამედ დუქანში — არყის დასალევადო.

დაბოლოს, დიდი ექსპერიმენტის შესახებ.


კაცობრიობას დასაბამიდან ხიბლავდა თანასწორობის იდეა. ნებისმიერი რელიგიური მოძღვრების მომხიბვლელობა, სწორედ, უფლის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის იდეაშია. კომუნისტებმა თავიანთ დროშას ამიტომ დაწერეს „მმობა, ერთობა, თანასწორობა“. იქნებ ამ ლოზუნგის შემოქმედებმა დემაგოგიის


მიზნით მოიგონეს ეს, მაგრამ სტალინმა მის პრაქტიკულ, მიწიერ ცხოვრებაში განხორციელება მოინდომა. მისი მეთაურობით საამისო ექსპერიმენტი დედამიწის ერთ მექქესედზე ხორციელდებოდა და ვერ ვიტყვით, რომ უშედეგოდ. მან მართლაც შეძლო ასეულობით ერთობ განსხვავებული ერის დამბობილება. სტალინურ ეპოქაში გულშიც ვერავინ გაივლებდა რელიგიურ თუ ეროვნულ შედლს, ვერავინ გაბედავდა ქონებრივი უპირატესობის დემონსტრირებას და იმით თავმოწონებას. საყოველთაო უფასო სწავლა-განათლება და ჯანდაცვა, ყველა მოქალაქის უპირობო სოციალური დაცულობა... მაგრამ, როგორც ჩანს, ამ იდეის ბოლომდე ხორცშესხმისთვის კაცთა მოდგმა შზად არ აღმოჩნდა. გარდაიცვალა დიდი ექსპერიმენტატორი და მაშინვე იძალა ადამის ძის ცოდვილმა სულმა. თუმცა სტალინური იდეა არ მოქვდარა და ადრე თუ გვიან მას ისევ მიუბრუნდება კაცობრიობა.

### რედაქტორის მინაწერი.

საკითხის ცოდნითა და თავდაჭერილი შეფასებით დაწერილმა წინამდებარე სტატიამ ცხონებული მამაჩემის მსჯელობა გამახსენა. მასაც, ბ-ნი ზურაბისა არ იყოს, სტალინზე გამოცემული ყველა ცნობილი მონოგრაფია წაკითხული ჰქონდა. ჩემი აზრით, ლიტერატურას იგი ინტერესის გამო კითხულობდა, თორემ აზრი სტალინის შესახებ ცხოვრებისული გამოცდილებით ჰქონდა ჩამოყალიბებული, რაღაც სამამულო ომის მონაწილე იყო და ტყვედ ჩავარდნის შემდეგ რამდენიმე წელი ევროპის ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებშიც ჰქონდა გატარებული. ძნელია მამაზე წერა, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა, რომ მე მისგან განკითხული კაცი, თვით გერმანელიც კი, არ მახსოვს. ყველაზე საშინელ ისტორიებსაც კი, დაცემული ადამიანის სისასტიკე და სულმოკლეობა სააშკარაოზე რომ გამოაქს, ყოველთვის მშვიდად და მორალური კონტექსტის გათვალისწინებით მიყვებოდა. მის თავმდაბლობას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ თუ ვინმე მის ლოგიკურ მსჯელობას ანგარიშს არ გაუწევდა, მართალია, ცხარე კამათს არავის გაუმართავდა, მაგრამ სტალინის თავის თავზე ნათქვამ სიტყვას წყნარად და თავდაჯერებით გაუმეორებდა: სიკვდილის შემდეგ ბევრი ნაგავი კი მიაყარეს, მაგრამ მას ისტორიის ქარი მაინც გაფანტავსო.

როგორც ჩანს, „ისტორიის ქარიშა“ სპეციალურად ანტისტალინური პროპაგანდისთვის დასავლეთში დაარსებული ინსტიტუტების ნაშრომთა გაფანტვა უკვე დაიწყო. სხვათა შორის, ჩვენგან განსხვავებით, რუსი ლიტერატორები ისტორიის გაწმენდას კარგა ხანია შეუდგნენ. საქართველოში, სამწუხაროდ, ამ ახალ მონოგრაფიებს ცოტა ვინმე თუ ეცნობა, რაღაც ახალგაზრდა ქართველ მკვლევართაგან რუსული ენა თითქმის აღარავინ იცის. ამიტომ ავადსახსენებელ ნაცოაგან გამრუდებული ისტორიის ნამდვილი სახის აღღენა ისევ ახალგაზრდებისა და გამოცდილი მეცნიერების ძალისხმევაზეა დამოკიდებული.





გვარცა კოპლატაძე

## შალვა ნუცუბიძე არეოპაგიტის ავტორის შესახებ\*

როგორც ცნობილია, V საუკუნის 40-იანი წლებიდან დაწყებულ ბრძოლას მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის, მიუხედავად ქალკედონის მე-4 მსოფლიო კრებაზე დიოფიზიტების გამარჯვებისა, სიმბატონ არც VI საუკუნის პირველ ნახევარში დაუკარგავს. სწორედ ამ დროს გამოჩნდა დიონისე არეოპაგელის (I ს.) სახელით ცნობილი ხუთი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის თხზულება, რომლებიც თავიათი სწავლების მხარდასაჭრად მონოფიზიტებმა გამოიყენეს. იქიდან გამომდინარე, რომ პირველ საუკუნეში შექმნილ წიგნთა შესახებ აქამდე თითქმის არავინ არაფერი იცოდა, დიონისე არეოპაგელის ავტორობა დიოფიზიტებმა კერძოდ, პიპატიოს ეფესელმა 532 წელს კონსტანტინეპოლის აღვილობრივ კრებაზე, მაშინვე ეჭვეჭვეშ დააყენა.

ეჭვი არეოპაგიტული წიგნების ავთენტურობისა ლორენცო ვალასა და ერაზმის ეპოქაში განახლდა, ხოლო XIX საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მეცნიერებამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ავტორი წიგნებისა, რომლებიც ქალკედონის კრების შემდეგ (451 წ.) და 536 წლამდეა (ამ წლით თარიღდება მათი თარგმა სირიულ ენაზე სერგიოს რეშაინელის მიერ) შექმნილი, ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებოდა პავლე მოციქულის მოწაფე დიონისე არეოპაგელი.<sup>1</sup> ამის შემდეგ ბიზანტინისტიკაში არეოპაგიტული წიგნების ნამდვილი ავტორის დადგენა ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხად იქცა. თავდაპირველად მკვლევარები ფიქრობდნენ, რომ, აღვილად შესაძლებელია, მისი სახელიც დიონისე ყოფილიყო და ზედწოდება არეოპაგელი, ან პირველი საუკუნის მოღვაწე — დიონისე არეოპაგელთან აღრევის

\* აკად. შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 125 წლისთვისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე წაჟაფრილი მოხსენება. თბილისი, თუ, 12-13.12.2013.

<sup>1</sup> III. ჟუციძე, თაინა ცესვი \_ დიონისი არეოპაგელი, 1942.

შალვა ნუცუბიძი არეოპაგიტის ავტორის შესახებ

შედეგად მექანიკურად მიიღო, ან მოციქულის მოწაფის ავტორიტეტს შეგნებულად ამოეფარა. ასე იქნა წმოყენებული შესაძლებელ ავტორი ბერი დიონისე რინოკორურელი (IV ს.), დიონისე სქოლასტიკონი (V ს. ბოლო და VI ს-ის დასაწყისი), დიონისე ალექსანდრიული (III ს.). 1928 წ. ცნობილმა მკვლევარმა მტიგლმაირმა არეოპაგიტიკის ავტორად VI ს-ის მონოფიზიტი სევეროს ანტიოქიელი წამოაყენა. რამდენადაც ვერცერთმა ზემოთ დასახლებულმა კანდიდატმა მეცნიერულ კრიტიკას ვერ გაუძლო, კითხვა — ვინ იყო სინამდვილეში არეოპაგიტიკის ავტორი, პასუხგაუცემელი დარჩა.

სამართლიანობა მოითხოვს, აქვე აღინიშნოს, რომ არეოპაგიტული წიგნები პეტრე იბერის სახელს პირველად გერმანელმა ბიზანტიონლოგმა პ. კოხმა დაუკავშირა. უურნალ Byzantinische Zeitschrift-ში გამოქვეყნებულ წერილში იგი წერდა, რომ არეოპაგიტული წიგნების ავტორი იმ წრეში უნდა ეძებნათ, რომელშიც ტრიალებდა პეტრე იბერი. კოხის მიერ გამოთქმული თვალსაზრისის შესახებ შ. ნუცუბიძეს, როგორც ამას თვითონვე იგონებს, სახელოვანმა ქართველმა ბიზანტიინისტმა აკ. სიმონ ყაუხჩიშვილმა აცნობა.<sup>2</sup>

შ. ნუცუბიძე მაშინვე ენერგიულად შეუდგა პრობლემის კვლევას, და ბ-ნ სიმონ ყაუხჩიშვილს დავესესხბი, „მისთვის ჩვეული გენიალური მიხედრებით“ ბრწყინვალე შედეგიც მიიღო, სახელდობრ, არეოპაგიტული თხზულებანი თავად პეტრე იბერის მიერ უნდა ყოფილიყო დაწერილი. მიუხედავად იმისა, გავიზიარებთ თუ არა ამ თვალსაზრისს, ფაქტია, პეტრე იბერი არეოპაგიტიკის ავტორობის უკანასკნელი კანდიდატი გამოდგა; უკვე შევიდი ათეული წელია, ბიზანტიინოლოგიურმა მეცნიერებამ უფრო შესაფერისი ახალი პრეტედენტი ვერ წამოაყენა. მკვლევარები, რომლებიც ამ პრობლემით არიან დაინტერესებულნი, ისევ პეტრე იბერის გარშემო ტრიალებენ და იმის შესახებ კამათობენ, — შეიძლება თუ არა იყოს იგი იმ ხუთი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის თხზულების ავტორი, რომელიც აზროვნების ისტორიაში არეოპაგიტიკის სახელითაა ცნობილი. საბედნიეროდ, შალვა ნუცუბიძე მარტო არ არის; მის თეორიას (პიპოთეზას) მეორე ავტორიც გამოუჩნდა ცნობილი ბელგიელი ბიზანტიინისტი ერნსეტ პონიგმანის სახით, რომელიც ნუცუბიძის გამოკვლევის გამოქვეყნებიდან ათი წლის შემდეგ არეოპაგიტიკის ავტორთან დაკავშირებით იმავე დასკვნამდე სრულიად დამოუკიდებლად მივიღა.<sup>3</sup> როგორც თავად შ.

<sup>2</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1973, გვ. 101-102.

<sup>3</sup> Ernest Honigann, Pierre l'Herbier et les écrits du Pseudo-Denys l'Areopagite, Bruxelles, 1952.

ნუცუბიძე წერს: „ორივე შემთხვევაში კვლევის მეთოდი და არგუ-  
მენტაციის საშუალებანი, მიუხედავად დროში სხვაობისა, ისე ემ-  
თხვევა ერთმანეთს, რომ დასავლეთის მეცნიერებამ შესაძლებელად  
და საჭიროდ ჩათვალა ეს კონცეპცია როგორც „ნუცუბიძე — პონ-  
იგმანის თეორია“ ისე აღნიშნა“.<sup>4</sup>

ამ მცირე შესავლის შემდეგ შევეცდებით თანმიმდევრულად გად-  
მოვცეთ და გავაანალიზოთ ის ძირითადი საბუთები, რომელთაც  
შალვა ნუცუბიძეს საშუალება მისცეს დაუსკვნა, რომ არეოპაგიტუ-  
ლი თხზულებანი პეტრე იბერის ეკუთვნის.

რამდენადაც პეტრე იბერი არეოპაგიტიკის ნამდვილი ავტორი-  
სადმი მეცნიერების მიერ წაყენებულ სამ ძირითად მოთხოვნას სრუ-  
ლად აკმაყოფილებდა (იყო V საუკუნის მოღვაწე, მოღვაწეობდა პალ-  
ესტინაში, იყო ბერი და ეპისკოპოსი), შ. ნუცუბიძემ საძიებლად სამი  
საკითხი დაისახა: 1. იყო თუ არა პეტრე იბერი თავისი მონაცემებით,  
მოღვაწეობის ხასიათითა და ინტერესებით შესაფერისი პიროვნება  
არეოპაგიტული თხზულებების ავტორობისათვის; მეორე და მთავარი:  
არსებობს თუ არა დამთხვევები პეტრე იბერის შეხედულებებისა იმ  
შეხედულებებთან, რომელთაც არეოპაგიტული წიგნები შეიცავენ; 3.  
ხომ არ შეძონახულა რაიმე ლიტერატურული კვალი, რომელიც პე-  
ტრეს არეოპაგიტული წიგნების ავტორობაზე მიუთითებს.

პირველ კითხვაზე პასუხი მკვლევარმა პირველწყაროებში — პე-  
ტრე იბერის ბიოგრაფოსთა, რომელიც მისი თანამედროვენი იყვნენ,  
თხზულებებში იპოვა. პეტრეს სირიული ცხოვრების ანონიმი ავტორი  
მას მეორე პავლედ და მეორე მოსედ იხსენიებს. იგი ერთმანეთის პარა-  
ლელურად ახასიათებს მეუდაბნოე ესაიასა და პეტრე იბერის, მათ შო-  
რის სრულ მსგავსებას ხედავს, ორ, სიმშევითა და ნიჭიერების ძალით,  
თანაბარ მნათობს უწოდებს და აგრძელებს, რომ ამ ნიჭის დასატევად  
მრავალი წიგნი იყო საჭირო, „როგორც ამას მოწმობენ ტრაქტატები  
(Abhandlun-gen) და თხრობანი მათ შესახებ“.<sup>5</sup> შ. ნუცუბიძე ფიქრობს,  
რომ რამდენადაც ანონიმი ტრაქტატებსა და თხრობებს ერთმანეთი-  
საგან ასხვავებს, ტრაქტატებში გაღმოცემული უნდა ყოფილიყო ის,  
რაშიც ეს ნიჭიერება ვლინდება, ხოლო მოთხოვნებში — ბიოგრაფი-  
ული ცნობები.<sup>6</sup> მაშასადამე, პეტრე იმდენად დიდი მოაზროვნე ყო-  
ფილა, რომ მისი ნააზრევი ტრაქტატების სახით ყოფილა გაღმოცე-

<sup>4</sup> S. M. Hornus, Les recherches dionisiennes de 1955 à 1960, III. И. Нуцубидзе, Петр Ивер и античное философское наследие, Тбилиси, 1963, გვ. 7.

<sup>5</sup> R. Raabe, Petrus der Sherer, Zpt., 1895, გვ. 97.

<sup>6</sup> И. Нуцубидзе, Петр Ивер... გვ. 128.

მული. ბიზანტიის სამეფო კარზე მოღვაწე ქართველი უფლისწულის  
წიგნიერებას, განსწავლულობასა და ფილოსოფიური აზროვნებისაკენ  
მიღრებილებას ხაზეასმულად წარმოადგენს ზაქარია ქართველიც „პე-  
ტრეს ცხოვრებაში“, რომელიც მას სირიულ ენაზე დაუწერია, ხოლო  
ქართულად მაკარი ხუცეს (მესხს) უთარგმნა; სახელდობრ, იგი  
წერს, რომ კოსნტანტინებოლში ყოფნისას პეტრემ „ეზომ ადვილად  
დაისწავლა ენამ ბერძული და სწავლამ, ვიღრე-და უკურდა მეფესა და  
ყოველთა ფილოსოფოსთა პალატისათა სიმახულე გონებისა მისისამ“,  
და შემდეგ აგრძელებს: „და ეგრეთ, რაუამს წარვედით იერუსალიმდ,  
კუალად ისწავა მუნ ენამ და სწავლამ ასურებრივი“.<sup>7</sup>

იგივე ზაქარია ქართველი პეტრე იბერის „სამკაულს და სიქა-  
დულს ქართველთასა და მეოხესა ყოვლისასა უწოდებს“.<sup>8</sup>  
„საეკლესიო ისტორიის“ ავტორისტაქარია რიტორის მიხედვით,  
„პეტრე იბერიელი საკვირველად განთქმული კაცი იყო მთელ  
მსოფლიოში“,<sup>9</sup> თუმცა მხოლოდ ის ეპიზოდები, რომელთაც იგი  
პეტრეს ცხოვრებიდან აღწერს, მისი მოღვაწეობის ამგვარად შე-  
ფასების საშუალებას ნაკლებად იძლევა.

2. რაც შეეხება დამთხვევებს არეოპაგიტული წიგნების ავტო-  
რის შეხედულებებისა პეტრე იბერის გამონათქვამებთან, მათგან შ.  
ნუცუბიძე დამთხვევას უწინარესად სიკეთეზე სწავლებაში ხედავს.

ანონიმი მოგვითხოვთ, რომ პეტრე „განიხილავდა თავის აზ-  
რებს“ ზენონთან, რომელიც ლაზის მახლობლად ცხოვრობდა, და ამ  
აზრებით მიღიოდა „პირდაპირი გზით სიკეთისაკენ“.<sup>10</sup> შ. ნუცუბიძის  
აზრით, ანონიმი აქ მისი შესაძლებლობისდაგვარად გაღმოგვცემს  
პეტრეს სწავლებას სიკეთეზე, რომელიც არსებითად ემთხვევა ფსევ-  
დო-დიონისის სწავლებას, რადგან „სინათლით განათებული პირდა-  
პირი გზა სიკეთისაკენ — ესაა გზა არეოპაგიტული წიგნებისა“.<sup>11</sup>

შეხედულებათა არეოპაგიტული სისტემა ბოროტების არასუ-  
ბასტანციურობას ეფუძნება. სწავლება მიმს შესახებ, რომ ბოროტება,  
როგორც სიკეთის ნეგაცია, მხოლოდ საფეხურია სიკეთის ამაღლები-  
სათვის, ნეგატიური თეოლოგიის ძირითადი მომენტი გახდა. სიკეთე,  
როგორც საწყისი სამყაროსი, წარმოდგენილია, აგრეთვე, საწყისად  
<sup>7</sup> ცხორებად პეტრე ქართველისა, ძვ. ქართული აგიოგრაფიული ძველები, წიგნი II, თბ., 1967, გვ. 224.

<sup>8</sup> ძველი, გვ. 263.

<sup>9</sup> Die sogenannte Kirchengeschichte des Zacharias Rhetor, herausgegeben von K. Ahrens und G. Kruger, LPZ, 1899, III, 4.

<sup>10</sup> R. Raabe, Petrus der Lberer... გვ. 51.

<sup>11</sup> И. Нуцубидзе, Петр Ивер и... გვ. 131.

ნათლისა, რომელიც განსხვავებით ხანმოკლე არასუბსტანციური ბოროტებისაგან, მარადიულია (საღმრთოთა სახელთათვეს 4,19-35). ისევე როგორც „პეტრე იბერის წარმოდგენით, გზა სიკეთისაკენ განათებულია მისივე სინათლით, ასევე არეოპაგიტული წიგნების ავტორიც საუბრობს რა სიკეთის, როგორც აბსოლუტური სუბსტანციის „განაფენაზე“ სამყაროში, განფენილი სიკეთე წარმოდგენილი აქვს სინათლის სახით, რომელიც ერთი წყაროდან მომდინარეობს. იკვლევს რა სიკეთის ცნებას, დსევდო-დიონისე განუხილველად ტოვებს ბოროტებას, ან, როგორც თვითონ ამჯობინებს უწოდოს, არასახიერებას (არასიკეთეს). ბოროტების განუხილველობა ლოგიკური შედეგია სწავლებისა სამყაროს შექმნის ერთადერთ მიზეზზე — „უზემთაეს სახიერებაზე“ ანუ ლმერთზე. რამდენადაც იგი, დროისა და სივრცისაგან შეუზღუდველად, ყოველგან არის და ყოველსავე აღავსებს, ამდენად ბოროტებისათვის სამყაროში არსებითად ადგილი აღარ რჩება. სრული, აბსოლუტური სიკეთე, როგორც ფსევდო-დიონისე წერს: „არცა ოდესმე არს და ოდესმე არა არს, არცა ვიეთმე მიმართ კეთილ არს და ვიეთმე ძვრ, არცა აქა ოდესმე არს და იქი სადმე არა“,<sup>12</sup> არამედ მსგავსად ხილული მხისა, „არა განიზრახავს, არცა წინა-აღირჩევს რასმე, არამედ თუთ ბუნებით განმანათლებელ არს ყოველთა ძალისაებრ მიმღებელთა ნათლისაგან მისისა“ (საღმრთოთა სახელთათვეს, 4,1; გვ. 30).

შ. ნუცუბიძის აზრით, ფსევდო-დიონისეს მსჯელობა სიკეთის არსა და მის განფენაზე სამყაროში, იგივეა, რაც პირდაპირი გზა სიკეთისაკენ, რომელიც ამ საკითხზე პეტრეს ნაზრევისგან ისახებოდა და რომლითაც თვითონაც მიღიოდა „უზემთაესი სახიერებისაკენ, ანუ ლმრთისაკენ“. მკვლევარი წერს: „ცხადია, სწავლება ბოროტების არასუბსტანციურობაზე შესაძლებელია, ძნელად მისაწვდომი ყოფილიყო ბიოგრაფიოსისათვის, მაგრამ მან პეტრეს შეხედულებებიდან ყველაზე არსებითი შემოგვინახა და გვაჩვენა, რომ საქმე ესება „პირდაპირ გზას“ ანუ გზებს, რომელნიც, მსგავსად სინათლის გავრცელებისა, სივრცის საზღვრებში არ არის ჩაკეტილი და ბოროტებით გამრუდებული“.<sup>13</sup>

საღმრთისმეტყველო საკითხებზე შეხედულებათა დამთხვევის

<sup>12</sup> პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ქვ. ქართული თარგმანი ეფრუშ მცირები. გამოკვლევითა და ლექსიკონითურთ გამოსცა ს. ენუქაშვილმა, თბ. 1961, საღმრთო სახელთათვეს, 4,7, გვ. 35. ფსევდო-დიონისეს ყველგან ამ გამოცემიდან დაგიმოწმებთ.

<sup>13</sup> III. ჟუცუბიძე, პეტრ ივერ ი... გვ. 137.

მეორე მაგალითს შ. ნუცუბიძე ზეციური ძალების იერარქიის ერთნაირად წარმოდგენაში ხედავს პეტრეს ბიოგრაფიისა და ფსევდო-დიონისეს თხზულებაში „ზეცათა მღდელ-მთავრობისათვეს“. ანონიმი მოგვითხოვთ, რომ ავადმყოფობის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც პეტრე იოვანე ლაზეს შთაგონებით ესაუბრებოდა ღმერთსა და ადამიანს შორის კავშირის შესახებ, იოვანემ იხილა ჩვენება; მას წარმოუდგა სამყაროს სურათი საფეხურთა სისტემის სახით, რომელიც განსახიერებდა ანგელოზთა, ქრისტიანობისა და ა. შ. იერარქიას ვიდრე ერთ საწყისამდე ანუ ლმერთამდე. ეს სურათი ანალოგიურია ზეციური სამყაროს იმ სურათისა, რომელიც მოცემულია ზემოხსენებულ თხზულებაში „ზეცათა მღდელ-მთავრობისათვეს“.

მართალია, ზეციურ ძალთა იერარქიული განლაგება ღმრთისმეტყველებაში სიახლე არაა, მაგრამ სიახლეა მათი ტრიადების ანუ სამეულების სახით წარმოდგენა. როგორც არეოპაგიტიკის ცნობილი მკვლევარი ი. შტიგლმაირი წერს: „საეკლესიო მწერალთაგან პირველმა დიონისემ ააგო ანგელოზთა დასები ტრიადების ძირითადი კანონის მიხედვით“.<sup>14</sup> შ. ნუცუბიძის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ პეტრეს ცხოვრებაში მოცემულსა და ფსევდო-დიონისეს მიერ წარმოდგენილ ზეციური იერარქიის სურათებს შორის რამდენიმე არაპრინციპული სხვაობა შეინიშნება, მათ შორის „მსგავსება ისე შორის მიდის, რომ ზეციურ დასთა დაჯვუფების ტრიადულ პრინციპსაც კი ეხება“.<sup>15</sup> ხოლო რაც შეეხება სხვაობებს, მკვლევარის აზრით, ამ სხვაობათა მიზეზი ადვილი შესაძლებელია თავად ანონიმი ავტორი იყოს, რადგან გამორიცხული არაა, რომ ზეციური იერარქიის გადმოცემისას შეცდომა დაეშვა. სამაგიეროდ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ზეციურ ძალთა განლაგებაზე ორივე შემთხვევაში არა უშუალოდ პეტრე და ფსევდო-დიონისე, არამედ მათი მასწავლებლები: იოვანე ლაზი და იეროთეოსი საუბრობენ. ფსევდო-დიონისე წერს: „ყოველთა მათ ზეცისა არსებათა ღმრთისმეტყველებამან ცხრა უწოდა საჩინოებითითა სახელის-დებითა. და ამათ სამობითთა შემკულებათა სამად განპყოფს საღმრთოვ იგი ჩუენი მღდელთ სრულ-მყოფელი“.<sup>16</sup>

შ. ნუცუბიძის აზრით, დამთხვევის მესამე მაგალითია ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში დასმული ერთისა და სიმრავლის ანუ არე-

<sup>14</sup> I. Stiglmayr, Die Streitschriften des Procopius von Gasa. Byz. Zeitschr., VIII, 1899, გვ. 277-278.

<sup>15</sup> III. ჟუცუბიძე, პეტრ ივერ ი... გვ. 137.

<sup>16</sup> არეოპაგიტიკის დასახ. გამოცემა, „ზეცათა მღდელ-მთავრობისათვეს“, 3,2; გვ. 117.

ოპაგიტული წიგნების ენაზე — ერთობისა და განყოფის პრობლემის ერთი და იმავე სახითა და განმარტებით წარმოდგენა პეტრე იბერისა და ფსევდო დიონისესთან.

„პლეროფორიებში“ იოვანე რუფუსი პეტრეს მისტიკურ ხილვას მისივე პირით აღწერს, კერძოდ, იგი თვითონ მოგვითხრობს, როგორ წაიყვანა პეტრე მოციქულმა ამაღლებულ ადგილას, ცაზე ნათლის დიდი სხივი აჩვენა, რომელიც, როგორც გზა ზეცისაკენ ისე ჩანდა, და უთხრა: „აი, მამა“, ხოლო შემდეგ მეორე და მესამე სინათლეც დაანახა. რა თქმა უნდა, ეს სამი სინათლე სიმბოლურად სამების სამ პირს წარმოადგენს და ღმრთეებრივი პირის ერთობისა და განყოფის შემცნებას ემსახურება.

ერთისა და სიმრავლის (εἱ kai; pan) ანუ ერთობისა და განყოფის პრობლემატური საკითხის გარკვევას ფსევდო-დიონისეც სინათლის მაგალითით ცდილობს. წიგნში „საღმრთოთა სახელთათვის“ იგი წერს: „ვინადცა დაღაცათუ მრავალთა ვპხედვიდით ჩუენ ლამპართა ერთსა მას სახლსა შინა მყოფად, არამედ ერთ ნათლადვე შეერთებულ იყვის ნათელი იგი ყოველთავ და ერთ-განუყოფელად ნათლად ბრწყინავნ. რამეთუ ვითარ ვპგონებ, ვერ ვინ შემძლებელ იყვის ამის რომლისამე ლამპრისა ნათელსა განრჩევად სხუათა მათგან ნათელთა სახლისა მის ჰაერსა ზედა განფენილისაგან ბრწყინვალებისა, რამთამცა თჭიერ სხვას იხილა სხუა, არამედ ყოველი ყოველსა შეურევნელად შეზავებული და დაღაცუ ერთი ვინმე მათ ლამპართა მათგანი განიღის სართულისა მისგან, მის თანა განცყვების ყოველი ნათელი მისი; ხოლო არარას თანა-განიტანებს სხუათა მათ ნათელთაგან, არცა რას თუსა დაუტეობს სხუათა მათ“.<sup>17</sup>

მაშასადამე, რამდენიმე (სამი) ლამპრისგან გამოცემული ნათელი ოთახში ერთ განუყოფელ ნათლად ბრწყინავს და ვერავინ შეძლებს გამოყოს მისგან ის ნათელი, რომელიც ერთი მათგანისგან გამოდის. მაგრამ თუ ერთი ლამპარი გატანილი იქნება, მთელ თავის ნათელს გაიტანს, ისე რომ, არც სხვების ნათელს გაიყოლებს და არც თავისას დაუტოვებს სხვებს. ე. ი. თითოეულ ლამპარს აქვს საკუთარი — განყოფილი თვისება, შეერთებული განყოფასა შინა და განყოფილი შეერთებასა შინა“. აქიდან ცხადია, რომ დიონისესათვის, ისევე როგორც ზემოხსენებული ჩვენების მიხედვით პეტრე იბერისათვისაც, მთავარია განუყოფელობა ერთისა და სიმრავლის, ერთობისა და განყოფისა.

„ამრიგად, ერთი და იმავე აზრის გამოსახატავად პეტრე იბ-

<sup>17</sup> საღმრთოთა სახელთათვის, გვ. 17-18.

ერთანაც, რამდენადაც ეს ბიოგრაფისთანაა დაცული, და არეოპაგიტულ წიგნებშიც ერთი და იგივე სახეა გამოყენებული ერთი და იმავე მიზნით და განმარტებით. სხვა შინაარსი არა აქვს იოანე მაიუმელის მონათხრობში. ამ მონათხრობში სამი წყარო სინათლისა ან სამი მნათობი, პეტრე იბერის წარმოდგენაში პირდაპირა შეწყობილი სამების პირებთან, მაშინ, როცა არეოპაგიტულ წიგნებში არავითარი მიმართება არ არსებობს და საქმე ზოგადი პრობლემითაა შემოსაზღვრული. ცხადია, რომ მარცხიანმა ბიოგრაფოსმა საეკლესიო-დოგმატური გზით წასვლა ამჯობინა, რომელიც მისთვის უფრო მისაწვდომი იყო, მაგრამ მთლიანად შეინარჩუნა ის, რაც მოცემულ საკითხზე პეტრე იბერისა და არეოპაგიტული წიგნების საფუძველს შეადგენს“.<sup>18</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არეოპაგიტული წიგნების პეტრე იბერის ავტორობის დასასაბუთებლად შ. ნუცებიძემ კვლევა კიდევ ერთი ასპექტით წარმართა, კერძოდ, ხომ არ შეიძლებოდა პოვნა ლიტერატურული კვალისა, რომელიც მიუთითებდა, რომ ეს ხუთი წიგნი ნამდვილად პეტრეს ეკუთვნოდა. ამ თვალსაზრისითაც მან ზაქარია რიტორის „საეკლესიო ისტორიაში“ იმგვარ ცნობას მიაგნო, რომლის ანგარიშგაუწევლობაც უბრალოდ გაუგებარი იქნებოდა.

ერთ-ერთი პირველი ავტორი, თუ საერთოდ პირველი არა, რომელიც არეოპაგიტული წიგნების ავტორად დიონისე არეოპაგელს ასახელებს, ზაქარია რიტორია. იგი წერს: „ის დიონისე არეოპაგიდან, რომელმაც წარმართობის სიბნელისა და ცდომილებიდან ღმრთის შეცნობის განსაკუთრებულ ნათელს მიაღწია ჩვენი წინამდლოლის პავლეს მიერ, ამბობდა წიგნში, რომელიც მან წმინდა სამების ღმრთებრივ სახელებს მიუძღვნა“.<sup>19</sup> ასე რომ, ფსევდოდიონისეს საიდუმლოების აღმოცენება ზაქარია რიტორის სახელს უკავშირდება. როგორც შ. ნუცებიძე ფიქრობს, მას არ შეიძლება არ სცირდოდა სინამდვილეში წიგნები ვის ეკუთვნოდა, რომლებიც მისი მოღვაწეობის პერიოდში და იმ რეგიონში შეიქმნა, სადაც თვითონ მოღვაწეობდა, მაგრამ შეგნებულად იცრუა, რისი მიზეზიც ძნელი გასაგები არაა. ქალკედონის M-4 მსოფლიო კრებაზე დამარცხების შემდეგ მონოფიზიტებს განსაკუთრებით სჭირდებოდათ დამოწმება იმგვარი პიროვნებებისა, რომელთა ავტორიტეტიც ეკლესიისათვის ხელშეუხებელი იქნებოდა. სწორედ ასეთ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა დი-

<sup>18</sup> III. ჟუნიძე, პეტრ ივერ և ანთიჩიო... გვ. 135-136.

<sup>19</sup> Kirchengeschichte d. Zacharias Rhetor, გამოც. K. Ahrens-ისა და G. Krüger-ისა, Leipzig, 1899, s. 1193.

ონისე არეოპაგელიც, რომელიც ქრისტიანობაზე პავლე მოციელდა მოაქცია და მის მოწაფედ ითვლებოდა. მნელია არ იოწმუნო ის ლოგიკური კავშირი, რომელიც შ. ნუცუბიძემ ზაქარია რიტორის ამ გამონაგონსა და მისსავე მეორე გამონაგონ ფაქტს შორის დაადგინა. მეორე გამონაგონი პეტრე იბერსა და ვინე ითან ალექსანდრიელს ეხება, რომელიც თურმე თავის ერეტიკულ წიგნებს პეტრეს სახელით ავრცელებდა, „რაღან შიშობდა, რომ ის, რასაც წერდა ლანძლვის საგანი გახდებოდა“ და ამიტომ მორწმუნეთა შეცდომაში შევებანასა და მათ მიერ წიგნების მიღებას ამ გზით ცდილობდა. ერთ მონასტერში პეტრეს ერთი ასეთი წიგნი უნახავს, წაუკითხავს, გაჯავრებულა და მისი ნამდვილი ავტორი დაუწყევლია.<sup>20</sup>

საქმე ისაა, რომ, როგორც ეს დღეს მეცნიერებაში, კერძოდ, ოტო ბარდენხევერის მიერაა დადგენილი, სინამდვილეში ასეთი პიროვნება — იოანე ალექსანდრიელი არ არსებულა და შესაბამისად არც წიგნები დაუწერია და გაუვრცელება პეტრე იბერის სახელით. ზაქარია რიტორი, რომელმაც არეოპაგიტული წიგნები განხრახ, წინასწარ გამიზნულად დიონისე არეოპაგელს მიაწერა, ამჯერად წიგნების სხვისთვის მიწერის ანალოგიური ფაქტით პეტრე იბერის, როგორც მწერლის, ავტორიტეტზე მიგვანიშნებს. ცხადია, პეტრეს მწერლის სახელი რომ არ ჰქონდა მოპოვებული, იოანე ალექსანდრიელი თავისი წიგნების პოპულარიზაციას მისთვის მიწერით არ შეეცდებოდა. მეცნიერის მახვილ თვალს ამ ეპიზოდიდან არც, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, დეტალი გამოეპარა, როგორიცაა პეტრეს მიერ ერთ-ერთი ასეთი წიგნის წაკითხვა და მისი ავტორის დაწყევლა, ანუ ზაქარია რიტორის გადმოცემით, პეტრემ მაშინვე კი არ უარყო მისთვის მიწერილი წიგნების ავტორობა, თუმცა, „თუ იგი საერთოდ არაფერს წერდა, ასე უნდა მოქცეულიყო, არამედ მთელი წიგნის წაკითხვა აიძულა, რაც მხოლოდ შეხედულებათა შედარების შუქჟეა გასაგები. ცხადია, აქ მისთვის მთავარია, როგორდაც გაგვაგებინოს, რომ პეტრე რაღაც წიგნებს წერდა. სხვა აზრი მთელ ამ გამონაგონ თხრობას არ აქვს“.<sup>21</sup>

1952 წელს ბელგიელი ბიზანტინისტის ერნსტ ჰონიგმანის ნაშრომი გამოვიდა; საკითხის ღრმა კვლევამ ბელგიელი მეცნიერიც იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ არეოპაგიტიკის ავტორი პეტრე იბერი

<sup>20</sup> ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ბერძელი ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ჭავხჩშვილმა, ტფილის, 1936, გვ. 5-6.

<sup>21</sup> III. ჟუციდзе, პეტრ ივერ.... გვ. 118.

იყო. საინტერესო ფაქტია, რომ ჰონიგმანმა არაფერი იცოდა შ. ნუცუბიძის გამოკვლევის შესახებ. არეოპაგიტიკის ავტორად პეტრეს აღიარებამდე იგი ნუცუბიძისაგან დამოუკიდებელი გზით გამოვიდა. ვინც ორივე მეცნიერის გამოკვლევებს იცნობს, შეუძლებელია ამაში ეჭვი შეიტანოს. შ. ნუცუბიძე პეტრე იბერის ავტორობამდე კვლევის ლიტერატურულ-შედარებითი მეთოდით მივიდა, ხოლო ჰონიგმანი არეოპაგიტიკის ავტორის მასწავლებლის იეროთეოსის და პეტრე იბერის მასწავლებლის, იოანე ლაზის იდენტიფიკაციით. ამიტომ უსუსურია დღეს მცდელობა იმის მტკიცებისა, რომ ჰონიგმანი შ. ნუცუბიძის ნაშრომს იცნობდა.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ იმის თაობაზე, რომ ქართული მეცნიერებისგან განსხვავებით, რომელიც რამდენიმე გამონაკლისის — ს. ყაუხჩიშვილი, შ. ზიდაშვილი, ს. ენუქაშვილი — შ. ნუცუბიძის გამოკვლევას უარყოფითად შეხვდა, მისი აღმოჩენა რუსულმა და თავდაპირველად დასავლეთ ევროპის მეცნიერებამაც გაიზიარა, უფრო მეტიც, აღფრთოვანებითაც კი შეხვდა (დელგერი, გრიუმელი, ივანკა, ვარდი, ვლ. ორლოვი, სიდოროვა ლოსევი). შემდეგში დასავლეთში ნუცუბიძე-ჰონიგმანის აღმოჩენისადმი დამოკიდებულების მკეთრად შეცვლას სათავე ი. ენგბერლინგის გამოკვლევამ<sup>22</sup> დაუდო. მან სადაო საკითხი რელიგიური დავის სფეროში გადაიტანა და ორთოდოქსალურ-დიოფიზიტური არეოპაგიტული თხზულებების მონოფიზიტი პეტრე იბერისადმი მიწერის გამო აღმოსავლეთის ეკლესია მონოფიზიტებთან შეთანხმებაში დაადანაშულა. პეტრე იბერის ავტორობის წინააღმდეგ ენგბერლინგის განსაკუთრებით თავგამოდებული მოშხრე რ. როკი გახდა.

პეტრე იბერის ავტორობის წინააღმდეგ მოტანილი ამ საბუთის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ პეტრეს მონოფიზიტობაზე მხოლოდდამხოლოდ მონოფიზიტური წყაროები იძლევიან ცნობებს, მაშინ, როცა ის მართლმადიდებლურ სამყაროში წმინდანად იყო აღიარებული, რაზეც ქართული ეკლესიის ხუთსაუკუნოვანი ტრადიცია მეტყველებს: მისდამი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული თხზულებანი, ფრესკა, რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტერშია შემორჩენილი, სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტრის ტრადიციები, რომლის შუა ნაწილის მესამე რიგში ილარიონ ქართველსა და შიო მღვიმელთან ერთად პეტრე იბერიცა გამოსახული წარწერით:

<sup>22</sup> H. Engberding, Kann Petrus der Iberer mit Dionicius Areopagita identifiziert wenden, Oriens Christianus, Bd. 38, 1954, s. 68-95.

„მნათობნი ქართველთანი“, ათონის მთის XIV-XV სს. ქართულ-ბერძნული ლიტურგიკული შინაარსის მინიატურებით შემკული ხელნაწერი, რომელშიც პეტრე იბერიელი წმ. ექვთიმე ათონელისა და წმ. ილარიონ ქართველის გვერდითაა<sup>23</sup>.

გარდა ამისა, ჩვენ გულდასმით შევისწავლეთ მონოფიზიტ ავტორთა ცნობები პეტრე იბერის შესახებ. ტექსტების დაწვრილებითი ანალიზის შედეგად ცხადი გახდა: ისარგებლეს რა იმით, რომ პეტრე იბერს, ასევეტური ცხოვრებისადმი მიღლეკილების გამო, დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის გამართულ საღმრთო სმეტყველო კამათში აქტიური პოზიცია არ ეკავა, მათ მრავალი ფაქტი გააყალბეს მის მონოფიზიტად წარმოსადგენად და მისი დიდი ავტორიტეტის საკუთარი მიზნებისათვის გამოსაყენებლად<sup>24</sup>.


სხვათა შორის ორთოდოქს მონოფიზიტად პეტრე იბერს არც შ. ნუცუბიძე თვლილა და არც პონიგმანი. ამ ბოლო წლებში პეტრეს მონოფიზიტური აღმსარებლობა უჟღველ ფაქტად არც მ. ვან ეს-ბროკს მიაჩნია.<sup>25</sup> ასე რომ, უკეთუ მეცნიერებას პეტრე იბერის არეოპაკიტული წიგნების ავტორობის საწინააღმდეგოდ მისი მონოფიზიტობის გარდა სხვა საბუთი არ აქვს, მაშინ როგორც ამას ვან ესბროკიც აღნიშნავს, ისევ აქტუალურად უნდა განიხილებოდეს ნუცუბიძე-პონიგმანის თეორია, მით უმეტეს, რომ მეცნიერებამ დღემდე არეოპაკიტიკის ავტორად მეტ-ნაკლებად დასაბუთებულად ვერცერთი სხვა მოღვაწის დასახელება ვერ შეძლო.

სრული დარწმუნებით თქმა იმისა, რომ არეოპაკიტული წიგნები არ იძლევა საშუალებას მათი ავტორის მონოფიზიტად წარმოდგენისა, რასაც როგორც პონიგმანის შეხედულების საპირისპიროდ ამტკიცებს, არ შეიძლება; არ შეიძლება თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიას მათი მიღება გაუჭირდა. აქ ისევ შალვა ნუცუბიძეს უნდა დავუჯეროთ, რომ არეოპაკიტული წიგნები ისევე იძლევიან საშუალებას მათი მონოფიზიტურად წაკითხვისა, როგორც თავად პეტრე იბერმა, მისცა მონოფიზიტებს საშუალება მისი მონოფიზიტად გამოცხადებისა, იმის გამო, რომ დოგმატური საკითხის გარშემო ატეხილ დავაში აქტიურ პოზიციას არ ამჟღავნებდა.

<sup>23</sup> ცხოვრება და მოღვაწეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა პეტრე ქართველისა, თბ., 2012.

<sup>24</sup> დაწვრილებით ამის შესახე იხ. წმიდა პეტრე იბერი, „სამი საუნჯე“, თბ., 2011, №1, გვ. 159-187.

<sup>25</sup> Мишель ван Эсбрук, Св. Петр Ивиц и Дионисий Ареопагит: возвращаясь к тезису Хонигмана. portalcredo.ru.



## გრიგოლ რუხაძი

### ფილოსოფიის განსაზღვრებანი ნაიდა იოვანე დამასკელის მიხედვით \*

ცნობილი ღმრთისმეტყველის, ღირსი იოვანე დამასკელის (+753 წ.) მთავარი თხზულების «წყარო ცოდნისა» პირველი ნაწილი ძირითად თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ცნებათა განმარტებებს ეთმობა. პირობითად ამ შესავალ ნაწილს „ფილოსოფიური თავები“, ან დიალექტიკა ეწოდება. ქართულად ის ჯერ ღირ. ეფრემ მცირემ (XI ს.), შემდეგ კი ღირ. არსენ იყალთოელმა (XI-XII სს.) თარგმნეს. არსენისეულ რედაქციას, ეფრემისეულისგან განსხვავებით, აკლია ორი თავი, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ ფილოსოფიის განსაზღვრებანია. ასე რომ, ჩვენთვის საჭირო ტექსტი მხოლოდ ეფრემის წყალობით შემოგვრჩა. ეფრემ მცირის მიხედვით, იგი «რიცხუედი» 50 თავისაგან შედგება, რომელსაც კიდევ სამი «ურიცხუნი» ერთვის. ამ დაუნომრავ თავთაგან პირველში ჩვენ მიერ არჩეული საკითხი არის განხილული. ფილოსოფიის დამასკელისეულ განსაზღვრებათა ბერძნული ტექსტის პარალელურად მოგვყავს ეფრემ მცირის თარგმანი.

‘Θρισμοὶ τῆς φιλοσοφίας εἰσὶν ἔξ.

α' Φιλοσοφία ἐστὶ γνῶσις τῶν ὄντων, ἢ ὄντα ἐστίν, ἥγουν τῆς αὐτῶν.

β' Φιλοσοφία ἐστὶ γνῶσις θείων τε καὶ ἀνθρωπίνων πραγμάτων.

γ' Φιλοσοφία ἐστὶ μελέτη θανάτου τοῦ τε προαιρετικοῦ τοῦ τε φυσικοῦ.

δ' Φιλοσοφία ἐστὸν ὁμοίωσις θεῷ κατὰ τὸ δυνατὸν ἀνθρώπῳ· ὁμοιούμεθα δὲ θεῷ κατὰ τὸ δίκαιον καὶ ὅσιον καὶ ἀγαθόν. Δίκαιον μὲν οὖν ἐστὶ τὸ τοῦ Ἰσού διανεμητικὸν ἦτοι μήτε ἀδικεῖν μήτε ἀδικεῖσθαι μήτε λαμβάνειν πρόσωπον ἐν κρίσει, ἀλλ' ἀποδίδοναι ἐκάστῳ κατὰ τὰ ἔργα αὐτοῦ, ὅσιον δὲ τὸ ὑπὲρ τὸ

\* აკად. შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 125 წლისთვისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება. თბილისი, თსუ, 12-13.12.2013.

δίκαιον ἦτοι τὸ ἀγαθὸν τὸ ἀδικούμενον ἀνέχεσθαι καὶ συγχωρεῖν τοῖς ἀδικοῦσι  
καὶ μᾶλλον εὐεργετεῖν αὐτούς.

ε' Φιλοσοφία έστι τέχνη τεχνῶν καὶ ἐπιστήμη ἐπιστημῶν· ἡ γὰρ φιλοσοφία ἀρχὴ έστι πάσης τέχνης, δι' αὐτῆς γὰρ πᾶσα τέχνη εύρηται.

ζ' Φιλοσοφία ἔστι φιλία σοφίας: σοφία δὲ ἀληθής ὁ θεός ἔστιν. Η οὖν ἀγάπη ή πρὸς τὸν θεόν, αὕτη ἔστιν η ἀληθής φιλοσοφία.<sup>1</sup>

**განსაზღვრებანი ფილოსოფოსობისანი ექუს არიან**

პირველი, ფილოსოფოსობად არს მეცნიერებად ნამდვლვეთად, უკუ-  
ეთე ნამდვლვე რად არიან, ესე იგი არს, ცნობად ბუნებისა თვისისად.

მეორე, ფილოსოფოსობად არს მეცნიერებად საღმრთოთა და კაცობრივთა საქმეთად.

შესამე, ფილოსოფოსობად არს წურთავ სიკუდილისა შემთხუევი-  
თისადცა და ბუნებითისადცა.

შეოთხე, ფილოსოფოსობად არს მსგავსებად ღმრთისად ძალისაებრ კაცობრივისა, ხოლო ვემსგავსებით ღმერთსა სიმართლითა და სიწმიდითა და სახიერებითა. სიმართლე უკუე არს სწორად განმყოფელობად, ესე იგი არს, არცა ცრუებად, არცა თუალ-ხუმად სასჯელსა შინა, არამედ მიგებად თითოეულისად საქმეთა მისთაებრ. ხოლო სიწმიდე და სახიერებად არს ზეშთა სიმართლისად, რავთა თავს-იდებდეს ცრუთასა და არა ხოლო შეუნდობდეს, არამედ კეთილსაცა უყოფდეს მათ, რომელნი ჰმძლავრობდენ მას.

მესუთედ, ფილოსოფოსობად არს კელოვნებად გელოვნებათად და მოძღვრებად მოძღვრებათად, რამეთუ ფილოსოფოსობად დასაბამი არს ყოველთა ხელოვნებათად, რამეთუ მის მიერ ყოველი კელოვნებად მოპოვნებულ იქმნა.

მექუსედ, ფილოსოფოსობად არს სიყუარული სიბრძნისამ, ხოლო სიბრძნე ჭეშმარიტი ღმერთი არს. აწ უკუე სიყუარული ღმრთისა მიმართ — ეს არს ჭეშმარიტი სიბრძნე“?

რამდენადაც ზოგიერთი ძველი ქართული ტერმინის მნიშვნელობა დაზუსტებას მოითხოვდა, ვფიქრობთ, უმჯობესი იყო მთელი «განსაზღვრების» ახალი რედაქციის შექმნა:

<sup>1</sup> Joannes Damascenus, *Dialectica sive Capita philosophica*. TLG 2934.002. ος. 66.

## განსაზღვრება ფილოსოფიისა არის ექვსი

ა) ფილოსოფია არის არსებათა შემეცნება; არსება კი არის ის, რასაც წარმოადგენს მისი ბუნება.

ბ) ფილოსოფია არის საღმრთო და კაცობრივ საქმეთა შემცენება.

გ) ფილოსოფია არის მომზადება, როგორც ნებსითი, ისე ფიზიკური სიკვდილისათვის.

(დ) ფილოსოფია არის ღმრთის მსგავსების მოპოვება ადამიანის შესაძლებლობის მიხედვით; ხოლო ღმერთს ვემსგავსებით სიმართლით, სიწმიდითა და სახიერებით. სიმართლე კი არის სწორად განაწილება (მისაგებელისა), ანუ იგი არც უსამართლოდ მოქცევაა, არც ზიანის მიყენება, არც პიროვნობა სასამართლოზე, არამედ თითოეულისთვის საქმეთა მისთაებრ მიგება; ხოლო სიწმინდე და სიკეთე აღმატებულია სამართლიანობაზე იმით, რომ უთმობს უსამართლობას და, უფრო მეტიც, კეთილსაკუთროს მათ.

ე) ფილოსოფია არის ხელოვნება ხელოვნებათა და მეცნიერება მეცნიერებათა, ვინაიდან ფილოსოფია არის დასაბამი ყოველი ხელოვნებისა, ანუ ყველა ხელოვნება მის მიერ იქნა გამოგონილი.

ვ) ფილოსოფია არის სიბრძნის სიყვარული; რადგან ჭეშმარიტი სიბრძნე ღმერთია, ამიტომ სიყვარული ღმრთის მიმართ — ეს არის ჭეშმარიტი ფილოსოფია.

ამ განსაზღვრებათა მოცემის შემდეგ იოვანე დამასკელი ფილოსოფიის თეორიულ და პრაქტიკულ სფეროებად დაყოფას გვთავაზობს. თეორიული ფილოსოფია მოიცავს თეოლოგიას, მათემატიკასა და ფიზიოლოგიას; მათემატიკა კი განიყოფება არითმეტიკად, მუსიკად, გეომეტრიად და ასტრონომიად; ხოლო პრაქტიკული ფილოსოფიის შემადგენელია ეთიკა, გეორნომიკა და პოლიტიკა.

თეორიული ფილოსოფია, ანუ «ხედვად არს გულისტმის-ყოფად უნივერსალურობით და უკონკრიტურობით... ამისსა შემდგომად ანგელოზთაცა და ეშმაკთა და სულთაცა უნივერსალურობის»<sup>3</sup>. ყოველივე ეს კი არის საგანი თეოლოგიისა. ამასთანავე, «ხედვად არს გულისტმის-ყოფად ნივთიერთაცა ბუნებათად, რომელ არიან ცხოველნი და ნერგნი და ქვანი და სხუანი ესვეითარნი»<sup>4</sup>, რომელნიც ბუნებისმეტყველების, ანუ ფიზიოლოგიის დარგს მიეკუთვნებიან. ამავე სფეროში შედის მათემატიკაც, რომელიც თავისთავად არც

<sup>3</sup> റാംപുരിക്ക്, പഠനം 172.

<sup>4</sup> ଦୀର୍ଘ, ପତ୍ର 173.

ნივთიერია და არც უნივერსო, მაგრამ ზოგჯერ ერთშიც იხილვება და მეორეშიც. მათემატიკის შემადგენელი სხვა დარგებიც ამავე სახისაა.

ხოლო პრაქტიკული ფილოსოფია ზნე-ჩვეულებებს აწესრიგებს და ადამიანებს მოქალაქეობას ასწავლის. ამასთან «უკეთუ იგი მარტო ერთ კაცს განსწავლის, მას ეთიკა ეწოდება; უკეთუ მთელ ოჯახს, მაშინ ეწოდება ეკონომიკა; ხოლო უკეთუ მთელ ქალაქს ასწავლიდეს, მას პოლიტიკა ეწოდება»<sup>5</sup>.

ფილოსოფიის დამასკელის სეული დაყოფა ორიგინალური არ არის. ანალოგიური სქემები გვხვდება ორიგენესთან (გარდ. 253 წ.) და კასიოდორესთან (გარდ. 578 წ.), რომელნიც დასაბამს, თავის მხრივ, არისტოტელური და ნეოპლატონური სქემებიდან იღებენ<sup>6</sup>. იმავეს თქმა შეიძლება ფილოსოფიის განსაზღვრებებზეც, რომლითაც ღირსმა იოვანე დამასკელმა მთელი ქრისტიანული და ანტიკური სიბრძნის მეტყველება ექვს პუნქტში შემოკრიბა და შეა საუკუნეების ბიზანტიური აზროვნებისთვის დამახასიათებელი კლასიკური ნიმუში მოგვცა.

რა თქმა უნდა, იოვანე დამასკელის განსაზღვრებათა თეოლოგიურ-ფილოსოფიური სინთეზი დღევანდელი ფილოსოფიური გაგებით მიუღებელია, მაგრამ მასზე მართლმადიდებლურ რელიგიას უარი არ უთქვამს. მართალია, II-III სს-ის ზოგიერთი ავტორი (მაგ., ტატიანე ასურელი, თეოფილე მესოპოტამიელი, ტერტულიანე?) უარყოფდა ფილოსოფიას, მაგრამ ეკლესიამ დმრთისმეტყველებისა და ფილოსოფიის თანაარსებობის გზა აირჩია. სხვათა შორის, XII ს-ის ქართველმა ისტორიკოსმა ტერტულიანეს ული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ანტიოქია გელათის მაგალითზე, ჩვენი აზრით, შეგნებულად გააუქმა: «რომელიცა აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალემად, სასწაულად ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა, წესად და კანონად ყოვლი-

<sup>5</sup> Joannes Damascenus, *Dialectica sive Capita philosophica*. TLG 2934.002. ფ. 66.

<sup>6</sup> Адо И., Разделение философии у Кассиодора и Оригена // Свободные искусства и философия в античной мысли, М., 2002. გვ. 363-366.

<sup>7</sup> Шохин В. К., Христианские догматы и философская рациональность: конфронтация или синергия? // Богословие и философия: аспекты диалога. Сборник докладов конференции, М., 2001. გვ. 200-201. ტერტულიანეს ეკუთვნის ცნობილი იიტორიკული შექმთხა: «რა არის საერთო ათენსა და იერუსალიმს, აკადემიასა და ეკლესიას შორის?» (იქვე).

სა საეკლესიოვასა შუენიერებისად».<sup>8</sup> — ე. ი. ეს «სწავა» ათენი, ანუ გელათის სასულიერო აკადემია, ბერძნული წარმართული მწიგნობრობის უდიდესი ცენტრის ფილიალი კი არ არის, არამედ საღმრთო წესებითა და სწავლებით მასზე აღმატებული საგანმანათლებლო კერა, ანუ მეორე იერუსალიმია. დავითის ისტორიკოსის პოზიცია, მისი მოღვაწეობის დროს, ეკლესიაში კარგა ხნის განმტკიცებული იყო. უკვე IV ს-ში წმიდა ბასილი დიდმა დაწერა ქრესტომათიული თხზულება «ახალგაზრდებს იმის თაობაზე, როგორ მიიღონ სარეგებელი წარმართული მწერლობიდან», რომლითაც ნათლად განისაზღვრა ფილოსოფიის მნიშვნელობა გარკვეულ ქრისტიანულ დებულებათა ინტელექტუალურად შეთვისების საქმეში.

თეოლოგიის ისტორიკოსები თანხმდებან, რომ ბიზანტიურ აზროვნებას, ლათინური სქოლასტიკისგან განსხვავებით, ღმრთისმეტყველებისა და ფილოსოფიის სფეროები მკაფიოდ არასდროს გაუმიჯვავს, მაგრამ ფილოსოფიას «მისი კომპეტენციის საზღვრებზე კი ზუსტად მიუთითა». <sup>9</sup> ისტორიული გადასახედიდან ჩანს, რომ თეოლოგიისა და ფილოსოფიის განცალკევების დასავლურმა გზამ, რომელსაც სათავე დომინიკანულმა თეოლოგმა, თომა აქვინელმა (XIII ს.) დაუდო, ორივე სფერო მნიშვნელოვნად დააზარალა. კათოლიკურ და პროტესტანტულ თეოლოგიაზე რომ არაფერი ვთქვათ, საერთოდ, ევროპული იდეა «წმინდა ფილოსოფიისა», ანუ მისი ავტონომიურობისა, პროტოპრესტიტერი ვასილი ზენკოვსკის გამოთქმა რომ ვიზმაროთ, ფიქცია გამოდგა.<sup>10</sup> სეკულარიზებული, სასულიერო დებულებათაგან განძარცული თანამედროვე დასავლური ფილოსოფია გამუდმებით ეძებს თავისივე არსებობის გამამართლებელ ნაირგვარ არგუმენტებს და, მით უმეტეს, ცოდვის მორევში ჩათრეული კაცობრიობისთვის მას ახალი მაშველი რგოლის გამოგონება აღარ შეუძლია. ქართულ სინამდვილეში კი საერთოდ პაროდიული სიტუაცია შეიქმნა, ფილოსოფიისა, და ასევე თეოლოგის, წოდება მედია-ექსპერტთან არის გაიგივებული.

გფიქრობთ, ღირს მ. მამარდაშვილის ერთი თვითშეფასების გათ-

<sup>8</sup> ცხორუბად მეფეთ-მეფისა დავითის, ტექსტი გამოსაცემად მოაშადა, გამოკვლევა, ლექსიგინი და სამებლები დაურთო შექალა შანიქემ, თბ., 1992. გვ. 175.

<sup>9</sup> ქრონიკი თარგმანი პროფ. განგცა კობლატაძისა გამოიცა ორჯერ (2010, 2011).

<sup>10</sup> Протоиерей Олег Давыденков, Философия и теология в системе византийского мышления эпохи вселенских Соборов // Вестник ПСТГУ, 1(21), 2008. გვ. 10.

<sup>11</sup> Протопресвитер Василий Зеньковский, Христианское учение о познании, т. 1, გვ. 2. <http://azbyka.ru>.

ვალისწინება: «იმისთვის, რომ ვიყოთ მოქალაქენი, ე. ი. სოციალური ცოდნით რომ ვიცხოვროთ, რომელიღაც განყენებულ ჭეშმარიტებებს თვით ჩვენთან მიმართებით, ჩვენი მაქსიმალური შესაძლებლობებით უნდა ვიგებდეთ. სწორედ აი აქ, ამ განყენებულობათა და მათ გამოვლენათა შორის, მე ვხედავ მოწოდებას ფილოსოფოსისა, რომელსაც ჩვენი საზოგადოება დღეს ასე ელოდება; იმიტომ, რომ ჩვენ გაველურებული ცნობიერების, აწ უკვე, გაჭიანურებულ პერიოდში ვიმყოფებით. ჩვენ ინფანტილურნი აღმოვჩნდით»<sup>12</sup>. ალბათ, სადაცო არ არის, რომ პრინციპულად არაფერი შეცვლილა, ცნობიერების კიდევ უფრო გაველურებასთან ერთად ფილოსოფიის ინფანტილიზმიც ვითარდება. ან რა ზღვარი უნდა დაედოს ამ პროცესს, როცა «მაგალითად, ფილოსოფიისთვის თავის საკუთარ ავტონომიურ სფეროში გადასასვლელ მთავარ პირობას («ფილოსოფიური განწყობის» შესაქმნელად) წარმოადგენს არაფილოსოფიურ სინამდვილესა და ყოველგვარ წანამძღვარზე უარის თქმა, ანუ გარკვეული აზრით, უმაღლო აზროვნება (ფილოსოფოს უფლება არა აქვს თავის ნაშრომში ზებუნებრივ ნიჭთა დამოწმებისა, მაშინაც კი, თუ იგი როგორც პიროვნება მათ იღებს)»<sup>13</sup>.


თანამედროვე ფილოსოფოსის ეს გულწრფელი აღიარება საკითხის არსში გვახედებს, მაგრამ, პრაქტიკული თვალსაზრისით, რომელ პრობლემაზე შეუძლია მას პოზიტიური რჩევის მოცემა, მაშინ, როცა ამჟამინდელი ყველა გლობალური კრიზისი «არაფილოსოფიურ სინამდვილესთან», ანუ სულიერ დეფიციტთან არის დაკავშირებული? სწორედ «უმაღლო აზროვნება» არის მიზეზი გონებრივ მუშაკთა უძლურებისა, რაც გამოიხატება ჭეშმარიტი ფილოსოფიის არცოდნით, უმოქმედობითა და იმ უნარის დაკარგვით, რომელიც მათ აბობოქრებული გარევნილებისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ხმის ამაღლებისა და საზოგადოებაში იმედის ჩანერგვის ძალას მისცემდა.

ჩვენი ერთ კულტურული არსებობის იმგვარ ზღვართან იმყოფება, რომ ცხოვრებისეულ კანონებთან დაუკავშირებლად განყენებულ თემებზე საუბარი ვერავითარ სარგებელს ვერ მოგვიტანს. ამიტომ, როცა ჩვენ ფილოსოფიის გასულიერების სურვილს გამოვხატავთ, პირველ ყოვლისა კოლეგებისა და საზოგადოების იმ მოაზროვნე

ნაწილს ვეულისხმობთ, რომელსაც ქვეყნის ბედზე დმრთის წინაშე კასუხისმგებლობა აკისრია.


სამომავლოდ, ალბათ, კარგი იქნება, თუ კონკრეტულ საჭიროობრო საკითხთა განსახილველად ხშირად შევიკრიბებით და ჩვენს შეხედულებებს ერთმანეთს გავუზიარებთ. დაე, აკად. შალვა ნუცუბიძის საიუბილეო საღამო გამხდარიყოს ამგვარ შეხვედრათა დასაბამი.

13.12.2013.



<sup>12</sup> სტატია ინტერვეტიდან: M. K. მამარდაშვილი, ფილოსოფია — ეს სიცოდურის მიმართულება, გვ. 5.

<sup>13</sup> სტატია ინტერვეტიდან: A. L. დიბრიძე, ფილოსოფია და მოდერნიზაცია, გვ. 9.



მარინა გულეიშვილი

**საქართველოს სამდგრავება  
რუსეთ-საქართველოს  
დიპლომატიურ ურთიერთობაში  
(XVIII ს. მეორე ნახევარი)  
თბილისი, 1991**

**თმზისები**

გამოქვეყნებული დოკუმენტების, სტეციალური ლიტერატურისა და ახლად მოძიებული საარქივო საბუთების საფუძველზე, ნაშრომში გაშექებულია ისტორია ორი ელჩობისა, რომლებიც გაიგზავნენ საქართველოდან რუსეთში XVIII ს. მეორე ნახევარში (1752-1754 წწ. და 1772-1774 წწ.). მიუხედავად წარუმატებლობისა, მათ დიდი მნიშვნელობა პქნდათ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეში. „სათხოვარი პუნქტები“, რომლებითაც ელჩები 1772-1774 წწ. წარდგნენ საიმპერატორო ხელისუფლების წინაშე, საფუძვლად დაედო რუსეთისა და საქართველოს შორის 1783 წელს გეორგიუს ქადაგებულ ტრაქტატს.

**წინასიტყვაობა**

აღნიშნულ დიპლომატიურ მისიებს ხელმძღვანელობდნენ მღვდელმთავრები — თბილისის მიტროპოლიტი ათანასე ამილახვარი და კათალიკოსი ანტონი. ამდენად, განხილულია გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ერთი ასპექტი, კერძოდ, ეკლესიის მსახურთა როლი აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მოძიებული ახალი საარქივო მასალა საშუალებას გვაძლევს,

უფრო სრულყოფილად შევაფასოთ იმ მღვდელმთავართა საქმიანობა, რომელთაც დაბალებული ჰქონდათ ესოდენ საპატიო და პასუხსაგები მისია. ნაშრომში მხილებულია ზოგიერთი მათგანის (ათანასე ამილახვრის, სიმონ საგინაშვილის, ფილიმონ ხოფელის და რომანოზ არაგვის ერისთავის) არაკეთილსინდისერი დამოკიდებულება მათზე დაბალებული საქვეყნო საქმისადმი.

**1752-1754 წლებში ეპარტლ-კახეთის მრთველიში  
ელჩობა რუსეთში ათანასე ამილახვრის  
ხელმძღვანელობით**

**რუსეთ-საქართველოს დიალოგატიური  
ურთიერთობის საჯყისები**

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია უძველესი დროიდან იღებს სათავეს. რუსული წერილობითი წყაროები მოგვითხრობენ, რომ თავდაპირველად ეს ურთიერთობა გამოიხატა ქორწინებრივი კავშირებით ორივე ხალხის სამეფო ოჯახის წევრებს შორის. ასე მაგალითად, დიდი მთხვრის გლადიოლერ მონომახის შეილიშვილს იზიასლავ მსტისლავის ძეს ცოლად შეურთავს ობეზების (ე. ი. ქართველების) მეფის დიმიტრი I-ის ასული. ეს მოხდა 1154 წელს. კითილმეზობლურ ურთიერთობაზე მიგვითითებს თამარ მეფის ქორწინება ვლადიმირის დიდი მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟზე — იურიზე.

მონძლოლების შემოსევამ დროებით ხელი შეუშალა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

ქართულ სამეფოებს შორის პირველი, რომელმაც კავშირ-ურთიერთობა დაამყარა ცენტრალიზებულ რუსულ სახელმწიფოსთან, კახეთის სამეფო იყო. 1491 წ. კახეთის მეფემ, ალექსანდრე გიორგის ძემ (1476-1511 წწ.) ელჩები გაამგზავრა მოსკოვის დიდ მთავრთან ივანე III-თან და წერილიც გაატანა.

მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის XVI ს-დან მყარდება. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოსაგვარებლად არაერთხელ იგზავნებოდნენ დიპლომატებად სასულიერო პირები. ერთმორწმუნე ქვეყნებს შორის კავშირ-ურთიერთობის მოგვარებას სახელმწიფო მესვეურები ხშირად მათ ავალებდნენ. აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი სამღვდე-

ლოება სახელმწიფოში მოსახლეობის ყველაზე განათლებულ ფენას წარმოადგენდა.

კახეთის მეფემ ლევან გიორგის ძემ მფარველობისა და დახმარების სათხოვნელად მეფე ფანე IV-ის კარზე სგანგებო ელჩი გაგზავნა. რუსეთის სამეფო კარმა ქართველი ელჩი კარგად მიიღო. ლევანის მარბიელი რაზმების წინააღმდეგ კახეთის დასახმარებლად დამხმარე რაზმი გაიგზავნა. რუსმა მეომრებმა დაიკავეს კახეთის ციხეები და შეიდი წლის მანძილზე (1565-1572 წწ.) იცავდნენ კახელებს ლევან შემოსევებისგან. ამ ხანებში რუსეთსა და კახეთს შორის საყაფრო ურთიერთობა ინტენსიურად ვითარდებოდა.

1586 წ. კახეთის მეფემ ალექსანდრე II-მ მოსკოვში ელჩები მიავლინა. კახეთი რუსეთს სთხოვდა, დაეცვა და მფარველობა გაქვია მისთვის მტრებთან, უმთავრესად ლევანის ბრძოლაში. ელჩები ითხოვდნენ, რომ რუსეთს თერზე აუგო დიდი ციხე და შიგ კარგად შეიარაღებული რუსული გარნიზონი ჩაეყენებინა. ეს გეგმა რუსეთისთვის ხელსაყრელი აღმოჩნდა.

საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური მისით სასულიერო და საერო პირების მიმოსვლა XVII ს-დან კიდევ უფრო ინტენსიური გახდა და საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე არ შენელებულა.

XVII ს-ის პირველ ნახევარში რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კიდევ უფრო გაფართოვდა, თუ ადრე მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობა მხოლოდ კახეთს ჰქონდა, ამიერიდან საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული დაუკავშირდა მას. ეს კავშირი, ცხადია, მეტ-ნაკლები სიახლოეთ და სიმტკიცით ხასიათდებოდა. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა რუსეთის გავლენის განუხრელი ზრდა ამიერკავკასიაში.

XVII ს-ის დასაწყისიდან კახეთის გარდა რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს იმერეთი, სამეგრელო და გურია. ისინი მეტწილად ურთიერთშეუთანხმებლად მოქმედებენ. რუსეთში სტუმრად თვით მეფებიც მიდიოდნენ, ანდა თავიანთი სათხოვარით ელჩებს გზავნიდნენ.

რუსეთთან აქტიურ დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს თეიმურაზ I, XVII ს. 20-იან წლებში. 1618 წ. 17 ოქტომბერს მან რუსეთში მიავლინა ილუმენი ხარისტონი, 1624 წ. 14 მარტს — არქიეპისკოპოსი თეოდორი, არქიმანდრიტი არსენი და არქიდიაკონი კირილე, ხოლო 1635 წ. 20 დეკემბერს — მიტროპოლიტი ნიკიფორე,

რომლის ელჩიბის პასუხად რუსეთიდან გამოგზავნეს ვოლკონსკი, ხგატოვი და არქიმანდრიტი იოსები, რომელთაც თეიმურაზ I-ისგან „ფიცის წიგნი“ მიიღეს. XVII ს-ში დიპლომატიური მისით რუსეთიდან საქართველოში ჩამოვიდნენ თავადი მიშეცკი და მდივანი კლიუჩეროვი. XVIII ს. 30-იან წლებში დასავლეთ საქართველოდან რუსეთში ელჩად მიავლინეს ეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი.

ამ ელჩობებმა დიდი წვლილი შეიტანეს რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის განტკიცებაში.

### საქართველოს პოლიტიკური ვითარება

1752-1754 ფლეხის ფიცა ხანებში

ქართლში თეიმურაზ II-ის გამეფების შემდეგ (1745 წ.) ქვეყანამ ნელ-ნელა დამშვიდება იწყო. ფეოდალებმა ადრინდელი გავლენა და კარგეს, მეფეებთან ბრძოლაში დასუსტდნენ და ძველებურად ვეღარ ებრძოდნენ ეროვნული დროშის ქვეშ მებრძოლ ქრისტიან მეფეს. თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ რუსეთში სგანგებო ელჩობა გაგზავნეს ათანასე თბილელისა (ამილახვრის) და თავად სიმონ მაყაშვილის ხელმძღვანელობით.

სანამ უშუალოდ აღნიშნულ ელჩობას შევეხებოდეთ, მოკლედ მიმოვინილავთ საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას, რამაც განაპირობა აღნიშნული ელჩიბის ორგანიზება.

XVIII ს. მეორე ნახევარი საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში ქართველი ხალხის მთელი რიგი წარმატებებით აღინიშნა. ქართლ-კახეთის შეერთებული ძალები ლევანის ამარცხებენ და ამ უკანასკნელთა თარეში დროებით სუსტდება. მაგრამ მიუხედავად შედარებითი ძლიერებისა, ქართლ-კახეთი იმ ხანად სპარსეთის ვასალად ითვლება.

ნადირ-შაპის მიერ გაერთიანებული სპარსეთი შინაბრძოლებში იყო ჩართული. ქართლ-კახეთმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და სპარსეთის დამოკიდებულებისგან ფაქტობრივად განთავისუფლდა. თბილისისა და სხვა ციხეებიდან სპარსთა ჯარები უბრძოლველად განდევნეს. სპარსეთს უკვე აღარ შეეძლო ქართლ-კახეთის გაძლიერებისთვის ხელი შეემალა. როდესაც თეიმურაზმა და ერეკლემ ყაზახი შემოიერთეს, ხოლო შემდეგ ერეკლისა და განჯის ხანები დაიმორჩილეს და ხარკი დაადგეს, სპარსეთი იძულებული გახდა, ამაზე გულისტკივილით დათანხმებულიყო. უფრო მეტიც — ერეკლე

და თეიმურაზი ამიერიდან თვით სპარსეთის საქმეებშიც აქტიურად ეროვნენ.

ხელახლა აღდგნენ სპარსელთა წინააღმდეგ და თითქმის მთელი სპარსეთი ხელში ჩაიგდეს ავღანელებმა. როდესაც მათმა წინამდლოლმა აზატ-ხანმა თავრიზი აიღო, ამ ქალაქის თავის შველა ქართველებს სთხოვა. ერეკლეს დახმარებისთვის მიმართეს ერევნის, განჯის, ყარაბაღისა და შირვანის ხანებმაც. თეიმურაზმა და ერეკლემ ჯერ თავრიზზე გალაშქრება გადაწყვიტეს, შემდეგ კი ისპაჰანზე, ბრძოლა ერევანთან მოხდა 1754 წელს. ქართველმა ჯარმა სძლია აზატ-ხანის დიდძალ ლაშქარს. ამ გამარჯვების შედეგად ქართველთა ძლიერება კველასთვის ნათელი გახდა. აზატ-ხანის დამარცხების შემდეგ საქართველოს სპარსეთის მხრიდან შეში აღარ ჰქონდა. ერეკლემ თავის მოხარედ გადააქცია მოსაზღვრე განჯის, ერევნისა და ნახჯევანის სახანოები. ირანში შექმნილ ვითარებას ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს მისი უახლესი მეზობლები — რუსეთი და თურქეთი. ირანის ამბებს ფართოდ ქმარებოდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებიც.

თურქეთმა, რომელიც ადრე ერთმორწმუნე ავღანელებისთვის დახმარების გაწევას აპირებდა, თავისი პოლიტიკა შეცვალა, რადგან დაინახა, რომ ქართველთა გამარჯვებები ირანში არც იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ საფრთხე შექმნა თურქეთის საზღვრებისთვის. აზატ-ხანის გამეფებას კი შესაძლოა მთელი ირანის გაერთიანება მოჰყოლოდა, რაც თურქეთს აღარ აწყობდა, რადგან იქ კარგად ახსოვდათ ის დიდი უსიამოვნებანი, რაც თურქეთს ნადირ-შაპის მიერ გაერთიანებულმა სპარსეთმა მიაყენა. ამდენად, ერეკლეს მიერ აზატ-ხანის დამარცხება თურქეთისთვის დადებით მოვლენას წარმოადგენდა. მაგრამ არც თურქეთი იყო ნეიტრალური საქართველოს მიმართ. მე-18 ს-ის მეორე ნახევრიდან იგი ლეკებისა და აზერბაიჯანელი ხანების შემოსევების სულისჩამდგმელია.

რუსეთი ყოველნაირად ცდილობდა თურქეთთან ყოველგვარი უთანმოების თავიდან აცილებას, რადგან მთელი მისი ყურადღება პრუსიის იმპერატორის აგრესიული პოლიტიკისკენ იყო მიპყრობილი, რომელიც დაქსაქსული გერმანული მიწების პრუსიის ირველივ გასაერთიანებლად იძრძოდა. პრუსიას მიზნის მიღწევაში ინგლისი ქმარებოდა, რომელიც ფინანსურ დამხარებას უწევდა მას. მოწინააღმდეგებად გამოდიოდნენ უსტრია, საფრანგეთი და რუსეთი. ეს იყო „შვიდწლიანი ომის“ წინა ხანები.

ასეთი იყო საერთაშორისო ვითარება, როდესაც თეიმურაზ II-ის ინიციატივით 17 კაცისგან შემდგარი ელჩობა რუსეთში გაემზავრა. ელჩობის ხელმძღვანელებად დაინიშნა თბილისის მიტროპოლიტი ათანასე ამილახვარი და კახელი თავადი სიმონ მაყაშვილი. აღნიშნული ელჩობის გამგზავრება იმ კონკრეტულ მომენტში გადაწყდა, როდესაც ავღანელი აზატ-ხანი თავისი დიდძალი ლაშქრით საქართველოს მოხარე ერევნის სახანოს მიაღდა. ბრძოლის მომენტში ერევნის ხანმა უღალატა მეფებს და მტრის მხარეზე გადავიდა. ქართველები სასტიკად დამარცხედნენ. ცოტა ხნით ადრე საქართველომ მარცხი განიცადა შაქის მმართველ ჰავაზი ჩელებისთან ბრძოლაში. ქვეყნის შიგნით კი პაპუნა ორბელიანის თქმით: „ალაგი არ იყო, რომ ლეკი არ იდგა“.

1752 წლის ელჩობა ქართლ-კახეთის მეფეთა პირველი ერთობლივი ნაბიჯი იყო დიპლომტიურ სარბიელზე. ელჩებს ქართლ-კახეთის მეფისგან რუსეთის სამპერატორო კარზე უნდა წარედგინათ ოფიციალური თხოვნა საქართველოსთვის მფარველობის გაწვის შესახებ, რათა დაეცვათ იგი ირგვლივ მცხოვრები მაპმადიანების რბეგა-აწიოკებისგან. ამასთან ერთად, ელჩებს რუსეთის სამეფო კარზე მიქვინდათ რუსეთის იმპერატორებისგან მათი წინაპრებისთვის ადრე ბოძებული, ქვეშვერდომობის ამსახველი სიგელები ხელახლი დადასტურებისთვის.

ელჩებს დაევალათ, სამპერატორო კარზე გადაეცათ საიდუმლო ზეპირი დანაბარებიც, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის ჯარის დახმარებით შინაბრძოლებში ჩაბმული, დასუსტებული სპარსეთის იმ ქალაქების ხელში ჩაგდების შესაძლებლობას, რომელნიც საქართველოს საზღვართან ახლოს მდებარეობდნენ. საქართველოს მესვეურები იმედოვნებდნენ, რომ რუსთა ჯარის შემოსვლით ირგვლივ მცხოვრები მაპმადიანები მუდმივ შიში იქნებოდნენ.

#### 1752-1754 ფლ. ელჩობის მიმღინარეობა

ათანასე ამილახვარს რუსეთში დაუხვდნენ თავისი ძმისწულები: ვეგენი და ევორ ამილახვრები. ძმები ამილახვრები მოსკოვში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე იყვნენ დანიშნული. ასე მაგალითად, ვეგენი — აღმოსავლეთის კოლეგიის პრეზიდენტად, ხოლო ევორი — თავდაპირველად მოსკოვის ობერპროკურორად, შემდეგ კი — იუსტიციოლეგიის მრჩევლად მოქმედი კანონ-

მდებლობის, ახალი კანონების გადამამუშავებელ და გამომცემელ, ელისაბედ პეტრეს ასულის მიერ შექმნილ კომისიაში.

როგორც საბუთებიდან იღევევა, ათანასე ამილახვარმა „ნადვორნი სოვეტნიკ“ უკორ ამილახვოროვს, თავისი საელჩო დაგალებები გააცნო. ემიგრანტმა თავადებმა ბოროტად გამოიყენეს მისი ნდობა, აქტიურად ჩავრიცხნენ მის საელჩო საქმებში და მოქმედებდნენ ქართლელი ბაგრატიონების სურვილის შესაბამისად. ათანასე, სიმონ მაყაშვილთან ერთად, გამოცხადდა არა ქართველი მეფების ადრესატ კანცლერ ბესტუშვილ-რიუმინთან, არამედ ქართლელი ემიგრანტების მფარველ ვიცე-კანცლერ მიხეილ ილარიონის ძე ვორონცოვთან. სიმონ მაყაშვილი, მართალია, ათანასეს ახლდა ამ აუდინციაზე, მაგრამ მან არ იცოდა, რომ ბესტუშვილიუმინისადმი განკუთვნილი წერილი ათანასეს მისთვის არ ჰქონდა გადაცემული.

1752 წლის 25 დეკემბერს ვორონცოვმა ელისაბედ II-ს ზოგადი სახის მოხსენებითი ბარათი წარუდგინა, რომლითაც აუწყებდა, რომ მან ქართველი ელჩები მიიღო.

ათანასე თბილელი ამ დროს დიდ გაჭირვებას განიცდიდა. მას თავისმა ახლო ნათესავებმა თავიდანვე გზა-კვალი აუბინეს. როგორც ჩანს, მისთვის აუცილებელი იყო საქართველოდან დამატებითი ინფორმაციების მიღება, რაც, როგორც საბუთებიდან იღევევა, ხშირად ფერხდებოდა იმავე ქართლელი ემიგრანტების ინტრიგების წყალობით. ამასობაში დრო გადიოდა და ათანასე თბილელი აყოვნებდა მეფეთა ზეპირი დანაბარების ჩამოყალიბებას რუსეთის საიმპერატორო კარზე გადასაცემად. ათანასე გრძნობდა, რომ მას ხელს უშლიდნენ თავის საქმიანობაში, ამიტომაც გამოსთხვამდა ეჭვს, ხომ არ იკარგებოდა საქართველოდან მისთვის გამოგზავნილი ინფორმაცია. მას, რა თქმა უნდა, ეჭვი ჰქონდა მოსკოვში მცხოვრებ თავის ნათესავებზე, მაგრამ იცოდა რა, რომ უშუალოდ მათგან სინამდვილეს ვერ გაიგებდა, გადაწყვიტა ოფიციალურად მიემართა საგარეო საქმეთა კოლეგისთვის.

ჩვენ დაგადგინეთ, რომ საგარეო საქმეთა კოლეგიამ ათანასეს უმორჩილესი თხოვნის შედეგად პასუხი პორუჩიკ ისაია ახვერდოვს მოსთხოვა, რომელმაც თავის მხრივ შემდეგნაირი ახსნა-განმარტება მისცა: ყიზილარიდან გამომგზავრებისას, იმ დროს იქ მყოფმა იმერთის ეპისკოპოსმა ფილიმონმა (ხოფელმა) მას სთხოვა, მისი ახლო ნათესავებისთვის გადასაცემად წაეღო მოსკოვში რამდენიმე წერილი, რომელთაგან ერთი მიტონპოლიტ ათანასე თბილელის სახელზე იყო

გაგზავნილი მისი დის მიერ ბოლო წუთებში მან, ე. ი. ფილიმონმა, ყველა წერილი, გზაში რომ არ დაფანტულიყო, ერთად შეკრა და ზემოდან ბაქარის ქვრივის მისამართი დააწერა, ხოლო ეს შეკვრა მოსკოვში ჩასვლისთანავე ახვერდოვმა ბაქარის მეუღლეს გადასცა.

ამ ახსნა-განმარტებას ხელს აწერს თვით ისაია ახვერდოვი. საბუთი თარიღდება 1753 წ. 1 ნოემბრით.

ფილიმონის საქციელი იმით შეიძლება აიხსნას, რომ მას იმ ხანებში ათანასე უკვე ქართლელი ბაგრატიონების მოშხრე ეგონა. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა, ჩვენ დაგადგინეთ, რომ საგარეო საქმეთა კოლეგიამ 1753 წ. 4 ნოემბერს ბაქარის ქვრივთან თავისი სანდო პირი გაგზავნა და საქმის ვითარების გარკვევა დააგალა.

საბუთების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დაგასკვნათ, რომ ფილიმონ ხოფელმა, რომელიც თავის სულიერ მამა იოსებთან ერთად ჯერ კიდევ 1752 წელს მოსკოვში იმყოფებოდა, კავშირი დაამყარა იქ მცხოვრებ ქართლელ ბაგრატიონებთან, რომელნიც, შესაძლოა, მისი ნათესავებიც იყვნენ. მათი სწრაფვა ქართლის ტახტის დასაბრუნებლად ფილიმონისთვის კარგად იყო ცნობილი. ამიტომაც 1753 წელს, რუსეთში დაბრუნებისას, მან საქართველოდან გამოტანებული წერილები და მათ შორის ათანასეს კუთვნილიც, რომლის მეშვეობით 1752 წლის ელჩობის მეთაურს საქართველოს იმდროინდელი ვითარება უნდა შეტყო, გამოუცდელი პორუჩიკის ისაია ახვერდოვის საშუალებით ხელში ჩაუგდო ბაქარ ბატონიშვილის ქვრივს, ანა გიორგის ასულ გრუზინსკაიას, რომელმაც მოხერხებულად აიცილა წაყენებული ბრალდება და ყველაფერი ახვერდოვს გადააბრალა.

უნდა აღინიშნოს, რომ ახვერდოვის ახსნა-განმარტება სრულ ნდობას იმსახურებს. მაშინ როდესაც ბაქარის ქვრივის პასუხში მოჩანს ინტრიგაში გაწაფული დიდგვაროვანი ქალბატონი. მოძიებული საბუთები კიდევ ერთხელ ააშკარავებენ იმ დიდ წინააღმდეგობას, რომელთა გადალახვას ეცადა (მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ შეძლო) ქართლ-კახეთის მეფეთა ელჩი ათანასე თბილელი. ქართლის ბაგრატიონები არც ფარულსა და არც აშკარა საშუალებებს არ ერიდებოდნენ, რათა ათანასე მეფეთა თვალში გაეშავებინათ, საბოლოოდ ჩამოეშორებინათ საელჩო საქმიანობისგან და თავიანთ მხარეზე გადაებირებინათ.

განვიხილოთ, თუ რა პოზიციის ეკავა ამ დროს მეორე ელჩს — სიმონ მაყაშვილს. როგორც სპეციალური ლიტერატურიდან ჩანს,

რადგანაც საელჩო საქმეების წარმართვა უმთავრესად ათანასე თბილელს პქნდა დაგალებული, ელჩობის დასაწყისში სიმონ მაყაშვილი პასიურობდა. მაგრამ დრო გადიოდა და უნაყოფო ცდით შეწუხებული სიმონ მაყაშვილი მოთმინებას კარგავდა. მით უმეტეს, რომ თავისი ნათესავების ინტრიგებში გახლართული გულზვიადი ათანასე თბილელი საქმის ნამდვილ ვითარებას მას არ აცნობდა. მაყაშვილმა 1753 წ. მაისამდე თუ ივნისამდე არც კი იცოდა, რომ ათანასემ ბესტუშევ-რიუმინისადმი მიწერილი მეფეთა წერილი ადრესატს არ ჩააბარა. როგორც ჩანს, ამ ამბის გარკვევაში მას საგარეო საქმეთა კოლეგიის თარჯიმანი დავით აბაზაძე დაქმარა.

ელჩებს შორის დიდი უსიამოვნება ჩამოვარდა. მოთმინებიდან გამოსულმა სიმონ მაყაშვილმა გადაწყვიტა მეფეთა სიტყვიერი დაულებანი და ის კონფლიქტი, რაც მასა და ათანასეს შორის ჩამოვარდა, წერილობით ჩამოვალიბებინა და კანცლერ ბესტუშევ-რიუმინისთვის წარედგინა, რომელმაც შემდეგში ქართლ-კახეთის მეფეთა მისამართით შედგენილი პასუხი სწორედ ამ მისი მოხსენების მიხედვით დამუშავა. კანცლერ ბესტუშევ-რიუმინისადმი გაგზავნილ თავის ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში იგი წერდა, რომ მასა და ათანასეს შორის არსებული უთანხმოების ძირითად მიზეზი იყო ათანასეს მიერ მისთვის (ე. ი. კანცლერისთვის) მეფეთა მიერ მიწერილი წერილის ჩაუბარებლობა.

ქართველი ელჩების უთანხმოებამ, რომელიც რუსეთის სამეფო კარისთვის ცნობილი გახდა, იქ არავითარი რეაქცია არ გამოიწვია.

ნათესავების ინტრიგების შედეგად გზაბრუული ათანასე ამის შემდეგ ცდილობდა, რუსეთის სამეფო კარის ჩაურევლად მოეგვარებინა საქმე და შექმნილი კონფლიქტის გარჩევა საქართველოს მეფებისთვის მიენდო, რომელნიც მას განუსაზღვრულად ენდობოდნენ. თუ რა სახით გააცნო მან ქართველ მეფეებს საქმის ვითარება, ზუსტად არ არის ცნობილი. მაგრამ არსებული დოკუმენტების მიხედვით საგარაულოა, რომ მას ქართველი მეფეები თავის სიმართლეში დაურწმუნებია და მოუხსენებია, რომ საელჩოს საქმიანობაში თავისი უადგილო საჩივრებით სიმონ მაყაშვილი უშლიდა ხელს. ამიტომ სთხოვა მათ, ჩამოცილებინათ იგი საელჩო საქმიანობისთვის. თეიმურაზ II-ის და ერეკლე II-ის წერილებიდან, რომლებიც მეფის რუსეთის კანცლერისა და ვიცეპანცლერისადმი იყო მიმართული, ირკვევა, რომ ისინი ნდობას მხოლოდ ათანასეს უცხადებდნენ. წერილები დათარიღებულია 1753 წ. 8 ივნისით.

1753 წ. 10 ოქტომბერს ქართლ-კახეთის მეფეებმა კიდვე ერთი განუსაზღვრული ნდობით აღსავს წერილი გაუგზავნეს ათანასეს, სადაც კვლავ სთხოვდნენ, რათა რუსეთის სამეფო კარის მოხელეებს ელჩობის პასუხი დაეჩქარებინათ. ამასთან ატყობინებდნენ, რომ სიმონ მაყაშვილი გაფრთხილებულია თავისი უტაქტო საქციელის გამო.

ათანასემ მეფეებს სიმონ მაყაშვილის დისკრედიტირებისთვის საჭირო ცნობები, როგორც ირკვევა, ბესტუშევ-რიუმინისაღმი მაყაშვილის ოფიციალური საჩივრის გაგზავნამდე მიაწვდინა. შესაძლოა, ათანასეს იმ ხანად ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ მისი ნათესავები მას მოქმედების სწორ გეზს კარნახობდნენ, ხოლო სიმონი კი თავისი აჩქარებით საქმეს ვნებდა. მაგრამ დრო გადიოდა და ელჩებს შორის ურთიერთობა კიდვე უფრო მწვავდებოდა.

სიმონ მაყაშვილი გრძნობდა, რომ ათანასე თავისი ნათესავების ხრიკების შედეგად თავის მოქმედებას მეფეების წინაშე ვერ გაამართლებდა და რუსეთში დარჩენას შევცდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ 1754 წლამდე ამგვარი სურვილის შესახებ რუსეთის სამეფო კარისთვის არავითარი ოფიციალური განცხადება ჯერ არ ჰქონდა წარდგენილი.

ათანასე თბილელმა 1754 წლის 27-28 თებერვალს, რუსეთში საელჩო მისით ჩამოსვლიდან წელიწადნახვრის შემდეგ, როგორც იქნა, მოხსენებითი ბარათი წარუდგინა საგარეო საქმეთა კოლეგიას, სადაც სამ პუნქტად ჩამოაყალიბა ქართველ მეფეთა ზეპირი დანაბარები. აღნიშნული მოხსენებითი ბარათი აშკარად ზერელედ იყო შედგენილი და, ამდენად, ფორმალურ ხასიათს ატარებდა. აქ არაფერი იყო ნათესავი მეფეთა მიერ წამოყენებული წინადადებების შესახებ, რომელიც სპარსეთის ქალაქების აღების შესაძლებლობას შექმნებოდა. არ იყო ნახსენები არც მათი თხოვნა ჯარით დახმარების შესახებ. ამგვარად, ამ მოხსენებით ბარათში გამოტოვებული იყო ყველა ის პუნქტი, რის განხორციელებასაც აქტიურად ქრინააღმდეგებოდნენ მოსკოვში მცხოვრები ქართლის ტახტის მაძიებლები.

როგორც ირკვევა, ამ ხანებში ათანასესთვის უკვე აშკარა იყო, რომ იგი თავისი ნათესავების ხრიკებს თავს ვეღარ დაალწევდა, რადგან მათთან წინააღმდეგობა უშედეგო იყო და გადაწყვიტა, ამ ფორმალური მოხსენებითი ბარათით თავისი საელჩო საქმიანობა ოფიციალურად დაემთავრებინა; როგორც ელჩობის ხელმძღვანელს, მიეღო რუსეთის სამეფო კარის პასუხი, და ამ პასუხით თავისი

საელჩო კრებული სამშობლოში გაემგზავრებინა, თვითონ კი საბოლოოდ მოსკოვში დარჩენა გადაწყვიტა, რადგან იმ ხანად უკვე გაგებული ჰქონდა (შესაძლებელია თვით ვიცეკანცლერის, ანდა თვისი ნათესავების საშუალებით), რომ კანცლერი ბესტუევე-რიუმინი სიმონ მაკავშილის მოხსენებათა საფუძველზე ელჩობის საპასუხო მოხსენებას ადგენდა.

1754 წლის 21 მარტით თარიღდება ბესტუევე-რიუმინის საიდუმლო მოხსენებითი ბარათი, რომელიც მან იმპერატრიცა ელისაბედ I-ს წარუდგინა. აქ მან ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებანი 1752 წლის ქართლ-კახეთის ელჩობასთან დაკავშირებით, აღნიშნული მოხსენების საფუძველზე, ჩვენ საშუალება გვეძლევა თვალი გავადვენოთ მეფის რუსეთის დიპლომატიის საიდუმლო გადაწყვეტილებებს ქართლ-კახეთის სამეფოებთან დაკავშირებით XVIII ს-ის სამოცანი წლების დასწევისში.

კანცლერი, უპირველესად ყოვლისა, უარს აცხადებს საქართველოში რუსეთის დამხმარე ჯარის გავზავნაზე. მიზეზად იშველიებს შორ მანძილს, რომ ყოველივე ეს თვით ქართველი მეფებისთვისაც კარგად ცნობილი ფაქტია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც აგზავნიან ელჩებს, რათა რუსეთთან მჭიდრო კონტაქტებით დააშინონ თურქები და სპარსელები. მისი აზრით, რუსეთის იმპერიის ინტერესები სრულიადაც არ მოითხოვენ ქართველებისთვის დახმარების გაწევით სპარსეთის საქმეებში ჩარევას, მით უმეტეს, იმ დრომდე, სანამ თურქეთი ნეიტრალიტეტს იცავს ირანის საქმეების მიმართ. ამიტომ ისე უნდა მოვიქცეთ, რომ თურქეთს არავითარი ეჭვი არ აღვუძრათ რუსეთის ნეიტრალურ პოზიციასთან დაკავშირებით.

ყოველივე ამის შედეგად, მას საჭიროდ მიაჩნია, ქართლ-კახეთის აღნიშნულ ელჩობაზე მეფეთათვის ოფიციალური წერილობითი პასუხის გაგზავნა. ცხადია, რომ რუსეთისთვის საქართველოს მეფების რეაქციას რუსეთის სამეფო კარის ამგვარ მოქმედებაზე მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან თუ განაწყენებული მეფები რუსეთის ორიენტაციას უღალატებდნენ, რუსეთში ხომ მრავლად იყვნენ თავშეფარებული ქართლის ტახტის მაძიებელი ბაგრატიონები, რომელიც ყოველგვარ პირობებზე თანახმა გახდებოდნენ.

ყოველივე ამის შედეგად, მას საჭიროდ მიაჩნია საქართველოდან ხშირი და სწორი ინფორმაციის მიღება. ამ სახის დაზვერვითი სამუშაოების ჩასატარებლად კანცლერი შესაფერის კანდიდატურად ასახელებს ქართველ პუსართა პოლკის ოფიცერს ოთარ თუმანოვს.

ზემოაღნიშნულ მოხსენებით ბარათზე იმპერატრიცა ელისაბედ I-ის ხელით დაწერილია «ნებთ იო ცემუ». ეს ნიშნავდა, რომ ამ მოხსენებითი ბარათის ყოველი პუნქტი ცხოვრებაში უნდა გატარებულიყო.

1754 წლის მარტში საგარეო საქმეთა კოლეგიამ, კანცლერ ბესტუევე-რიუმინის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ქართლ-კახეთის სამეფოთა 1752 წლის ელჩობაზე განზრახ უმისამართო და ხელმოუწერელი პასუხი შეადგინა. რუსეთის მთავრობის ოფიციალური პასუხი ქართლ-კახეთის მეფეთა ელჩობაზე, მათი კანონიერ მემკვიდრეული ცნობის ტოლფასი იქნებოდა. რაც რუსეთის დიპლომატიურ წრეში ჯერ დღის წესრიგში არ იდგა. სწორედ ზემოაღნიშნულმა ვითარებამ განაპირობა ელჩობის პასუხად არაოფიციალური, უმისამართო და ხელმოუწერელი პასუხის გამოგზავნა ქართლ-კახეთის მეფებთან.<sup>1</sup>

კვლავ დავუბრუნდეთ ელჩებს და მათ ურთიერთობას მეფის რუსეთის პასუხით სამშობლოში დაბრუნების წინ.

1754 წლამდე ათანასეს ოფიციალურად თვი ისე უჭირავს, თითქოს რუსეთში დარჩენას სრულიადაც არ ფიქრობს და სამშობლოში გამგზავრების საშჩადისშია. მაგრამ მისი საქციელი უკვე აშკარა თვალთმაქცობაა. ამას ადასტურებს იმავე 1754 წლის მაისით დათარიღებული საიდუმლო საბუთი, რომლის სათაური და შინაარსი ამტკიცებს, რომ ამ ხანებში ათანასე თბილელი, თვისი ნათესავების ჩაგონებით, სრულიად ჩამოსცილდა დიპლომატიურ საქმიანობას და დაფარული თანამშრომლობა დაიწყო მეფის რუსეთის სადაზვერვო სამსახურში, რასაც, ბუნებრივია, თვის სასულიერო მოღვაწეობასაც უთავსებდა.

1754 წლის ივნისში ათანასე თბილელმა ვიცეკანცლერ მ. ი. ვორონცოვის სახელზე გაგზავნა არზა, სადაც მოითხოვდა აგადმყოფობის გამო რუსეთში დარჩენას და სიმონ მაყაშვილისა და მთელი მისი საელჩო კრებულის საქართველოში გამგზავრების ნებართვას. სიმონ მაყაშვილი და ათანასე თბილელის სამღვდელო კრებული საქართველოში ცარიცინის გზით გაემგზავრა.

<sup>1</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ისტორიკოსის შეფასებით, 1752 წლის ელჩობის წარუმატებლობა განაპირობა საქართველოში არსებულმა შიდა განხეთქილებამ და, რაც მთავრია, რუსეთის ქართული ემიგრაციის მოქმედებამ, რომელიც ერეგლე II-ის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ მოვლენათა თანამედროვე მემატიანის, პატუნა ორბელიანის ლაკონიური დასკნით „ვინა ქართველთა შვილნი რუსეთსა შინა იყოფებოდენ, იმათ ერთმანეთის მტრობა და შური არ მოშალეს და ამათის მიზეზით ქართლში მოხმარება რუსთა აღარ ინებეს“ (ამბავნი ქართლისანი, თბ., 1981 გვ. 222). რედ.

მიუხედავად 1754 წლის ელჩობაზე რუსეთის სამპერატორო კარის არადამაგრაფილებელი პასუხისა, ქართლ-კახეთის მეფეებს სხვა არაფერი რჩებოდათ და 1754 წლის 4 დეკემბერს რუსეთის სამეფო კარს მაღლობის წერილი გაუგზავნეს, სადაც კიდევ ერთხელ არწმუნებდნენ რუსეთის იმპერატრიცას თავიანთ სრულ ერთგულებაში.

ჩვენთვის უცნობია, როგორი ახსნა-განმარტება მისცა სიმონ მაყაშვილმა მეფეებს ათანასეს საქციელის შესახებ. შესაძლოა, პირველ ხანებში ვერც დაიჯერეს, რომ ათანასე მომზეზებული ავადმყოფობის შემდეგ სამშობლოში არ დაბრუნდებოდა. მთელი წლის ლოდინის შემდეგ თემიტურაზი და ერეკლე დარწმუნდნენ, რომ ათანასემ რუსეთში დარჩენა გადაწყვიტა.

მეფეები იძულებული გახდნენ, ათანასეს სამშობლოში ჩამოსაყვანად რუსეთში სპეციალირად გაეგზავნათ 1752 წლის ათანასეს საელჩო კრებულის ერთ-ერთი წევრი, თბილისის სიონის მღვდელი სიმონ საგინაშვილი. 1755 წელს სიმონ საგინაშვილი კვლავ რუსეთში გაემგზავრა. მას მეფეებმა რუსეთის სამეფო კარზე წარსადგენი წერილები გაატანეს. რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში წარდგნილ მოხსენებით ბარათში საგინაშვილი წერს, რომ ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიამ მხოლოდ 1756 წლის 29 ონისს მისცა მოსკოვში გამგზავრების უფლება. ქართლ-კახეთის მეფეთა მიერ გამოგზავნილი წერილები მან საგარეო საქმეთა კოლეგის მოსკოვის განყოფილებაში წარადგინა, საიდანაც ისინი პეტერბურგის სიმპერატორო კარზე უნდა გაეგზავნათ, რადგან თვით საგინაშვილმა ავადმყოფობა მოიმიზება, პეტერბურგში გამგზავრებაზე უარი განაცხადა და გადაწყვიტა, პასუხის მოლლოდინში მოსკოვში დარჩენილიყო. აღნიშნულ მოხსენებით ბარათში იგი სარჩენ ფულს ითხოვს თავის თვის და მსახურის თვის. საბუთი 1756 წლის 6 მარტით თარიღდება.

საგარაულოა, რომ საგინაშვილმა ათანასეს ჩაგონებით აარიდა თვი პეტერბურგში გამგზავრებას და, ამრიგად, პირადად არ შეასრულა მეფეთა დანაბარები, ხოლო საგარეო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილების მოლლოდინში მოსკოვში თავის ყოფილ პატრონთან მოკალათდა, სადაც სამშობლოში გამგზავრების წინ, როგორც ჩანს, საკმარისად აღჭურვეს მეფეთა საწინააღმდეგო ინსტრუქციებით.

სიმონ საგინაშვილმა მოსკოვში ქართველი მეფეების მიერ მეფის რუსეთის კანცელერთან და ვიცეპანცლერთან მიწერილი თითქმის ერთი და იმავე შინაარსის ორი წერილი ჩაიტანა.

სიმონ საგინაშვილი ყოველგვარი პასუხის გარეშე გაისტუმრეს სამშობლოში. საგინაშვილის მისიის საპასუხოდ ათანასემ სასწრაფოდ კვლავ წერილით მიმართა თავის მფარველს — კანცლერ მიხეილ ილარიონის ძე ვორონცოვს. მიუხედავად ქართველი მეფეების კატეგორიული მოთხოვნისა, ათანასე თბილელი მოსკოვში იქნა დატოვებული, რაც, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ მისი სურვილით არ იყო ნაკარნახევი. მიზეზი იმისა, რომ მას აგრძობად მფარველობდა სინოდი და საგარეო საქმეთა კოლეგია, ჩვენთვის უკვე ნათელია. მას, საქართველოდან ახლად ჩასულ, განსწოვლულ მღვდელს, ბევრი რამ უნდა სცოდნოდა იმდროინდელი საქართველოსა და, საერთოდ, მთელი კავკასიის პოლიტიკური ვითარების შესახებ. ამიტომ იგი ერთნაირად საჭირო იყო როგორც მეფის რუსეთში მოკალათებული რეაქციული ქართლელი თავადაზნაურებისთვის, ასევე თვით მეფის რუსეთისთვის მისი პოლიტიკის გასატარებლად. ათანასეს მფარველი სინოდი, როგორც მეფის რუსეთის იდეოლოგი, დაინტერესებული იყო ათანასეს მსგავსი მოხელეებით, რომელნიც თავის საულიერო სამსახურს წარმატებით უთავსებდნენ რუსეთის სადაზვერვო უწყებაში მუშაობას.

სამშობლოში დაბრუნებულმა სიმონ საგინაშვილმა, როგორც ჩანს, ათანასე თბილელის ინსტრუქციის შესაბამისად დაიწყო მოქმედება და დიდი არეულობა და შფოთი ატეხა სიონის ეკლესიის სამღვდელოებაში. კურძოდ, დავა და უთანხმოება მოხდა მასა და დეკანოზ ნიკოლოზს შორის, რომელიც მასავით 1752 წლის ელჩობის მონაწილე იყო.

ახლა კვლავ დაუუბრუნდეთ ათანასეს, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიხვეჭა არა მხოლოდ რუსეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს შორის, არამედ თვით რუს მოსახლეობაშიც. სხვა ქართველ იერარქებათან ერთად, იგი მღვდელმსახურებას კრემლის მეფე-მთავართა განსასვენებელ მთავარანგელოზის ტაძარში ასრულებდა. 1755 წლის 24 ოქტომბერს სინოდის მოსკოვის განყოფილების დადგენილების თანახმად, მას ხელქვეითად დაენიშნა ერთი იპოდიაკონი და საკლესიო მგალობლები. ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ მიუთითებს მის „დამსახურებაზე“ მეფის რუსეთის მმართველი წრეების მიმართ.

გაორებული ხასიათისა იყო ათანასე თბილელის მოღვაწეობა რუსეთში ცხოვრების პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ იგი შშობლიურ მიწა-წყალს მოსწყდა, კაშშირი გაწყვიტა ქართლ-კახეთის

მეფებთან და მათ მიმართ მტრულად განწყობილთა ბანაკში გადაინაცვლა, კულტურის სფეროში მოღვაწეობით მან მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია თავის სამშობლოს.

1761 წლის 21 დეკემბერს ათანასემ სინოდს თხოვნით მიმართა, რათა ნება მიეცათ მისთვის, მოსკოვში ქართული სტამბა მოწყო. სინოდმა ამაზე მას თანხმობით უპასუხა და ათანასემ პრესნიაზე დაარსა ქართული სტამბა, რომელსაც უფრო მოგვიანებით ანტონ კათალიკოსის მიერ ვლადიმირში მოწყობილი სტამბაც შეუერთა. სტამბის კორექტორად მან მელქისედეკ კავკასიძე დანიშნა, ხოლო სტამბის საერთო ზედამხედველად — ჩვენთვის ცნობილი „ნადვორნი სოუერნიკი“ ვვგენი ამილახოროვი. რუსული ტექსტების მიხედვით საბეჭდი მასალის გამსწორებლად მუშაობდა ათანასეს ახლო ნათესავი დიმიტრი ციციანოვი. 1765 წელს ამ სტამბაში მთელი რიგი საეკლესიო ხასიათის წიგნებისა დაიბეჭდა: სამოციქულო, დავითი, ლოცვანი, ჟამნი და ლათინური, ბერძნული და რუსული ანბანი, რომელიც სინოდმა რუსეთის იმპერატრიცას საჩუქრად მიართვა. ამავე სტამბიდან 1762 წელს გამოვიდა „დაუჯდომელი“, 1767 წელს — „პარაკლისი“ და სხვ.

1769 წლის 20 სექტემბერს ათანასემ სინოდს გადასცა კათალიკოს ანტონ I-ის თხოვნა წმინდა მირონის რუსეთიდან საქართველოში გაგზავნის შესახებ. სინოდმა ამაზე თანხმობა განაცხადა და ათანასეს ხელწერილით საქართველოში ვედრონახვარი მირონი გაიგზავნა. ამ ფაქტს იმ დროისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთ-საქართველოს შემდგომი დახლოების საქმეში.

რუსეთში მოღვაწეობისას ათანასე მჭიდრო კაშირ-ურთიერთობას ამყარებს ქართულ ეკლესიებთან. მის მიერ დაარსებულ სტამბაში დაბეჭდილ სასულიერო ლიტერატურას იგი რეგულარულად აგზავნის სამშობლოში.

ათანასე სიცოცხლის ბოლო ხანებში ცხოვრობდა მოსკოვის ჯვართამაღლების მონასტერში, სადაც გარდაიცვალა 1774 წლის 9 იანვარს. იგი დონის მონასტერში დაკრძალეს.

აღმოსავლეთ საქართველოს საელჩო მისიანი რუსეთში  
1772-1774 ფ. ელჩობის ზინა აღრიცხვი

1752-1754 წწ. ელჩობის წარუმატებლად დასრულებამ ვერ შეაფერხა რუსეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის

დიპლომატიური ურთიერთობის შემდგომი გაღრმავება. 1760 წელს მეფე ერეკლეს ინიციატივით რუსეთში კგლავ გაემგზავრა ელჩობა, რომელსაც მეფე თეიმურაზ II თაოსნობდა.

მეფე თეიმურაზის სათხოვარს შეადგენდა ჯარი, ანდა ჯარის დასაქირავებელი ფულადი სესხი, რათა აელავმათ მოძალებული ლეკები და შეჭრილიყვნენ ფეოდალური შინააშლილობით დასუსტებულ ირანში, სადაც სპარსელი დიდებულების ყრილობა უნდა მოეწვიათ და რუსეთისთვის სასურველი პირი შაპად დაესკათ. მაგრამ რუსეთის მთავრობა თურქეთის გადიზიანებას მოერიდა, რადგან თვითონ ვეროპის საქმეებით იყო დაკავებული. პრუსიის აქტიური პოლიტიკა ვეროპაში მეფის რუსეთის მთავრობას მეტად მწვავე და საშიშ მოვლენად მიაჩნდა. პრუსიის წინააღმდევ შვიდწლიან ომში ჩაბმული, იგი აღმოსავლეთის საქმეებში ჩარევას არ აპირებდა. ამიტომ იყო, რომ თეიმურაზი კარანტინის საბაბით კარგახანს ასტრახანში დააყოვნეს.

თავის მხრივ თეიმურაზიც იცავდა კონსპირაციას, რათა თურქეთთან და ირანთან ურთიერთობა არ გაემწვავებინა. ამიტომაც იგი ოფიციალურად აცხადებდა, რომ პეტერბურგში მიემგზავრება, რათა თავისი წინაპრების მსგავსად თაყვანი სცეს რუსეთის ხელმწიფე იმპერატორს.

1761 წლის მარტში იგი წარდგა იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულის წინაშე და წარუდგინა თავისი წინადადებანი. მაგრამ მეფის რუსეთის მთავრობა, როგორც უკვე აღინიშნა, იმხანად, მის ზრახვებს არ ეთანხმებოდა.

რუსეთის მხრიდან რეალურ დახმარებაზე იმედგაცრუებული თეიმურაზი სამშობლოში გამომგზავრების წინ თხოვნით მიმართავდა მეფის რუსეთის მთავრობას, რათა იმედი მაინც მიეცა, რომ მომავალში დახმარებოდა ქართლ-კახეთს, მაგრამ ვერც ამ თხოვნაზე მიიღო დადებითი პასუხი. შვიდწლიანი ომის დამთავრების მოლოდინში მეფის რუსეთს სხვა საქმეებისთვის აღარ ეცალა.

1762 წ. 8 იანვარს თეიმურაზ II მოულოდნელად პეტერბურგში გარდაიცვალა. მისი ამაღლის წევრებმა იგი ასტრახანში ჩამოასვენეს და თავისი სიმამრის, მეფე ვახტანგ VI-ის გვერდით ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარში დაკრძალეს. ასე რომ, 1760 წ. ელჩობა რუსეთში წარუმატებლად დამთავრდა.

ამის შემდეგ რუსეთ-თურქეთის ომით (1768-1774 წწ.) გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებაში, მნიშვნელოვანი ზეპირი დაგალებე-

ბით, მეფე ერეკლე II-მ რუსეთში ელჩად მიაჰლინა თავადი არტემონ ანდრონიკაშვილი. იგი 1769 წლის 5 ივლისს გაემგზავრა რუსეთში, ერთი აზნაურისა და 7 მსახურის თანხლებით.

არტემონ ანდრონიკაშვილს მეფის რუსეთის მთავრობისთვის უნდა მოქსენებინა, რომ მეფე ერეკლე II ყოველთვის მონდომებულია ჯეროვანი სამსახური გაუწიოს ხელმწიფე-იმპერატორს, რათა მოიპოვოს რუსეთის მფარველობა, რასაც მომავალში ელოდება. ერეკლეს წინადაღებანი კი ასეთი იყო: 1. თუ მისი იმპერატორობითი დიდებულება საჭიროდ მიიჩნევს სპარსეთზე გალაშქრებას, იგი სიხარულით დაიწყებს ომს სპარსეთთან. 2. ამჟამად კი, როდესაც იგი, მეფე ერეკლე, თურქეთთან ომისთვის ემზადება, რუსეთის მთავრობისგან ითხოვს, რათა მან საქართველოსთვის სიმშვიდე უზრუნველყოს სპარსეთის მხრიდან. ამის შესახებ რუსეთის სამეფო კარმა სპარსეთის მესვეურებს უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება. 3. საქართველოში ბევრგან მოიპოვება ოქროს, ვერცხლის და სხვა მაღლები. ამიტომ მეფე ერეკლე ითხოვს, რათა მისი იმპერატორობითი დიდებულების ჯარს გამოაყოლონ მეცნიერები, რომლებიც ამ სიმღიდრეს აქ მოიძიებენ, რისი განხორცელებაც ამდენ ხანს ვერ ხერხდებოდა მტრების გამუდმებული შემოსევების შედეგად.

ამასთან, მეფე ერეკლემ ა. ანდრონიკაშვილის ხელით რუსეთის უპირველესი მინისტრის ნიკიტა თვანეს ძე პანინისთვის გადასაცემად გაატანა ქართულ ენაზე შედგენილი აღწერილობა (შემდეგ ხვაბულოვის მიერ რუსულად თარგმნილი) იმ ქალაქებისა და ქვეყნებისა, რომლებიც ქართლსა და კახეთს ემიჯნებოდნენ. აღწერილია იქ მცხოვრები ხალხების ზნე-ჩევეულება, თუ როგორი მეომრები არიან, ვის მფლობელობაში თუ ქვეშევრდომობაში ითვლებან და სხვ.

არტემონ ანდრონიკაშვილის ელჩობამ დადებითი შედეგი გამოიღო. ამას ამტკიცებს რუსეთის სამხედრო კორპუსის ჩამოსვლა საქართველოში, გენერალ ტოტლებენის მეთაურობით, და სამთამაღნო საქმის ოსტატების ჩამოსვლა პროფესორ გიულდენშტეტის წინამდლოლობით. ა. ანდრონიკაშვილი რუსეთში მოქმედებდა მასთან ერთად წასულ იმერეთის მეფის სოლომონ I-ის (1751-1784 წწ.) დესპან დავით კვინიხაძესთან შეთანხმებით.

## ანტონ ბაგრატიონისა და ლეონ ბატონიშვილის ელჩობა რუსეთში 1772-1774 წლები

საქართველოს საგარეო აოლიტიკური ვითარება  
1772-1774 წლ. ელჩობის ზონა ამილაზი

XVIII ს-ის ბოლო მეოთხედში საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება მკვეთრად შეიცვალა. 1768 წელს რუსეთმა თურქეთთან ომი დაიწყო. ორივე მხარე მტრის წინააღმდევ თავისი მეზობელი მცირე ხალხების ამხედრებას ცდილობდა. რუსეთი დიდ იმედს ამყარებდა ბალკანეთის მცხოვრებლებზე: ბერძნებსა და განსაკუთრებით ჩერნოვორიელებზე, ასევე პოლონელებსა და კუკასიის ქრისტიანებზე. თურქეთი თავის მხრივ იმედოვნებდა დახმარების მიღებას ყირიმისა და კუკასიის მაპმადიანებისგან.

რუსეთის მთავრობის ოფიციალურ მოწოდებას ბალკანეთის ხალხები არ გამოქმაურნენ. პოლონეთის მეფეს, რომელიც ეკატერინე II-ის აქტიური დახმარებით იქნა პოლონეთის სამეფო ტახტზე აყვანილი სტანისლავ-ავგუსტის სახელით, თვით რუსეთის ჯარი ქმარებოდა აჯანყების ჩაქრობაში. ამდენად, მას ომში ჩაბმა არ შეეძლო. ყირიმის ხანი, როგორც მოსალოდნელი იყო, მოის გამოცხადებისთანავე შეიჭრა რუსეთის სამხრეთ საზღვრებში და თარეშით თვით კივამდე მივიდა. შემდეგ კი მთელი სამხედრო კამანიის განმავლობაში თურქეთის მხარეზე იბრძოდა რუსეთის წინააღმდევ. ყაბარდოელებსაც მუდმივად ეჭირათ თავიანთი ერთმორწმუნების — თურქების მხარე. მოის დასაწყისიდანვე ისინი მტრულ განწყობას ამჟღავნებდნენ რუსეთის მიმართ, მაგრამ გენერალმა მედემმა დაამარცხა ისინი 1769 წელს და მიაღებინა რუსეთის ქვეშევრდომობა.

მხოლოდ ქართველი მეფეები გამოქმაურნენ ხალხისით რუსეთის მთავრობის მოწოდებას და თურქეთთან ომში აქტიურ მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს. მაგრამ ამისთვის მათ აუცილებლად მიაჩნდათ რუსეთიდან ჯარის, ანდა ნივთიერი დახმარების მიღება. ქართველ მეფეებს სრულიად გარკვეული მიზეზები ამოძრავებდათ. სოლომონს რუსეთის ჯარი საშინაო და საგარეო საქმეების მოსაგვარებლად სჭირდებოდა. მისი აზრით, რუსების ხელშეწყობით იგი თავადებს დაიმორჩილებდა, ოსმალთა მიერ მიტაცებულ ტერიტორიას დაიბრუნებდა და თურქებს იმერეთიდან გააძვებდა.

ერეკლეს მიზანს შეადგენდა რუსთა ჯარის დახმარებით ოსმა-

ლეთის მიერ მიტაცებული მესხეთის შეურთება, ჭარბელაქნის დაპყრობა და ქართლ-კახეთში ლეგიანობის მოსპობა. ამის გარდა, რაკი საქართველო რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობაში იქნებოდა, ეს მას ირან-ოსმალეთის მომავალი თავდასხმებისგან დაიცავდა.

რუსეთი მიზნად ისახავდა „საქართველოს მხრიდან მძლავრი დავერსიის მოწყობას“, ძირითადად, ქართველთა სამხედრო ძალის გამოყენებით, რათა ამ გზით მტრის დიდი ძალები მიეზიდა საქართველოს საზღვრებთან და ამით ხელი შეეშალა თურქთა საომარი მოქმედებისთვის ძირითად ფრონტზე. საქართველოს საქმების რწმუნებულს, თავად მოურავოვს რუსეთის მთავრობა 1769 წლის 28 მაისის ინსტრუქციით ავალებდა, რომ ყოველი ღონე ქმარა ქართველი მეფე-მთავრებისა და გავლენიანი თავადების დასარაზმავად. სამაგიეროდ, მეფის მთავრობა არ იშურებდა ქართველ მეფეთათვის უხვ დაპირებას. იგი აღუთქვამდა მათ, რომ მომავალ სამშვიდობო ტრაქტატში, რომელიც თურქეთთან დაიდებოდა სპეციალური „არტიკულობით“, მათი სამეფოების ინტერესები იქნებოდა დაცული.

იმ დროს, როდესაც ერეკლე მეფესთან რუსეთის იმპერატორის ელჩი იმყოფებოდა, მას ოსმალეთის დესპანები ეწვიონენ, რომელნიც თავიანთი მთავრობის სახელით მხოლოდ იმას ითხოვდნენ, რომ საქართველოს ამ ოშეი მონაწილეობაზე უარი ეთქვა, მაგრამ ერეკლემ ისინი უპასუხოდ გაისტუმრა და უყოფანოდ მიემხრო რუსეთს. ქართველ მესჯეურთა საგარეო პოლიტიკას ყოველთვის ახასიათებდა რუსეთის ასეთი დიდი ნდობა.

მეფის რუსეთის მთავრობამ საქართველოში ოსმალეთის საწინააღმდეგო სამხედრო მოქმედებისთვის გამოგზავნა გენერალი ჭოტლებენი ერთი ქვეითი პოლკით, ორი ასეული ცხენოსანი კარაბინერით, ორი ასეული ცხენოსანი ჰუსარით, ორასი ღონელი კაზაკით, სამასი ყალმუხით და ოორმეტი საველე ზარბაზნით. რუსთა ჯარის გამოჩენამ საქართველოს მმართველი წრეები კიდევ უფრო მეტად განაწყო რუსეთის მიმართ. ცნობილია, რომ XVIII ს-მი რუსეთის ჯარი და საომარი იარაღი ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა მთელს მსფლიოში. საქართველოში ერთობლივი მოქმედებისას რუსეთ-საქართველოს შეერთებულ ლაშქარს არც ერთხელ არ განუცდია მარცხი. მართალია, მხედართმთავრებს შორის ხშირად აღიძრა მნიშვნელოვანი უთანხმეობა, მაგრამ ამან ქართველებში რუსეთის ორიენტაციის პოპულარობა ვერ მოშალა.

ცნობილმა აგანტიურისტმა გენერალმა ჭოტლებენმა თავისი აღ-

ვირახესნილი მოქმედებით დახმარების ნაცვლად ქართველ მეფებთან ურთიერთობა უკიდურესად გაამწვევა. რუსეთის სამეფო კარბა ჭოტლებენი უკან გაიწვია და მის ნაცვლად გენერალი სუხოტინი დანიშნა. არც სუხოტინის გაულიმა ბედმა. იგი ადგილობრივ პირობებს არ იცნობდა, ხოლო გამოცდილი ხალხის რჩევას არად აგდებდა. ყოველთვის თავისი სურვილის შესაბამისად მოქმედებდა, რითაც დიდი ზიანი მიაყენა რუსეთის მხედრობას.

1771 წელს, ჯერ კიდევ რუსეთის ჯარის საქართველოში ყოფნისას საქართველოს მესვეურნი დარწმუნდნენ, რომ თურქეთი ამ ომიდან გამარჯვებული ვეღარ გამოვიდოდა. ამ ხანებში ქერიმ ხან ზენდთან ერეკლეს მიერ მიწერილი წერილიდან აშკარა ხდება, რომ ერეკლე ზუსტ ინფორმაციას ფლობდა აღნიშნულ ომში რუსეთის გამარჯვების შესახებ, ჯერ კიდევ 1771 წელს ქართველმა დიპლომატებმა დაასკვნეს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლა დროული აქტი იქნებოდა. მით უფრო, რომ დამარცხებული თურქეთი საზავო ხელშეკრულების დადებისას საქართველოს საკითხის ამგვარ გადაწყვეტას წინ ვეღარ აღუდგებოდა. ამით დაიმედებულმა აღმოსავლეთ საქართველოს მმართველმა წრემ რუსეთთან მჭიდრო კონტაქტის დამყარება ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის 1772-1774 წწ. ომის მიმდინარეობის პირობებში გადაწყვიტა.

სწორედ ამ მიზნით 1771 წლის 29-30 დეკემბერს ერეკლე II-ის განკარგულებით საქართველოდან რუსეთის საიმპერატორო კარზე გაიგზავნა სეანგებო ელჩობა ანტონ კათალიკოსისა და ლეონ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით.

#### 1772-1774 წწ. ელჩობის მიმდინარეობა

1768-1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დასასრულის მოახლოება მეფე ერეკლემ და საქართველოს იმდროინდელმა მესვეურებმა ხელსაყრელ მომენტად მიიჩნიეს და რუსეთის საიმპერატორო კარზე სეანგებო ელჩობა გაგზავნეს. ელჩებს იმპერატორისთვის უნდა წარედგინათ ხელშეკრულების პროექტი, რომლის ძალითაც იურიდიულად უნდა გაფორმებულიყო საქართველოს რუსეთის მიერ მფარველობა. ამ საპატიო და პასუხსაგები მისის შესრულება წილად ხვდათ იმდროინდელი საქართველოს ყველაზე წარჩინებულსა და გავლენიან პირებს — ერეკლეს ძმას, ანტონ კათალიკოსსა და სრულიად ახალგაზრდა, 16 წლის ნიჭიერ და ენერგიულ ლეონ ერეკლეს ძეს.

როგორც საბუთებიდან ირკვევა, ელჩობის სამზადისი 1771 წლის დასასრულს დაწყებულა. საბუთების დიდი უმრავლესობა, რომელიც ელჩებმა თან წაიღეს რუსეთში (ხელშეკრულების პროექტი და ოფიციალური წერილები), 1771 წლის 29-30 დეკემბრით თარიღდება.

ელჩობის ხელმძღვანელად მეფე ერეკლემ ანტონ კათალიკოსი დანიშნა. ამიტომ იგი ელჩობასთან დაკავშირებულ წარდგინებებსა და წერილებში თავდაპირველად კათალიკოსს ახსენებს, ხოლო შემდეგ ლეონ ბატონიშვილს. მიუხედავად ამისა, რუსეთში ჩასულ ელჩებს შორის მეფის მთავრობა უპირატესობას 16 წლის ბატონიშვილს ანიჭებდა. ამიტომ ელჩების მიმართ დაწერილ საბუთებში თავდაპირველად მიმართავნ ჯერ მას, ხოლო შემდეგ ანტონ კათალიკოსს.

ჩვენი აზრით, ანტონის მიმართ ასეთი დამოკიდებულება გამოწვეული იყო ერთგვარი უნდობლობით, რომელსაც მეფის მთავრობა მის მიმართ იჩენდა, როგორც ქართლის ბაგრატიონთა წარმომადგენლის მიმართ, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ქართლ-კახეთის მეფეთა ამ მოწინააღმდეგ ბანაკის აქტიურ წევრად ითვლებოდა. საფიქრებელია, რომ რუსეთის სამპერატორო კარზე ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ ათანასე ამილახვარსა და სიმონ მაყაშვილს შორის მომხდარი კონფლიქტი და, რომ ამგვარი ფაქტი კელა აღარ განმეორებულიყო, საქმიანი ურთიერთობა უშუალოდ კახელი ბაგრატიონების წარმომადგენელთან დაამყარეს.

წარადგენდა რა რუსეთის სამპერატორო კარზე „სათხოვარ პუნქტებს“, მეფე ერეკლემ კარგად იცოდა, რომ მარტო ერთმორწმუნეობისთვის მფარველობასა და დახმარებას ვერ მიიღებდა. საჭირო იყო უფრო არსებითი რამ, რაც რუსეთის სამეფო კარს დააინტერესებდა. ამიტომ „სათხოვარი პუნქტებიც“ ამის გათვალისწინებით იქნა შედგენილი. უპირველესად ყოვლისა, მეფე ერეკლე ითხოვდა: „...მისის იმპერატორობის დიდებულებისგან... რომელ განვთავისუფლეთ აწევ წარმართთაგან და როგორც უკაზით ებრძანა მეფესა ჩვენსა საქართველოსი მფარველობასა შინა თვისისა დიდებულებისასა მიღება, რომ ბრძანებული ესე აღსრულდესო“. მეფე ერეკლე ეკატერინე II-ისადმი მიწერილ წერილშიც ახსენებდა მას რუსეთის მეფეთავან საქართველოსთვის ადრე მოცემულ პირობას მფარველობის გაწევის შესახებ.

თუ რაში უნდა გამოხატულიყო რუსეთის მფარველობა, „სათხოვარ პუნქტებში“ შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „...მიეცეს ჯარი კაცი რიცხვით ოთხი ათასი რეგულარნი და თუ სულ რეგუ-

ლარნი არ იქნებოდეს ნახევარი რეგულარნი და ნახევარი ურეგული. საკუთად ჩვენს მხარეზედ, რათა ებრძოდნენ ესენი და მეფე ჩვენი ზოგად ჩვენის მხრიდან ოსმალთა. და როგორც მეფე ჩვენი ისმენდეს ამ თქმულს კორპუსის კამენდირისას უგრევე კორპუსის კამენდირიც ისმენდეს ჩვენის მეფისას ვითარცა იქაურთა საქმეთა შინა გამოცდილისასა“. აქვე ნათქვამია, რომ ბაგრატიონთა გვარულობა კვლავ სამეფო ტახტზე დარჩებოდა, მაგრამ იქნებოდა მეფის რუსეთის მორჩილი და იმ სამსახურის შემსრულებელი, რომელიც აქვე „სათხოვარ პუნქტებში“ იყო ჩამოყალიბებული. კათალიკოსის უფლებები უცვლელი უნდა დარჩენილიყო. ამასთან, მეფე ითხოვდა, რათა ყირიმში განთავისუფლებული ტყვე ქართველებისთვის სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცათ. მეფე ვალდებულებას კისრულობდა, რომ რუსეთის კორპუსისა და აღილობრივი ლაშქრის ერთობლივი საბრძოლო მოქმედების შედეგად დაბრუნებული ქართული ტერიტორიებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში შეგროვილი გადასახადით გადაიხდიდა რუსეთის ხაზინის მიერ კორპუსისთვის გაწეულ დანახარჯს. ამასთან, ხსენებული კორპუსის საქართველოში ყოფნის პერიოდში საჭირო ხარჯებისა და თვით ქართული ჯარის შესანახითნის დასაფარავად იგი ხელმწიფოსგან სესხს ითხოვდა.

ეველა ზემოთ ჩამოთვლილი წეალობის სანაცვლოდ, მადლობის ნიშნად, მეფე ერთ თავის ძეს და რამდენიმე თავადისა და აზნაურის შვილებს რუსეთის სამსახურში გააგზავნიდა. ამასთან ერთად, მეფე პირდებოდა: „...რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში მეტალი არის და ამიერიდან იპოვება და იქიდან სარგებელი მოიპოვება, ნახევარი მისის დიდებულების ხაზინას მიერთმის“.

მეფე ვალდებულებას კისრულობდა, ყოველ წელიწადში ქართლ-კახეთში მცხოვრებ თითო კომლზე რუსეთის იმპერიის ხაზინის სასარგებლოდ თოთხმეტი შაური გადასახადი შემოეღო. ამასთან ერთად, მას ყოველ წელს რუსეთის სამპერატორო კარისთვის თოთხმეტი რჩეული ცხენი უნდა გაეგზავნა. „სათხოვარ პუნქტებში“ ამასთან ნათქვამი იყო: „როდესაც მძლავრობით სპარსნი ფლობებს საქართველოსა ზედა, ორს წელიწადში ერთჯერ ცხრას ტყვეს წარათმევიდიან და გლეხის თითოს კომლზე ათოთხმეტს შაურის მოკურეფდიან ამავე ტყვეების სახმარისთვის. და კვალად ორმოცდაათს საპალნეს რჩეულს ღვინოს თავიანთის ხარჯით წაიღებდნენ სახელმწიფოდ და ახლა ჩვენ რიცხვით ორიათას ვედროს ჩვენის ქვეყნის რჩეულს ღვინოს ყიზლარს სახელმწიფოდ ყოველს წელიწადს ჩვენის

ხარჯით მოვიტანოთ“.

რუსეთის კორპუსისა და ქართველი ჯარის ოსმალთაგან მოტაცებული მიწების დასაბრუნებლად ერთობლივი ბრძოლის პერიოდში აღთქმული გადასახადის გადახდას მეფე კისრულობდა, ხოლო მიწების დაბრუნების შემთხვევაში რუსეთში გასაგზავნი გადასახადი ამ მიწების მცხოვრებლებისგან აიკრიფებოდა. გადასახადის რაოდენობა ასე განისაზღვრებოდა: „რაოდენსაც რუსეთში სოფლების პატრონების გლეხნი აძლევენ იმის ნახევარი“. — ამასთან „თუ კახეთის მამულები, რომელიც წართმეული აქვს, დაიპყრობს ბედნიერობითა დიდებულებისა მისითა იმათგანაც აღთქმულისაებრ თვითოს გლეხის სახლისგან ათოთხმეტი შაური სახელმწიფოდ მიერთმოდეს ყოველს წელიწადს და კვალად ორასი ფუთი აბრუშუმი. და თუ ის მამულები მეტს შეიძლებენ, მეტი მიერთმის“.

შემდეგ ერეკლე ითხოვდა თურქეთთან ზავის დადებისას გათვალისწინებული ყოფილიყო, რომ ახალციხე, როგორც ძველთაგან საქართველოს კუთვნილი მხარე, საქართველოსვე დაბრუნებოდა, მით უფრო, რომ აქ მცხოვრებ ქრისტიანებს თურქი „მძლავრობით მაკმადიანად მრავალს გარდააცემევნ“.

ამასთანავე მეფე კისრულობდა, რომ როდესაც „...ჩვენი ქვეყანა წარმართთაგან განთავისუფლდება და დამშვიდდება, მაშინ ჩვენის მამულიდამ ქონებულისა და ახალ დაპყრობილიდამ მიართვას იმის დიდებულებას გლეხის სახელზედ სალდას რაოდენსაც სულზე რუსები აძლევსო“; ხოლო თუ ქართველთა და რუსთა შეერთებული ძალებით „სხვადასხვა მტრის მამული დაიჭირება“, ის დაპყრობილი ადგილები იმპერატორის გამგებლობაში დარჩება.

როგორც დავინახეთ, საქართველოს ერთიანობის აღდგენა და მაკმადიან მტერთაგან მისი გამოხსნის გეგმა ქართველმა პოლიტიკოსებმა საფუძვლიანად დამუშავეს. მაგრამ ქართველ მესვეურთა გეგმების განხორციელებას ხელს უშლიდა მეფის რუსეთის იმდროინდელი დაძაბული სამინაო და საგარეო ვითარება.

1771 წელს რუსეთში შავი ჭირის ეპიდემია გავრცელდა. იგი მოსკოვსაც მოედო. ამ ნიადაგზე მოსკოვში აჯანყება დაიწყო. აჯანყების ცეცხლი თანდათან იაკის (ურალის) და დონის კაზაკებსაც გადაედო და ვოლგაზედაც გადაინაცვლა. გლეხთა ეს მღელვარებანი 1773 წლის გრანდიოზულ აჯანყებად გადაიზარდა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ემელიან პუგაჩოვი.

იმპერიის მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე მთავრობას აღარ

ემორჩილებოდა, აქაური თავადაზნაურობის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ გასაქცევად გაემშადა. რუსეთის ცენტრალური გუბერნიების გლეხობაც არ იყო მშვიდად. გლეხთა აჯანყების ჩასახშობად მეფის მთავრობა იძულებული გახდა, რუსეთ-თურქეთის ფრონტზე მებრძოლი რეგულარული ჯარები გადმოესროლა.

ბუნებრივია, რომ ამგვარ ვითარებაში მყოფი მეფის რუსეთი თურქეთთან სასწრაფოდ ომის შეწყვეტას და საზავო მოლაპარაკების დაწყებას ცდილობდა. რუსეთის წარმომადგენელს მითითება შეიცა, რათა საჭიროების შემთხვევაში საგრძნობ დათმობებზე წასულიყო. უფრო მეტიც, რუსეთი თანახმა იყო, წინასწარ შემუშავებულ საზავო პირობებში რადიკალური ხასიათის ცვლილებებიც შეეტანა, რაც ყირიმის სახანოს საკითხის მოხსნას და ომამდელი მდგომარეობის უცვლელად დატოვებას ითვალისწინებდა. მაგრამ მთავარსარდალ რუმიანცემის სიმტკიცემ და გამჭრიახობამ იხსნა კველაფერი. მან მოლაპარაკების პროცესში საკუთარი ინიციატივით მტრის წინააღმდეგ შეტევა განაახლა და ახალი გამარჯვება მოიპოვა, რამაც რუსეთის მთავრობას საშუალება მისცა თურქეთის წარმომადგენლებისთვის აღარ გაემჟღავნებინა ადრე ნაგარაუდევი დათმობები. საზავო ხელშეკრულება ქუჩუკ-კაინარჯში მხოლოდ 1774 წლის 10 ივნისს იქნა დადებული. ხელშეკრულების ძალით თურქეთმა რუსეთს ყირიმი დაუთმო. მართალია, ყირიმის რუსეთთან სრული შეერთება უფრო გვიან, 1785 წელს მოხდა, მაგრამ ეს ფაქტი 1774 წლის ზავმა განაპირობდა.

ასეთი იყო საქმის ვითარება რუსეთში, როდესაც მეფე ერეკლეს ელჩებმა რუსეთის საზღვრებს მიაღწიეს. ბუნებრივია, რომ ქართლ-კახეთის მფარველობაში მიღება, ერეკლეს პირობების შესაბამისად, მეფის რუსეთის გეგმებში იმხანად არ შედიოდა.

ჯერ კიდევ 1772 წლის 30 იანვარს, ელჩების ყიზლარში მისვლისთანავე, ასტრახანის გუბერნატორმა ბეკეტოვმა სპეციალური წერილით მიმართა მინისტრ პანინს, სადაც ინსტრუქციას ითხოვდა ასტრახანთან მიახლოებული ელჩების მიღებასთან დაკავშირებით, კერძოდ, გაემგზავრებინა ისინი პეტერბურგში, თუ ასტრახანში დაეყოვნებინა. ამგვარი ინსტრუქცია, წერდა იგი, მას მით უფრო ესაჭიროებოდა, რამდენადაც გაგებული პეტონდა, რომ რუსეთ-თურქეთის ომში ქართველებმა რუსეთს მცირე დახმარება გაუწიეს. ბეკეტოვს საგარეო საქმეთა მინისტრი ნიკიტა პანინი 1772 წლის 28 თებერვლით დათარიღებულ წერილში ამასთან დაკავშირებით შემდეგნაირ

ინსტრუქციას აძლევდა: „...საქართველოს მიმართ ამჟამად სხვა მდგრამარობა იქნება. იმასთან შედარებით, რაც პორტასთან ომის დასაწყისში არსებობდა, კერძოდ, როდესაც მეფის მთავრობას ძირითადად ქართველების გამოყენებით თურქეთის წინააღმდეგ მდლავრი დოკერსის მოწყობა სურდა. მაგრამ, — წერს იგი, — სინამდვილეში საქმე სხვაგვარად წარიმართა, ამ შხარის მფლობელთა შორის არსებული ურთიერთუთანხმოებისა და თითოეული მათგანის გამომავარი მოქმედების შედეგად. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, მათი მიწების შინაგანი მოწყობლობაც შეუძლებელს ხდის მნიშვნელოვან საომარ მოქმედებაში მათ გამოყენებას... სენებული მიზეზის შედეგად, რუსეთის სამეფო კარმა გადაწყვიტა, რუსეთის კორპუსი გამოყვანილ იქნას საქართველოდან, ხოლო საქართველოს საქმეების რწმუნებულად განსაზღვრული დროით იქ დატოვებულ იქნას კაპიტანი ლვოვი“.

ცდილობს რა აიცდინოს რუსეთის სამეფო კარისთვის არასა-სურველი, უდროოდ წარმოგზავნილი ელჩობა, პანინი იმავე წერილში ბეკეტოვს შემდეგს აცნობებს: „ზემოხსენებული ვითარება ქართველი ელჩების მოსვლას რუსეთის საიმპერატორო კარზე ზედმეტს ხდის. მით უფრო, რომ მათ მიღებას საკმაო ხარჯი ესაჭიროება. რუსეთის კორპუსის სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით ირაკლისა და სხვა ქართველი მფლობელების შემდგომი მოქმედება გვიჩვენებს, საჭიროდ ჩავთვლით თუ არა ქართველი ელჩების პეტერბურგში მიღებას, თუ გადაწყვეტით ასტრახანში მათ დაყოვნებას. ამგვარად, — წერს იგი, — შექმნილი ვითარება დაგვანახებს, რამდენად შესაძლებლად ჩაითვლება ელჩობის შემდგომი მგზავრობა. თუ ერეკლე ჩვენი ჯარის გამოყვანის შემდეგაც ჩვენს პატივისცემას დაიმსახურებს, ელჩებიც შესაბამისად მიიღებიან რუსეთის საიმპერატორო კარზე, ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში უკან უნდა გავაძრუნოთ მიზეზების ზუსტი განსაზღვრით“.

ასტრახანში მოსული ელჩები, ყოველივე ზემოთქმულის გასა-არკვევად ერთი წლის მანძილზე დაყოვნების. ასეთი დიდი ხნით დაყოვნების ასახენლად, ზემოაღნიშნული საბუთის მიზედვით, საგარეო საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციის თანახმად, ასტრახანის გუბერნატორ ბეკეტოვს მათთან ხან მდინარეთა ადიდება უნდა მოემიზებინა, ხან მგზავრობისთვის აუცილებელი კარანტინის გავლა, რაც თითქოსდა გამოწვეული იყო იმ მოარული სენისგან საიმპერატორო კარის დასაცავად, რომელიც წინა წელს ზამთარში მოსკოვში მძვინვარებდა. მართალია, ეპიდემია იმჟამად შეწყვეტილი იყო, მაგრამ

ხომ შეიძლებოდა კვლავ ეფეტქა.

ამასთან ერთად, აღნიშნულია საბუთში, გუბერნატორს აგალებდნენ ყოველი ღონე ქმარა, რათა ელჩები მოწყენილი არ ყოფილივნენ. მათი შენახვისთვის საჭირო თანხა ძველი წესის მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო. გუბერნატორს მიუთითებდნენ, რათა წინადაღება მიეცა ელჩებისთვის, თავიანთი მრავალრიცხოვანი ამალა შევმცირებინათ, მაგრამ ეს ისეთი ფორმით უნდა ეთქვათ, რომ ელჩებს საწყენად არ მიეღოთ.

სანამ ელჩები ასტრახანში იცდილნენ, რუსეთის სამხედრო კორპუსმა საქართველოს ფარგლები დატოვა. საქართველოდან რუსეთის საბრძოლო კორპუსის გაყვანამ სასორაკვეთილებაში ჩააგდო მეფე ერეკლე და სხვა მთავრებიც, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გამდვინვარებულ მუსლიმანთა რკალში მოემწევდნენ, არცერთ მათგანს, რუსეთის ორიენტაციაზე ხელი არ აუღია. ისინი ძველებურად მეფის რუსეთს თავის სრულ ერთგულებას ეფიცებოდნენ და ამას არა მხოლოდ სიტყვით აცხადებდნენ, არამედ საქმითაც ამტკიცებდნენ.

მეფე ერეკლე კვლავ გულმხურვალედ ვევდრება ეკატერინეს: „არცა უწესონი საქმენი და შეურიგებლობანი მოხდა, რომლითაც სახითა და რომლისა გვამისგანაც, ყოველივე აპატივე შენსა შემყვარებელსა ქრისტესა, რომელმანცა გადიდა შენ, და ნუ მიგვცემ მოუთმენელსა მწერალებასა და ქვეყნის აოხრებასა, და... მოგვეც წყალობა, ვითარცა მომისხენებიეს ჩემის ძმისა და ძის გამოტანებულისა არზებით და ეგრეთვე დაბარებულობით“.

1772 წ. 30 დეკემბერს მინისტრმა პანინმა, როგორც იქნა შეატყობინა ასტრახანის გუბერნატორ ბეკეტოვს, რომ იმპერატრიცასგან მიღებულია სანკტ-პეტერბურგში ელჩების გამგზავრების ნებართვა. 1773 წ. 22 იანვარს ბეკეტოვი ატყობინებდა მინისტრ პანინს ელჩებისა და მათი ამაღის სანკტ-პეტერბურგში გამგზავრების შესახებ. ელჩებისთვის მთარგმნელად გამოუტანებით ყიზლარში მცხოვრები ქართველი მდგრელი გაბრიელ იაკულევი. პეტერბურგში ჩასულმა ელჩებმა რუსეთის სამეფო კარზე წარადგინეს მეფე ერეკლეს საჩუქრები, წერილები და „სათხოვარი პუნქტები“.

პეტერბურგში ჩასვლისთანავე კათალიკოსმა ანტონმა, სასულიერო პოზიციებიდან გამომდინარე, ჩვეული მაღალფარდოვანი, სიტყვაკაზმული სტილით დაწერილი ორი ოფიციალური წერილი მოამზადა ეკატერინე II-სა და ტახტის მემკვიდრე პავლე პეტრეს ძისთვის წარსადგენად. წერილების შინაარსი ადრესატებს მოაგონებდა მათს

მოვალეობას, დაუცვათ და დაეფარათ ყველა ჩაგრული ქრისტიანული ქვეყანა და მათ შორის საქართველო. მაგრამ, როგორც საბუთებიდან ირკვევა, ეს შესანიშნავი წერილები ანტონს გამოუყენებული დარჩა, რადგან ელჩები სამეფო კარზე არ მიიღეს. ელჩების პეტერბურგში ჩასვლა იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც რუსეთი თურქეთთან ზავის დასადებად ეშვადებოდა.

